

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

8 იანვარი 2010 №1(105)



შინაარსი

განთიადიდან განთიადამდე	2	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრაინოდ
დაუპირფარო სახელები	5	ნინო სადღობელაშვილი პოეტი, რომელიც ბავშვებმა შეიყვარეს (მაყვალა მრეწლიშვილის საიუბილეოდ)
მსურავს-ინტერვიუ	6	ნატა ვარადა სიყვარულის სახელით ნაბისმიერ ბოროტებას ვკავშირებ
პროზა	8	ქეთევან შენგელია პანდა
პირველი შთაბეჭდილება	14	მალხაზ ივანიძე მინც რატომ პანდა?
პოეზია	15	სევარიონ ნადირაძე დუელი და სხვა ლექსები
	19	კოტე კაკიტაძე ახალ ქუჩაზე და სხვა ლექსები
ანთისტიკა	20	ხორხე ლუის ბორხესი შვიდი საღამო (მეოთხე საღამო — ბუდიზმი)
წუთები და წლები	26	ზურაბ მარშანია თბილისში აყვავებული ვარდები და ნაჩუქარი სიტყვებსა
ღიალოგი	28	„გიორგი ჩემი ყველაზე დიდი პოეზიაა“ (თამარ შაიშველაშვილს ესაუბრება ეკა ბაქრაძე)
ახალი წიგნები	30	მარინე ტურავა ლიტერატურით აღქმული სამყარო (ნინო ვახანიას ესეების კრებული „ერთი ყლუპი ჰაერი“)
შპრინები პორტრეტისათვის	32	გურანდა ღვალაძე ჩემი იოსებ ბრიშაშვილი (დაბადებიდან 120 წლისთავის გამო)
პოეზის ერთი ლექსი	35	შოთა ბოსტანაშვილი ქალწილი ალიონი
წარსული მოგავლისათვის	36	ლია კუხიანიძე წერილი იმიერ საქართველოში
რეპორტაჟი	40	ეკა ბუჯიაშვილი ლექსები... როგორც ნავსაყუდელი (შეხვედრა მზია ხეთაგურთან)
კრიტიკა	43	ინგა მილორავა სიტყვების მელოდია (გელა დუმბაძის ნოველებისა და რადიოპიესების კრებული „მე, მორბენალი“)
	45	გორა კუჭუხიძე „სულ ძილი, ძილი“
	47	მაია ჯალიშვილი ქრისტიანობის გულბეჭეტი (ლალი დათაშვილის ახალ წიგნზე — „ფერისცვალება“)
ჩემი პატარა ქალაქი	49	გიორგი ლომიძე „სიზმარში მინც ვხვდებით ერთმანეთს“ (თამაზ ბაძალუას გახსენება)
ფიქრები	50	ლევან ბრეგაძე უბის ნიგნაჟიდან
ახალი წიგნები	52	ირაკლი ცხვედიანი ქართველი მკვლევარი და ამერიკული მწერლობა (ვახტანგ ამალობელი)
ლიტერატურული ცხოვრება	53	ქეთევან დავლაძე შოფიერების სახლის მასპინძელი
დაბეჭდვები	54	ჯილბერტ კით ჩესტერტონი ჯონ ბულნუს უცნაური დანაშაული
გამოსაზრება	60	იოსებ ჭუმბურიძე მოსალოდნელი მოულოდნელობა (ზურაბ ლავრელაშვილის პოეტური დებიუტი)
მოზაიკა	63	ქარი გიმღერის ნანასა

ორკვირული ყურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ატავისტური ნანგრევები ნანვიმარზე, სალვადორ დალი
ლალი ჩხეიძე, ლადო ჩაჩუას ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 22 იანვარს

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

ასი ლექსის წინამორბედი

გამომცემლობა „ინტელექტის“ გახმაურებული პროექტის წყალობით ძალზე პოპულარული და მოდურიც გახდა ასი ლექსის ხსენება.

ის, რაც გალაკტიონ ტაბიძის ფეიერვერკულმა გონებამ მოიფიქრა, რათა „არტიტული ყვავილების“ შემდეგ — ერთი აკვრით კიდევ ერთხელ დაედასტურებინა სხვა პოეტთათვის თავისი სრული უპირატესობა — და რეალობადაც აქცია ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე, გამოაგნებელი გამოძახილი ჰპოვა საზოგადოებაში და ცისფერყანწლებს კი საბოლოოდ მოუთავა ხელი. ამიტომაც იყო, პაოლო იაშვილი საგანგებოდ რომ გადათვლიდა ლექსებს და მთელ ქალაქსაც მოედებოდა, რათა ყველასათვის ეუწყებინა: არ არის ასი, ოთხმოცდათვრამეტიანო. იქნებ როგორმე შეენელებინა საერთო განწყობილება. თურმე რედაქციას — ტექნიკური შეცდომით — ოთხი ლექსი ისე გადაეხა, რომ ორად დაეგეჭდა და, გაგულისებულნი კაცი აღარ დაგიდევდა, სხვადასხვა პოეტური ნიმუშები ხელოვნურად რომ მიჰკვროდნენ ერთმანეთს.

ისე მართალია იდეა გალაკტიონიდან მომდინარეობს, მაგრამ კახმეგ კუდავას — ამ გამომცემლობის მესვეურსა და წარმატებული სერიების თაოსანს — შეეძლო, გამოწკიცისის სახით, გალაკტიონის სამასი ლექსი გამოეცა.

რაკილა სხვა მოვლენაა საერთო ფონზე, სხვაგვარადაც წარმოჩენილიყო მისი შეუდარებლობა.

ეს ისე, სხვათა შორის.

გალაკტიონის ფეიერვერკულმა გონებამ მოიფიქრა...

ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ეს მართლაც პირველი შემთხვევაა, თუმც მთლად პირველიც არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარეებში, რაკილა წლების წინათ — სახელდობრ, 1903 წელს — უკვე გამოცემულიყო ქართველი კაცის მიერ შედგენილი ამ ყაიდის კრებული — ანდრია დადიანის პარტიათა ასი კომბინაციური დაბოლოება — კიევში, ფრანგულ ენაზე, თუმც საჭადრაკო ენა საერთაშორისოა და ეს თვალისმომჭრელი, გაუხუნარი კომბინაციები ყველასთვისაა ხელმისაწვდომი დედამინის

ყოველ კუთხეში, და ქართული სინამდვილის ნაწილი ამ მხრივაცაა.

ანდრია დადიანის ლექსები ესაა.

მისი პოეტური შედეგები.

ნეორომანტიზმის კლასიკური ნიმუშები, თუკი ლიტერატურულ მიმდინარეობათა მიხედვით შევეცდებით მათი ადგილის მოძებნას ქართულ კულტურულ სივრცეში.

უცნაური სწორედ ის იქნებოდა, რომანტიკული სულით რომ არ იყოს გაჟღენთილი მისი თამაში.

ნიშანდობლივია, ეს ეფექტური დაბოლოებანი სხვადასხვა ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოებსა თუ სხვა ყაიდის საჭადრაკო გამოცემებში რომ მოხვედრილა, თუმც... ავტორის დაუსახელებლად. ხან კიდევ დაუსახელებიათ, განა არა, მაგრამ მკითხველს ბევრს არაფერს ეუბნებოდა ანდრია დადიანის გვარი, გარიყული, მიჩუმათებული.

ეს შემთხვევით არ მომხდარა — რუსეთის საჭადრაკო წრეების ამ უკეთურმა მცდელობამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ბრწყინვალე მოჭადრაკე და თვალსაჩინო ქველმოქმედი ისტორიის ბურუსში აღმოჩნდა. და ეს ის კაცი, ვისაც მსოფლიო საჭადრაკო ელიტა აფასებდა და მიმონერაც ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონებთან.

სხვათათვის რა მოგვეთხოვა, როდესაც ჩვენშიც დაგვეკარგა თვალსა და ხელშუა ეს კოლორიტული ფიგურა თავისი მღელვარე ბიოგრაფიითა და იმ ასი ლექსითაც, მარტოდენ საჭადრაკო ხელოვნებისა კი არა, თუ ჩაუუკვირდებით, სწორედაც პოეზიის კუთვნილებაც რომ არის.

თენგიზ გიორგაძის, ქართული ჭადრაკის ამ მემკვიდრის, უამრავ დამსახურებას შორის მეტად სამაძლო საქმეა რამდენიმე ათეული წლის წინათ გამოცემული წიგნი „თამაშობს ანდრია დადიანი“ — ბიოგრაფიასთან ერთად ერთმანეთზე უკეთეს საჭადრაკო პარტიათა ჩანაწერები, ახალი საუკუნის დამდეგს ამავე ავტორის კიდევ ერთი წიგნი რომ მოჰყვა — „რაინდული სულის მოჭადრაკე“, რომელშიც ამ სახელოვანი პიროვნების გარშემო შექმნილ სტატიათა ციკლის გვერდით სრულად დაიბეჭდა ის ასი კომბინაციური ფინალი, რომელიც იმ ფრანგული გამოცემის შემდეგ აღარსად განმეორებულიყო და ზუგდიდში დადიანების სასახლეში ინახებოდა მისი ეგზემპლარი — ისედაც მეტად მცირერიცხოვანი ტირაჟიდან: ძალზე ცოტაა 50 ცალი ასეთი რანგის გამოცემისათვის.

ამ წიგნებში მკითხველი არაერთ საგულისხმო დეტალს ამოიკითხავს როგორც ანდრია დადიანის ბიოგრაფიიდან, ისე მაშინდელი საჭადრაკო ცხოვრებიდან ევროპასა და რუსეთში, და ის მიზეზებიც გამორკვეულია, რამაც გამოიწვია ჩვენი მოჭადრაკის შერისხვა... თუმც არც უფრო ღრმა მიზეზია ძნელი ამოსაცნობი.



ანდრია დადიანი

ძალიან გაგეხარდება ადამიანს, როდესაც შეიტყობ, რომ ანდრია დადიანის ბიოგრაფიისა და საჭადრაკო პარტიების მოსაძიებლად კვლევა წარმატებით გრძელდება და ეს საშური საქმე ქართული საჭადრაკო კომპოზიციის აღიარებულ ხელოვანს დავით გურგენიძეს უდევს თავს, ჩვენი საჭადრაკო ცხოვრების კიდევ ერთ მემატიანედ რომ წარმოგვიდგება, ამ მათიანეს კი ძალიან სჭირდება ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟის შესაფერისი წარმოჩენაც.

აგერ უკვე მოძიებული ყოფილა ანდრია დადიანის არაერთი, დღემდე უცნობი პარტია, ამასთან, ახალი ცნობებიც მისი ქველმოქმედების თაობაზე.

თურმე უცხოელი საჭადრაკო ისტორიკოსებიც დაინტერესებულან ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებით.

ხელმეორე დაბეჭდვა ხელმეორე დაბეჭდვად, მაგრამ აუცილებელია ანდრია დადიანის მიერ გამოცემული ასი საჭადრაკო კომპინაციის ცალკე განმეორებაც — თითქმის ფოტოტიპური გამოცემა. „თითქმის“ იმიტომ, რომ ფრანგული ნოტაცია და მოკლე მინანურები ქართულით უნდა შეიცვალოს.

ფოტოტიპურ გამოცემას სახელწოდებაც, ცხადია, ავტორისავე შერჩეული წაენერება, მაგრამ თუ „ინტელექტიც“ მონიდომებს მის ჩართვას თავის პროექტში, სათაური შესაფერისად გადაკეთდება და „ას ლექსად“ მოინათლება.

სინამდვილეში როგორცაა, სწორედ ისე.

...ოდესმე თუ დავენერე მონოგრაფიული თხზულება ამ პიროვნებაზე, სახელწოდება უკვე შერჩეული მაქვს:

ანდრია დადიანის ასი ლექსი.

ისე მისი თავგადასავალი — ოჯახის დრამატული ამბების ფონზე — მაღლიანი მასალაა ბიოგრაფიული რომანისათვის, თუმცა... გავწვდები კი ამდენს?..

თუ ვერა, სათაური იმისათვის მიბოძებია, ვინც ანდრია დადიანს რომანის გმირად აქცევს.

არ არის, არა, დასაკარგი სახელწოდება.

და კიდევ ათი ლექსი

არ გამიკვირდება, ჯემალ ინჯიას მიერ შალვა თოთლაძესთან 1967 წლის 17 ოქტომბერს მოგებული პარტია საჭადრაკო სახელმძღვანელოებსა ან კომპინაციების ანთოლოგიაში თუ მოხვდება.

მართლაც ეფექტური სვლაა, შავი კუ ჩ3-ზე რომ გადმოდის და ერთდროულად შავების სამი ფიგურა დგება დარტყმის ქვეშ.

რომანტიკულ სტილში ნათამაშევი სვლაა.

მერე ლაზიერიც უნდა შეინიროს და თეთრი გვირგვინოსანი ეფექტურად დაშამათდეს.

აბა, რისი რომანტიკაა!..

ამ ლამაზ კომპინაციას მოიხმობდნენ თავიანთ ციკლში — ჭადრაკით მწერალთა გატაცების ეპიზოდებს რომ უყრიდა თავს — შოთა ინსკირველი და ლევან ბრეგაძე და კიდევ ერთი მიმზიდველი ფრაგმენტით დაამშვენებდნენ წამოწყებას, რომელსაც შესაფერისი გაგრძელება აღარ ენერა ბატონი შოთას გარდაცვალების გამო და ჩინებული

ჩანაფიქრისათვის კარიბჭის გადახსნად შემორჩებოდა ჩვენს სალიტერატურო თუ საჭადრაკო ცხოვრებას.

ასეა თუ ისე, ამგვარი გაელევა შთააგონებდა ჯემალ ინჯიას, შეერჩია თავის ნათამაშევე პარტიათაგან უკეთესი და პანია კრებულად გამოეცა — დამადასტურებელი მისი კომპინაციური ხედვისა და რომანტიკულ ყაიდაზე ბრძოლის.

პოეტი სხვაგვარ მანერას არც ამჯობინებდა არც ჭადრაკში და არც სპორტის სხვა სახეობაში.

ჭადრაკის სიყვარულს არაერთხელ ეჩინა თავი მის ლექსებსა თუ პიესებში და ამ თემის ვარიაციები ხან სად ამოჰყოფდა თავს და ხან სად.

ვთქვათ, „ყაიმი“:

**ნამგალის ძალაა თურმე მაგ კალამში,
სტრიქონებს გულდაგულ ცელავე.
შენ იმას ასწავლე ჭადრაკის თამაში,
იმან შენ — ლექსების წერა.**

ან „ჭადრაკის დაფასთან“:

**ცხოვრების ამბები არ მანევს ტვირთებად,
არ ვფიქრობ – ჭკუა სად რამდენად დაფასდა.
ეს მაშინ, როდესაც არავინ მჭირდება,
როდესაც მივჯდები ჭადრაკის დაფასთან.**

ანდა „დიდი მოჭადრაკე“:

**...ზოგჯერ ცხოვრება არის ჭადრაკი
შენიწვებით და ხიფათით საფსე.**

ან კიდევ „ომი და ცხოვრება“:

**...ლამაზად სიცოცხლე მომინდა,
თქვენც, ვიცი, ჩემსავით ეგზნებით, —
ჭადრაკი თუ არის ომი და
ცხოვრება თუ არის ლექსები.**

ან ესეც, უსათაურო:

**ვაი, მას, ვისაც ჭადრაკში უყვარს
სიცოცხლის არსი და ვერ თამაშობს.
მე ჩემი თავი გავფლანგე უხვად,
ეს სიყვარული ალბათ დამაშრობს.**

ან კიდევ ესეც „მცდარი სვლები“:

**ბევრი შეცდომა მქონდა ჭადრაკში,
ვიყავი სწრაფი, მაკლდა სიღინჯე.
მე რამდენჯერაც შამათს გადავრჩი.
გადავარჩინე სხვებიც იმდენჯერ.**

ანდა ანდრია დადიანისადმი მიძღვნილი:

**დავხეტილობ, როგორც გავროში
გულს შემომყარა დარდი ამურმა.**

ჭადრაკის გიჟებს მონტე-კარლოში
ემუსსრავ ანდრია დადიანურად...

მოულოდნელ მძაფრ განცდას შესაძლოა ასეთი ტაეპები ეთქმევიანებინა მისთვის: „...საიდან გამომეცხადე მოულოდნელი ქიშივით?“ — და ამგვარ სტრიქონთა ამონერა დაუსრულებლად შეიძლება მის პოეტურ ნიმუშთაგან. ის კი არა, ასეთ ექსპერიმენტსაც მიმართავდა — საჭადრაკო პარტიას გალექსავდა კოოპერ-ატიული შამათის თემაზე.

ევგენი ზაგორიანსკის საჭადრაკო მოთხრობების კრებულსაც — „დიდი თამაში“ — ეს განცდა ათარგმნინებდა და დიდოსტატ იური ავერბახის ნიგნსაც „ჭეშმარიტების ძიებაში“, მაგრამ მაინც გულს აკლდა, შესაფერისად რომ ვერ ამოეთქვა ჭადრაკის სიყვარული და აგერ მოწონების ის სტრიქონები აღმოჩნდებოდა შემავალიანებელი მისთვის, რათა ლექსთა კრებულებისათვის კიდევ ერთი პოეტური ნიგნაკი შეემატებინა — საჭადრაკო დიაგრამებსა და ნოტაციებში ამეტყველებული პოეზია.


ეს მცირე ნიგნი „ათი პარტია“ სწორედაც ლექსთა ციკლად წარმოგვიდგება, რომელმაც თავისი ადგილი უნდა დაიკავოს ჯემალ ინჯიას ერთტომეულსა თუ რჩეულშიც.

მოულოდნელ, ეფექტურ რითმებს მოულოდნელი, ეფექტური კომბინაციები გააგრძელებს, სტრიქონებით გამოთქმულ დრამატიზმს — თეთრი და შავი ფიგურების ორთაბრძოლის დრამატიზმი.

ანდრია დადიანის ას საჭადრაკო კომბინაციას — ქართველთათვის თავმოსაწონებელ ამ კიდევ ერთ ნიგნს — მოკრძალებით უდგას გვერდით ჯემალ ინჯიას ეს ათი პარტია.

მისი სახელი, როგორც რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯისა, მოხვდა თენგიზ გიორგაძის „ქართული ჭადრაკის მატინის“ პირველ ტომში.

ეს ძუნწი ცნობა გულისხმობს ჯემალ ინჯიას მთელ საჭადრაკო ბიოგრაფიას, რომელიც სრულიად ჩაკარგულია



მეფეთა თამაშის აურაცხელ ბატალიათა ქართული განშტოების ფონზე — ოსტატობის კანდიდატის ძალით ბრძოლა, ცხადია, ვერ შემორჩებოდა ქართული ჭადრაკის ისტორიას...

მაგრამ სპორტული მიღწევების გვერდით ხომ არსებობს უანგარო მსახურების მაგალითებიც, მსახურებისაც და ზოგჯერ იქნებ თავგამეტებისაც, რისი არამცთუ დაკარგვა, მიყრუებაც გაუმართლებელია, რაკილა ამ მიმდინარეობას ის მორალური სიმტკიცე მოეპოვება, სასიკეთოდ რომ მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალებზე.

ეს მიმდინარეობა გამოკვეთილია თენგიზ გიორგაძის მიერ შედგენილი მატინის მესამე ტომში.

კიდევ უფრო გაიშლება დავით გურგენიძის მიერ განზრახულ ნიგნში, რომლის თანაავტორადაც მიწვეული ლევან ბრეგაძე, ერთი ასეთი თავგამეტებული კაცი მეფეთა თამაშის პოპულარიზაციისათვის, საჭადრაკო ნოვლებისა და მინიატურების ავტორობითაც რომ დაამშვენა თავისი მრავალფეროვანი შემოქმედება.

მანამდე მოგვეპოვებოდა საჭადრაკო რომანი — გივი გამრეკელის „ჩემპიონები და პრეტენდენტები“.

მოგვეპოვებოდა არჩილ ებრაღობის მიერ თარგმნილი შტეფან ცვაიგის „საჭადრაკო ნოველა“.


ახლა ეს სათაური სულაც ციკლის სახელწოდებად გადაიქცა ლევან ბრეგაძის ხელში და გივი გამრეკელმაც შემატა ნიმუშები ამ ჟანრს.

დაე მომავალმა მემატინანემ ღირსებისამებრ მიაგოს პატივი მათაც და ჭადრაკის სხვა უანგარო მსახურთაც: მწერლებს — ტარიელ ჭანტურიასა და თამაზ ნივნივაძეს, მხატვრებს — თენგიზ მირზაშვილსა და კარლო ფაჩულიას... ცალკე მინდა მოვიხსენიო ვაჟა დადიანიძე, პოეტი, დრამატურგი და... საჭადრაკო პრობლემისტი, საჭადრაკო ჟურნალ „შამათსაც“ რომ რედაქტორობდა — ჯემალ ინჯიას განუყრელი მეგობარი და შეურიგებელი მეტოქე 64-უჯრიან დაფასთან („თუ არ მოხვალ აივანზე, ვაი, რა მზე მოცდება! ალვის ხეა მარტო ერთი და რტოების ჩარდახი. ალვალინოთ ლოცვებად ჩვენი ჩუმი ოცნება უმძლავრესი ხმაურზე, მერე დაფას ჩავუსხდეთ და ვიმღეროთ ჭადრაკი“).

...ისე რაკილა ყველაზე აბნეულად ლექსისა და ჭადრაკის ოსტატებს სძინავთ — კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა ვერწმუნოთ პაოლო იაშვილის ამ აფორისტულ სტრიქონებს?! — პოეტი მოჭადრაკეები ამ მხრივ მართლაც ორმაგად აბნეული ძილისათვის არიან განწირულნი.

ვერ არის სანუგეშო ხვედრი, მაგრამ თვითონვე გამოჭედეს თავიანთთვის ამგვარი ბედი, და რაკილა გამოჭედეს, არც ნალვლობენ.

აბა, რისი უანგარობა მსახურება და თავგამეტებაა!..



28 დეკემბერს, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები ტრადიციულად სიონის ტაძარში შეიკრიბნენ და 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ თაოსანს, ალექსანდრე ორბელიანს, კიდევ ერთხელ გადაუხადეს პანაშვიდი, რომელიც ალაველინეს: სიონის ტაძრის დეკანოზებმა: მამა შალვამ (კეკელია), მამა გიორგიმ (სანამასვილმა) და სტიქაროსანმა გურამ ყუყუაშვილმა.

პანაშვიდს ესწრებოდნენ: როსტომ ჩხეიძე, მაკა ჯაფარიძე, პაატა ჩხეიძე, ნინო ვახანია, ზვიად კვარაცხელია, მაია კუდავა, ხათუნა ამაღლობელი, სალომე კაპანაძე, თამთა, თამარ და გიორგი ყალიჩავეტი, ივანე ამირხანაშვილი, ლადო ჩაჩუა, ლევან კიკნაძე, ეკა ბუჯიაშვილი. აგრეთვე პატარა გიორგი კეკელია.

ნინო სადღობელაშვილი

პოეტი, რომელიც ბავშვებმა შეიყვარეს

□

მაყვალა მრეველიშვილის საიუბილეოდ

მაყვალა მრეველიშვილი ჩემი ბავშვობაა.

მაყვალა მრეველიშვილი დედაჩემის ბავშვობაცაა და, ამ ფიქრს ცოტა უფრო შორს რომ გაყვე, ვინ იცის, სულაც ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი დღესასწაულის კარამდეც მიგიყვანოს.

ამ დღესასწაულს ბავშვობა ჰქვია.

მაყვალა მრეველიშვილი კი ის პოეტია, რომელმაც, ჩვეულებრივად, “დიდივით” იცხოვრა, მაგრამ ამ დღესასწაულს ნამით არ განშორებია.

რამდენი დრო უნდა გავიდეს, ან ისეთი რა უნდა მოხდეს, აი ამ სტრიქონების პირველი ბავშვური შთაბეჭდილება რომ გაახუნოს: “შენ გიგალობ პატარავ, დილა მშვიდობისა...”

27 თებერვალს მაყვალა მრეველიშვილი 100 წლის გახდა.

ერთ ჩანანერში “ჩემი ასაკი” პოეტს თვითონ ჩაუწერია: “ოჰ, რა ბევრია ორმოცი წელი და რა მცირეა სამოცდაათი...”

100 წელიც ძალიან მცირეა, სულაც ერთი წუთის ფასი, მიუთმეტეს ისეთ სამყაროში, სადაც დრო თავზეხელაღებული მიექანება. ხანდახან თუ მოვკრავთ თვალს ერთმანეთის აჩრდილებს, რაღაც მთავარი და ძვირფასი გაგვახსენდება, ნამით ამ ხსოვნას გავუყუჩდებით და, ეგ არის და ეგ.

მეტი არც თვითონ უთხოვია პოეტს, რომელსაც, სახელის გამო, აუცილებლად მაყვალავით შავი თვალები უნდა ჰქონოდა და, რომელიც ქალური საქმეებით გართულ-დაქანცული, კაბის ჯიბებში ინახავდა მზიან ლექსებს.

მაყვალა მრეველიშვილი მხატვრის ოჯახში დაიბადა 1909 წლის 27 თებერვალს. მისი მამა – ალექსანდრე მრეველიშვილი, ცნობილი მხატვარი იყო, დედა კი – პელო ავალიშვილი, უფაქიზე-სი სულის ადამიანი, ხელსაქმის დიდი ოსტატი და სულის სიღრმით თვითონაც ხელოვანი, “ჩუხჩუხის კიტელ-შარვლიდან მთლად ნაქარგ კაბებამდე, მხარჩანთებამდე მქსოველი, პირ-ბალიშთა ამოქარგველი, თან მხნეობით უბადლო...” (მაყვალა მრეველიშვილის ჩანანერებიდან). ამ ქალის ნაქარგი სუფრები მაშინდელ დიდებულ ოჯახებში რელიკვიად ინახებოდა და მათ დასათვალისწინებლად საგანგებოდაც სტუმრობდნენ ხოლმე უცხოელები ამ ოჯახებს.

საერთოდაც, ნივთები მრეველიშვილების ოჯახში – ეს ის უცნაური მადანი იყო, რომლებსგანაც სათითაოდ მომავალში ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი ლექსები გამოდნა.

აი, მაგალითად: ერთი პირსახოცი ჰქონიათ. ცალ ბოლოზე ზამბახები იყო აბრეშუმის სითვით ამოქარგული, მეორეზე კი “დილამშვიდობისა” ეწერა. პირსახოცი მამას დახატული იყო,



დედას კი ეს ნახატი ამოქარგა. ახლა წარმოდგინეთ ყოველი დილა, როცა ბავშვები მასზე პირს შეინმენდნენ. ჯერ ზამბახები შეიშრობდნენ მათი რბილი და ფაფუკი სახეების ნამს, მერე კი, უკვე გამშრალბულზე, მხიარულად მიესალმებოდა წარწერაც... და ასე გრძელდებოდა მთელი ბავშვობა. ხოლო მოგვიანებით, ბევრი წლის მერე, პირსახოცის მოგონება ყველასთვის საყვარელ ლექსად იქცა. “დილამშვიდობისა” – ასე ქვია ბავშვის პირსახის ნამიან ლექსს.

ან, ხელისგულზე შემწვარ ეროკვერცხს რომ უძღვნის შვილი დედას, ეს ლექსიც ხომ გახსოვთ? მასაც თავისი ისტორია აქვს, ოღონდ შებრუნებული – მართლა შეუწვავს უნებურად პელო დედას, როცა ცხელ თონეში ჩაკრულ ნაზუ-

ქებს კვერცხს უსვამდა თურმე. გახურებული თონიდან ხელი რომ ამოსწია, ხელის კიდზე, ნეკის ზურგზე ჩაყოლებით ეროკვერცხი შემწვარიყო...

ყველაფერი მაყვალა მრეველიშვილის გარშემო, ყველა ნივთი, არსება, საგანი, რამაც ერთხელ მაინც თავისკენ გაახედა, რამაც ნამით მაინც ჩააფიქრა ან სულაც თავი შეაყვარა – ლექსებად იქცა. ოღონდ მისმა შვილებმა არასდროს იცოდნენ, როდის წერდა დედა.

ალდე კაკაბაძე (მაყვალა მრეველიშვილის ქალიშვილი, მხატვარ-კერამიკოსი): “ჩვენს სახლში ყოველთვის ბევრი სტუმარი იკრიბებოდა. ლადო გუდიაშვილს, ირაკლი აბაშიძეს ძალიან უყვარდათ ჩვენთან სტუმრობა. დედა საოცარი მეოჯახე იყო, ისეთ ხაჭაპურებს აცხობდა, ბევრი მათ გასასინჯად მოდიოდა ხოლმე. სულ საქმიანობდა, სულ ქვაბებს ჩასცქეროდა, ერთმანეთზე გემრიელ კერძებს და სალათებს ამზადებდა. მაგრამ ხანდახან ამ ფუსფუსში რაღაცაზე გაიღიმებდა ხოლმე თვალებით, ნავილოდა ფიქრში სადღაც და მაშინ ვგრძნობდი, რომ რამე ან ჩაიფიქრა სალექსოდ, ან უკვე ფიქრშივე დაწერა... არ უყვარდა, თუ შევეკითხებოდი – რატომ იღიმები-მეთქი... გამიბრაზდებოდა ხოლმე, არ მიპასუხებდა. ლამაზობით წერდა, როცა ყველას გვეძინა. წერდა და ძალიან ბევრს ეწეოდა. და ესეც, რომ ეწეოდა, ისევე გვიან გავიგეთ ჩვენ, ბავშვებმა, როგორც ის, რომ – წერდა...”

ლექსებს რომ ჩახედო, იფიქრებ, ამის დაწერს დედამინაზე ფეხიც არ დაუდგამს, ნიავეით მსუბუქად დადისო. ასეთი პოეტური ოსტატობის მიღწევა მხოლოდ დიდი ნიჭის და შრომის შედეგად შეიძლება. თუმცა ამ ლექსების ავტორი, ბავშვების ენაზე რომ ვთქვათ, “დილობაში” სულაც არ დანიავქარობდა. პირიქით, მტკიცედ დააბიჯებდა, მეოჯახეობდა, თხილამურებითაც უბადლოდ სრიალებდა, ცხენსაც სწორუპოვრად აჭე-

დაუპინყარი სასელაბი

ნება, მთა-ბარც ძირფესვიანად მოიარა ქალიშვილობაშიც და მერეც, უკვე ქმარ-შვილიანმა. ეძიებდა ქართული ფოლკლორის მარგალიტებს, და მერე ამ ცოდნას და გამოცდილებას საკუთარ შემოქმედებაში ახალ მარგალიტებად ბადებდა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას ვახტანგ კოტეტიშვილს ახლდა ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციაში. ვახტანგი კი თავისი ოჯახით იყო წასული და, მაყვალა მრეველიშვილი მთელი ცხოვრება იხსენებდა თურმე დაუფინყარ სურათს: კოტეტიანთ ორი ბავშვი – ლეილა და მანანა, სულ პატარები, თან რომ წაეყვანათ მშობლებს მთებში, ხურჯინში ჩავსვით ორივე მხარეს, ხურჯინი კი ცხენზე გადაეკიდათ და იქიდან თავამოყოფილ ამ პატარა გოგოებს მთელი გზა ასე მიაკონინალებდა თურმე ცხენი...

აღდე კაკაბაძე: “ჩემ დიდ ბებიას, მამაჩემის დედას, თავიდან დიდად არ მოსდიოდა თვალში ესეთი გიჟი-გადარეული რძალი, აღმა-დაღმა რომ დამოგზაურობდა, ცხენოსნობდა, მძლეოსნობდა და ათასი რამ... თან, უცნაური ქალი იყო ბები-აჩემი – აი ასეთი მახსოვს: იჯდა ხოლმე პირქუშად და იმხელა როდინი ედო წინ, იმხელა ქვასანაყით ნაყავდა შიგ რამეს, რომ შეგეშინებოდა... მაგრამ ძალიან ტკბილი იყო, მისი გაზრდილები ვართ მეც და ჩემი დაც.”

ტყუპები გაჩნდნენ: აღდე და ქეთევანი. ყველა ლექსი ალბათ მათ ეძღვნებოდა, ყველა ფრაზის ფარული ადრესატები ალბათ შვილები იყვნენ, თუმცა არც ერთხელ არ დაუძალგებია მათთვის ნაკითხვა. არ ერეოდა მათ ცხოვრებაში, არ დაუბეგ-მავს მათი მომავალი. ბაბუანვერასავით – ორივეს სულს ალბათ თავისი სული შეუბერა და გაუშვა სამყაროში.

აღდე კაკაბაძე: “დედას ნამდვილი ქართლური ხასიათი ჰქონდა. მოყვება არ უყვარდა. მისი კოცნა მენატრებოდა კიდევ. არც დიდად რამეზე შეგვაქებდა. სწრაფად დამინწავდა ხოლმე ნანწავებს, სიჩქარეში ეს ნანწავები მეგრისებოდა და სარკესთან რომ დავდგებოდი, მაინც მეტყუოდა: რას უდგებარ, ვერ ხედავ – ლამაზი ხარო! ერთი მეგობარი მყავდა – ცისანა გოგიჩაიშვილი. იმასთან რომ მივიდოდი, სულ იმის მშურდა – იჯდა დედამისი და ერთი საათი ექვსფრთიან ნანწავს უწნავდა შვლს. მაშინ ცისანაზე ლამაზი არავინ მეგონა... არც ვინმეს ან რამეს სათავისოდ, თუნდაც სასიკეთოდ გამოყენება უყვარ-

და. ერთხელ რაღაც სპექტაკლისთვის ბილეთები მინდოდა და ვიცოდი, მწერალთა კავშირიდან შეიძლებოდა მათი შოვნა. ვთხოვე, დარეკე, ორ ბილეთს შენ ვინ დაგიკავებს-მეთქი. მომიბრუნდა და მითხრა: იცი რა? თუ გინდა, შენ თვითონ დარეკეო. მივხვდი, რომ აზრი არ ჰქონდა. ასეთი იყო.”

ასეთი იყო. ვარაზის ხევში საყვარელი ყვავილი ჰქონდა ამოჩემებული – თეთრი ია. ჩვილის გულისპირს აგონებდა, დედები ჭამის დროს რომ გაუკეთებენ ხოლმე, რომ არ დაისვა-რონ... სახლში ერთი-ორი ფუტკარი მიიჩვია და ლამის მოიშინაურა, უხაროდა, რომ მათ წინაშე შიში დაძლია და, ერთმანეთს გაუგეს... ალბათ სხვა სულიერი არსებების ენაც ესმოდა, რადგან მათზე ასე უტყუარად წერდა... ბავშვი ყველაზე წრფელი ვინმეა, მას ვერ მოატყუებ. მაყვალა მრეველიშვილის პოეზია კი რამდენმა ბავშვმა საკუთარი გულით გამოსცადა ამ სამყაროში! ასეთი იყო – უვლიდა ყვავილებს, ხატავდა, აკეთებდა შლაპებს, დადიოდა ბაზარში, ერთხელ ქურდმა საფულე წაართვა და იმდენხანს სდია, სანამ იმ ქურდმა ხელები არ აღაპყრო და გაოცებით აღიარა: დღემდე ჩემი დამწვევი კაცი არ მეგონა. გაიმარჯვეთ, ალალი იყოს თქვენზეო, და უკან დაუბრუნა ის საფულე. მერე აქეთ ეხვეწებოდა მაყვალა მრეველიშვილი – ცოტა ფული მაინც წაიღეო, მაგრამ ქურდს აღარ გამოურთმევია.. ცხოვრობდა მთანინდასთან ახლოს, მზე პირდაპირ მისი ფანჯრების წინ ამოდიოდა. ხანდახან, როცა დღესასწაულებზე ცაში სალუტებს უშვებდნენ, ზოგიერთი სიმალღედაკარგული ფეიერვერკი პანია ტრაექტორიას მოხაზავდა და უმწეო ქმუილით ჩაეშვებოდა ძირს... მერე კი პოეტი წერდა, რომ ეს ფეიერვერკები შემოქმედის პოტენციას, მის შინაგან ენერჯიას აგონებდა. ზოგი გრილით და ფრთაგაშლით კამკაშებს ცაზე, ზოგი კი ისე უკვლოდ ჩაინავლება, თვალსაც ვერ მოკრავ... არადა, ფეიერვერკებისთვის კი ჩაიფიქრეს.

ცაზე, სადაც, სამყაროს წესით, დღესასწაულების ადგილია, ყოველთვის ახალ-ახალი ფეიერვერკები ბრჭყვიალებს ხოლმე. ნამდვილი ვარსკვლავები კი ცაშივე რჩება. მთავარია, ადამიანებმა ხანდახან აიხედონ იქ. ბავშვებს კი ისედაც ვერაფერს მოატყუებ, რამდენი დროც უნდა გავიდეს. მაყვალა მრეველიშვილი 100 წლისაა.

ქაქსარას-ინტერვიუ

ნატა ვარადა

სიყვარულის სახელით ნებისმიერ ბოროტებას ვკავთიოზ

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?
- უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა სასონარკვეთილებაში ჩავარდნაა. ანუ როცა აღმოაჩენ, რომ ძალა აღარ გყოფნის მწუხარების და უსამართლო ჩაგვრის ატანისა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- სასუფეველში, მოხუც და კეთილ ანგელოზებთან.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- ბედნიერებაა როცა ღამით მარტო არ გძინავს.

- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ვფიქრობ ეს ბენჯამენია ფოლკნერის. კიდევ ანაბელ ლი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- დავით აღმაშენებელი, მამა ანდრია.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ამაღეო, ქრისტიანე რობაქიძე.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ქართული საგალობლების დამწერი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— სიკეთეს, შემწყნარებლობას. მამაკაცში სიკეთის მნიშვნელობა არ არის — ათი ათასი ვარსკვლავის მანძილამდე ჩამოვიშორებ. ბოლომდე გატენილ ტიკინებს უბრალოდ დავცივინი და ეგაა.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მორჩილებას, სიკეთეს და სინამდის.

— რომელი ადამიანური სათნოებია თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სათნოება? მომხიბლავია, როცა ძლიერი სუსტს ხელს უწვდის.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ფიქრი. შემოძლია მთელი დღე ვიფიქრო. კიდევ სახლიდან უსარგებლო ნივთების გადაყრა მიყვარს. აი, წლების განმავლობაში ვაგროვებ, ვაგროვებ, ფურცლის მონახევსაც არ გადავავადებ და ერთ დღესაც, ერთი ხელის მოსმით სანაგვეში გადავაპირქვავებ.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— პაპაჩემი. შვილი თუ მეყოლებოდა, ის აუცილებლად დიდი პაპის მსგავსი იქნებოდა.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიფიცხე, ლმობიერება. ადვილად ვპატიობ ადამიანს, მაგრამ აფექტში იმდენად შეურაცხადი ვარ, მერე აქეთ მირიგდებიან.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— მეგობრებს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენის ვარ. ეს დიდი ნაკლია.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ხანგრძლივი სექსის შემდეგ აბაზანაში რომ წვები და სურნელოვან ქაფში ტივტივებ.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— უბედურებაა როცა ღვთის მადლს კარგავ.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მდიდარი. კარგ ქმარს ვიყიდდი და ვაიძულებდი ბავშვები ეკეთებინა.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი და ღია ფერები. ცისფერი, მწვანე.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— პიონი. ჩემი ბავშვობის ეზოს ყვავილებია და კიდევ, თავისუფლად ყვითელი ყვავილები.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არ ვიცი რა ქვია მაგ ჩიტს. დიდი თოვლი როცა მოდიოდა ხოლმე სოფელში, მთიდან ჩამოდიოდნენ და ხურმის ხეზე ჯდებოდნენ. მამა მთის ჩიტებს ეძახდა. დიდ ბელურებს ჰგავდნენ და ძალიან მსხვილი, მოკაუჭებული ნისკარტები ჰქონდათ. სულ აბუზულები იხდნენ ხოლმე. არასოდეს არ უჭიკჭიკიათ. რაღაცა დარდით დამუნჯებულებს. იძულებით გადაადგილებულ ჩიტებს ჰგავდნენ. მიყვარდნენ უცნაურად.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— პავიჩი, გურამ მეგრელიშვილი, დოსტოვესკი — ამოუნურავად ღრმა და მისტიფიკატორი. თუ მაინცდამაინც ჩემსას დავასახელებდი, მარკესსაც არა უჭირს რა. არა? მიხეილ ჯავახიშვილი და ლევან გოთუა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ეს არის ხარანაული. და ძველი ალექსის წინასწარმეტყველები. აი, იერემიას წიგნი სულ ვერლიბრია.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ლიტერატურული გმირი? რავიცი დავიღალე. მეზარება. ნესი. ერო. ფალესტრა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— მაკი, ანასტასია და მამაჩემი. კიდევ ვინ? დედა მაკრინე, ბერი ლაზარეა და კიდევ ძალიან საყვარელი ადამიანი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან ნამებულია ჩემთვის გმირი.

— საყვარელი სახელები?

— ლაზარე და ლიზი.

— რას ვერ იტან ყველაზე მეტად?

— რუტინას. 10-დან 6-მდე.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დამისახურა?

— მოლაღატე ქართველები და თემურ-ლენგი მძულს. კოჭლაუხა ეგა. თავებისგან კოშკის აღმართვა თავში როგორ უნდა დაგებადოს?! მანიაკი. დრაკულას დიდი პაპა ეგ.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?!

— ვერ ვხვდები რა ვუპასუხო, მაგრამ აი, ვიეტნამში რომ ვიეტნამელები რომ მოზბდნენ, უსასტიკესად და თავგანწირულად, ეგ არის რაღაცნაირად შემზარავი და თან მეტ-ნაკლებად ალტაცებასაც იწვევს.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმადლეს შეფასებას აძლევთ?

— რეფორმა არაა ბატონ-ყმობა რომ გადავარდა? მაგრამ მაშინ რომანოვები რომ გაჟლიტეს არ იყო კაი საქმე. თან რევოლუციების მომხრე არ ვარ.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— სიყვარულის. სულ მინდა რომ მიყვარდეს და არ მომდის. სიყვარულში ჩემნაირი უნიჭო მეორე არ მეგულება დედამინის ზურგზე.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— ყველასათვის უცხო.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— დანყნარებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— სიყვარულის სახელით ნებისმიერ ბოროტებას ვპატიობ.

— თქვენი დევიზი?

— გიყვარდეს მტერი შენი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— არაფრის თქმა არ არის საჭირო, უკვე გვიანია.



ქეთევან შენგელია

კანდა

იმ დღეს დედას დეიდაშვილთან-ლალისთან მივედი; გადასარევი ქალია. საკუთარი დეიდისგან არ ვანსხვავებ. საღამოს სუფრა უნდა გაეშალათ და თითქმის მთელი ნათესაობა მასთან ვიკრიბებოდით. ბინა თავისებურად არის დაპროექტებული: ერთი ოთახი ძალიან მოწყვეტილია სხვა დანარჩენებისაგან; სწორედ ამ ოთახის კარია მუდამ მიხურული და ლალის მეუღლეა, საკუთარი ნებით, შიგ გამოკეტილი. ასე იყო მაშინაც... ლალი მაღალი, შავგვრემანი ქალია. ასაკი ძალიან დაეტყო, მაგრამ თავისი ხიბლი არ დაუკარგავს; ის მაღალქუსლიანი ქოშებით, ტანზე მომდგარი, გრძელი, ნაქსოვი კაბით ტრიალებდა ოთახში. ძალიან უხდებოდა ამგვარი ჩაცმულობა. მისი ორივე ვაჟი საქმიანად დარბოდა და ნაწილ-ნაწილ ამოჰქონდათ მაღაზიიდან ბორჯომი და ლიმონათები.

სამზარეულოში ლალის და — ეკა ტრიალებდა. გამოიხედა და ლიმილით წამოვიდა ჩემკენ. ყურადღებას იქცევდა მისი გრძელი, საგანგებოდ მოვლილი, წითლად შეღებილი ფრჩხილები. ეკას აქვს ხშირი, ხვეული, მონითალო-მოყავისფრო თმა, ძალიან სიმპათიური სახე, კარგი თანამდებობა და ცუდი ფეხები.

მოგვიანებით დედა და დეიდაც მოვიდნენ. „დამხმარე რაზმი სამზარეულოსთვის“ — გავიფიქრე მე. დედაჩემი, როგორც ყოველთვის, საგანგებოდ იყო გამოწყობილი. დიდი, მწვანე თვალელები სიხარულისგან უბრწყინავდა. მის ლამაზ, თეთრ სახეს, რომელსაც, როგორც ამბობენ, ასაკი არაფრით არ დაეტყო, შვენიდა ზურმუხტისთვლიანი საყურეები. დედას ძალიან კარგი გემოვნება აქვს. უყვარს წვეულებები. მისი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ისე იყო მოვლილი, მაღაზიის დახლიდან ორი წუთის წინათ გადმოღებული გეგონებოდათ; თმაზე ეტყობოდა, რომ დღევანდელი დღისთვის საგანგებოდ წასულიყო სალონში, თუმცა დედაჩემის ქერა თმას ყოველთვის ეტყობა ეგ. დეიდა მედიკოს უფრო სადად აცვია ხოლმე, ოღონდ დიდი და ძვირფასი სამკაულები მოსწონს. დედაზე უფროსია და ცოტა მსუქანია. უზარმაზარი ბეჭდების და საყურეების გარეშე არასოდეს მინახავს; ასე მგონია ამ სამკაულებით დაიბადა. ამათ რომ ვაკვირდებოდი, ჩემი თავისა შემრცხვა. რა ბეჭედი, რის ბეჭედი?! მოვედი ჯინსით და შავი პულოვერით. რადგან შარვალი მიხდებოდა, ყველგან ჯინსით დავდიოდი. ხელზე თვლებიანი სამაჯურის ნაცვლად, დაჭრილი ტყავებისგან გაკეთებული, როგორც დეიდაჩემი მედიკოს იტყოდა, „მაიმუნობა“ მეკეთა. ჩემი ცისფერი თვალების „საპატივცემულოდ“, ტყავები ცისფერი, პრიალა თოკებით იყო ერთმანეთზე გადაბმული. დედაჩემის მცდელობის მიუხედავად, თმა ერთი სარჭით ზევით მქონდა აწეული. მთელ ჩემს მორთულობას ლამაზი ჩანთა შეადგენდა, რომელიც, რასაკვირველია, ხელში არ მეჭირა და შემოსასვლელში, კართან, საკიდზე იყო ჩამოკიდებული.

— ხედავ, მედო?! როგორ არის ჩემი შვილი მობრძანებული? — მიუბრუნდა დედა თავის დას.

— გენაცვალოს დეიდა, ჩემო დახატულო, რატომ უხეტქავ ჩემს დას გულს. რა გენალვლება, როცა ნათესავებთან მოდიხარ, მაშინ მაინც ჩაიცვი დედაშენის ნაყიდი ლამაზი კაბები?! — მითხრა დეიდამ და გულში ჩამიკრა.

— თეა, ნამცხვარს დაჭრი? — გამოსძახა დედას ლალიმ.

ქალები სამზარეულოში შევიდნენ და „პოლიტიკური მიმოხილვა“ გააჩაღეს. აივანზე გავედი. ბაძაშვილებს ველოდებოდი, მაგრამ ჯერ არ ჩანდნენ. მომწყინდა, ოთახში შევბრუნდი და კორიდორს გავყევი. კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს ვათვალიერებდი. ზოგ ნახატს ჩარჩო სჯობდა, არ მიყვარს, როცა ასეა. გარშემო ყველაფერს სიმდიდრის კვალი ეტყობოდა, მიუხედავად ამისა, რაც იშვიათად ხდება ხოლმე, ავეჯი და გადასაფარებლები, ფარდები, ლალის გემოვნებით ჰქონდა შერჩეული. ბოლო ოთახის კარი გაიღო და იქიდან ლალის ქმარი გამოვიდა. ის ძალიან მაღალი, საშინლად შეუხედავი, მაგრამ გონიერი კაცია. კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს, უყვარს მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა; მაგრამ რატომღაც ჩაკეტილი და მარტოსული ადამიანია, ზოგჯერ უსიამოვნო აურაც ახლავს, ოღონდ არ ვიცი, რატომ.

— ოჰ, გამარჯობა ხატია, დიდი ხანია მოხვედი?! — მკითხა კიომ.

— იქნება ასე ორი საათი! — ვუპასუხე მე.

— როგორ ხარ, შემოდი! — მითხრა და თავისი ოთახის კარი უფრო ფართოდ გააღო.

პატარები რომ იყვნენ ჩემი უფროსი ბიძაშვილები, ის ფოკუსებს უჩვენებდა ბავშვებს, ამიტომაც შეარქვეს მეტ-სახელი. ნათესაობაში აღარავის უკვირს მისი ამგვარად მოხსენიება. ზოგჯერ მეგობრებიც ასე მიმართავენ. მხოლოდ უცხო ხალხი ეძახის ნამდვილ სახელს.

ოთახში შევედი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხვა სამყაროში გადავსახლდი და ეს ოთახი ამ სახლს არ ეკუთვნოდა. არაფერს ეტყობოდა არც სიმდიდრის კვალი და არც ლალის ხელი. ფანჯარასთან იდგა ერთი უზარმაზარი ტახტი, ტახტის წინ — პატარა მაგიდა. კედლები ნიგუნების თაროებით იყო დაფარული. მაგიდაზე ბროლის მოზრდილი საფერფლე იდო, ზედ ჩაფერფლილი სიგარეტით, რაფაზე — პატარა აკვარიუმი. ფანჯარა ისე იყო გაკრიალებული, ვერც მიხვდებოდი, ჰქონდა თუ არა მინა. მე ტახტზე ჩამოვჯექი. ფეხი ფეხზე გადავიდე და სპორტულ ჟურნალს წავავლე ხელი.

— იცი, ეს ვინ არის? — მკითხა კიომ და ჟურნალის ფერად ყდას დაადო თითი.

სურათს დავხედე.

— არ ვიცი, — ვთქვი მე.

— ეს ნიკი ლაუდაა, ოღონდ აქ ბოლოდროინდელი ფოტოა, ეს კი მისი ფერარია. ხომ გაგიგია ეს სპორტსმენი? — მკითხა ლიმილით.



— კი, როგორ არა, მე მომწონს ავტორალი...
 — ესე იგი, შენ ფორმულა-1 მოგწონს — ტაქტიანად გამისწორა — აბა, მოდი, რას გაჩვენებ?! — მითხრა და სხვა ჟურნალი გადმოიღო — შეხედე, აი, თანამედროვე მოდელები...
 — შენ რომელი პილოტი მოგწონს? — შევანწყვეტინე საუბარი.
 — ყველაზე მაგარი შუმახერია. თუმცა წელს თავიც დაანება სპორტს და ერთმა ესპანელმაც მოუგო, — მითხრა მშვიდად.
 — ალონსომ არა? — დავუდასტურე მე.
 — კი ბატონო, აი, მისი “რენო”, — თითი დაადო ფოტოს და შემომხედა.
 — შუმახერმა სულ რამდენჯერ გაიმარჯვა? — ვკითხე მე.
 — შვიდჯერ — მიპასუხა მან.
 — აქ რომ შვიდჯერ გაიმარჯვებ, მაგარი ხარ, აბა, რა? — დავაფასე სპორტსმენი.
 — ყოველთვის “ფერარის” მართავდა, ხო? — დავინტერესდი ისევ.
 — არა. თავიდან „ბენტონის“ აწყობილ მოდელებში იჯდა. სად არ აქვს მოგებული გრან პრი: უნგრეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, მონაკოში, სან-მარინოში... ხომ იცი, შეჯიბრისთვის უკვე ჩვიდმეტი ეტაპია დაწესებული, — საუბრობდა და თან ჟურნალს ფურცლავდა.
 — ვიცი, როგორ არა, გაუზრდიათ რაოდენობა. რა კარგია სისწრაფე, — ვთქვი და ოცნებაში წავიდი.
 — ხატია, შენი მანქანა სად არის? — მკითხა რატომღაც.
 — დავამტვრიე, გასაკეთებელია! — ვთქვი და გამელი-მა.
 — რა გაცინებს? — გაელიმა თვითონაც და სიგარეტი გააბოლა.
 — არაფერი. ველოდები როდის გამიკეთებენ, — ვუპასუხე მაშინვე.
 — აი, კონსტრუქტორების ინტერვიუებიც მოგიძებნე. საინტერესოა, მოგეწონება, — მითხრა და ფანჯარა გამო-ალო, — ბოლი ხომ არ განუხებს? — მომიბრუნდა ისევ.
 — მე “მაკლარენი” მომწონს. შენ? — შევანწყვეტინე სა-უბარი.
 — “მაკლარენით” ჰაკინენი გამოდიოდა — ოლონდ, არ ვიცი მაგ მასალას ვიპოვნით თუ ვერა, — თქვა და ახლა თაროზე შემოწყობილ ჟურნალებს დასწვდა.
 კიოსთან საუბარი ძალიან მართობდა. მშვიდი და აუ-ღელვებელი კაცი იყო. ასეთი სიმშვიდე ცხოვრებაში დიდი ხნის წინათ ხელჩაქნულ ადამიანებს ახასიათებთ. სწორედ ისინი უთმობენ ამდენ დროს დაუნანებლად სხვებს.
 კიოს შეეძლო თავის საქმეში წარმატებული კაცი ყო-ფილიყო, თუნდაც მეცნიერი (ყოველ შემთხვევაში, ლალი ასე ამბობდა და ამის გამო ხშირად ბრაზობდა), მაგრამ თვითონ დიდად არ წუხდა, ან, ეტყობა, ერთხელ ისე შე-წუხდა, რომ იმის შემდეგ “შესაშური” ინდიფერენტულო-ბით ეკიდებოდა ამგვარ წარმატებებს; არც სხვებს დასცი-ნოდა, როგორც ასეთ დროს ხელმოცარულმა ადამიანებმა იციან ხოლმე; იყო თავისთვის და, კაცმა არ იცის, გულში რა ედო. ამბობენ, მისი გამოგონება სხვამ მიითვისა, იმ

სხვას, სხვა დანარჩენებმა მხარი დაუჭირეს და ძალიან გა-ამწარესო, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ახლა ის გამწარებუ-ლის გარდა ყველაფერს ჰგავდა... ესე იგი, შეიძლება ვერც გაამწარეს.
 — აი, გიპოვნე! — ფიქრი გამანწყვეტინა კიომ და გა-დაშლილი ჟურნალი წინ დამიდო.
 მერე ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით სხვა ამბებზეც.
 — თევზები გიყვარს? — ვკითხე მისთვის მოულოდნე-ლად.
 — არა, მაგრამ ვუვლი. ჩემმა შვილებმა იყიდეს ცოტა უფრო პატარები რომ იყვნენ, მერე მოსწყინდათ და მე შე-მოვიტანე აკვარიუმი ჩემს ოთახში. წყალს ვუცვლი, მაგ-რამ მაინც დაიხოცნენ, ეს სამი ძლივს გადავარჩინე, — გა-იხედა თევზებისკენ, — თუ გინდა სახელები დავარქვათ, — გააგრძელა ისევ.
 მე გამიკვირდა და არ შევიძინე.
 — რა ვიცი... რა სახელები? — ცოტა დავიბენი.
 — აი, თუნდაც ფორმულა-1-ის პილოტების, — დაადო ჟურნალს ხელი.
 — კარგი. ერთი ნიკი იყოს, მეორე — ხუან პაბლო მონ-ტოია, — გავიშვირე თითი თევზებისკენ.
 — მესამე — ტაკუმა სატო, — დაასრულა ლიმილით.
 კიო ყოველთვის გამორჩეულად მითმობდა დროს. რო-ცა მათთან ვიყავით, ხან რაზე მელაპარაკებოდა და ხან რაზე... აინტერესებდა ჩემი წარმატებები.
 შარშანაც დიდი, თეთრი ყვავილების თაიგულით მოვი-და ჩემთან, არქიტექტორთა კონკურსში ჩემი და ჩემი მე-გობრების პროექტმა პრიზი რომ დაიმსახურა. ჩვენი დაპ-როექტებული შენობა, რასაკვირველია, ვერ დადგეს და ალბათ ვერც დადგამენ, მაგრამ, რაც მთავარია, ხომ დავ-ხაზეთ? თავი მოვიკალით იმ წელს შრომით ოთხივემ და გვიდევს ახლა ეს პრიზი საპროექტოში უჯარო გენერალი-ვით.
 ასეთმა ნაზმა ქალმა ეს მძიმე პროფესია როგორ აირ-ჩიო — მეხუმრება ხშირად და მოფერების ნიშნად საჩვენებელ თითს ცხვირზე მითათუნებს, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოფერების ასაკი კარგა ხანია გამივიდა, ბო-ლოს და ბოლოს ხუთი წლის ვაჟკაცი მყავს, თანაც თავის კუთვნილ წონას მგონი ორჯერ აჭარბებს; უყვარს ჭამა, ძილი და თამაში, განსაკუთრებით მანქანებით. ესე იგი, მე დამემსგავსა.
 ლალის მეუღლეს ბიძიას არ ვეძახი; თვითონ მთხოვა, სახელი დამიძახეო. მან ძალიან თბილი და ალერსიანი სა-უბარი იცის, მაგრამ ლალის ისე უყურადღებოდ ჰყავს მი-ტოვებული, თითქოს არც აინტერესებს, რას აკეთებს თა-ვის ოთახში გამოკეტილი. კიოს მუდამ ბევრი ფული ჰქონ-და, ოლონდ რატომღაც ეს ყოველთვის მის ცოლ-შვილს ეტყობოდა, თვითონ კი არა; თუმცა, ერთ-ერთი საუკეთეს-ო და ახალი მანქანა, “კადილაკის” ჯიპი — ესკალიდი, ჰყავს. ძველმოდური და უგემოვნოდ შერჩეული ტანსაც-მელი რომ აცვია, მაინცდამაინც არ ენაღვლება...
 მოსალამოვდა. ლალიმ ოთახის კარი შემოალო:
 — აბა წამოდით, შემოგვიერთდით, სეპარატიზმს ნუ ექნება ადგილი, სუფრა მზადაა, — გაგვეხუმრა და სწრა-ფად გაბრუნდა.
 — შენ წადი, მეც მალე მოვალ — მითხრა კიომ.

ოთახიდან გამოვიდა.

— ვაა, ვის ვხედავთ! — შესძახეს ჩემმა ბიძაშვილებმა (დედაჩემს ძმებიც ჰყავს) და შუაში ჩამისვეს.

ჭამა-სმას და გიტარის თანხლებით სიმღერებს, როგორც ხდება ხოლმე, პოლიტიკაზე კამათი ერთვოდა თან. ვმხიარულობდით...

დედა, მედიკო, ლალი და ეკა ლოჯიაში გავიდნენ, სავარძლებში მოკალათდნენ და წინ ყავის ჭიქები დაიდგეს, ეკამ სიგარეტიც გააბოლა და გაცხარებული ჭორაობა გააჩაღეს. ეკა ყველაზე უმცროსია მათ შორის. ნათესაობა ამ ოთხი ქალის გარეშე ალბათ დაიღუპებოდა. რაც თავი მახსოვს, ბავშვობიდან, ესენი უერთმანეთოდ ჰყარის ჩასუნთქვასაც ვერ ახერხებენ. თუ რომელიმე ოთახში ავევჯი გადააადგოლა, ან თუნდაც ჩანთა შეიძინა, დანარჩენმა სამმა ზუსტად ერთი საათის შემდეგ იცის ამის შესახებ; არაფერს ვამბობ, რომელიმე ჩვენგანის ავადმყოფობასა და გასაჭირზე. დაირაზმებიან და ვინ ექიმთან გარბის, ვინ აფთიაქში, ვინ სადილს ამზადებს...

* * *

გავიდა ორი თვე. ლალის უზარმაზარ სამზარეულოში ვისხედით. მე ჩაის ვსვამდი და ნამცხვარს ვიახლებოდი. დედა, მედიკო, ლალი და ეკა უნამცხვროდ შეექცეოდნენ ყავას: ზოგი, დიეტას იცავდა, ზოგი სადიეტოდ რომ არ გახდომოდა საქმე, იმაზე ზრუნავდა.

— ეს რა დღეში ჩამაგდო, რა დღეში ჩამაგდო! არც ბავშვების არ რცხვენია... ორი ამხელა ბიჭი ჰყავს, — თქვა ლალიმ, კოპებშეკრულმა ფანჯარას გახედა და თავის მუშტს ლოყა ჩამოაყრდნო.

— შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, ამის ღირსი იყავი? მაგისტანა მაიმუნს რომ გაგაყოლეთ, ახია ჩვენზე! — აქოთქოთდა მედიკო და მსხვილფოჩიანი მოსასხამის ერთი ბოლო მხარზე შემოივლო.

— სად გდია ნეტა ახლა ეს სილამაზის ეტალონი? — იკითხა დედაჩემმა; უნდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად მისი მშვენიერი გარეგნობისა, ყველაზე მწარე ენა, საჭიროების შემთხვევაში, სწორედ მას აქვს.

— ხომ იცი, ამ ხნისებმა როგორ იციან გადარევა, შარშანწინ ჩემი ძმაც ასე არ გაგიჟდა?! საცოდავი ჩემი რძალი კინალამ ხელში ჩაგვაკვდა ნერვიულობისგან, — გაიხსენა ეკამ.

— მერე? — იკითხა მედიკომ.

— რა მერე — აღარ გახსოვს რა აღმოჩნდა? ვილაც გათახსირებულთან იყო ნაბრძანებული და, რომ მიხვდა, სად ამოყო თავი, ოჯახის ერთწლიანი ტანჯვა-წვალების შემდეგ დაბრუნდა შინ, მაგრამ ჩვენ ხომ კინალამ შეგვიწინრა?!

— ჰოო, ეგ სულ აღარ მახსოვდა, — უპასუხა მედიკომ.

— როგორ ნავიდა, რა ნაილო, ლალი, მაინც სახლიდან, თუ გახსოვს? — იკითხა ეკამ, სკამიდან წამოიწია და თავის დას მიაშტერდა.

— რა ვიცი, ერთი მოგრძო სპორტული ჩანთა ეჭირა, მეტი არაფერი, — უპასუხა ლალიმ და მხრები აიჩეჩა.

— გასვლისას არაფერი უთქვამს? — იკითხა მედიკომ.

— შენ, შენ არ ჰკითხე, ქალო, სად მიდიხარ ამ გუდანაბადით?! — დასვა რიტორიკული კითხვა დედაჩემმა.

— რა უნდა მეკითხა? ხომ იცი, რა უცნაურია... ხან მთაში დაძვრება 4-5 დღე და შინ არაფერს იბარებს, ხან სიკოსთან იკრიბებიან ბიჭები და გამთენიისას მოდის, — იმართლა ლალიმ თავი.

— ჰოდა, მიშვებული გყავდა, გენაცვალე, თავის ნებაზე; ზოგიერთი კაცი ცუდად იგებს ამ პატივისცემას! ისე, შენი ბრალიც არის, გყავდა უყურადღებოდ, ხანდახან ტკბილი სიტყვაც უნდა გეთქვა, რომც არ გდომებოდა, მაინც; რომ დაოჯახდები, 10 წლის მერეც საჭიროა ეგ და 30 წლის მერეც! — დაასკვნა ეკამ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ გასათხოვარ-გაუთხოვარია, — მითუმეტეს, თვითონ ხომ იცით, როგორ ეხერხება ეს ტკბილ-ტკბილი სიტყვები! — გააგრძელა ისევე.

— ოჰ, ოჰ! — ნუ გამახსენებ, გული მეგლიჯება, — თქვა ლალიმ ცრემლნარევი ხმით, — რომ მახსენდება... მერე ასეთ დროს რა გრძელი ენა აქვს...

— რა ვიცი, სხვა დროს კია მუნჯივით, — გაიოცა დედამ.

ეკა სკამიდან წამოდგა, მაგიდა აალაგა, ჭიქები გარეცხა, კარადაში შეანყო, ფორთოხლები დაჭრა და მერე ლალის შეჰკვივლა:

— გადარევა ახლა მაგას ვინმე ახალგაზრდა გოგო, თან ხომ იცით, დღევანდელი ახალგაზრდების ამბავი, თუ რამე უნდათ, უკან არაფერზე დაიხევენ.

— რა უნდა უნდოდეთ მაგ მახინჯისგან?! — ისევე აღელდა დედაჩემი.

— ფული თეა, ფული, — ამოხსნა ამოცანა ეკამ, — ხომ იცი, ეგ ვინ არის? — ქვაზე რომ დასვა, ცივ ქვაზე, იქაც ფულს იშოვნის.

ცივისა და თბილ ქვას შორის ამ შემთხვევაში ნეტა რა განსხვავებას ხედავენ? — გავიფიქრე მე და გუნება უფრო გამიფუჭდა.

— მეც ასე მგონია, — ფიქრი გამანყვეტინა მედიკომ, — იქნება ახლა ვინმე უნესო ახალგაზრდა ქალი, გამოამტერა ეს პატივცემული და დაათრევს თავის ჭკუაზე.

— შენი ჭკუა რომ არ გექნება, სხვა გათრევს თავის ჭკუაზე, აბა რა? — თქვა გაცხარებულმა დადაჩემმა.

— ნამდვილად ასეა, მერე მაგნაირმა ქალებმა რა კარგად იციან კაცების გამოჭერა? — ჩვენსავით კი არ არიან? რას არ ვაკეთებთ, აბა, სადილი, აბა, სარეცხი, აბა, ბავშვების მოვლა... ეგეთი ქალები კი არაფერს არ აკეთებენ, იქით თხოულობენ ყველაფერს და იღებენ კიდევ, რაც უნდათ! — გამოაცხადა ლალიმ.

— არა, მაინც რა დაოსტატებულები არიან ეს პატარა გოგოები ასეთ საქმეებში, არაფრის არ რცხვენიათ, არაფრის; ეუბნება ახლა თბილ-თბილ სიტყვებს და ეს სულელიც ალბათ მეცხრე ცაზეა. ვაიი... ცოტა ხანში გამოსჭამს იმ ფულებს, მიაგდებს ამ ვაჟბატონს და მერე მოაგონდება ეს კარგი ცოლ-შვილი, — არ ცხრებოდა მედიკო.

— არც რომ არავინ არ იცის მაგის ამბავი?! მის მეგობრებთან დავრეკე... მე შენ გეტყვი, ვინმეს რამეს გააგებიანებს, — გააგრძელა ლალიმ, — ამისთანა ამბავშია ახლა და ვინ გაახსენდება?! გადადიან ალბათ ყირაზე. თაფლობის თვე აქვთ, ქუჩაში რა უნდა? არა, ამაზე რომ ვფიქრობ, ჭკუიდან ვიშლები, — ხელეში ჩარგო თავი ლალიმ.

— ნეტა ლამაზი გოგოა? — იკითხა ეკამ.

— გემოვნებას არ უჩივის, უფრო ახალგაზრდა, გამო-
უცდელი და ჯიბეგაფხეკილი რომ იყო, ამისთანა ცოლი
მოიყვანა და საცხე ჯიბეებით ერთ კახპას ველარ შეაც-
დენს? — გაიკვირვა დედამ.

— ლალი დეიდა, ძალიან გიყვარს? — ჩემდა საუბედუ-
როდ ვკითხე მე.

— უიმე! მიყვარს კი არა, შინ რომ იყო, არც მაშინ და-
მენახვებოდა და ახლა მძულს, როგორც გველი, ეგ ქვემ-
ქვემა, — შემომხედა ლალიმ.

ვერაფერი ვერ გავიგე... თუ ასე სძულს რაღად უნდა?
— გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ ხმას რა ამომალებინებდა.

— წარმოგიდგენია, თეა? რამდენი ხნის რომანი აქვს, რომ

შინიდან გაიქცა, ხომ
იცი, ამისთანა ცოლ-
შვილის და სახლ-კა-
რის დატოვება ასე
ტყუილად არ ხდება?
კი, მაგრამ შენ ეჭვი
არაფერში შეგპარვ-
ია? იქნებ ან იპრანჭე-
ბოდა ან შინიდან ხში-
რად გადიოდა ან ვინ-
მე ქალი ურეკავდა?!
— ჩაეძია დედა.

— არა! სად მეცა-
ლა მაგის კონტრო-
ლისთვის? — შეიცხა-
და ლალიმ.

— სხვების კონ-
ტროლისთვის ხომ გე-
ცალა?! — გაგიჟდა
ეკა, — გოგო, ყველა
მეზობლის სახლში

იცი, ვინ შედის და გადის, და შენი საკუთარი ქმარი რო-
გორ წავიდა ისე სახლიდან, რომ ვისთან იძინებდა და ილ-
ვიძებდა, ვერ გაიგე? გადავირევი პირდაპირ.

— უნდა ვიპოვნოთ ის გოგო როგორმე, არ შეიძლება
ასე ახალგაზრდას პატრონი არ ჰყავდეს. მივიღეთ, ჯერ
ნორმალურად ველაპარაკოთ მშობლებს... — დაიწყო დე-
დამ.

— სად ჰყავთ მაგნაირებს პატრონი, თეა! შენ ხომ არ
გგონია, ჩვენ რომ დაგვყავს ეს შვილები უკან კუდივით
გამობმული, ამისთანა დედები ჰყავთ? ან ვინ უჯერებს ახ-
ლა პატრონს? — ჩაერია საუბარში მედიკო.

— არ ვიცი, რა უნდა ვქნათ, მაგრამ რაღაცა რომ უნდა
ვქნათ, ეს ფაქტია! — გამოაცხადა დედამჩემმა.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ამ სისულელეების მოს-
მენაც აღარ შემძლო და გადავწყვიტე, როგორმე გავ-
ცლოდი აქაურობას.

— დედა, მე წავალ რა? — ვთქვი და სკამის ზურგზე ჩა-
მოკიდებულ ჩანთას წავავლე ხელი.

— სად წახვალ, ხატია, მარტო? — შეყარა წარბები დე-
დამ, — მოგვაკითხავენ, შვილო, ცოტაც მოიცადე.

— არა, მირჩენია ტაქსით წავიდე, — ვთქვი კატეგო-
რიული ხმით, მაგრამ ამათთან რა გამივიდოდა?!
— რატომ, დეიდა, რატომ? ბავშვი ბებიასთან არის,

შენზე უკეთესად უვლის, ხვალ დედაშენი მოგაკითხავს და
რა გადარდებს? — მომიბრუნდა გოცნებული მედიკო.

— რა ვიცი... ცუდად ვარ — ვიცრუე მე, მაგრამ უარე-
სი დღე დამადგა.

— რას მეუბნები, დეიდა?! — შეჰკვივლა მედიკომ. —
ისე, შენი ფერი არ მომწონს, ცუდად თუ ხარ, ახლა შინ გა-
გიშვებთ კი არა, დედაშენთან უნდა წახვიდე.

— სიცხე უნდა გავუზომოთ, — წამოხტა სკამიდან ლა-
ლი, — ეკა, მოუმზადე ბავშვს ცხელი ჩაი და ბუტყერბო-
დები! მე “კოლდრექსს” დავალევივინებ, — გასცა ბრძანება
და სამზარეულოდან გავიდა...

სიცხე არ აღმომაჩნდა, როგორც იქნა, ეს კომმარი
დამთავრდა და მეო-
რე დღეს დედას ყვე-
ლაფერი ვუამბე.

შინ ვიყავი და
სახლს ვალაგებდი.
ზარი დაირეკა. დიდი,
რკინის კარი გამოვა-
ლე და კარს უკან, სა-
თამაშო ვეფხვით ხელ-
ში, დედა გამოჩნდა.
მის სწორ ფეხებს ძა-
ლიან უხდებოდა მოკ-
ლე მწვანე ლაბადა.

— ჩემი მორიგეო-
ბის დრო დადგა, —
გამიღიმა მაშინვე, —
ნახე, რა მოუუტანე,
— ზევით ასწია პარ-
კში ჩასმული ფუმფუ-

ლა სათამაშო, რომელიც ვეფხვის გარდა ყველაფერს
ჰგავდა, — ენაცვალოს, ბებო, სად არის? სანამ აქ მოვი-
დოდი, მალაზიაში შევირბინე, სადილიც გავაკეთე და სა-
ლონშიც ვიყავი.

დედა თან საუბრობდა, თან სწრაფად დაკეტა კარი,
ლაბადა გაიხადა, სათამაშო მე მომაჩეჩა, ოთახში შემოვი-
და, წამში სამზარეულოში აღმოჩნდა და მოგრძო პრიალა
ჩანთიდან პარკში გახვეული ქვაბი ამოიღო, რასაკვირვე-
ლია, გამზადებული სადილით საცხე.

დედა ყოველთვის ყველაფერს ასწრებს და ყველაფერი
აინტერესებს საკუთარი პროფესიის გარდა. სამაგიეროდ,
მე ვერ ვასწრებ ვერაფერს და არც არაფერი მაინტერე-
სებს საკუთარი პროფესიის და სპორტის გარდა.

— კი, მაგრამ ბავშვი სად არის? — გამიმეორა ოთახში
შემობრუნებულმა და თან თვალებით ეძებდა პატარას.

— სძინავს, ნახევარ საათში გაიღვიძებს, — ვუთხარი
და სავარძელზე ისე დავემევი, თითქოს დილიდან ყანას
ვთოხნიდი.

— სად არის ჩემი ჩუსტები, აქ რომ დავტოვე? — იკით-
ხა დედამ, — არ მინდა ხალიჩებზე ფეხსაცმელით სიარუ-
ლი, ისევე ჩემი გასაწმენდი გახდება, — მოისანყლა თავი;
მერე ჩუსტებით ისევე ოთახში შემობრუნდა და ისიც სა-
ვარძელზე ჩამოჯდა.



მხატვარი ზურაბ ნიყარაძე

— რომ შევიხედო საძინებელში, ბავშვს ხომ არ გავაღვიძებ? — მკითხა და შემომხედა.

— დედა, რაღაცა მიჭირს და უნდა ვითხრა, ძალიან ვნერვიულობ, არ ვიცი, როგორ დავინყო, — ამიკანკალდა ხმა.

— რა მოხდა, შვილო? არ გამაგიჟო, დროზე მითხარი, — მუდარაშერეული ხმით მკითხა და სავარძლიდან წამოინია.

— ლალის ქმარზე მინდოდა მეთქვა, — დავინყე მე.

— ვისზე? — დაიბნა დედა.

— შენი დეიდაშვილის ქმარზე, — გავიმეორე ჩუმად.

— ჰო, რა იყო, რამე გაიგე? — მკითხა ისევ.

— კი არ გავიგე, ვიცი, — ვთქვი და ხმადაბლა გავაგრძელე, — თქვენ გუშინ რომ შეიკრიბეთ ლალისთან და ლაპარაკობდით, მე თან ვნერვიულობდი, თან მეცინებოდა თქვენს სულელურ ნაფიქრალზე, თან არ ვიცოდი რა მექნა... ყველაფერი დანვრილებით ვიცი.

— მომიყვი, რა იცი, ნუ გადამრიე! — თითქმის შეჭკვილა დედა.

— ეგ კაცი, შინიდან კი წავიდა, მაგრამ არავისთან ერთად არ ცხოვრობს, თავისთვის არის ნაქირავე ბინაში; მე მითხრა: ჩემთვის ვცხოვრობ, იმდენად დიდია ჩემი სიყვარული, საკუთარი ცოლის დანახვა არ შემიძლია, მარტო ყოფნა მსიამოვნებსო. მგონი, სახლის ყიდვასაც აპირებს. ის კი ზუსტად ვიცი, რომ არავისთან არ არის, — ვუთხარი დედას.

— შენ საიდან იცი, ხატია?! — გაუკვირდა დედას.

— ჩვენ ხომ ვმეგობრობდით? — ვთქვი მე.

— კი, მეგობრობდით, შვილო, მაგრამ ახლა იმას საკუთარი ცოლ-შვილი აღარ ახსოვს და შენ ემასხოვრები?! — დედა, თავის სახლში რომ იყო კიო და ლალი მირეკავდა, ყოველთვის გამომართმევდა ხოლმე ყურმილს და დიდხანს მესაუბრებოდა, მეც მეგონა საუკეთესო მეგობარი მყავდა... ერთხელ, შემთხვევით, ქუჩაში შემხვდა, სამსახურიდან გამოვდიოდი. დამიძახა და მანქანაში ჩამისვა. იმ დღეს, საპროექტოში ნერვები ამიშალეს, თითქმის ვტიროდი. ჩემი პროექტი ყველაზე უკეთესი იყო, მაგრამ არ იმჩნევდნენ... ყველაფერი მოვუყვი. გაცინა.

— კი, მაგრამ არ იცი, რომ ეს ბუნებრივი ამბავია? — მითხრა თბილი ლიმილით, — თუ სხვების პროექტს შენი სჯობს, რა თქმა უნდა არავის არ გაუხარდება; ასეთია, ხატია, ხალხი, თუ ამას ვერ შეეგუები, მაშინ როგორ გააგრძელებ შენს საქმეს?! მე ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ გამოვცადე. მერე ჩემს ნამონყებას ზურგი შევაქციე და ფულის შოვნას მივყავი ხელი; მომერივნენ, მტრობას და ბოროტებას გავექეცი, მაგრამ შენ ვერ მოგერევიან, იცოდე!

— რატომ? — ვიკითხე მე.

— იმიტომ, რომ შენ შენი საქმე ძალიან გიყვარს, არ თმობ, მე კი დავთმე. ჰოდა, ვისაც და რასაც დათმობ, ისიც დაგთმობს, აბა? — გაიღიმა და გააგრძელა, — სამაგიეროდ, სიყვარული არ დამითმია არასდროს, სიყვარულისთვის ყოველთვის ყველაფერს ვაკეთებდი, ძალიან ადრე მივხვდი, რომ ეს ერთადერთი რამ იყო, რისი დათმობაც არაფრით არ შეიძლებოდა.

— ორივე რომ გქონდეს, არ შეიძლება? — ბრიყვივით ვიკითხე მე.

— კი, როგორ არა, აი, შენ ჩემზე კარგი ხარ და ორივე გექნება.

— რომ მიჭირს? — ვკითხე ისევ.

— როგორ თუ გიჭირს, მე მაგათ ვუჩვენებ სეირს, — გაეცინა და, როგორც იცოდა, ცხვირზე ჩამომკრა ხელი. — ჯერ ერთი, შენ კი არა, მაგათ უჭირთ და თანაც ძალიან. ბოროტ კაცს თავისი ბოროტება ამოხუთავს, ამგვარი მაგალითები მინახავს, — თქვა შედარებით უფრო სერიოზული სახით.

— საინტერესოა, დავაკვირდები ცხოვრებას, იქნებ მეც ვნახო დამარცხებული ბოროტება, — ვინატრე რატომღაც.

— ხატია, ამაზე ფიქრებს, სჯობს, ჩვენი პატარა საიდუმლო გავიხსენოთ და ჩოგბურთის კორტებზე შევიაროთ, არ გინდა? — შემომთავაზა კიომ, — ეჰ, ჩემს შვილებსაც ვატარებდი ერთ დროს იქ, მაგრამ რად გინდა?! ვერ შეიყვარეს სპორტი ჩემსავით, რალაცნაირად მოდუნებულები არიან; თორემ რა უნდა მამასთან ერთად კვირაში ერთხელ ჰაერზე ვარჯიშს, შენ კი არ გგვანან?

— როდის წავიდე? — გავხალისდი მე.

— აი, დღეს პარასკევია, ზეგ უკვე შეგვიძლია წავიდე. იცი, ხატია, ვარჯიში როგორ შევლის ცუდ გუნებას? — მკითხა მან.

მე თავი დავუქნიე და სარკეში ჩავიხედე.

— შენ სარკე რად გინდა? ისედაც ლამაზი ხარ, — მითხრა კიომ.

ჩოგბურთის კორტებიდან მართლაც გახალისებული ვბრუნდებოდი. ერთ დღეს ფეხით გამოვყევით ქუჩას. მე ჩემი საპროექტოს უფროსზე ვბრაზობდი: არავის არაფრად გვაგებებს-მეთქი.

— მერე?! შენ ხომ იცი, თვითონ იქნება არარაობა და იმიტომ, — დაუსვა დიაგნოზი მშვიდად.

— რა ვიცი? — ვთქვი დაღონებულმა.

— ანტონიო გაუდი ხომ იცი?

— კი, — გამეღიმა მე.

— შენს უფროსზე ფიქრს არ სჯობს, იმაზე იფიქრო? — მკითხა კიომ.

— ჰო, დიდი მოვლენა იყო არქიტექტურაში, — ვუპასუხე მე.

— თან რა დროს, ხატია. ამ დროს ცხოვრობდნენ დომენიკო მინტენერი, პიუჯი კადაფალიკი... მაგრამ ესენი ევროპულ მოდერნს მიჰყვებიან, გაუდი კი სულ სხვაა, — თქვა რალაცნაირი მეოცნებე სახით, — ის მხოლოდ საკუთარ ტექნიკურ მიღწევებს ეყრდნობა, არ იცის, ამ დროს რა ხდება ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ბელგიაში... ამიტომ, და კიდევ ერთი დიდი რამის გამოც, მისი არაჩვეულებრივი ხელოვნება ორიგინალურია, არაეისას არ ჰგავს, — თქვა სადღეგრძელოსავით.

— მხოლოდ საკუთარი შთაგონებით იკვებება, რამხელა ენერჯია აქვს, არა? — დავეთანხმე მე.

— ჰო. მოკლედ, ბარსელონაში უნდა წახვიდე. აი, რა იქნება ძალიან სასიამოვნო. იქ ნახავ რას ნიშნავს არქიტექტორისთვის ბუნების სიყვარული.

— ბუნების?

— ჰო, აბა? მისი შთაგონების სათავე ბუნება იყო. მის შენობებს ეტყობა მცენარეთა და ცხოველთა ანარეკლები. შენ, შენ არ გინდა ახლა შუა ტყეში ამოჰყო თავი? — მკითხა უცებ.

— რომც მინდოდეს... — დავინწყე მე.

— შენ მითხარი, გინდა თუ არა? აი, ნარმოიდგინე, გარშემო ხასხასა ფოთლები, ცეცხლზე შემწვარი მწვადი, გარშემო ჩიტების ჭიკჭიკი და მუსიკა.

— მუსიკა საიდან? — ვკითხე კიოს.

— მუსიკა ჩემი მანქანის მაგნიტოფონიდან, ლორის ხორცი ბაზრიდან... ჰა, გადანყვიტე და ერთ საათში იქ ვიქნებით, — მხარი ნამკრა მეგობრულად.

— შეიძლება ლიაც წავიყვანოთ? — ვკითხე მე.

— ლია ვინ არის? — გაუკვირდა რატომღაც.

— ჩემი მეგობარია და ამ ბოლო დროს სულ ცუდ გუნებაზე, — ვუპასუხე მაშინვე.

— კი, ბატონო, წავიყვანოთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შეგინახავს საიდუმლოს; თორემ ხომ იცი, ჩვენების ხასიათი?! ყველაფრის უმინიათ, — დაიზღვია თავი.

— ჰო, გვეტყვიან, რამე რომ დამართოდა ამ უცხო ბავშვსო, არა? — გამეცინა მე.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ლია კოცონის გარშემო ვნებივრობდით. მანქანიდან მუსიკის ხმა ისმოდა. კიო მწვადს წვავდა. ჩვენ ყველი და თონის პურები დავჭერთ. „ერთჯერად“, ქალაღის თეფშებზე დავანყვეთ და სასიამოვნო საღამო გავატარეთ.

მე და კიო თითქმის ყოველ საღამოს ტელეფონით ვსაუბრობდით. ის ძალიან მიფრთხილდებოდა. ასეთი მეგობარი არასოდეს მყოლია და არც არავისთან მიგრძენია თავი ასე მშვიდად. ხანდახან, კვირაობით, ქალაქგარეთ გავდიოდით სასეირნოდ და ეკლესიებს ვათვალიერებდით. მერე შემოდგომამ სუსხი გვაგრძნობინა...

— დედა, ერთ დღეს დამირეკა და მთხოვა, სამსახურთან დაგხვდებო; მეც გამიხარდა. მოვიდა. სევდიანი ჩანდა. მანქანაში ჩაუფუჯექი და მივაშტერდი. ნერვიულობდა, ქურთუკის საყელოს აწვალებდა.

— მერე? — ველარ ითმენდა დედა.

მე ისევ გაეჩუმდი და ყველაფერი თვალწინ დამიდგა: იმ დღეს კიო ჭარხალივით იყო განითლებული.

— ხატია, საუბედუროდ შემეყვარდი. ჩემი ცხოვრება საშინელ ტანჯვად იქცა. შენზე უკეთესი არავინ მეგულეება ქვეყანაზე, სულ შენზე ვფიქრობ, ვერაფერს ვაკეთებ — არ გამიბრაზდე რა? — ისეთი მუდარით მთხოვა, ხმა ვერ ამოვიღე, — ვიცი რომ ძალიან მოულოდნელი და საძაგელიც კი შეიძლება გეჩვენოს ეს ყველაფერი, მაგრამ ერთი რამის გამო მაინც შეიძლება ჩემი გამართლება, — გააგრძელა მან, — სიყვარულს ყველაფერი ეპატიება. გაიგე, თუ არ გეტყოდი ერთხელ მაინც სათქმელს, ჩემთვის ცხოვრება აუტანელი გახდებოდა. ხატია, შენ ჩემს გვერდზე კარგად გრძნობ თავს? — მომიბრუნდა და დამაკვირდა.

— როგორ შეიძლება ამის გაფიქრება? — ვთქვი ნერვიულობით ღონემიხდილმა.

— არ შეიძლება, მაგრამ თუ შენს გარდა არავინ მინდა, თუ ჭკუა დავკარგე, თუ გადავირიე და მაინც შენთან ერთად მინდა სადმე გადავიკარგო შორს, ამ ხალხისგან ძა-

ლიან შორს... არ გითხრა? მოგატყუო? უფრო ცუდი არ იქნება?! — მითხრა უფრო გაბედული ხმით.

ძალიან ლელავდა, მაგრამ მაინცდამაინც ვერ შევამჩნიე, რომ სინდისი ქენჯინდა. გადანყვეტილება მიელო და სხვა რამისთვის სრულიად არ ეცალა. სიყვარულის გამო მართლა შეეძლო ყველაფერი დაევიწყებინა. მე მანქანიდან ჩამოვხტი და სირბილით წავედი ტაქსისკენ. ნერვიულობისაგან სულ გავიყინე, ცრემლები ლაპალუბით მომდიოდა. გული დიდხანს მტკიოდა, საუკეთესო მეგობარი დავკარგე. ხან მენატრებოდა მასთან საუბარი, ხან ძალიან მიშლდა.

— ხატია, რა მოგივიდა? შემომხედე შვილო! — მითხრა დედამ და თავზე დამადგა.

ფიქრიდან გამოვერკვიე და ყველაფერი ვუამბე.

დედა ერთ ადგილზე გაქვავდა და სახეზე ფერი შეეცვალა. მაზოხისტი არ ვარ და დანვრილებით არ მოვიგონებ მის მდგომარეობას.

— იდიოტი, იდიოტი! შენ მოგიკვდეს დედა! — შესძახა ბოლოს და სავარძელზე დაეშვა.

— კი მაგრამ, მერე აღარ გამოჩენილა? — მკითხა ცოტა დანყნარებულმა.

— კი, როგორ არა? — შევხედე დედას — დარეკა. მეხვენებოდა, მემუდარებოდა, ბავშვიანად წავიყვან და ცივ ნიავს არ მოგაკარებო. თან ამბობდა: რა მჭირს მე თვითონ არ ვიცი, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არც მინდა და არც შემიძლიაო.

— მერე, შენ რა უპასუხე? — მკითხა დედამ.

— რას ვუპასუხებდი?! — ხმას ავუნე, შენც ხომ არ გაგიჟდი?! — ვუყვირე დედაჩემს, — თავიდან მოვიშორე, მისი ხმის გაგონებაზე ტელეფონის ყურმილს უხმოდ ვკიდებდი. სამსახურშიც შვებულება გავაფორმე, აღარ დავდივარ და მიხვდა ალბათ. თუმცა, ეს ორი კვირაა, აღარც გამოჩენილა. ეს არის და ეს, — ვუთხარი დედას და ამ გაუცნობიერებელი შიშისგან გაეთავისუფლდი.

— ღმერთო ნუ გადამრევ! მე ეგ ცოტა სერიოზული კაცი მეგონა. რა სისულელეებს ვფიქრობდით, მაგრამ ამ უმსგავსობას რა წარმომადგენინებდა?! — ხმას აუნია დედამ.

მე ვფიქროდი, რალაცნაირად მეცოდებოდა კიდევ კიო, ჩემი თავი უფრო მეცოდებოდა.

— შენ რა გატირებს? — მკითხა დედამ.

— არ გაგიჟდება ლალი, ამას რომ გაიგებს? — ვთქვი, რაც იმ წუთას ნამდვილად მენალვლებოდა.

— გაჩუმდი. ხმა არ ამოიღო. ამას ლალის როგორ ვეტყვი? იმ იდიოტმა თავისი საქმე როგორც უნდა, ისე მოავაროს. ასეთი ბრიყვი როგორ ხარ, შვილო? — მომიბრუნდა დედა.

— შენ, შენ მიხვდებოდი? — ვკითხე მე.

— ვერა, მაგრამ მე, შენგან განსხვავებით, დედა არ მიზრდიდა შვილს და არც აქეთ-იქით ბოდილის დრო მქონდა! — ხმას აუნია მან. — იცოდე, ერთი სიტყვაც არ აღირსო. საერთოდ, გიკრძალავ კიოსთან საუბარს, გასაგებია? — მითხრა ისეთი ტონით, რომ ნებისმიერი ჯარის გენერალს შეშურდებოდა. მას ძალიან უყვარს დირექტივები.

— არც ველაპარაკები, — ვუთხარი გაბრაზებულმა, რას გადამეკიდეთ შენ და შენი ნათესავები, დამანებეთ რა თავი?! — ამეშალა ნერვები.

* * *

ერთი წლის შემდეგ კიომ თავის სახლში დარეკა: ავად ვიყავი, ცუდი დიაგნოზი დამისვეს, რომ არ შემენუხები-
ნეთ, არ გამენვალებიანეთ, სამკურნალოდ წავედი (რომე-
ლი ქვეყანა თქვა, აღარ მახსოვს), ხვალ ჩამოვდივარ, თან
რაზეც ვოცნებობდი, ის მომყავსო. აეროპორტში დახვედ-
რაც იუარა თურმე; ამიტომაც არ შეატყობინა ოჯახს, რო-
მელი ქალაქიდან მოფრინავდა.

კიოს დანახვა საერთოდ არ მინდოდა. სხვადასხვა მი-
ზეზის გამო მენყინა, მისი დაბრუნების ამბავი რომ შევიტ-
ყვე... ისიც კი არ ყოფილა, ვინც თვითონ უნდოდა რომ ყო-
ფილიყო... დედაჩემის გარდა, მთელი ნათესაობა სიყვა-
რულით ელოდებოდა. ჩვენი შინ დარჩენა არაბუნებრივი
რომ არ ყოფილიყო, დედამ დიდი თხოვნა-მუდართით, თით-
ქმის ძალით, მეც თან წამიყვანა.

— რა უცნაური კაცია, რა მორიდებული, ლალი, შენ მო-
საკლავი ხარ... — დაიწყო გრძელი მონოლოგი მედიკომ.

— ბავშვები როგორ ელოდებიან, მაღლობა გვაქვს
ყველას სათქმელი, რომ მამა გადაურჩათ — გამოაცხადა
ბიძაჩემმა.

— ლალი, მოსალამოვდა, ახლა ალბათ მალე მოვა. შენ
შეეგებე, პირველმა კარი შენ გაუღე — დაარიგა ეკამ.

შვიდ საათზე კიომ თავისი გასაღებით სახლის კარი
გარედან გააღო.

— ახლოს არ მოხვიდეთ, ახლაც მივუჩენ ადგილს! —
დაიძახა შემოსვლისთანავე — ნახეთ, რა ჩამოვიყვანე? აქ
ვერ იშოვი, ადრე თბილისის ზოპარკთანაც მქონდა მო-

ლაპარაკება, მაგრამ ვერაფერი გამირკვიეს. ეს ამსტერ-
დამის საშუალებით მოვიძიე, იშვიათობაა, ბევრი ფული კი
დამიჯდა. იქ, საგურამოში, აგარაკზე მეყოლება, — თქვა
და პანდას დახედა. საყვარელი, უზარმაზარი, ფუმფულა,
შავ-თეთრი, სათამაშოსავით ლამაზი ცხოველი ტყავის
სარტყელით ეჭირა.

ლალიმ და ეკამ ერთმანეთს გადახედეს.

— რას დავეძებთ, რაკი დაბრუნდა, — გადაურჩულა
მედიკომ დედას.

— ვა, ხატია, შენც აქ ხარ? იცი, რომელია ამ ბამბუკის
დათვის სამშობლო? — მკითხა სასხვათაშორისოდ და
არც გაჩერებულა, თავისი ოთახისკენ ისე გასწია ცხოვე-
ლიანად.

— ჩინეთი! — ვთქვი თითქმის ჩურჩულით, მაინც არა-
ვის აინტერესებდა.

— მსოფლიოს კარგად მოედგენ, არც აქ ვუჩივით მა-
გათ ნაკლებობას და ახლა დათვილა გვაკლდა ჩინური, —
თქვა დედამ. თმა თავმომწონედ შეისწორა და მიეხვიდა,
რომ ჩემს გამო ცოცხლად შეჭამდა კიოს.

— აბა, გოგო? შარშანწინ ჩვენს მეზობლად ბინა იქი-
რავეა ორმა წყვილმა და უკვე რვაწი არიან, — კვერი დაუკ-
რა მედიკომ.

მე ავდექი და შინ წამოვედი, ისე, რომ არავისთვის არა-
ფერი მითქვამს და არც არავისი „ნებართვა“ არ მჭირდე-
ბოდა.

ძლივს არ ვისწავლე, მარტივად როგორ უნდა ნახვიდე
იმ ადგილიდან, სადაც არ გაინტერესებს ყოფნა?!

მაინც რატომ პანდა?

ქეთევან შენგელია ახალი რაკურსით წარსდგა მკით-
ხველის წინაშე. მას უმთავრესად ლექსებითა და ლიტერ-
ატურულ-კრიტიკული სტატიებით ვიცნობთ და ამიტომ
მოთხრობის გამოქვეყნება ბევრისთვის მოულოდნელი
უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, „ჩვენი მწერლობის“
მკითხველებისთვის მაინც.

თუმცა ისიც აშკარაა, რომ ეს ნაწარმოები დებიუტანტის
წარსდგა არ ჰგავს, გემოვნებიანი და დაკვირვებული ავტო-
რის ხელი ეტყობა, საკმაო გამოცდილებაც და, რალა და-
სამალია, სწორედ ამან გადაამაწყვეტინა აზრის გამოთქმა.

უპირველეს ყოვლისა, რატომ მაინცდამაინც პანდა?
ეს არის პირველი შეკითხვა, რაც მოთხრობის წაკითხვის-
თანავე ჩნდება.

ჩემი აზრით, პასუხის ძიებას აზრი არა აქვს, რადგანაც
ერთმნიშვნელოვან დასკვნას ვერ მივიღებთ და, რაც
მთავარია, მოთხრობის ეფექტური დეტალები განზე
დაგვრჩება.

მართლაც, თხრობის ღერძს ზუსტად მიგნებული
დეტალები წარმოადგენს. მაგალითად, ავიღოთ ფრაზა:

„ეკას აქვს ხშირი, ხვეული, მონითალო-მოყავისფრო თმა,
ძალიან სიმპათიური სახე, კარგი თანამდებობა და ცუდი
ფეხები“.

არის აქ რალაც ისეთი, რაც ლიტერატურის კარგ ცოდ-
ნას ადასტურებს. „კარგი თანამდებობა და ცუდი ფეხე-
ბი“... თუ არ ვცდები, ეს მარკ ტვენის პარადოქსების
შემოქმედებითი ანალიზის შედეგი უნდა იყოს. ეფექტური
არტეფაქტი გვიჩვენებს ავტორს სამი ჰიპოსტასით —
ლიტერატორი, მკითხველი, შემოქმედი.

ქეთევან შენგელია კარგად ფლობს პეიზაჟისა და
ხასიათის შტრიხების ხატვის ხელოვნებას. ეხერხება
პერსონაჟის დახასიათება არაპირდაპირი ხერხებით ანუ,
როგორც ძველები იტყოდნენ, მხატვრული სახის შექმნა
მოქმედებაში. იცის, როგორ წეროს თანამედროვე ლიტ-
ერატურის ყველაზე რთულ და უმადურ — საყოფაცხო-
ვრებო — თემაზე.

ვაფასებ მის გამბედაობას.

მომწონს მისი მოთხრობის მორალი — ისწავლო
წასვლა იმ ადგილიდან, სადაც აღარ გაინტერესებს ყოფნა
და, რალა თქმა უნდა, ეს პანდა!

და მართლაც რატომ მაინცდამაინც პანდა? რატომ
მაინცდამაინც მამაკაცური საწყისის სიმბოლო?

მალხაზ ივანიძე



პირდაპირი, უშუალო, ალალი, ნირშეუცვლელი.
 სკაბრეზის ზღვრამდე მისული გაბედულება.
 ნერვული ინტონაციები, მუქი ტონალობები, შეკავებული სიფიცხე.
 ეს არ არის პოზა.
 ეს ხასიათია.
 ასეთი იყო მაშინაც, 80-იანი წლების დასაწყისში, როცა პირველად გამოჩნდა უნივერსიტეტის მწერალთა წრეში.
 ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არც კი ზრუნავდეს ლექსის გარეგნულ მხარეზე, ამ დროს შეუმჩნევლად, ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე ანესრიგებს მახვილს, მარცვალს, რიტმს, რითმას, ფრაზას.
 მთავარი მაინც ის არის, რასაც თვითონვე ამბობს: „თუ მართლა წერ და მართლა პოეტი ხარ, მაშინ ნამდვილ სითბოს ველარ ელირსები“.
 აქაც გულწრფელია, რადგან ამ შეგნებაზე დგას პოეტური ბედი — სახელად სევარიონ ნადირაძე.

სევარიონ ნადირაძე

* * *

გარეთ წვიმაა,
 ოთახში ვარ,
 სულ არ მკიდიია?!
 ვწრუპავ რქანიტელს
 და მიტაცებ
 ლექსი-იდეა...
 ოთახს კი ცრემლი
 ემატება ღვინით
 გაღეშოლს,
 რადგან ქალაქი
 დგას წვიმაში
 ქოლგის გარეშე...

წრე შეჰკარით ღონივრად

წრე შეჰკარით ღონივრად,
 წრე შეჰკარით უშიშრად,
 მრუში რატომ გგონივართ?!
 მრუშზე უფრო მრუში ვარ!!!

ბევრმა ქვები მოზიდა,
 მდინარიდან, ღელიდან,
 მკვლელი რატომ გგონივართ?!
 მკვლელზე უფრო მკვლელი ვარ!!!

ქვებს სასწორზე წონიან,
 ლოდის სროლა სწყურიათ,
 ცრუი რატომ გგონივართ?!
 ცრუზე უფრო ცრუი ვარ!!!

ზნეობა გაქვთ მოტივად,
 სისპეტაკე მეტივად,
 ავაზაკი როდი ვარ!
 ავაზაკზე მეტი ვარ!!!

განა ველტვი იმედებს,
 ან ცოდვები არ მახსოვს?
 ჩასაქოლად მიმეტებთ,
 ჩასაქოლზე ჩასაქოლს!!!

აჰა, უკვე ველი ჟამს,
 და ხარხარებს კვლავ ქორო,
 ვინაც უცოდველი ხართ,
 „გთხოვთ პირველმა მესროლოთ“...

**ჩემთან არ მოხვიდით
 ყალბი ნაბიჯებით**

როცა პოეტები მხარზე გამიდებენ,
 როცა ჩემს საოცარ აღმართს ავათავენ,
 ჩემთან არ მოხვიდეთ, ყალბი ნაბიჯებით,
 ყალბი სტრიქონებიც სადმე გადამაღეთ,
 შევსვი სულ ბოლომდე წუთისოფლის შხამი,
 ირგვლივ ჭორები და მკაცრი ხარხარია,
 ყველამ გადამაღეთ შავი მოსასხამი,
 წინ, რომ მეგებება ჩემი ლაზარეა...

* * *

ერთი რამეა, რაც მტანჯავს
 და დღესაც მაშინებს,
 წყეული ფიქრი,
 რაც დამდევს და
 აღარ მასვენებს,
 იარაღისკენ
 უწევთ გული
 ბერბიჭაშვილებს,
 რომ დაახლონ
 შუბლში ტყვია
 ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ბ ს.

საქართველოშიც ტყუპებს ესვრიან

თერთმეტჯერ უფრო
 ცივია წვიმა,
 აქ შეიძლება
 ნალზე დაეცე,
 აფეთქებული
 სექტემბრის დილაც
 თავის დაკარგულ
 ტყუპებს დაეძებს...

სიკვდილი, როგორც
შავი ავაზა,
ხელში უჭირავს
ლამეს მესრიანს,
რუსს ნუ ენდობი
ჩემო აფხაზო,
საქართველოშიც
ტყუებებს ესვრიან...

* * *

ლექსების წერით
განა ვერთობი,
ვუახლოვდები
მთებს და ქარაფებს,
მივდივარ, მაგრამ
ზურგზე მეტყობა,
რაც ჩემს ზურგსუკან,
ილაპარაკეს...

გამორჩეული არ იყო ლექსო

ამ გზაზე ციციქნა
კოცონი გვენთო,
და ჭინკებს გავდნენ
სოფლის ჭორები,
სხვაზე მაღალი
არ იყო ლექსო,
თორემ შენც მალე
მოგიშორებენ.

მივდივართ ერთად
და ბევრი ვერ გვცნობს,
დაცემულნი და
შერისხულები,
გამორჩეული
არ იყო ლექსო,
თორემ შენც
მალე შეგიძულებენ...

ჩანს სილუეტი

ჩანს სილუეტი —
წვიმაში ქოლგით,
და საზღვრის იქით —
მე იგი მიყვარს...
ბოლო არ უჩანს
ჩვენს უხმო ლოდინს,
და ხელოვნურად
აღმართულ ტიხარს.
გთხოვ,
გევედრები,
შენ თვითონ მოდი,
ნუ მიმატოვებ

ძვირფასო დიდხანს,
აჟღერებული ამდენი
ნოტის,
რიცხვის,
ხმის,
ფერის
და ბგერის მიღმა...

მე და გაზაფხული

მე და გაზაფხული
ერთად ვლელავთ,
ნუშის ყვავილების
გავხდით მონა,
ქარი ეჭვიანი
ო ტ ე ლ ო ა,
ნეტა ვერ იპოვოს
დ ე ზ დ ე მ ო ნ ა.

ასალბადებს

გზის დასაწყისიდან
სასრულამდე,
ბრუნავენ ჭრელი
კამათლები,
ლექსს დაღვინება
დააცადე,
მეტი არ მინდა
არაფერი...

სანუთრო ირგვლივ
მოჰფენს ჭორებს,
დაგვაბნევს
იგავ-არაკებით,
ლექსს ეკალ-ბარდი
მოაშორე,
მეტი არ მინდა
არაფერი...

თუ მოშურნენი
დაირაზმნენ,
თუ მოსაკლავად
გაგიმეტეს,
ლექსი განბანე
აიაზმით,
მერე გაუშვი,
როგორც მტრედი!

როშკაში

ხევსურნი როშკაში დარჩებიან,
მათთან განშორებას კიდევც ვდარდობ,
მაგრამ მგზავრს მთებიც კი დამწევინ
და აღარ მიშვებენ ბარში მარტოს...

დიაცნი მალავენ გიშრის თვალებს,
დავეძებ, განვიცდი, მტკივა მარა,
ის ქალი მე როგორ შემეყვარებს,
რომელმაც ეს მთები შეიყვარა?!

**ფოთელი კახისადმი მიძღვნილი,
„პახელიაზა“ დანარილი ექსპრომტი**

ბატონ ნუგზარსა და ჩვენს გიგოს

სოკო სულგუნით კეცზე შეწვეს,
შამფურზე ააგეს ხაჭაპური,
მთვრალი ვარ, გავლას ველარ შევძლებ,
ქეიფსაც არ უჩანს დასასრული...
თამადა კალამბურს არ იშურებს,
შევეყურებ ქალწულებს დაზაფრული,
გარეთ კი ფოთლებზე შარიშურობს
ნამდვილი კოლხური გაზაფხული...

ორი და, ორი მტრადი-პოეტი

ქეთის და თაკოს

მზე უშურველად როდესაც სწირავს,
გავარვარებულ ოქროს მონეტას,
გაოცებული შეჰყურებთ დილას,
ორი და, ორი მტრადი-პოეტი.

აგედევნებათ ჭორები უმალ,
გაჯერებული მაცდურ ვნებითა,
და თვალს გაყოლებთ თბილისი ჩუმად
მუხლზე დამდგარი აივნებიდან.

გეპატიუებათ ვილაც ყავაზე,
ქათინაურიც ძალზე ძველია
და გული გწყდებათ, რომ სილამაზე
ქალისთვის მხოლოდ სატანჯველია...

როის

მამა მთელი ღამე
ჩვენს სახლში
ციოდა,
ამ დილით
ზეგნებზეც
თოვდა
გაგიჟებით!
და კუბოს
ყოველი
ფიცარი
ცდილობდა,
ოთახში სიარულს
შენი ნაბიჯებით...

მიზა ღანიშაშვილს

როცა ნალველი
გულს ვერ გიხსნის,
როცა ზამთარი
გითვლის ცოდვებს,
ძმაო ძნელია
შენ შენი გზით,
ლექსი თავის გზით
მი დ ი ო დ ე ს...

ძმაო, ხომ ხედავ,
იანვარშიც
როგორ სწუხს
დიდი ავადმყოფი,
სამყარო თოვლზე
იდუმალი,
კაცის და ლექსის
გ ა ს ა თ ბ ო ბ ი ...

შემოდგომა

რადგან დაეტყოთ სიყვითლე ტყეებს,
რადგან გაუცვდათ ფერი ბალახებს,
დგას შემოდგომა და მწვანე დღეებს
თავის ოქროსფერ სკივრში ალაგებს...

ისე ეხება ლერწმების გრეხილს,
ვერ გამოიგია, ზვრებს რომ გავეყურებ,
მწიფე ყურძენს წყვეტს ნეტავი გლეხი,
თუ შემოდგომას პარავს საყურეს?!

ნოე და ცისარტყლა

როცა უეცრად წამოინფიქებს,
ჭექა-ქუხილის ხმა, რომ მომესმის,
პატარა წვეთშიც ვხედავ ტივტივებს
ხის კიდობანი წმინდა ნოესი...

როცა მანძილი დაიტალღება,
ცხვრის ფარით, რემით, ჯოგით, ნახირით,
სივრცეს მწყემსივით კვალში დაჰყვება
ნოეს კიდობნის გამოძახილი...

საბძელს, საქათმეს, ბაგას, სახბორეს,
ნალიას, მარანს, ვენახს ლერწმინას,
კედელზე, ჭერზე, კარზე, ხაროზე,
ნოეს კიდობნის სხივი შერწყმია...

რაც ბორცვებია და რაც მთებია,
რაც მწვერვალია ცისკენ წასული;
ცივ წყაროებად გადაქცევიათ
ტანი კიდობნით ჩამოკანრული...

ღვინოს წურავენ ჩვენს დროშიც ბევრნი,
ეფერებიან ვაზებს ასწლიანს,
და ღვინით სავსე ყოველი ქვევრი
ნოეს ქვევრების ზუსტი ასლია...

ვერ შეაჩერებს წვიმას ვერავინ,
ნაპრალს დაეძებს ლერწმის რტოებში,
რომ დაიღვაროს, როგორც მელანი
ფურცლის იდუმალ სიმარტოვეში

ფოთოლზე ერთი წვეთი კიაფობს,
ცვარი ციმციმებს ვარდის ფურცლიდან,
და ხელში „ღმერთთან მეზობლ იაკობს“,
წვიმის შვიდფერი დროშა უჭირავს.

ქარი ათასი ტოტით ჩურჩულებს,
მზე მხატვარივით არის გულჩვილი
და დღე დაღმავალ ფერს და შუქ-ჩრდილებს,
ტანზე ამრება სველი ფუნჯივით

ღუელი

ერთხელაც უნდა
დასვა წერტილი,
რადგან ჩვენს შორის
სივრცე ვერ გათბა,
ჩემგან ათასჯერ
გულდაწყვეტილი,
დღეს ორეული
მესვრის ხელთათმანს...

მე მიცახცახებს
უკვე სხეული
და ვიდრე ტყვიას
ისვრის მეორე,
ჩემგან საბრალოდ
გამეტებული,
დღეს ორეული
მიწვდის რევოლვერს...

როგორ გვიხდება,
ღმერთო, ფრაკები
და რა ახლოა,
თურმე კარიბჭე,
ასე სუფთა და
ასე ნატიფი,
დღეს ორეული
მითვლის ნაბიჯებს...

ბოლოს შერჩება
ვიცი ბარათებს,
ცოტა სისხლი
და ცოტა გუაში,
ჩვენში ერთერთი
უნდა გადარჩეს,
დღეს ორეული
მიწვევს დუელში!!!

* * *

თუ რაღაცას ჯღაბნი,
და თან კიდევ რითმავ,
ცისკენ აგისვრიან
ლექსის ემისრები,
და თუ მართლა წერ და,
მართლა პოეტი ხარ,
მაშინ ნამდვილ სიტბოს,
ველარ ეღირსები...


სასაფლაო

მან მწვანე ბალი წაიფარა
ღია ხახაზე,
და ჩვენი ნებით გავხდით ყველა
მისი მეზალე,
რადგან ეს ბალი ცოცხლობს
მხოლოდ ჩვენი ცრემლებით,
თან ცდილობს ყველა მიგვიჩვიოს,
ახლოს მიგვიშვას,
რადგან ეტყობა ვერ იქნება დიდხანს მშვიერი...

თოვლი


დაე, ბუხარი ბოლავდეს,
მე კი სურვილი მთენთავს,
მსურს, ავალწიო თოვლამდე,
რომ თოვლს ნამოგყვე შენთან...

არ დადნებოდეს, ნეტავი,
ამისრულებდეს სურვილს,
ფიფქებში ჩუმად მფეთქავი
ზამთრის ნამცეცა სული...



მიტოვებული ქუჩა

გოგი ჩაგელიშვილი



დაიბადა 1959 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩში, პედაგოგების ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1982 წლიდან მუშაობს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 1987 წელს დაიცვა საკანდიდატო, 2003 წელს — სადოქტორო დისერტაცია.

1990-98 წლებში იყო თსუ ახალციხის ფილიალის ქართული ენის კათედრის გამგე და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1998 წლიდან სულხან-საბა ორბელიანისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორი.

1996-99 წლებში რედაქტორობდა ლიტერატურულ აღმანახს „სიციყვაი“, 2005-06 წლებში ჟურნალ „მერმისს“. 2008 წლიდან საერო უნივერსიტეტ „რვალის“ სამეცნიერო შრომების კრებულის მთავარი რედაქტორია. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა რამდენიმე მონოგრაფია, ლექსების არაერთი კრებული და რომანი.

კოტე კაკიტაძე

* * *

აფარფატა ბინდში შიში,
შიში, სუნთქვის გახშირებით,
ჩხაპნის გულის უხემ კონტურს
უსულგულო ნახშირებით.
ისერება სივრცე რუხი
მუგუზლებით და ჩხირებით,
ოჰ-ოჰ, კი-კი, ან-ან, თუ-თუ...
უთავბოლო ახირებით.
ხაზთა უსრულ ლაბირინთებს
ნთქავენ ჟამნი და ჭირები.
და ცახცახებს ბინდში ძარღვი,
ძარღვი — შიშით ნაჭირვები.

* * *

დულს დარბაზი... გინდ გაბრაზდი, გინდ არა,
შრება ძარღვი დამაბული გონების,
წუსს ღიმილი შეღებული ფანჯრიდან,
ლოდინია ლოდთა გადაგორების.
ჩუმს დარბაზი ... დაჩუტული გუდიდან
ჩამიჩუმობს ჩრჩილი ჩრჩილად რჩენილი,
ეტანება მიტოვებულ ეტრატებს
ცხარე ცხვარი, სხვა ცხვრებს ჩამორჩენილი.
ფიქრებს ფერფლი აფენია სიფითრის,
დარდიმანდობს დამლიანი დროება,
მითვლის წამებს თვალთა გიშრის წამ-წამი,
თუ მიშველის-შენთან განმარტოება.
ნითს დარბაზი... განვართული სიცხისგან,
თუმც აქა-იქ გამორჩდება სადაფიც...
ჩაძირული ცოდვის უძირობაში
დღეებს ითვლის ძირმომპალი სარდაფი.

სხვა ზამთარი

ამ წელს ზამთარი უფრო ცივია,
ვიდრე ზამთარი არის საერთოდ.
უაზრო ყოფას, უფერო დღეებს
ახლა ურითმო ლექსიც დაერთო.
მზე გამეპარა. როგორც ჩანს, ისევე
საკუთარ თავზე ფიქრში გაერთო...
იმ ძველ ზამთრებთან ამ ზამთარს ალბათ,
ალარაფერი დარჩა საერთო.

* * *

გავეჩხირე ოცნებებში, როგორც
ფეხზე გუბენამოცმული ღალღა.
ველოდები, როდის გამიხსენებს
ნაპირებს მონატრული ტალღა.
ერთი პირი ჩასთვლემს წყალიც, მრუმე,
ჩანს ტალღასაც მოერია დაღლა,
შეგვატოვა ოცნებების გუბეს
მე და ჩემი ფეხკაკუჭა ღალღა.

მზეი იგი

მზეი იგი იყო ცხოველ,
თუმც ასეთი ჯერ არ ჰქონდა ნანახი.
ჰსურდა კვდომა.
გაიტრუნა, გაილურსა,
ვით ქარის წინ ნირწამხდარი ბალახი.
წამით შეცბა.
ნიაგმა კი,
ქვემოთიდან მონაბერმა,
პირს აყარა ამ ცხოვრების ტალახი.
მზეი იგი იყო ცხოველ...
ოფლს ინმენდდა დასიცხული ქალაქი.

სხვა ზარი

*მინანერი ოტია იოსელიანის რომანზე
„ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ“*

ეს ზარი, მართლაც, სხვა ზარია,
ზარკრულო ჩემო,
ზარის დამცემის იცი ალბათ ფასი და გემო.
თუმც მალემსრბოლიც ვერ დაიჭერს,
ყველაზე მალიც,
ქმრის საღალატოდ თუ გავიდა საღამოს ქალი.

მოეგს — ბოდიში!

თუკი მადლობა ყვითელია ორშაბათ დილას,
ჰქონდეს მოემს ის.
ჰქონდეს ორშაბათს, ოთხშაბათსაც და უიქენდზეც.
უმაგისოდაც გამოვთვრები ამ შაბათ-კვირას,
მოემს - ბოდიში!

* * *

და კანკალებს...
 განა ვინმეს დაჰკანკალებს,
 უკვე ველარ დაჰკანკალებს,
 დაკანკალებს ისე.
 აღარც ვინმე დაჰკანკალებს,
 აღარც ვინმე დასტრიალებს,
 თვალებს უბრად ატრიალებს,
 ატრიალებს ისევე.
 ატიალებს წარსულ დღეებს,
 დავინყების ღირსებს...
 გული არ აქვთ ამ ტიალებს,
 ამ ლაქუცა ღირსებს.
 შეაჯამებს დღევანდელ დღეს
 ანჯამების ყუა,
 ყრუა ჟანგი, ყრუა მტვერი,
 სიჩუმეც კი ყრუა.

თხმელის კედელს,
 კილმოდებულს,
 მოლოდინი ახრჩობს,
 ელის, როდის ჩაიხუტებს
 ძველს ახალი ჩარჩო.

ახალ ქუჩაზე

გადაიტანეს... დარდი ჩემი ახალ ქუჩაზე,
 გამარიდეს და ჩაისუნთქა გამრიგემ შვებით.
 მე რაღას ვშვები?
 დღეს ორ ქუჩაზე გაჭიმულა ტკივილი გულქვეა,
 გადაუზომავს გოჯა-გოჯა საუფლო თვისი,
 ყოფის ხალისი.
 ბედის გამრიგემ ჩაიცინა, უკვე ურიგოდ —
 დაეხსენითო, ტკეპნოს ახლა ტალახი ქუჩის,
 ყოფნის თავისი.
 გადაიტანეს დარდი ჩემი ახალ ქუჩაზე...

ესეისტიკა

ხორხე ლუის ბორხესი

შვიდი საღამო

□

**მეოთხე საღამო
გულიწმი**

ქალბატონებო და ბატონებო!

დღევანდელი ლექციის თემაა ბუდიზმი. არ ჩავუღრმავდები მის გრძელ ისტორიას, რომელიც ორნახევარი ათასი წლის წინათ დაიწყო ბენარესში, როცა ნეპალელმა უფლისწულმა სიდჰართამ ან გაუტამამ, მერე ბუდად რომ იქცა, დაჰრმას ბორბალი დაატრიალა და გამოაცხადა ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტება და მერვეჯერადი გზა. მე ვიამბობთ, რა არის მთავარი ამ, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ, რელიგიაში. ბუდიზმის ელემენტები შემონახულია ქრისტეს დაბადებამდე V საუკუნიდან, ესე იგი ჰერაკლიტეს, პითაგორესა და ზენონის ეპოქიდან დღემდე, როცა მისი განმარტება მოგვცა დოქტორმა სუძუკიმ იაპონიაში. ეს ელემენტები არ შეცვლილა. ახლა რელიგია გამსჭვალულია მითოლოგიით, ასტროლოგიით, საკვირველი რწმენებით, მაგიით, მაგრამ თემის სირთულის გამო იმით შემოვიფარგლები, რაც სხვადასხვა სექტებს აერთიანებს. ეს, შესაძლოა, შეეფერებოდეს ქინაინას, ან პატარა ეტლს. პირველყოფლისა, აღვნიშნოთ ბუდიზმის დღევანდელი მდგომარეობა.


ეს დღევანდელი მდგომარეობა, აიხსნას ისტორიულად, თუმცა ასეთი დასაბუთებანი შემთხვევითია, ან უმჯობესია, ვთქვათ, საეჭვოა, მცდარია. მე მგონი, არსებობს ორი

ძირითადი მიზეზი. პირველი — ბუდიზმის შემწყნარებლობაა. ეს საკვირველი შემწყნარებლობა ცალკეულ პერიოდებს კი არ ახასიათებს, როგორც სხვა რელიგიებშია — ბუდიზმი ყოველთვის შემწყნარებელი იყო.

ბუდიზმს არასოდეს მიუმართავს ცეცხლისა და მახვილისთვის, მათ იმედად არასდროს ყოფილა. როცა ინდოელი იმპერატორი აშოკა ბუდისტი გახდა, თავს არავისთვის არ მოუხვევია ახალი რელიგია. ბუდისტი წმინდანი შეიძლება იყოს ლუთერანელი, მეთოდისტი, პრესვიტერიანელი, კალვინისტი, სინთოისტი, დაოსი, კათოლიკე. შეიძლება იყოს ისლამის ან იუდაისტური რელიგიის მიმდევარი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. თუმცა არც ქრისტიანს, არც იუდეველს, არც მაჰმადიანს, უფლება არა აქვს, ბუდისტი იყოს.

ბუდიზმის შემწყნარებლობა მისი სისუსტე კი არ არის, არამედ მისი არსია. ბუდიზმი, პირველყოფლისა, ისაა, რასაც იოგას ვერ დავარქმევთ. რას ნიშნავს სიტყვა „იოგა“? ეს იგივე სიტყვაა, რაც „yugo“ — „უღელი“, რომლის ამოსავალია ლათინური „jugum“. უღელი, დისციპლინა, რომელსაც ემორჩილება ადამიანი. მერე, თუ გავიგებთ, ორი ათას ხუთასი წლის წინ რაზე ლაპარაკობს ბუდა ირმის ჭალაში, ბენარესში პირველ ქადაგებაში, ბუდიზმსაც ჩავწვდებით. ეგეც არ იყოს, ლაპარაკია არა იმაზე, რომ გავიგოთ, არამედ იმაზე, რომ ვიგრძნოთ ღრმად, სულითა და სხეულით ვიგრძნოთ; თან ბუდიზმი არ ცნობს არც სულისა და არც სხეულის რეალურობას, შევეცდები ამის დამტკიცებას.

კიდევ სხვა მიზეზიცაა. ბუდიზმი ბევრ რამეში ჩვენი რწმენის ხარჯზე არსებობს. რასაკვირველია, ყოველი



რელიგია რწმენის აქტს წარმოადგენს. ისევე, როგორც სამშობლო წარმოადგენს რწმენის აქტს. საკუთარი თავისთვის არაერთხელ მიკითხავს, რას ნიშნავს, იყო არგენტინელი? არგენტინელობა ნიშნავს, გრძნობდე, რომ არგენტინელი ვართ. რას ნიშნავს, იყო ბუდისტი? ბუდისტობა ნიშნავს, გესმოდეს, რადგან გაგება შეიძლება, რადენიმე წუთში მოვიდეს, ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტებისა და რვაჯერადი გზის შეგრძნება კი... ნუ ვენდობით რვაჯერადი გზის ხიფათებს, რადგან ეს ციფრი აიხსნება გაყოფისა და კიდევ გაყოფის ინდოელთა ჩვევით. მივმართოთ ოთხ კეთილშობილ ჭეშმარიტებას.

გარდა ამისა, არსებობს ლეგენდა ბუდაზე. ჩვენ შეგვიძლია, არც დავიჯეროთ ეს ლეგენდა. იაპონელი მეგობარი მყავს, ძენ-ბუდისტი, რომელთანაც დიდხანს, მეგობრულად ვკამათობ ხოლმე. ვეუბნებოდი, რომ მჯერა ბუდას ისტორიული ჭეშმარიტება. მჯერა, რომ ორნახევარი ათასი წლის წინ ცხოვრობდა ნეპალელი უფლისწული, სახელად სიდჰართა ან გაუტამა, რომელიც გახდა ბუდა, ანუ გაღვიძებული, ნათელფენილი, ჩვენგან განსხვავებით, ვისაც გვძინავს და ვხედავთ გრძელ სიზმარს — ცხოვრებას. მაგონდება ჯოისის ფრაზა: „ისტორია კომპარია, რომლისგანაც მინდა გამოვხიზლდე“. ერთი სიტყვით, სიდჰართამ ოცდაათი წლისამ გაიღვიძა და ბუდა გახდა.

ჩემს მეგობარ ბუდისტს (არა ვარ დარწმუნებული, რომ ქრისტიანი ვარ, და დარწმუნებული ვარ, რომ ბუდისტი არა ვარ) ვეკამათები და ვეუბნები: „რატომ არ უნდა გჯეროდეს უფლისწული სიდჰართასი, რომელიც დაიბადა კაპილოვასტუმი ქრისტიანულ რწმენამდე ხუთასი წლით ადრე?“ ის მპასუხობს: „იმიტომ, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, გჯეროდეს მოძღვრების“. თან დასძენს (უფრო ფანტაზიას მიჰყვება, ვიდრე ჭეშმარიტებას), რომ ბუდას ისტორიული არსებობის დაჯერება ან ამით დაინტერესება რალაციტ ჰგავს მათემატიკაში მეცადინეობისა და პითაგორას ან ნიუტონის ბიოგრაფიების აღრევას. ჩინეთსა და იაპონიაში, მონასტრებში, ბერების მედიტაციის ერთ-ერთი თემაა ბუდას არსებობაში დაეჭვება. ეს ერთ-ერთი ისეთი ეჭვია, რომელიც უნდა დასძლიონ, რომ ჭეშმარიტებას ჩასწვდნენ.

სხვა რელიგიები მნიშვნელოვანწილად და მოკიდებულნი იყვნენ რწმენის უნარზე. თუ ქრისტიანები ვართ, უნდა ვირწმუნოთ, რომ ღვთაებრივი სამებიდან ერთ-ერთი დედამიწაზე ჩამოვიდა, რათა ადამიანი გამხდარიყო და იუდეაში ჯვარს აცვეს. თუ მაჰმადიანები ვართ, უნდა ვირწმუნოთ, რომ არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა და რომ მუჰამედია მისი მოციქული. შეგვიძლია, მართლმორწმუნე ბუდისტები ვიყოთ და უარვყოთ, რომ ბუდა არსებობდა. ან სჯობს, ვთქვათ, რომ ჩვენგან მისი ისტორიული არსებობის რწმენა არ არის მნიშვნელოვანი; მთავარია, ვირწმუნოთ მოძღვრება. თუმცა ლეგენდა ბუდაზე იმდენად კარგია, რომ არ შეიძლება, არ ვცადოთ მისი მოყოლა.

ფრანგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ლეგენდებს ბუდაზე. ისინი ხელმძღვანელობენ ერთი რამით: ბუდას ცხოვრება ისაა, რაც გადახდა ერთ ადამიანს დროის მოკლე შუალედში. შეიძლებოდა, მისი ცხოვრება რალაც სახით წარმართულიყო. ბუდაზე ლეგენდა კი ანათებს და ანათლებს მილიონობით ადამიანს. ეს ლეგენდა იქცა წყაროდ უამრავი მშვენიერი სურათისა, ქანდაკე-

ბისა და პომისა. ბუდიზმი წარმოადგენს არა მხოლოდ რელიგიას, არამედ მითოლოგიას, კოსმოლოგიას, მეტაფიზიკურ სისტემას, ან სჯობს ვთქვათ, ერთმანეთის სანინა-ალმდეგო მეტაფიზიკურ სისტემათა რიგს.

ლეგენდა ბუდაზე შუქსა ჰყენს ადამიანებს, მაგრამ მისი რწმენა არ არის აუცილებელი. იაპონიაში ამტკიცებენ, ბუდა არ არსებობდა, მაგრამ იცავენ მოძღვრებას. ლეგენდა ზეცაში იწყება. ზეცაში საუკუნეთა განმავლობაში, საუკუნეთა ურიცხვ სიმრავლეში, ვილაც სრულყოფილებას იძენდა, სანამ არ გაიგო, რომ შემდგომ ხორცშესხმაში ბუდად იქცევა.

მან აირჩია კონტინენტი, რომელზეც დაიბადება. ბუდისტური კოსმოგონიით, სამყარო გაყოფილია ოთხ სამკუთხედ კონტინენტად, მის ცენტრში კი ოქროს მთაა, მერუს მთა. იგი იქ დაიბადება, სადაც ინდოეთია. აირჩია საუკუნე, როცა დაიბადება, აირჩია კასტა, აირჩია დედა. ახლა რაც შეეხება ლეგენდის მინიერ ნაწილს — იყო ერთი დედოფალი, სახელად მათა. მათა ნიშნავს „ოცნებას“. დედოფალმა ნახა სიზმარი, რომელიც ჩვენ შეიძლება, უცნაური მოგვეჩვენოს, ინდუსებს — არა.

დედოფალი იყო მეფე შუდბოდანოსის ცოლი; ერთხელ ესიზმრა თეთრი სპილო ექვსი ეშვით, რომელიც ოქროს მთებიდან ჩამოვიდა; მან უმტკივნეულოდ შეაღწია დედოფლის მარცხენა გვერდში. დედოფალმა გაიღვიძა; მეფემ ასტროლოგებს უხმო, მათ განუცხადეს, რომ დედოფალი შობს ბავშვს, იგი ან ქვეყნის მბრძანებელი გახდება ან ბუდა — ნათელფენილი, გაღვიძებული, რომელსაც უწერია ყველა ადამიანის ხსნა. წინდახედულმა მეფემ პირველი აირჩია: უნდოდა, რომ შვილი სამყაროს მბრძანებელი გამხდარიყო.

მივმართოთ ისეთ დეტალს, როგორიცაა ექვსეშვიანი თეთრი სპილო. ოლდენბერგი აღნიშნავს, რომ სპილო ინდოეთში ჩვეულებრივი შინაური ცხოველია. თეთრი ფერი ყოველთვის უმანკოების სიმბოლოა. რატომ ექვსი ეშვი? უნდა გვახსოვდეს (ისევე ისტორიას მივმართოთ), რომ რიცხვი ექვსი, ჩვენთვის რამდენადმე უჩვეულო და უნებლიეთ ალებული (ჩვენ ვარჩევდით სამს ან შვიდს), სხვაგვარად აღიქმება ინდოეთში, სადაც მიიჩნევენ, რომ არსებობს სივრცის ექვსი განზომილება: ზემოთ, ქვემოთ, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ. ექვსეშვიანი თეთრი სპილო ინდოელებს უცნაურად არ ეჩვენებათ.

მეფე თავის გრძნეულებს უხმობს, დედოფალი კი უტანჯველად აჩენს ბავშვს. ლელვის ხე ტოტებს უწვდის დასახმარებლად. ამქვეყნად მოვლენილი ვაჟი ფხზე დგება, ოთხ ნაბიჯს დგამს ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით, დასავლეთით და ლაპარაკობს ლომის ბრდღვინვისნაირი ხმით: „შეუდარებელი ვარ, ეს ჩემი ბოლო დაბადებაა“. ინდოელებს სჯერათ უამრავი წინამორბედი დაბადებები. უფლისწული იზრდება, საუკეთესო მსროლელია, საუკეთესო მხედარი, საუკეთესო მცურავი, საუკეთესო ათლეტი, საუკეთესო კალიგრაფი, ყველა ექიმში შეარცხვინა (აქ შეიძლება, გავიხსენოთ ქრისტი და ექიმები). თექვსმეტი წლისამ ცოლი შეირთო.

მამამ იცის — ასტროლოგებმა უთხრეს, — რომ ვაჟს ეშუქრება სამიშროება, ბუდა გახდება, ადამიანი, რომელიც სხვას ყველას იხსნის, თუკი შეიტყობს ოთხ რამეს: სიბერეს, ავადმყოფობას, სიკვდილსა და ასკეტიზმს. მეფე ვაჟს სასახლეში ათავსებს, ჰარემს უწყობს — ქალებს

რიცხვს არ დავასახელებ, რადგან ეს რიცხვი ამკარად გაზვიადებულია – ინდოელთა ყაიდაზე. თუმცა, რატომ არ უნდა დავასახელო: ოთხმოცდაოთხი ათასი.

უფლისწული ბედნიერად ცხოვრობს: არ იცის ამქვეყნიური ტანჯვა, უმაღავენი სიბერეს, ავადმყოფობას, სიკვდილს. დანიშნულ დღეს თავისი ეტლით გადის სწორკუთხა სასახლის ერთ-ერთი ჭიშკრიდან. ვთქვათ, ჩრდილოეთით. ცოტას გაივლის და ხედავს ადამიანს, რომელიც ყველასგან განსხვავდება, ვინც ადრე უნახავს. ნელში მოხრილია, დანაოჭებული, მელიოტი. ძლივძლივობით მიიჩნავს, ჯოხზე ეყრდნობა. უფლისწული კითხულობს, ეს ვინ არის, ადამიანიო? მეეტლე პასუხობს, ეგ ბერიცვია, მაგდენ ხანს თუ ვიცოცხლებთ, ყველანი ეგეთები ვიქნებითო.

უფლისწული სასახლეში შეძრწუნებული ბრუნდება, ექვსი დღის შემდეგ ისევ გადის სამხრეთ ჭიშკრიდან. თხრილში ხედავს კიდევ უფრო უცნაურ კაცს, კეთრისგან გათეთრებული, გატანჯული სახე აქვს. კითხულობს, ეს ვინ არის, ადამიანიო? ეს ავადმყოფია, პასუხობს მეეტლე, ყველა ეგეთები ვიქნებით, მანამდე თუ ცოცხლებმა მივალნიეთ.

კიდევ უფრო აფორიაქებული უფლისწული სასახლეში ბრუნდება. ექვსი დღის შემდეგ ისევ გადის გარეთ და ხედავს ადამიანს, რომელიც კაცს მძინარე ეგონება, მკვდრისფერი რომ არ ედოს. იგი სხვეს მიჰყავთ. უფლისწული კითხულობს, ეს ვინ არისო. მეეტლე პასუხობს, ეს მკვდარია, და ყველანი მოკვდებით, როცა საკმარისად ვიცოცხლებთო.

უფლისწული სასონარკვეთილია. სამი საშინელი ჭეშმარიტება აღმოაჩინა: სიბერის ჭეშმარიტება, ავადმყოფობის ჭეშმარიტება, სიკვდილის ჭეშმარიტება. იგი მეოთხედ გადის. ხედავს ნახევრად შიშველ ადამიანს, სახეზე სიმშვიდე გადაჰყვანია. კითხულობს, ეს ვინ არისო. პასუხობენ, ეს ასკეტია, რომელმაც ყველაფერზე უარი თქვა და მადლი მოეფინაო.

ფუფუნებაში მცხოვრები უფლისწული გადაწყვეტს, ყველაფერი მიატოვოს. ბუდიზმი ვარაუდობს, რომ ასკეტიზმი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანი ცხოვრებას იგემებს. მიუღებელია, რომ ყველაფერზე უარის თქმით უნდა დაიწყოს. ადამიანმა ცხოვრება უნდა შეიცნოს და მერე თქვას უარი მასზე.

უფლისწული გადაწყვეტს, ბუდა გახდეს. ამ მომენტში შეატყობინებენ ახალ ამბავს: მისმა მეუღლემ იაშობდაარამ ვაჟი გააჩინა. იგი წამოიძახებს: „ბორკილი გამყარდა“. ეს ვაჟია, რომელიც სიცოცხლეს მიაჯაჭვავს, ამიტომ ბავშვს ბორკილი დაარქვეს. სიღბარტა თავის ჰარემშია, უყურებს მშვენიერ ახალგაზრდა ქალებს და მათ საშინელ, კეთროვან დედაბრებად ხედავს. მიდის მეუღლის საძინებელში. ქალს სძინავს, პატარა ჰყავს ჩახუტებული. უფლისწულს უნდა, აკოცოს, მაგრამ ესმის, რომ თუ აკოცავს, ველარ შესძლებს მასთან განშორებას, და მიდის.

იგი მასწავლებლებს ეძებს. ახლა გადავდივართ ცხოვრების აღწერის იმ ნაწილზე, რომელიც შეიძლება, ნამდვილიც იყოს. რატომ წარმოუდგეს უფლისწული მონაფედ დამრიგებლებს, რომლებსაც მერე მიატოვებს? დამრიგებლები ასკეტიზმს ასწავლიან, დიდხანს იწვრთნება. ბოლოს მინდორზე ეცემა უძრავად, და ღმერთები, ოცდაათი ციდან რომ დაჰყურებენ, ფიქრობენ, მოკვდაო. ერთ-ერთი, ყველაზე ბრძენი, ამბობს: „არა, არ მომკვდარა, ბუდა იქნება“. უფლისწული გონს მოდის, ნაკადულს უახ-

ლოვდება, ცოტა საჭმელს იღებს და წმინდა ლელვის ხის ქვეშ ჯდება. შეგვიძლია, მას კანონის ხე დავარქვათ.

ხდება მაგიური ქმედება, რომლის შესაბამისობაც არის სახარებაში: დემონთან ბრძოლა. დემონის სახელია მარა. ჩვენ უკვე შეგვხვდა სიტყვა „nightmare“ – „ღამის დემონი“. დემონი სამყაროს ფლობს, მაგრამ ხიფათს გრძნობს და თავისი სასახლიდან გამოდის. მის საკრავებს სიმები დააწყდა, წყალი დაშრა წყალსაცავებში. ახლა ჯარს უყრის თავს, ჯდება, კაცმა არ იცის, რამდენი მეტრის სიმაღლის სპილოზე, ამრავლებს თავისი ხელების რიცხვს, თავის იარაღს და უფლისწულს მივარდება. უფლისწული ბინდებუნდამი ზის ცნობადის ხის ქვეშ – ხისა, რომელიც მასთან ერთად გაიზარდა.

დემონი და მისი ჯარი, რომელიც ვეფხვებისგან, ლომებისგან, აქლემებისა და ურჩხულებით მეომრებისგან შედგება, უფლისწულს ისრებს დააყრიან, მასთან მიფრენილი ისრები ყვავილებად იქცევა. ახლა ცეცხლოვან მთებს სტყორცნიან, რომლებიც ბალდახინად იქცევა და გადმოეფარება. უფლისწული მედიტაციას მისცემია, ზის უბრალოდ, გულხელდაკრეფილი. შესაძლოა იცის, რომ თავს ესხმიან. იგი ცხოვრებაზე ფიქრობს, მიაღწია ნირვანას, ხსნას. მზის ჩასვლის შემდეგ დემონი განადგურებულია. გრძელდება მედიტაციის გრძელი ღამე; მის მინურულს სიღბარტა უკვე სიღბარტა აღარ არის, იგი ბუდაა; ნირვანას მიაღწია.

გადაწყვეტს, თავისი მოძღვრება იქადაგოს. ფეხზე წამოდგება უკვე ცხოვრებული, სხვების ცხოვრების სურვილით. წარმოთქვამს ერთ ქადაგებას ბენარესში, ირმის ქალაში. მერე მეორეს – ცეცხლზე, რომელშიც, მისი სიტყვით, დაიწვება ყველაფერი: ხელები, სხეულები, ნივთები. დაახლოებით იმავე დროს ჰერაკლიტე ევესოელი ამტკიცებს, ყველაფერი ცეცხლიაო.

ბუდა რელიგია არ არის ასკეტიზმი, მისთვის ასკეტიზმი – შეცდომაა. ადამიანი მეტისმეად არ უნდა მიეცეს არც ხორციელ ცხოვრებას, რადგანაც ხორციელი ცხოვრება მდაბალია, კეთილშობილებას მოკლებული, სამარცხვინო და მწარე; არც ასკეტიზმს, რომელიც ასევე მოკლებულია კეთილშობილებას და მწარეა. იგი ქადაგებს ზომიერ ცხოვრებას, თუკი მიყვებით თეოლოგიურ ტერმინოლოგიას, უკვე ნირვანას მიღწეული ცხოვრობს ორმოც ნელზე მეტს, და ეს ნლები ქადაგებას მიუძღვნა. შეეძლო უკვდავი გამხდარიყო, მაგრამ თვითონ ირჩევს სიკვდილის ჟამს, როცა უკვე ბევრ მონაფეს შეიძენს.

კვდება მჭედლის სახლში – მოსწავლეები ახვევია გარს. ისინი უნწყემოდ არიან. რაღა ჰქნან უიმისოდ? ბუდა ეუბნებათ, მე არ ვარსებობ, მე თქვენნაირი ადამიანი ვარ, ეგეთივე არარეალური და ეგეთივე მოკვდავი, და ჩემს მოძღვრებას გიტოვებთო. აქ დიდი სხვაობაა ქრისტესთან, რომელმაც მონაფეებს უთხრა, ორი თქვენგანი თუ შეხვდება, მესამე მე ვიქნებიო. ბუდა პირიქით, მონაფეებს ეუბნება: „თქვენ გიტოვებთ ჩემს მოძღვრებას“. მამასადამე პირველ ქადაგებაში ბორბალი აამოძრავა. მერე მოდის ბუდიზმის განვითარება. მას მრავალრიცხოვანი ფორმები აქვს: ლამაიზმი, მაგიური ბუდიზმი, მაჰაიანა ან დიდი ეტლი, რომელიც მიჰყვება ქინაიანას, ან პატარა ეტლს – იაპონური ძენ-ბუდიზმი.

ჩემი აზრით, არსებობს ორი ბუდიზმი, ერთი შეხედვით, თითქმის ერთნაირი: ის, რაც ჩინეთსა და იაპონიაშია – ძენ-

ბუდიზმია; ყველა დანარჩენი მითოლოგიური გამოსახულებანი, ლეგენდები. ზოგიერთი ლეგენდა საინტერესოა. ცნობილია, რომ ბუდას შეეძლო სასწაულების მოხდენა, მაგრამ ისევე, როგორც იესო ქრისტეს, არ უყვარდა სასწაულთა, არ მოსწონდა მათი მოხდენა. ეს იაფფასიან კვებნად მიაჩნდა. გვიამბობთ ერთ ამბავს სანდალოზის თასზე.

ერთხელ ერთ ჩინურ ქალაქში ვაჭარმა ბრძანა, სანდალოზისგან თასი გამოეკვეთათ. თასი რამდენიმე ბამბუკის ტანის სიმალეზე მოათავსა, ძალიან მაღალ, გასაპნულ ქოკზე. პირობა დადო, ამ თასს იმას მივცემ, ვინც ჩამოლებას შეძლებსო. სწავლული ერეტიკოსები ამოდ ცდილობენ თასამდე მიღწევას. სურთ ვაჭარი მოისყიდონ და ათქმევინონ, მიაღწიეთო. ვაჭარი უარზე დგას – ამ დროს მოდის ბუდას უმცროსი მონაფე. მისი სახელი არსად არ არის ნახსენები ამ ეპიზოდის გარდა. მონაფე ჰაერში ადის, ექვსჯერ შემოუფრენს თასს, აიღებს და ვაჭარს გადასცემს. როცა ბუდა ამ ამბავს გაიგებს, ბრძანებს მონაფის განდევნას, რაკილა მან ასეთ უღირს საქმეს მოჰკიდა ხელი.

მაგრამ თვითონ ბუდაც ახდენდა სასწაულებს. გავიხსენოთ, მაგალითად, თავაზიანობის სასწაული. ბუდას უდაბნო უნდა გადაევიღო შუადღისას. ღმერთებმა ოცდაცამეტივე ციდან ჩამოუგდეს თითო ნაგლეჯი ჩრდილი. ბუდამ, არცერთი ღმერთისათვის რომ არ ეწყენინებინა, ოცდაცამეტი ბუდის სახე მიიღო, ისე, რომ თითოეული ღმერთი ზემოდან თავის ჩაგდებულ ჩრდილში შეფარებულ ბუდას ხედავდა.

ბუდას საქმეებს შორის შესანიშნავია ისრის პარაბოლა. ერთი კაცი ბრძოლაში დაიჭრა და არა სურს, რომ ჭრილობიდან ისარი ამოულონ. ჯერ მშვილდოსნის სახელს გაიგებს, გაარკვევს, რომელ კასტას ეკუთვნის იგი, რისგანაა გაკეთებული ისარი, სად იდგა მშვილდოსანი, როგორია ისრის სიგრძე. ვიდრე ამ საკითხებზე მსჯელობენ, კაცი კვდება. „მე კი ისრის ამოღებას ვასწავლი“, – ამბობს ბუდა. რა არის ისარი? ეს სამყაროა. ისარი არის „მე“-ს იდეა, ყველაფრისა, რაც ჩვენშია. ბუდა ამბობს, რომ უსარგებლო კითხვებზე დრო არ უნდა დავკარგოთ. მაგალითად, სამყარო სასრულია თუ უსასრულო? ნირვანას შემდეგ ბუდა იცოცხლებს თუ არა? ეს ყველაფერი უსარგებლოა, მთავარია, ისარი ამოვადროთ, ლაპარაკია ავსულობა განდევნაზე, ხსნის რელიგიაზე.

ბუდა ამბობს: „როგორც ოკეანის წყალსა აქვს მხოლოდ ერთი გემო – მარილის გემო, ისევე ერთადერთი გემო აქვს ჩემს მოძღვრებას – ხსნის გემო“. რელიგია, რომელსაც იგი ასწავლის, უზარმაზარია, ზღვასავით, მაგრამ მხოლოდ ერთი გემო აქვს – ხსნის გემო. რასაკვირველია, მისმდეველები იკარგებიან (თუმცა შეიძლება ბევრს პოულობენ) მეტაფიზიკურ დისკუსიებში.



ბუდა

ბუდიზმის მიზანი ეს არ არის. ბუდისტმა შეიძლება ნებისმიერ რელიგიას მისდიოს და დარჩეს ბუდიზმის მიმდევრად. მნიშვნელოვანია ხსნა და ოთხი კეთილშობილური ჭეშმარიტება: ტანჯვა, ტანჯვის წყარო, განკურნება და განკურნების გზა. ბოლოს მიიღწევა ნირვანა.

ჭეშმარიტებათა რიგს არა აქვს მნიშვნელობა. არის მოსაზრება, რომ ისინი შეესაბამება ანტიკურ სამედიცინო ტრადიციას: ავადმყოფობა, დიაგნოზი, მკურნალობა და გამოჯანმრთელება. გამოჯანმრთელება ამ შემთხვევაში — ნირვანაა.

ახლა გადავვივართ ყველაზე ძნელ საქმეზე. იმაზე, რის თავიდან აცილებასაც ცდილობს ჩვენი დასავლური გონება. გარდასახვაზე, რომელიც ჩვენთვის, პირველყოვლისა, პოეტური იდეაა. გადასახლება არა სული (ბუდიზმი უარყოფს სულის არსებობას), არამედ კარმა, რომელიც მენტალური ორგანიზმის ბედს ნარმოადგენს და უამრავჯერ გარდაისახება. ეს იდეა ახასიათებს ბევრ მოაზროვნეს, პირველყოვლისა, პითაგორეს. პითაგორემ იცნო ფარი, რომელიც ხელში ეჭირა, როცა ტროას ომში სხვა სახელით იბრძოდა. „სახელმწიფოს“ მეათე ტომში პლატონმა გადმოსცა ერას სიზმარი. ეს ჯარისკაცი ხედავს სულებს, რომლებიც, ვიდრე დავინწყების მდინარიდან დაღვედნენ წყალს, ბედს ირჩევენ. აგამემნონს სურს, არწივი იყოს, ორფეოსს – გედი, ულისეს კი, რომელიც ხანდახან საკუთარ თავს არავის უწოდებს – კაცთა შორის ყველაზე თავმდაბალი და ყველაზე ცნობილი ადამიანი.

ემპედოკლეს აკრავანტიდან აქვს ფრაგმენტი, სადაც იხსენებს თავის წინარე ცხოვრებებს: „ვიყავი ქალიშვილი, ვიყავი ტოტი, ვიყავი ირემი და ვიყავი მუნჯი თევზი, რომელიც ზღვიდან ამოჰყოფს ხოლმე თავს“. ცეზარს ეს დრუიდების მოძღვრებად მიაჩნია. კელტი პოეტი ტალიესენი ამბობს, რომ არ არის ფორმა სამყაროში, რომელსაც არ მივიღებდით: „ვიყავი მხედართმთავარი, ვიყავი შური ხელში, ვიყავი წერტილი, რომელზეც სამოცი მდინარე გადის, წყლის ქაფად გადავქცეულვარ, ვიყავი ვარსკვლავი, ვიყავი შუქი, ხე, სიტყვა ნიგნში, ნიგნი“. დარიოს აქვს ლექსი, შესაძლოა, ყველაზე ლამაზი მათგან, რომელიც ასე იწყება: „ვიყავი ჯარისკაცი, რომელსაც დედოფალი კლეოპატრას სარეცელზე ეძინა“.

გარდასახვას ლიტერატურაში დიდი ადგილი უკავია. ამ თემას მისტიკოსებთანაც ვხვდებით. პლოტინი შენიშნავს, რომ ერთი ცხოვრებიდან მეორეში გადასვლა იგივეა, რაც სხვადასხვა სარეცელზე წოლა სხვადასხვა მოსასვენებელში. ჩემი აზრით, ყველა ჰქონია ოდესმე შეგრძნება, რომ მსგავსი მომენტი წინა ცხოვრებაშიც განუცდია, დანტი გაბრიელ როსეტის მშვენიერ ლექსში „უეცარი

შუქი“ არის სიტყვები: „აქ ადრეც ვყოფილვარ“. იგი მიმართავს ქალს, რომელიც მას ეკუთვნოდა, ან მისი კუთვნილება იქნება და ამბობს: „შენ უკვე იყავი ჩემი უამრავჯერ და უსასრულოდ ჩემი იქნები“. ამას მივყავართ ბუდიზმთან დაახლოებული ციკლების თეორიასთან. იგი ავგუსტინემ უარყო ნაშრომში „უფლის ქალაქის გამო“, რადგანაც სტოიკოსებისა და პითაგორელებისთვის ცნობილი იყო სამყაროს ინდუსიტური თეორია, რომელიც შედგებოდა უთვალავი ციკლისაგან, კალპათი რომ იზღუდებოდა. კალპა ადამიანური წარმოსახვის მიღმა. წარმოვიდგინოთ თექვსმეტი მილი სიმალის რკინის კედელი. ყოველ ექვსას წელიწადში ერთხელ ანგელოზი მას უნატიფესი ბენარესული ქსოვილით წმენდს, როცა ქსოვილი თექვსმეტიმილიანი სიმალის კედელს განწმენდს, ჩაივლის კალპას პირველი დღე, და ღმერთებიც ცოცხლები არიან, ვიდრე გრძელდება კალპა, მერე კი კვდებიან.

სამყაროს ისტორია დაყოფილია ციკლებად, ამ ციკლებში კი არის წყვილადის პერიოდი, რომლებშიც ან არაფერი არაა, ან რჩება მხოლოდ ვედების სიტყვა. ეს სიტყვები არქეტიპებია და ნივთების შესაქმნელად განკუთვნილი. ლეთიური ბრამაც კვდება და ისევ იბადება. გულისამაჩუყებელია მომენტი, როცა ბრამა თავის სასახლეში აღმოჩნდება. იგი ხელახლა დაიბადა ერთ-ერთი კალპის შემდეგ, ერთ-ერთი მარცხის შემდეგ. ცარიელ ოთახებში დადის, სხვა ღმერთებზე ფიქრობს. სხვა ღმერთები ჩნდებიან მისი ბრძანებით და ფიქრობენ, ბრამამ შეგვექმნაო, რადგან აქ ადრეც იყვნენ.

შევეჩერდეთ სამყაროს ისტორიის ამგვარ ხედვაზე. ბუდიზმში არ არის ღმერთი ან შესაძლოა იყოს ღმერთი, მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარია ჩვენი რწმენა, რომ ჩვენს ბედს კარმა განსაზღვრავს. თუკი მე წილად მხვდა ბუენოს-აირესში დავბადებუდიყავი 1899 წელს, თუკი მომინია, დავბრძავებუდიყავი, თუკი მომინია, თქვენს წინაშე ლექცია წამეკითხა ამ საღამოს, – ეს ყველაფერი ჩემი წინა ცხოვრების მოქმედებაა. არ არის არც ერთი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში, რაც არ იქნებოდა წინასწარ-განსაზღვრული წინა ცხოვრებით. აი, ამას ჰქვია კარმა. როგორც უკვე ვთქვი, კარმა მენტალური სტრუქტურაა, უფაქიზესი მენტალური სტრუქტურა.

ჩვენ შებოჭილები და ურთიერთდაკავშირებულები ვართ ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ წუთს. გვბოჭავს არა მარტო ჩვენი ნება, ჩვენი ქმედებანი, ჩვენი ნახევარსიზმრები-ნახევრადუძილობა, ჩვენი სიზმარი – ყოველთვის კარმათი ვართ შებოჭილები. როცა მოკვდებით, დაიბადება ახალი არსება, რომელიც ჩვენს კარმას მიიღებს მემკვიდრეობით.

დეისენი, შოპენჰაუერის მოწაფე, რომელსაც ასე მოსწონდა ბუდიზმი, ჰყვებოდა, როგორ შეხვდა ინდოეთში ბრმა მათხოვარი, ვისაც უთანაგრძნო. ბრმამ უპასუხა: „თუკი ბრმად დავიბადე, ეს წინა ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვებისთვის დამემართა; სამართლიანია, რომ დავბრმავდი“. ადამიანები იღებენ ტკივილს. განდი საავადმყოფოების გახსნის წინააღმდეგი იყო, ამბობდა, რომ საავადმყოფოები და ქველმოქმედება უბრალოდ, აჭიანურებდა ვალების გასტუმრებას, რომ არ ღირს ტანჯულთა დახმარება, ისინი უნდა იტანჯონ და ცოდვები გამოისყიდონ, განუთლი დახმარება კი გამოსყიდვას აყოვნებს.

კარმა – მკაცრი კანონია, მაგრამ აქვს საინტერესო მათემატიკური მიმდევრობა: თუ ჩემი ახლანდელი ცხოვრება

მთლიანად განსაზღვრულია წინა ცხოვრებით, მაშინ ის, წინა, მთლიანად განსაზღვრულია კიდევ უფრო წინა ცხოვრებით, ეს – კიდევ ერთით და ასე უსასრულოდ. ესე იგი, ასო Z განისაზღვრება ასოთი y; y – ასოთი x; x – ასოთი v; v – ასოთი u, ოღონდ ამ ალფავიტს აქვს დასასრული, და არ გააჩნია დასაწყისი. ბუდისტებსა და ინდუსებს საერთოდ სჯერათ უსასრულობის არსებობა; ისინი მიიჩნევენ, რომ მიმდინარე მომენტამდე უკვე უსასრულო დრო გავიდა, და როცა ვამბობ, „უსასრულო“, არ მინდა ვთქვა „განუსაზღვრელი“, „უამრავი“, მინდა ვთქვა სწორედ „უსასრულო“.

ექვსი ბედისგან, რომლებიც ხვდება წილად ადამიანებს (შეიძლება გახდეს სული, მცენარე, ცხოველი), ყველაზე ძნელია ადამიანად ყოფნა, და ეს უნდა გამოვიყენოთ, რათა ხსნას მივალწით.

ბუდა წარმოიდგენს კუს ზღვის ფსკერზე და წყალზე მცურავ სამყაროს. ექვსას წელიწადში ერთხელ კუ თავს გამოჰყოფს, ძალიან იშვიათად მისი თავი სამაჯურში შედის. და ბუდა ამბობს: „არა უფრო ხშირად, ვიდრე კუსა და სამაჯურთან დაკავშირებით, ხდება ის, რომ ადამიანებად ვიქცევით. უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ადამიანური ყოფა ნირვანის მისაღწევად“.

როგორია მიზეზი ტანჯვისა, მიზეზი ცხოვრებისა, თუ უარი ითქვა ღმერთის იდეაზე, თუ არ არსებობს სახე ღმერთისა, რომელმაც შექმნა სამყარო? ბუდა ამას ძენს უწოდებს. სიტყვა „ძენ“ შეიძლება უცნაური მოგეჩვენოთ, მაგრამ მოდი შევადართო ჩვენთვის ცნობილ სიტყვებს.

გავიხსენოთ, მაგალითად, შოპენჰაუერის ნება. შოპენჰაუერი ჩასწვდა ქვეყნიერებას, როგორც ნებას და წარმოდგენას – „Die Welt als Wille und Vorstellung“. არსებობს ნება, რომელიც განსახიერებულია თითოეულ ჩვენგანში და შეადგენს წარმოდგენას სამყაროზე. ასევე ხვდებით სხვა ფილოსოფოსებს სხვა სახელწოდებებით. ბერგსონი ლაპარაკობს ცხოვრებისეულ აღმავლენაზე, elen vital, ბერნარდ შოუ – ცხოვრებისეულ ძალაზე, life force, რაც ერთი და იგივეა. მაგრამ არის სხვაობაც: ბერგსონისა და შოუს ელან ვიტალ – ესაა ძალა, რომელიც უნდა გამოჩნდეს; ჩვენ უნდა ვიფიქროთ სამყაროზე, შევექმნათ სამყარო. შოპენჰაუერისთვის, პირქუში შოპენჰაუერისთვის, და ბუდასთვის სამყარო – ეს სიზმარია, ჩვენ უნდა შევწყვიტოთ მასზე ფიქრი, შიგნით შეღწევა კი შეგვიძლია გრძელი სავარჯიშოების გზით. თავიდან არსებობს ტანჯვა, რომელიც უნდა გადაიქცეს ძენად. ძენი ქმნის ცხოვრებას და ეს ცხოვრება გარდაუვლად უბედურია. მაგრამ რას ნიშნავს ცხოვრება? ცხოვრება ნიშნავს დაიბადო, დაბერდე, იავადმყოფო, მოკვდე, რომ აღარაფერი ვთქვა სხვა სიმწარეებზე, რომელთა შორის ძალზე საგრძნობია, ბუდასთვის ყველაზე მეტად საგრძნობია, – არ იყო იმათთან ერთად, ვინც გვიყვარს.

ვენებაზე უარი უნდა ვთქვათ. ადამიანი, რომელმაც თვითმკვლელობა ჩაიდინა, სამუდამოდ სიზმრების სამყაროში რჩება. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ სამყარო – ესაა ხილვა, სიზმარი; რომ ცხოვრება სიზმარია. მაგრამ ეს ღრმად უნდა ვიგრძნოთ, მივალწით მედიტაციებში ვარჯიშით. ბუდისტურ მონასტრებში ერთ-ერთი სავარჯიშო ასეთია: მოწაფემ უნდა იცხოვროს და თან გამოუდგებოთ განსჯას მიეცეს. უნდა იფიქროს: „ახლა შუადღეა, ახლა ეზოზე გადავიდვარ, ახლა მასწავლებელს შევხვდები“, –

ამავე დროს უნდა იფიქროს, რომ შუაღლე, ეზო და მასწავლებელი არარეალურები არიან, ისეთივე არარეალურნი, როგორც თვითონ და მისი განსჯა, ვინაიდან ბუდიზმი უარყოფს „მე“-ს.

ერთ-ერთი ძირითადი დასაძლველი ილუზიაა „მე“-ს დაძლევა. ბუდიზმი, ამგვარად ემთხვევა იუმის, შოპენჰაუერის, ჩვენი მასედონიო ფერნანდესის მოძღვრებას. არ არსებობს სუბიექტი, არსებობს მენტალური მდგომარეობანი. თუკი ვამბობ „მე ვფიქრობ“, შეცდომა მომდის, რადგან ვვარაუდობ მუდმივ სუბიექტს და შემდეგ ამ სუბიექტის მუშაობას, როგორცაა აზროვნება. ეს ასე არ არის. უნდა ითქვას, მიუთითებს იუმი, არა „ვფიქრობ“, არამედ „ჩნდება ფიქრი“, როგორც ამბობენ „თენდება“. როცა ვამბობთ „თენდება“, არ ვგულისხმობთ, რომ სინათლე მოქმედებს, არა, უბრალოდ, რაღაც ხდება. ზუსტად ისევე, როგორც ამბობენ „ცხელა“, „ცივა“, „თენდება“, უნდა ისე ვთქვათ, რომ თავი ავარიდოთ სუბიექტს, „ჩნდება ფიქრი“, „ჩნდება ტანჯვა“.

ბუდიისტურ მონასტრებში მონაფეები მკაცრ დისციპლინას ემორჩილებიან. მათ შეუძლიათ ნებისმიერ წუთს, როცა ნებავთ, მიატოვონ მონასტერი, მათი სახელებიც კი არ არის ჩანერილი – როგორც მარია კოდამამ მითხრა. მონასტერში მისული ახალბედა მძიმე შრომას უნდა ეწეოდეს. იგი იძინებს, თხოთმეტი წუთის შემდეგ აღვიძებენ; უნდა დაგავოს, იატაკი მორეცხოს; თუ დაიძინებს, ფიზიკურად სჯიან. გამუდმებით უნდა ფიქრობდეს არა საკუთარ ცოდვებზე, არამედ ყოველივეს არარეალურობაზე. გამუდმებით უნდა ვარჯიშობდეს, წარმოიდგინოს არარეალურობა.

ახლა გადავიდეთ ძენ-ბუდიზმსა და ბოდხიდხარმაზე. ბოდხიდხარმა იყო პირველი მისიონერი VI საუკუნეში. ბოდხიდხარმა ინდოეთიდან ჩინეთში გადავიდა და მიიღო იმპერატორმა, რომელიც მხარა უჭერდა ბუდიზმს, ქმნიდა ახალ მონასტრებსა და წმინდა ადგილებს. მან ბოდხიდხარმას შეატყობინა, ბუდიზმი ბერების რიცხვი იზრდება. იმან უპასუხა: „ყველაფერი, რაც სამყაროს ეკუთვნის – ილუზიაა, მონასტერი და ბერები ისევე არარეალურია, როგორც მე და შენ“. შემდეგ კედლისკენ მიბრუნდა და მედიტაციას შეუდგა.

მოძღვრება იაპონიას აღწევს და სხვადასხვა სექტებად იყოფა. მათგან ყველაზე ცნობილია ძენი. ძენში ნაპოვნია ნათელთან ზიარების საშუალება. იგი მრავალწლიანი მედიტაციის შემდეგ მოქმედებს. ნათელთან ზიარება უეცრად დგება, იქამდე სილოგიზმებით ვერ მიხვალ. ადამიანმა უეცრად უნდა მიაღწიოს ჭეშმარიტებას. ხერხს ჰქვია სატორი და წარმოადგენს უეცარ ქმედებას, რომელსაც ლოგიკასთან საერთო არაფერი აქვს.

ჩვენ ყოველთვის ასეთი ტერმინებით ვმსჯელობთ: „სუბიექტი“, „ობიექტი“, „მიზეზი“, „შედეგი“, „ლოგიკური“, „ალოგიკური“, „რაღაც და მისი სანინალმდეგო“; ამ კატეგორიების საზღვარს უნდა გავცდეთ. ძენის თეორეტიკოსთა თანახმად, ჭეშმარიტება მიიღწევა უეცარი გასხვივონებით, ლოგიკას მოკლებული პასუხით, მონაფე ეკითხება მასწავლებელს, ვინ არის ბუდა? მასწავლებელი პასუხობს: „პიკარისი ბალია“. პასუხი იმდენად ალოგიკურია, რომ შეიძლება ჭეშმარიტება გავაღვიძოთ. მონაფე კითხულობს: რატომ მოვიდა ბოდხიდხარმა დასავლეთიდან? მასწავლებელი პასუხობს, მაგალითად:

„სამი ფუნტი სელი“. ეს პასუხი არ შეიცავს ალეგორიულ აზრს, ეს უაზრო პასუხია, რომელსაც შეუძლია უეცრად ინტუიციის გაღვივება. ეს შეიძლება დარტყმა იყოს. მონაფე რალაცას კითხულობს, მასწავლებელი კი დარტყმით პასუხობს. არსებობს ამბავი რომელიც, რასაკვირველია, ლეგენდარულია, ბოდხიდხარმას ამბავი.

ბოდხიდხარმას ახლავს მონაფე, რომელიც კითხვებს უსვამს, ბოდხიდხარმა კი არასოდეს პასუხობს. მონაფე მედიტაციას ცდილობს, გარკვეული დროის შემდეგ მარცხენა ხელი მოიკვეთა და მასწავლებელს წარუდგინა, როგორც იმის დასტური, რომ მისი მონაფეობა სურს. თავისი ჩანაფიქრის დასტურად განზრახ დაისახინრა თავი. მასწავლებელმა ყურადღება არ მიაქცია მის საქციელს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მართლაც ფიზიკური, ილუზორული იყო, და ჰკითხა: „რა გინდა?“ მონაფემ უპასუხა: „დიხანს ვეძებდი ჩემს გონებას და ვერ ვიპოვე“. მასწავლებელმა უთხრა: „იმიტომ ვერ იპოვე, რომ არ არსებობს“. მაშინ მონაფე ჩასწვდა ჭეშმარიტებას, გაიგო, რომ არ არსებობს „მე“, რომ ყველაფერი არარეალურია. აქ ჩვენს წინაშე მეტ-ნაკლებად წარმოდგება ის, რაც მთავარია ბუდიზმში.

ძალიან ძნელია განმარტო რამე, განსაკუთრებით ის რელიგია, რომლის აღმსარებელიც არა ხარ. მე მგონი, მნიშვნელოვანია, წარმოიდგინო ბუდიზმი არა როგორც ლეგენდების კრებული, არამედ როგორც დისციპლინა; დისციპლინა, რომელიც ჩემთვის მისაწვდომია, რომელიც არ მოითხოვს ასკეტიზმს. იგი ნებას გვაძლევს, უარი არ ვთქვათ ხორციელ ცხოვრებაზე. ჩვენგან მოითხოვენ მედიტაციას; მედიტაციას არა ჩადენილ ცოდვებზე, არამედ ჩვენს ჩავლილ ცხოვრებაზე.

ძენ-ბუდიზმში მედიტაციისთვის ერთ-ერთი თემაა ის, რომ ჩვენი ჩავლილი ცხოვრება ილუზორული იყო. მე რომ ბუდიზმი ბერი ვიყო, ვიფიქრებდი, რომ მხოლოდ ახლა ვიწყებ ცხოვრებას, რომ ბორხესის უწინდელი ცხოვრება სიზმარია, რომ სამყაროს მთელი ისტორია სიზმარი იყო. ინტელექტური რიგის სავარჯიშოების სახით ჩვენ ვთავისუფლდებით ძენისგან. ერთხელ, როცა მივხვდებით, რომ „მე“ არ არსებობს, აღარ ვიფიქრებთ, რომ „მე“ ბედნიერი უნდა იყოს, ან რომ ჩვენი ვალია, იგი ბედნიერი გავხადოთ. სიმშვიდეს ვაღწევთ. ამით არ მინდა ვთქვა, რომ ნირვანა განსჯის ტოლია; ამის დასტური კი ძვეს ბუდას ლეგენდაში. ბუდამ წმინდა ლელვის ხის ქვეშ მიიღწია ნირვანას; და მაინც, განაგრძო ცხოვრება, მრავალი წლის განმავლობაში ქადაგებდა თავის რწმენას.

რას ნიშნავს ნირვანას მიღწევა? ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ ჩვენს ქმედებას ჩრდილი აღარ ახლავს. ვიდრე ამქვეყნად ვართ, კარმას ვექვემდებარებით. ჩვენი თითოეული ქმედება განისაზღვრება მენტალური სტრუქტურით, რომელსაც კარმა ეწოდება. როცა ნირვანას ვაღწევთ, ჩვენს ქმედებას ჩრდილი აღარ ახლავს, თავისუფლები ვართ. წმინდა ავგუსტინე ამბობდა, რომ როცა ხსნას ვაღწევთ, აღარ გვჭირდება სიკეთესა და ბოროტებაზე ფიქრი. სიკეთეს ვაკეთებთ ისე, რომ ამაზე არ ვფიქრობთ.

რა არის ნირვანა? დასავლეთში ბუდიზმი მნიშვნელოვანწილად ამ ლამაზი სიტყვით იქცევა ყურადღებას. შეუძლებელი ჩანს, რომ სიტყვა „ნირვანა“ რამე ძვირფასს არ შეიცავს. სიტყვა-სიტყვით რა არის ნირვანა? განადგურება,

ჩაქრობა. მიჩნეულია, რომ როცა ვინმე ნირვანას აღწევს, იგი ქრება. მაგრამ როცა ადამიანი კვდება, აღსრულდება დიადი გადასვლა ნირვანაში, განადგურება. ერთი ავსტრიელი აღმოსავლეთმცოდნე აღნიშნავს, რომ პირიქით, ბუდა თავისი დროის ფიზიკას იყენებს, და რომ განადგურების იდეა მაშინ უფრო სხვანაირი იყო, ვიდრე ამჟამად: რაკი გულისხმობდნენ ცეცხლს, ლაპარაკი იყო ჩაქრობაზე და არა გაქრობაზე. მიაჩნდათ, რომ ალი აგრძელებდა სიცოცხლეს, რომ იგი სხვა მდგომარეობაში გადადიოდა და სიტყვა „ნირვანა“ არ ნიშნავდა გარდაუვალ განადგურებას. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სხვა, ჩვენთვის მიუწვდომელი გზით მივიღივართ. საერთოდ მისტიკოსთა მეტაფორები ნიშანდობლივია, მაგრამ ბუდისტების მეტაფორები მათგან განსხვავდება. როცა ნირვანაზე ლაპარაკი, არ საუბრობენ ნირვანას დანაშაულზე, ან ნირვანას ვარდზე, ან ნირვანას ხვე-

ნაზე. მას ადარებენ, ვთქვათ, კუნძულს. საიმედო კუნძულს გრიგალებში. ადარებენ მაღალ კოშკს, ბალს, რაღაც ისეთს, რაც ჩვენს გარეშე არსებობს.

ის, რასაც ვიამბობთ, ფრაგმენტულია. უგზურება იქნებოდა ვარაუდი, რომ მოძღვრება, რომელსაც ამდენი წელი მივუძღვენი, – და რომელზეც ბევრი ვერაფერი გავიგე, – შეიძლებოდა, სამუზეუმო ექსპონატად წარმოდგენილიყო. ჩემთვის ბუდიზმი არ არის სამუზეუმო ნივთი – ესაა გზა ხსნიკენ, ჩემთვის კი არა – მილიონობით ადამიანისთვის. ეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა, და ვიმედოვნებ, ჯეროვანი ღრმა პატივისცემა გამოვიჩინე ამ საღამოს ლექციის კითხვისას.

თარგმნა
ნიკო ქაჯაია

წუთები და წლები

ზურაბ მარშანია

თბილისში აყვავებული ვარდები და ნაჩუქარი სიცოცხლე

შინმოუსვლელო სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა? სად ლპება შენი ქოჩორი, თვალი სად ამოგიღამდა?

გოგლა ლეონიძის 1942 წელს დაწერილი ბრწყინვალე სტრიქონებმა და 2009 წლის 27 ნოემბერს, ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ გამოქვეყნებულმა შესანიშნავმა ნარკვევმა — „თბილისში ვარდი აყვავდა“ — მიზიდავს ამ მცირე ესეის დასაწერად.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული ნარკვევის ავტორის გვარი ვერსად ვიპოვნე. მით უფრო მაღლიერი ვარ ჟურნალისა და მისი მთავარი რედაქტორის. „ჩვენი მწერლობის“ ყოველი ახალი ნომერი ჭეშმარიტი საგანძურია, რომლის მარგალიტებს შორისაც გამოკრთა ნარკვევი „თბილისში ვარდი აყვავდა“.

ეს ნარკვევი ახალ ეპოქაში ჩვენი ერის არნახულ ტრაგედიას — 1942 წლის ქერჩის დესანტის კატასტროფას — მიეძღვნა. სამართლიანად ბრძანებს ავტორი, საბჭოთა მონაცემებით 176 ათასზე მეტი საბჭოთა მეომარი და, მათ შორის, უამრავი ქართველი დაიღუპა მაისის იმ დაწყევლილ დღეებში ქერჩში.

სამწუხაროდ, საბჭოთა საომარი სტატისტიკა თითქმის ყოველთვის ამცირებს თავისი მხრიდან დაღუპულთა რიცხვს, მითუმეტეს მეორე მსოფლიო ომის იმ მრავალრიცხოვან ბრძოლებში, სადაც წითელმა არმიამ სასტიკი მარცხი იწვნია.

დაუდასტურებელი, მაგრამ საკმაოდ სარწმუნო მონაცემებით, 1942 წლის მაისში ქერჩში 100 ათასამდე მარტო ქართველი მეომარი დაიღუპა!

ამ უბედურებამ არც ჩემ ოჯახს აუარა გვერდი. ქერჩში მოკლეს ბიძაჩემი. ასევე ქერჩის ნახევარკუნძულზე შავი ზღვის წყლებსა, ფეოდოსიის მახლობლად თუ აჯიმიუშკაის გამოქვაბულებში დაიკარგა უგზოუკვლოდ ჩემი მეუღლის ბიძაც. მათი საფლავები დღესაც უცნობია. თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, გოგლა ლეონიძის ლექსი არა მარტო მათ, არამედ ათასწლეულთა განმავლობაში უთვალავ ბრძოლებში დაღუპულ ყველა ქართველ მეომარს ეძღვნება.

შეიძლება ვილაყამ იკითხოს, რამდენად გამართლებულია საბჭოთა ჯარში დაღუპულთა გაიგივება ეროვნულ გამირებთან, მათ ხომ საქართველოსთვის არ უომიათო?

მართალია, მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველები საბჭოთა ჯარში იბრძოდნენ, მაგრამ ომობდნენ ზუსტად ისე, როგორც ათასწლეულთა მათი წინაპრები, ისე როგორც 1992-93 წლებსა და 2008 წლის აგვისტოში ომობდნენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მათი შვილიშვილები და შვილთა შვილიშვილები.

ქართველები იბრძოდნენ და იღუპებოდნენ ისე, როგორც ვაჟკაცებს შეეფერება. ისინი სიკვდილს ყოველთვის თვალეში უყურებდნენ. ზუსტად ისე, როგორც დემეტრე თავდადებული, ლუარსაბ მეორე, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქნის ერისთავები. ისე როგორც თვალეში შეხედეს სიკვდილს და გამირულად აღესრულენ აფხაზეთში ჟიული შარტავა და მამია ალასანია. ისე როგორც დაიღუპა გურამ გაბესკირია, რომელმაც აფხაზეთის წინადადებაზე — „დაიჩოქე და ცოცხალს დაგტოვებთო“ — არჩევანი ღირსეული სიკვდილის სასარგებლოდ გააკეთა.

დიდ ქართველთა დარად უშიშრად შეხედა სიკვდილს თავლებში 2008 წლის აგვისტოს და დაეცა ბრძოლის ველზე ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი ერეკლე ყულოშვილი.

ბოლო ომები მოუშუშებელ იარაღ დააჩნდა ჩემ გულს და არამარტო იმიტომ, ჩვენთვის ნარუმატებლობით რომ დასრულდნენ. თითოეული ჩემი თანამემამულის სიკვდილით ამ ომებში მეც ვკვდებოდი მათთან ერთად. თუმცა ცოცხალი დავრჩი!

ნათქვამია, სიცოცხლის ბოძება და წართმევა მხოლოდ უფალს შეუძლიაო. ამ ჭეშმარიტებასთან ნამდვილად ვერ ვიდავებ, მაგრამ სიცოცხლის ბოძებასთან დაკავშირებით მაინც ჩემი აზრი გამაჩნია, ვინაიდან 1992-93 წლებში პირადად მე ორჯერ მაჩუქეს სიცოცხლე.

გაგრის ტრაგედია ახლოვდებოდა. თბილისიდან სასწრაფოდ იგზავნებოდა აფხაზეთში მამული საბრძოლო ქვედანაყოფები. ერთ-ერთის — ბატალიონ “ორბის” — დისლოკაციის ადგილი თბილისის უნივერსიტეტის ძველი კორპუსი იყო. ვიცოდი, რომ ბიჭები რამდენიმე დღეში მიემგზავრებოდნენ გაგრამში.

იმხანად თითქმის ორმოცი წელი მისრულდებოდა. “ორბის” მეზრდოლთა უმრავლესობას კი სულ ახალგაზრდები შეადგენდნენ, რომლებთანაც ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ერთობლივი საქმიანობის დროინდელი მეგობრობა მაკავშირებდა. ერთ-ერთი კოტე ანდრიაძე გახლდათ. ოცი წლის, სიცოცხლით სავსე ჭაბუკი. სწორედ მან ითავა დახმარების განევა ჩემთვის, რათა ჩავრიცხულიყავი “ორბის” რიგებში და გაგრამში გავმგზავრებულიყავი საბრძოლველად, რაც არცთუ ისე ადვილი იყო. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ იმ დღეებში აფხაზეთში საომრად წასვლის მსურველ მოხალისეთა რიცხვი იმხელა იყო, რომ სამხედრო კომისარიატები მათ, როგორც წესი, უარით ისტუმრებდნენ.

ერთი სიტყვით, მივედი მე და კოტე “ორბის” მეთაურთან — დათო თევზაძესთან. ბატონ დათოს მაშინ არ ვიცნობდი. გავაცანი თავი და დაუფასტურე “ორბთან” ერთად ომში წასვლის სურვილი. მდუმარედ მომისმინა და: ვნახოთო, — მიპასუხა დინჯად.

“ყველაფერი კარგად იქნება, გაგრამში ერთად ჩავალთ, შინ იყავი და ხვალ დილით შეგესმიაწები,” — დამაიმედა კოტემ. ასე დავუმორდით ერთმანეთს. მეორე დღეს უნივერსიტეტში მისულს “ორბი” უკვე აფხაზეთში გამგზავრებული დამხვდა. რამდენიმე დღეში გაგრა დაიკარგა. “ორბის” მეზრდოლთა კარგა მოზრდილი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. კოტე ანდრიაძე ბოლოს გაგრის მისადგომებთან საბრძოლო პოზიციებზე ნახეს...

მე კი ლამები არ მეძინა. ადგილს ვერ ვპოულობდი, ჩემი თავისთვის ვერ მეპატიებინა, ბიჭები უჩემოდ რომ წავიდნენ ომში. კოტემაც არაფერი გამაგებინა, ისე წავიდა. უცნაური იყო ეს.

ბოლოს მივხვდი ყველაფერს. სიცოცხლე მაჩუქეს მაშინ! სიცოცხლე მაჩუქა დათო თევზაძემ — აფხაზეთის ომში ბევრჯერ სასიკვდილოდ დაჭრილმა და ბენვზე გადარჩენილმა მეომარმა. სიცოცხლე მაჩუქა აფხაზეთის ომიდან შინმოუსვლელმა კოტე ანდრიაძემ.

სად ხარ, ჩემო მარად ახალგაზრდა მეგობარო კოტე? **“თბილისში ვარდი აყვავდა, შენ სად არჩიე დარჩენა? ნეტავი წამოგახედა, მთანმინდა კიდევ გაჩვენა!”**

გოგლა ლეონიძის ამ უკვდავი და ცრემლნარევი სიტყვებით მინდა მივმართო კოტე ანდრიაძესთან ერთად ომებიდან შინმოუსვლელ ქართველ მეომრებს.

მეორე შემთხვევა მომდევნო წლის შემოდგომაზე მოხდა. მინდა აღვნიშნო, რომ აფხაზეთის ომის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში ვმუშაობდი. სოხუმშიც მინევდა ხოლმე გამგზავრება. სწორედ იქ ყოფნისას, ქალაქის დაცემამდე ორიოდე კვირით ადრე, გავიცანი აფხაზეთის დედაქალაქის მერი გურამ გაბესკირია...

რუსებმა ქალაქზე გადამწყვეტი შეტევა წამოიწყეს. მტკიცედ გადავწყვიტე ჩემ ხელმძღვანელთან — თემურ ფიფისთან — ერთად წავსულიყავი სოხუმში. შესაბამისი თხოვნითაც მივმართე მას. პასუხი იყო მტკიცე და შეუვალი. თემურმა თბილისში დარჩენა მიზრძანა. ასე

მაჩუქა კიდევ ერთხელ სიცოცხლე, ამჯერად ჩემმა მეგობარმა თემურ ფიფიამ, რომელიც უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან აფხაზეთის ტრაგედიიდან სულ ორიოდე წლის შემდეგ...

ყველაფერს ვიფიქრებდი ორმოცდაათობიანი წლის კაცი, მაგრამ არასოდეს იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის თითქმის ოცი წლის თავზე ჩემ სამშობლოს ესოდენ დამცირებულს და გაუბედურებულს ვიხილავდი. არ მინდა ვედავო მათ, ვინც არ იზიარებს ზემოთქმულს. დაე ყველამ საკუთარი სინდისის წინაშე განსაზღვროს, მართლა დამცირებული თუ გამარჯვებულ-გაცისკროვნებულია დღეს საქართველო.

და რაოდენ ძნელია დღეს ჩემთვის სიცოცხლე! სწორედ ამიტომ ჩამრჩა გულში შექსპირის სიტყვები მისი 66-ე სონეტიდან: **“სიცოცხლისაგან გადაღლილი მე სიკვდილს ვნატრობ”**.

დიახ, ეს ასეა. ხანდახან მართლა ვნატრობ სიკვდილს! თუმცა, ნამდვილად არ მაქვს ამის უფლება. მე ხომ არა მარტო ჩემი, ორჯერ ნაჩუქარი სიცოცხლითაც ვცხოვრობ...



კოტე ანდრიაძე

„ბიორები ჩემი ყველაზე დიდი პოეზიაა“

□

**თამარ შაიშვილაშვილს
ესაუბრა
ეკა ბაქრაძე**

– რა არის შენთვის ლექსი?

– სათქმელის, განწყობილებების, განცდილისა და ნაფიქრის ჩემეული გამოხატულებაა... ქართული ლექსი განსაკუთრებული ტკბილხმოვანებითა და ძარღვიანობით გამოირჩევა.

– როგორ დაინერა პირველი ლექსი?

– 4 წლიდან ლექსებით ვლაპარაკობდი, სურვილებს ლექსად გამოვხატავდი, ოჯახის წევრებს ეგონათ, რომ ეს ლექსები რომელიმე მათგანის მიერ იყო ნასწავლები. ბოლოს მიხვდნენ, რომ ჩემს თავს რაღაც ხდებოდა და ჩანერა დაიწყეს. ბევრი ლექსი დაიკარგა.

– როგორ გრძნობს თავს ხაშურში საცხოვრებლად გადასული ეკა ბაქრაძე?

– ეკა ბაქრაძე, საქართველოში უმრავლესობის მსგავსად, დაუსაქმებელია, უმუშევართა სიაშია. მშობლიურ ხაშურს ერთი წელია იმ იმედით დაეუბრუნდი, რომ რაღაც შეიცვლება და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავიბრუნებ. თბილისი ჩემთვის სავანეა, სადაც თავს ყველაზე კარგად ვგრძნობ. ჩემ მიერ დაარსებულ ხელოვნების სალონში – „მუზა“ შესანიშნავი საღამოები იმართებოდა, მსახიობებისა და რეჟისორებისგან ჯგუფი შევკრიბე, ძირითადად პოეზიის სპექტაკლებზე ვმუშაობდით და ეს მაშინ ახალი სიტყვა იყო. საინტერესო ადამიანებს – ხელოვანებს და ხელოვნების მოყვარულთ და დამფასებელთ ვინვევდით. თითოეული საღამო კასეტაზე ჩავწერე. იყო დაფინანსება, რომელიც გვეხმარებოდა... თითოეული დღე მენატრება, რომელსაც ჩემთვის ზეიმი მოჰქონდა, და არა მარტო ჩემთვის...

– რა არის შენი მოწოდება?

– ბუნებით ძალზე აქტიური და ენერგიული ვარ და სულ რაღაცის კეთება მიყვარს. სადილების დამზადება და ოჯახში საქმიანობა ჩემი სტილი არ არის, თუმცა ამ ყველაფერს მშვენივრად ვუთავსებ ერთმანეთს. მაგრამ ჩემი მოწოდება სხვა რამაა.

ერთი წლის წინათ, „მარტოხელა დედათა და ბავშვთა ფონდი“ დავაარსე, რომელსაც რუსეთ-საქართველოს ომი და ეკონომიკური კრიზისი დაერთო და... ბევრი კარგი საქმის გაკეთება მქონდა ჩავიქრებული. იმედს არ ვკარგავ, აღვადგენ ყველაფერ იმას, რაშიც სული და ენერგია ჩავაქსოვე. ხაშურში ჩემი მშობლიური კერაა, მაგრამ ჩემი სამყარო მუდამ თბილისს უკავშირდება.

– ვიცი, რომ შენ არცერთი პრემია არ მიგიღია. რამდენად საჭიროა მწერლისთვის პრემია?

– ხელოვანს დამსახურებული ჯილდო მარტო მატერი-ალურად კი არ სჭირდება, არამედ ერთგვარი სტიმულია იმისთვის, რომ თავი დაფასებულად იგრძნოს.

– როგორც პოეტს რა განუხებს?

– როგორც პოეტს მანუხებს ნაგავსაყრელზე მისანერი შაირები, დღეს რომ პოეზიად მოიხსენიება, მაშინ, როცა ქართული ლექსი ვაჟას, გალაკტიონისა და ანას მიერ იყო ნაფერები... გული მტკივა, ულამაზესი ქართული ლექსითა და მუსიკით შერწყმული მელოდიების შემდეგ, არაფრისმთქმელ, უშინაარსოდ აგებულ კაკოფონიაზე შეითხზილი ასევე არაფრისმთქმელი გაუგებარი ბგერებით („მუსიკას“ რომ ეძახიან), რომ უკეთებენ ზომბირებას ქართულ საზოგადოებას.

გული იმაზეც მტკივა, როგორ იმკვიდრებს ადგილს ჩვენი ლამაზი, ტევადი და მდიდარი ენის ლექსიკაში ვითომ ახალი, თანამედროვე, ყურით მოთრეული ტერმინები („ცნობადი“, „გაყიდვადი“...).

არ შემიძლია, შემთხვევით არ ვისარგებლო და აღშფოთება (ამას უკვე ნუხილს ვერ დავარქმევ) არ გამოვხატო იმ გადაცემის მიმართ, რომელიც ახლახან „იმედზე“ დამკვიდრდა და „სიმართლის დროს“ ეძახიან.

ვფიქრობ, ქართველმა მაცურებელმა არ უნდა დაუშვას ამ სიბინძურის დამკვიდრება. ამჯერად გადაცემის მონაწილეებს არ ვეხები, თუმცა, იდეის ავტორებს და წამყვანს მინდა მივმართო: კმარა! შეწყვიტეთ ადამიანების ზომბირება და გამასხარავებ! მოზარდები მაინც დაინდეთ! თითოეული ადამიანის პირადი ცხოვრება მისი საქმეა და განსჯის უფლება ვინმეს ნაკლებად აქვს, მაგრამ იმის აფიშირება, რაც შენია, ინტიმურია, მხოლოდ შენში უნდა რჩებოდეს, არანაირი თანხის ფასად არ შეიძლება. ეს არც აზარტია, არც შოუ, ამას მხოლოდ „სიბინძურის დროს“ დავარქმევდი და არა – „სიმართლის დროს“. ასეთი სიმართლით რომ გვანონებენ თავს, იმიტომაც უკვე დიდი ხანია ვცხოვრობთ ჭაობში. ეს იგივეა – ადამიანს უთხრა, სრულიად შიშველი ქუჩაში გავიდე და ამაში ფული გადაუხადონ. ვის სჭირდება ასეთი სიმართლე?

გონს მოვეგოთ, ხალხო!

– შენი პოეტური ნათლობა 1987 წელს მოხდა, როდესაც პირველი კრებული „ბელურების ორკესტრი“ გამოვიდა. რა შეცვალა ამან შენში?

– „ბელურების ორკესტრმა“ მკითხველის სიყვარული მომიტანა. უამრავი შეხვედრა მქონდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ჩვენს საფოსტო ყუთში წერილების ზღვა გროვდებოდა. მრავალი საზოგადო მოღვაწის ხელნაწერი ინახება ჩემს არქივში. უცბად ყველაზე პოპულარული ბავშვი გახვდი, რაც უზარმაზარი ტვირთიც იყო ჩემი ასაკისთვის და შეიძლება უარყოფითადაც ემოქმედა. ვფიქრობ, გავუძელი...

შინაგან სისადავეს პატარაობიდანვე ვფლობდი... თუმცა, გადაჭარბებული შეგონებანი იმის შესახებ, რომ სხვებისგან გამორჩეული ვიყავი და რაც სხვა ბავშვებისთვის დასაშვებო იყო, ჩემთვის არ შეიძლებოდა, მაღიზიანებდა.

ამან წლების შემდეგ იჩინა თავი, როცა ცხოვრების ქარიშხლებს შევეჯახე. ბევრჯერ მატკინეს გული, ბევრი შეცდომა და ვუშვი, ბევრჯერაც გავწილდი, ბევრჯერ

მეც ვატყინე... ამ ყველაფერს მტკივნეულად განვიცდიდი და შეგუება მიჭირდა.

ბავშვობიდან გამოყოლილმა განსხვავებულის იმიჯმა მარცხის გადატანის უნარი დამაკარგვინა. დეპრესიამ კინალამ შემინირა. ბოლოს თვითონ დავამსხვრიე და თავი გავითავისუფლე ამ ბორკილებისგან, რადგან მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ ჩემი შეცდომებით, წარმატებით თუ მარცხით და სრულყოფილებისკენ ლაბირინთების გაუვლელად ვერ მივალწევთ.

– შენ იშვიათად აქვეყნებ ლექსებს, თუმცა ინტენსიურად წერ. რატომ?

– იყო წლები, როცა დიდხანს ვდუმდი. ეს ჩემი ერთგვარი პროტესტი იყო იმ საშინელების მიმართ, რასაც ძმათა შორის ომი ერქვა – პროტესტი ქართველი ერის დამცირება-შეურაცხყოფის მიმართ, რომელიც მკვიდრდებოდა. თუმცა ჩემი განწყობილება ლექსებში აისახებოდა. საერთოდ კი ვფიქრობ, მკითხველი არ უნდა გადაღალო და თავი არ უნდა მოაბეზრო.

– რას გულისხმობ ამ სტრიქონში: „ყველგან ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ჩემს როლს ვასრულებ?“

– ამ სიტყვებში ის იგულისხმება, რომ მე ვარ, სადაც უნდა ვიყო, ჩემი სტილით, დამოკიდებულებებით...

– როგორია პოეტ ეკა ბაქრაძის ქართველი ქალი?

– საქართველოს ისტორიაში ქართველი ქალი მთელი ცხოვრება თავდადების, გამირობისა და სულიერი სიმტკიცის სიმბოლოა. ერთგული ცოლი, მზრუნველი დედა, ოჯახის ქვაკუთხედი – რატომღაც ქართველი ქალის ღირსებები მხოლოდ ამ იმიჯით ფასდებოდა. ამ ყველაფერთან ერთად, ქართველი ქალი საოცრად ქალური, სექსუალური და ენერგიულიცაა და ეს ქართველმა კაცმა ისე უნდა აღიქვას და დააფასოს, როგორც ამას უცხოელი კაცები გამოხატავენ ქართველი ქალების მიმართ.

– ერთგან წერ: „გვანან ერთმანეთს პოეტები და ბებიები“. რატომ ასეთი შედარება?

– „პოეტების და ბებიების“ განმარტება ლექსშივეა ახსნილი: „დიდი სინაზით, თავდადებით და პატივით ჰგვანან ერთმანეთს პოეტები და ბებიები“. ასე ვფიქრობდი მაშინ.

– რას აკეთებ თავისუფალ დროს?

– თავისუფალ დროს შემეცნებისთვის ვიყენებ. სიამოვნებით ვკითხულობ საინტერესო წიგნს, ჟურნალს, ინგლისური ენის ლექსიკონს ვამუშავებ, მაგრამ ყველაფერს მირჩევნია, დრო ჩემს შვილს დავუთმო. გოუნა 3 წლისაა და დედასთან სიახლოვე ყველაზე უფრო ახლა სჭირდება. ერთად ვთამაშობთ. ვხატავთ. რაც მთავარია, ვკითხულობთ ლექსებს,



ეკა ბაქრაძე

ზღაპრებს. გიორგის წიგნი ამ ასაკისთვის შეუფერებლად უყვარს. ზეპირად იცის 60 ლექსი, თავისით დაიხსომა.

– ცხოვრების უკან დაბრუნება რომ შეგეძლოს, რას შეცვლიდი?

– ცხოვრების შეცვლა რომ შემეძლოს, ფუჭად გალუულ დროს ავინაზლაურებდი, არც ერთ წუთს ტყუილად არ დავკარგავდი და, შესაბამისად, იმ ადამიანების არსებობას ამოვშლიდი ჩემი ცხოვრებიდან, რომლებთან ურთიერთობაც ფუჭი და უნაყოფო იყო და მხოლოდ დრო დამაკარგვინა. დროისა და ჯანმრთელობის ფასი არაფერია. კიდევ ერთი: ჩემს სიკეთეს ფრთებს შევუკვეცავდი და საკუთარ თავს მეტ დროს დავუთმობდი...

– ამბობენ, ტკივილი გაცდას უფრო ამძაფრებსო, შენ ქართლიდან ხარ. აგვისტოს ომი მრავალ საფიქრალს დაგიტოვებდა...

– აგვისტოს ომი ძალიან მტკივნეული თემაა, როგორც ყველაფერი ის, რაც ამ 20 წლის მანძილზე საქართველოში ხდება, და გვინდა თუ არა, ქართული პოლიტიკის სიბეცითაა გამონვეული. პოლიტიკაზე საუბარი არ მინდა. მხოლოდ ერთი რამ მანუხებს ყველაზე მეტად: ყველა იმ შვილმკვდარი დედის გული მებრალებს, რუსეთის ომს და სხვა დანარჩენ უსამართლობებს რომ შეენირა – რამდენის საფლავიც კი უცნობია! ჩემთვის წარმოუდგენელია მათი ნუგეშისცემა – არავინ მითხრას, რომელიმე დედას მკვდარი შვილის გამირობა ერ-

ჩვენოს ცოცხალს!.. დედას შვილი არ უნდა მოუკლან!

– ვინ არის შენი საყვარელი მწერალი?

– ჩემი კუმირი ოთარ ჭილაძე იყო და იქნება. მისი ამქვეყნად აღარყოფნა უსამართლობაა... საერთოდ, ძალიან მიყვარს ნიკო ლორთქიფანიძის სტილი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი.

– რომელია ეკა ბაქრაძის საყვარელი ლექსი?

– ბავშვობაში ვამბობდი, ჯერ რომ არ დამინერია, საყვარელი ლექსი ისაა-მეთქი, ანუ ის ქათქათა ფურცლები მიყვარს, რომელზეც ჯერ დაუნერული ლექსი დაინერება.

– რას ფიქრობ სიყვარულზე?

– სიყვარული ნიჭია, რომელსაც ვერ ისწავლი, თუ თავისით არ დაგყვა, და რომელიც ყველას ნამდვილად არა აქვს. თუ არავინ და არაფერი არ გიყვარს, ამქვეყნად ცხოვრებას აზრი ეკარგება. სიყვარული ხშირად მაინც ქალსა და მამაკაცთან ასოცირდება, და ამაში მრავალი ფაქტორია გაერთიანებული.

ყველაფერი მაინც ის საოცარი ლტოლვაა, რომელიც გაუცნობიერებლად გიპყრობს და გატყვევებს (ცხადია, მხოლოდ ფიზიკური სიახლოვის შინს არ ვგულისხმობ). ამ ტყვედ ყოფნისას გეშინია კიდევ, ფიზიკურმა სიახლოვემ

არ ჩანაცროს და გააუფერულოს ყველაფერი. სიყვარული შეჩვევითაც მოდის, რომელიც ისე შეიძლება შემოგეპაროს, საერთოდ ვერც დაუშვებდი. ერთი ნახვით შეყვარებაც განმიცდია და შეჩვევითაც, არ ვიცი, რომელი უფრო მყარია და ცეცხლგამძლე, მაგრამ ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა მოიხადო ეს „სახადი“, რომ ხმამაღლა განაცხადო: „მე მიცხოვრია სიყვარულით!“

– ვინ არის შენი ნამდვილი მეგობარი, ვინც სულიერად გეხმარება?

– საბედნიეროდ, ჩემ გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც მძიმე წუთებში სტიმიულსა და ძალას არ იშურებენ ჩემთვის, რჩევებს მაძლევენ, რომლებიც ხშირად გამომდგომია. ყველა ადამიანს სჭირდება სულის გახსნა. საბოლოოდ, მაინც თავად ვარ საკუთარი თავის მესაჭე და „შემომლანუნებელი“.

– რა არის ეკა ბაქრაძის ჰობი?

– ერთმანეთისგან განსხვავებული ჰობი მაქვს. მიყვარს თეატრი, სხვადასხვა კერძის კეთება (გამასპინძლება), კარგადაც ვფლობ კულინარიულ ხელოვნებას. ძალიან მიტაცებს მოგზაურობა.

– მალე გამოიცემა შენი ახალი კრებული: „დაბრუნება საკუთარ თავთან“. როგორ შეაფასებ შენს შემოქმედებით ბიოგრაფიას „ბელურების ორკესტრიდან“ ბოლო ნიგნამდე?

– ვფიქრობ, საინტერესო შემოქმედებითი გზა გავიარე. შემოქმედებითი პროცესი სასიამოვნოა. ვამზადებ ახალ კრებულს, რომელიც ჩემი პირველი ნიგნების შემდეგ შემოქმედებას შეაჯამებს. ახალ ლექსებთან ერთად ის ძველი ლექსებიც შევიტანე, რომლებიც მკითხველს ყველაზე მეტად უყვარდა. ნიგნი რუსუდან ფეტვიანშილმა დაასურათა.

შესაძლოა, მომავალში პროზაშიც მოვსინჯო კალამი. სხვათა შორის, წლების წინათ, რამდენიმე ნოველა დავწერე, რომლებიც არასდროს დამიბეჭდავს.

– როგორია ეკა ბაქრაძე – პოეტი და დედა?

– ჯერ ქალი, დედა ვარ... მერე პოეტი... ასეა! ქალი რომ ვარ, დედობაც ამიტომ შემიძლია.

პოეტური სული მიყვარს. შეიძლება ადამიანი ლექსებს არ წერდეს, მაგრამ პოეტური ხედვა და სული ჰქონდეს... პოეზია, საერთოდ, ხელოვნება ენერჯიაა. ყოველი ლექსის ან ჩანახატის დაწერა, ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესი, რაშიც მთლიანად ვიხარჯები, ჩემთვის სიამოვნებაა.

შემიძლია სასურველ ადამიანთან ყოფნით, მასთან შეხებით გამონვეულ ბედნიერებას შევადარო, შვილი იქნება, მეგობარი, საყვარელი მამაკაცი თუ ოჯახის წევრი. საოცარი გრძნობაა, ჩემს ნამოქმედარს როგორც სულიერს ისე აღვიქვამ და ბედნიერი ვარ.

მაგრამ იმ ბედნიერებას, რასაც დედობა ჰქვია, ვერაფერი შეედრება. გიორგი ჩემი ყველაზე დიდი პოეზიაა. როცა წარსულს გადავავლებ თვალს, შეილზე უკეთესი არავინ და არაფერი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში.

ქალისთვის დედობა უმაღლესი ჯილდოა, ოღონდ მთელი არსებით უნდა გაიზაროს. არ მესმის იმ ქალებისა, რომლებიც მხოლოდ იმიტომ აჩენენ, რომ ჩაისახა.

დედაშვილობა – ეს ორი ანსების ყველაზე სათუთი, წმიდა და ძლიერი კავშირია. ნიჭიერი შვილი მყავს, ჯანმრთელი, კეთილშუნებოვანი, დედასავით ენერჯიული და თავნებაც. გზა მინდა გავუკაფო... ერთად ყველაფერს შევძლებთ.

მარინე ტურავა

ლიტერატურით აღქმული სამყარო

სტილი თვით ადამიანია, უთქვამს ბუფონს. ნინო ვახანიას წერილები, გამოკვლევები ძალიან ჰგავს ავტორს. ეს ნაწერებიც სისადავით, დახვეწილობით, სინატიფითა და სიღრმით გამოირჩევა. მკვლევარი ლიტერატურის პრიზმიდან აღიქვამს სამყაროს, უფრო მეტიც, მისი ცხოვრების წესიც ლიტერატურულია. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ გამოსცა ნინო ვახანიას ახალი ნიგნი — „ერთი ყლუპი ჰაერი“ (ნიგნის რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, მხატვარი ნინო ზაალიშვილი), სათაურიც იმის მანიშნებელია, რომ ავტორისათვის ნამდვილი ლიტერატურა, მხატვრული სიტყვა არის ჰაერი, ამქვეყნიური არსებობის აუცილებელი პირობა და მასაზრდოებელი წყარო.

„ყოველი ადამიანი ცალკე, დამოუკიდებელი სამყაროა, ამავე დროს უხილავი, მაგრამ მტკიცე ძაფებით არის გადაბმული სხვა ადამიანებთან, ყველაზე მეტად კი წინაპრებთან“, ვკითხულობთ ნიგნის პირველივე გვერდზე.

ნინო ვახანიას სამყარო მეტად საინტერესო და გამორჩეულია. იგი იმ მკვლევართა და კრიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება სათქმელს რომ სიტყვიერი ჟონგლირობის, ზედმეტი სამკაულებისა და სპეციფიკური ტერმინების სიჭარბის გარეშე გვეუბნება. ამ სისადავის მიღმა ყოველთვის ღრმა და საინტერესო, განსაკუთრებული პოზიცია იმალება. ლიტერატურისადმი ამგვარი, ლამის საკრალური დამოკიდებულება მემკვიდრეობითაც არის განპირობებული. ლიტერატურის სიყვარულში გაზრდილს სხვა ადამიანებთან უხილავად სწორედ მხატვრული სიტყვის უჩინარი, ფარული ძაფები აკავშირებს.

„ერთი ყლუპი ჰაერი“ წერილების კრებულისა. ავტორი კარგად იცნობს თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებას, ეხმაურება ბევრ მნიშვნელოვან ფაქტს: ახალ ნიგნს, საინტერესო პუბლიკაციას, პროზაულ თუ პოეტურ ნაწარმოებს, თარგმანს. კრებულში შესულია აგრეთვე წერილები XIX საუკუნის ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე. ნინო ვახანიას ორივე დისერტაცია ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებას ეძღვნება, სალექციო კურსსაც ახალ ქართულ ლიტერატურაში კითხულობს. ეროვნული ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ეხმარება მხატვრული სიტყვიერების მთლიანობასა და ჰარმონიულად აღქმას.

აკაკი წერეთლის „სულიკოზე“ არაერთი ვარაუდი გამოთქმულა, მკვლევართა ნაწილი სულიკოდ სამშობლოს მოიაზრებს, რაც სამოციანელთა ლიტერატურული ტრადიციითაც არის განმტკიცებული, მეორე, უფრო გვიანდელი მოსაზრებით, ლექსში პოეტი დაკარგულ დმერთს ეძებს, ნინო ვახანიას აზრით: „ამ ლექსის დაწერამდე ხომ არ იგრძნო პოეტმა დროებითი შემოქმედებითი უძლურება (რომელიც, ცნობილია, თითქმის ყველა მგოსანს გამოუც-

დია), ხომ არ შეიპყრო სასონარკვეთამ, რაც ბუნებრივია ასეთ დროს. იქნებ მცირე ხნით არ „ენერებოდა“ პოეტს? შემდგომი აღმაფრენის, ლექსის წერის უნარის კვლავ დაბრუნების, ღვთაებრივი ნათლის კვლავ ნახვის სიხარულს ხომ არ გამოხატავს ამ ლექსით?”

საგულისხმო პოზიციაა, მით უფრო, რომ პოეტისათვის გააფიქრება სჯობს „ლექსის მადანის“ ამოწურვას, შემოქმედებითი კრიზისის დადგომას. ცნობილია მეცხრე საუკუნის ჩინელი პოეტის ჩატაოს სიტყვები: „სამი წელი ორად ორი ლექსის დასაწერად, ვლიდინებ მათ და თან ვტირი“. კრიზისის დასაძლევად პუშკინი ბოლდინოში გარბოდა და მთელ შემოდგომას შემოქმედებითი მოსავლის აღებაში ატარებდა. „კიტსს მხოლოდ ზაფხულში შეეძლო მუშაობა, შელის — მხოლოდ შემოდგომაზე, დიდრო კი ამბობდა, ქარიშხლის დროს გონება აფორიაქებული მაქვს“ (ანდრე უიდი „ხელოვნების საზღვრები“). შესაძლოა ამგვარი კრიზისი აკაკისაც დადგომოდა, მის ამოწურვას კი „სულიკოს“ ამოძახილით შეხვედროდა.

ვაჟას „გველისმჭამელზე“ არაერთი მოსაზრება გამოთქმულა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და საპირისპირო, მაგრამ არგუმენტირებული. ნინო ვახანია მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებით გვთავაზობს მინდიას სახის თავისებურ გააზრებას: „მინდიას ტრაგედია ტრაგედიაა სხვა სამყაროს ნაზიარები სულისა, რომელსაც ძველებურად, ჩვეულებრივად ცხოვრება არ სურს, ხოლო სხვანაირად (არამინიერად) არსებობა არ ძალუძს. „გველისმჭამელი“ ძიება „მესამე გზისა“. დიდი პოეტები არღვევენ სამყაროს კანონზომიერებებს, მათ არ ყოფნით ორი გზა — სიკვდილი და სიცოცხლე და ხშირად მესამე, ჯერ შეუცნობელი, იდუმალი გზის ძიებაში არიან. ამგვარ ძიებას შესდგომია „სხვა სამყაროს ნაზიარები სული“ მინდიასი.

წერილების ციკლი ეძღვნება 1832 წლის ცნობილ შეთქმულებას. მკვლევარი საგანგებოდ ჩერდება ამ შეთქმულების მონაწილე ქალებზე. თამარ იულონის ასულ ბაგრატიონს შეუდგენია აჯანყების დეტალური გეგმა, ინტენსიური მიმონერა ჰქონია რუსეთში და სპარსეთში მცხოვრებ ბატონიშვილებთან, შეთქმულთა ყველა საქმის თანაზიარი ყოფილა თეკლა ბატონიშვილი, ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე — ეკატერინე ბარათაშვილი ქართული დროშების შეკერვით თანაუგრძნობდა შეთქმულებს... დამნაშავეთა მეოთხე კატეგორიაში ჩაურთიყვანეთ სალომე ფარნაოზის ასული ბაგრატიონი. ერთ-ერთი შეთქმული ქალი ყოფილა ელიზბარ და დიმიტრი ერისთავების და — მელანია მელნიკოვისა. ელიზბარ ერისთავს ჩაურთავს შეთქმულებაში მანანა ორბელიანი. გამოძიების მასალებში ნახსენებია ქრისტიანი მართა ალექსი-მესხიშვილი, რომელიც მეკავშირის როლს ასრულებდა. შეთქმულების შესახებ იცოდა ქეთევან ბატონიშვილმაც, მონაწილეთა იდეებს იზიარებდა ოქროპირ ბატონიშვილის და — თამარი. უამრავ საინტერესო ამბავს გვიყვება ეს წიგნი ქართველ ქალთა თავდადებასა და გამირულ სულისკვეთებაზე, თავგანწირვის უნარზე.



საფუძვლიანი გამოკვლევა ეძღვნება ქართველი რომანტიკოსის ვახტანგ ორბელიანის ადრეული ხანის შემოქმედებას, რომელსაც ნაკლებად იცნობს თანამედროვე მკითხველი. წინააღმდეგობრივი და არაერთგვაროვანი ეპოქის პირმშო, ქართული რომანტიზმის კოლორიტი ვახტანგ ორბელიანი, „მწუხარების სახლად და სევდის სადგურად“ ქმნილ საქართველოს მისტიკის, სხვა რომანტიკოსთა მსგავსად კერპად აქცევს საკუთარ პაპას ერეკლე მეფეს, რომლის დაუფინყარ პორტრეტსაც გვთავაზობს: „ტანი დაბალი, შუბლი მაღალი, თვალი გამჭვრეტი, ვით არწივისა. მოშაო ფერით, ჭალარა წვერით, მოსული მკერდი, ბეჭი გამირისა“. ავტორი წერილში ქართული

რომანტიზმის კონცეფტუალურ საკითხებსაც ეხება და უამრავ პარალელს მოიძიებს ვახტანგ ორბელიანისა და ქართველი რომანტიკოსების ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

კრიტიკოსის ყველა წერილში არის საინტერესო მოსაზრება, ორიგინალური პოზიცია, ტექსტის ცოცხალი აღქმა, ამ ყველაფრის მომცველი და ყველა ჩვენგანის ტკივილის დამტევია წერილი „ჩვენი ბოდიში მერცხლებს“, რომელიც ჯანო ჯიქიძის მოთხრობას ეძღვნება. სოფლელი მერცხალი (ოლონდ სოფელი, ნინო ვახანია მოსაზრებით, ამ შემთხვევაში, მარტო ქალაქის საპირისპირო ცნებად არ უნდა მოვიაზროთ) რუსტიკო ომის გამო ტოვებს მშვიდ, მყუდრო, უსაფრთხო ბუდეს, თავის ციტადელს და აფრიკაში მიფრინავს. რუსტიკოს ტკივილი ნინო ვახანიას საკუთარ სოხუმურ კერას, ბავშვობის თავშესაფარს აგონებს — „იქ, ობლად მიტოვებული სახლი სუნთქავს, ყოველ კუთხე-კუნჭულს ახსოვს წასული პატრონი, ყოველი ხე, ბუჩქი, ყვავილი და ბალახი, ქუჩა, ბლიკი და ქვაც კი მონატრებითაა საესე, ზღვაც ცოცხალია და მანამდე მუდამ მოცეკვავე წვიმაც ტირის, ჰაერიც რალაც მოლოდინითაა დამუხტული, „მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ მოკვდავი განგებას ციურს.“ დიდი შინაგანი კულტურით, ზედმეტი წუნუნის გარეშე ავტორი ამიშვლებს თავის ტკივილს, ნოსტალგიას. „და რაც უნდა გამოიხატოს, გამოიხატოს არქონად, არაორიგინალობად ჩამეთვალოს, მეც, რა თქმა უნდა, ჩემი მერცხლის, ჩემი რუსტიკოს, ჩემი წილი ცხოვრების, ამოშლილი წლების, იმედის, წარსულისა და მომავლის დაბრუნებას ველი და ველი“. როგორი ნაცნობი და ახლობელი განცდაა, როგორი უშუალობა და გულწრფელობა?!

ნინო ვახანიამ ბევრ ახალგაზრდა შემოქმედს დაულოცა გზა, მისი წერილების თემა არაერთი საინტერესო პოეტური თუ პროზაული დებიუტი გამხდარა. მკვლევარისათვის არა აქვს მნიშვნელობა დებიუტანტი, ყველასთვის უცნობ ავტორზე წერს, თუ კლასიკოსზე. მისი კალამი ყოველთვის საქმიანი და მოზომილია, მისი პოზიცია მტკიცე და მართალი. თანამედროვე კრიტიკისა და ლიტერატურული კვლევების მრავალფეროვან ნაკადში, სადაც ხშირად მთავარი რაოდენობაა და არა ხარისხი, „ერთი ყლუპი ჰაერი“ გამორჩეულ ადგილს დაიკვიდრებს და სუფთა ჰაერის ნაკადი იქნება ამ უჟანგბადო სამყაროში ნამდვილი, ლიტერატურის მოყვარული მკითხველისათვის. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ — „ამ წიგნის ნაკითხვა ღირს“.

გურანდა ღვალაძე

ო, დამიბრუნე ჩემი სამშობლო, ჩემი სპეტაკი

ახალგაზრდობა!

ჩემი იოსებ გრიშაშვილი

□

დაბადებიდან 120 წლისთავის გამო

*ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს...
უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის
დაღუპვა შეუძლია...*

მათე, 10, 28

მეფის, ბოლშევიკურ-კომუნისტური, პოსტკომუნისტური რუსეთი ერთნაირად დიდი უბედურება იყო საქართველოსთვის. ამდენად, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსია წარმოადგენდა რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის გაგრძელებას, ხოლო სოციალიზმი — გლობალიზაციის ყველაზე აგრესიულ, დაუნდობელ ფორმას. „ბოროტების იმპერიის“ ნითელი დიქტატურა ადამიანებს ართმევდა არა მარტო კეისრისას, არამედ ღმრთისასა — სულიერებასაც. ვინც სულიერება არ დათმო (და ეს იყო ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი), ის გაანადგურეს ან უცხოეთის გზას გაუყენეს (მე არ მყავს მხედველობაში საბჭოთა რეპრესიების ის მსხვერპლი, ვინც ბოლშევიკურ-კომუნისტური შიდაპარტიული გარჩევების დროს დაიღუპა). ვისაც სულიერების ნაწილი მაინც დაათმობინეს, ის მერე მთელი დარჩენილი სიცოცხლე მისტიროდა დაკარგულს!



სათხოვარი ბედისადმი

ბედო, წაილე, რაც მოგიცია, წაილე კაცთა პატივისცემა, წაილე ჩემი მგოსნის გვირგვინი, ყმაწვილთა ოხვრა და ქალთა კედმა, წაილე ყველა, მე არ ვინანებ, რაც გინდ საშინელ ცეცხლში ვდნებოდე, მე ამ მონებში ცხოვრება არ მსურს, არ მსურს რომ მათში მეც ვითვლებოდეთ. გთხოვ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო, სადაც ყვაოდა ოცნება ყრმობის, სადაც არ მკლავდა, სადაც არ მწვავდა ფიქრი სირცხვილის, ფიქრი მონობის, სადაც ფრთამსუბუქ ღამის სიოსთან შექმედლო ფიქრის წრფელად განდობა,

გალაკტიონი სწორედ თავისი „სპეტაკი ახალგაზრდობის“ დაკარგვის დარდმა მოინელა, თვითმკვლელობამდე სწორედ ამან მიიყვანა! აქ იმასაც ვიტყვი, რომ დედა — თამარ კუცია-ღვალაძე ახლოს იცნობდა გალაკტიონს, იყო მისი პოეზიის უბადლო მცოდნე და დეკლამატორი. „გალაკტიონის ნაწარმოებების იმგვარ წამკითხველს ველარსად შევხვდი შემდგომში“ — იგონებს დედაზე რეზი თვარაძე (რ. თვარაძე, „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“. ჟურ. „კრიტიკა“, 1990, 4). რეზისგან გამიგონია — გალაკტიონის პოეზიასთან დედა თამარმა მიმიყვანაო. დედასგან ვიცოდი გალაკტიონის ტკივილიანი ნათქვამის შესახებ — ამ ბუხარში დაიფერვლა ჩემი სულის საუკეთესო ნაწილიო. დედასგან ვისწავლე გალაკტიონის გაუზნაურებელი, აკრძალული ლექსები. დიახ, მე მყავდა ჩემი გალაკტიონი!

რატომ დავინყე წერილი გალაკტიონით? გალაკტიონი ვერ მალავდა თავის გაუსაძლის ცხოვრებას კომუნისტურ-სოციალისტურ გარემოში.

იოსებ გრიშაშვილი კი გარეგნულად საკმაოდ ხალისიანად გამოიყურებოდა, გულთბილი ლექსი მიუძღვნა ბერიას, „პატარა გორელების“ ხმით „დიდ სტალინსაც“ მიესიყვარულა, რაც სწრაფად იქნა გასიმღერებელი...

საშუალო სკოლაში ქართული ლიტერატურის წრის ხელმძღვანელმა ნინო გორგოშიძემ იოსებ გრიშაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენების წაკითხვა დამავალა. შემოქმედების განხილვა სიძნელეს არ წარმოადგენდა. მისი ბიოგრაფიის საწყისი ეტაპები კი ჩვეულ ჩარჩოებში არ თავსდებოდა: დაიბადა, დაწყებითი განათლება მიიღო... სწავლა გააგრძელა და ა.შ. ბიოგრაფიაში მითითებული იყო დაბადების თარიღი (1889 წლის 24 აპრილი. წლევიანდელი 2009 წელი პოეტის საიუბილეო თარიღია) და სწავლა ქართულ გიმნაზიაში, რომელიც მალე მიატოვა. გადაწყვიტე შინ ვხლებოდი (დედასგან ვიცოდი, რომ ცხოვრობდა რუსთაველის გამზირის დასაწყისში, გრიბოედოვის სახ. რუსულ თეატრთან). კარი ახალგაზრდა ქალბატონმა გამიღო (ჩავთვალე, რომ ის იყო იოსებ გრიშაშვილის დისშვილი ანი — „მე შენ სახელად ანი დაგარქვი, ჩვენი ანბანის პირველი ასო“). ჩემი მისვლის საბაბზე გრიშაშვილმა გაილიმა — ასეთი სურვილით ჩემთან არავინ მოსულაო. მერე განაგრძო: განათლება სხვების მიერ შექმნილი ცოდნისა და გამოცდილების სწავლა არისო, რაც წერა-კითხვა ვისწავლე, უწიგნოდ ერთი დღე არ გამიტარებიაო. მისთვის იმთავითვე ცხადი შეიქნა, რომ ლიტერატურა და თეატრი იზიდავდა და მისი საკითხავი ნივთების სფერო ამან განსაზღვრა. კარგი ის იყო, რომ ფართო განათლებას იღებდა, რადგან სასწავლო პროგრამები არ ზღუდავდა, კარგი იყო ისიც, რომ სხვათა შეხედულებების გავლენასაც ნაკლებად განიცდიდა. მას თავი-

სი უნივერსიტეტები ჰქონდა. დიდ ყურადღებას უთმობდა რარიტეტული წიგნების მოძიებას. ჩამოათარილა – როდის რას აკეთებდა, ლექსების რა კრებულები გამოაქვეყნა... განსაკუთრებული სიყვარულით საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობებზე ჰყვებოდა. მერე მკითხა: ჩემი ლექსები თუ იციო და აქედან დაიწყო ჩვენი საუბრის ყველაზე საყურადღებო ნაწილი. აქ იმასაც ვიტყვი, რომ ძალიან მეტიჩარა ვიყავი და კოტე მაყაშვილის, გალაკტიონის, ტიცინანის, გრიშაშვილის... აკრძალული ლექსებით (რაც დედასგან მქონდა ნასწავლი) ვინონები ხოლმე თავს, თუმცა ზუსტად ვსაზღვრა ვედი, ვისთან შემეძლო ამის გაკეთება. წავუკითხე მისი „ბომბი“ ლექსი „ჩემი ლოცვა“ (ეს და შემდგომი ლექსები იშვიათი და გაუხმაურებელია, ამიტომ მათ მთლიანად მოვიტანე, მით უმეტეს, რომ ლექსები ეხმიანება დღევანდელობას და ისევე აქტუალურია, როგორც მათი შექმნის დროს).

მეუფეო, ჩემი ლოცვა დღეს იქნება სულ სხვაგვარი, მე არ მინდა სასწაულად მომივლინო ნინოს ჯვარი, ახ, არ მინდა მე არც საბა, ახ არ მინდა არც ისახარა, დღეს ჩემს გულში, მეუფეო, სულ სხვა ლოცვა ჩაისახა. მე მინდა, რომ საქართველო — უკვდავების, შვების წყარო მტერს არ მისცე საჯირითოდ, შეიტკბო და შეიყვარო. მეუფეო, ყოველ მხრიდან გვესოდნენ მტრები გველად, ჩვენი სულის ჩასაქრობად, ჩვენი ნიჭის აღსაგველად, მონღოლები, სელჯუკები გვესოდნენ ურდო-ურდოდ, მაგრამ კმარა, მეუფეო, აღარა გვსურს გავიქურდოთ. გვეყო, გვეყო ეს სასჯელი, ესოდენი ჭირი, სენი, საქართველო, მეუფეო, დაიხსენი, დაიხსენი! ღმერთო, ხმლების ნიშნობაში ბევრჯერ დილა დავალამეთ, ბევრჯერ ჩვენი პერანგები მტრების სისხლით გავახამეთ, და, ჰა, ღმერთო, ხელაპყრობით გვედრება ხალხის გული, მზით შეგვიმკე ჩვენ ეს შუბლი, შუბლი
ტანჯვით გადახნული, დაგვადინე, როგორც ქარი, გაგვადვიდე, როგორც მთვარე, საქართველო, მეუფეო, დაიფარე, დაიფარე!
მაგრამ თუ კი, ჰოი, ღმერთო, ჩაგვითვლიან ლოცვას ტყვილად, ლოცვას წყევლად გადავაქცევთ, ავაღულებთ ცრემლებს ტყვიად, და ვაი მას, ვინც მტრის სტირზე თავის ჰანგებს ახმატკბილებს, მას პასუხსაც არ ვაკადრებთ, მას ჩავუმტვრევთ სიბრძნის კბილებს, მას შხამადაც შერგებია ჩვენი დედის ტკბილი ხსენი, საქართველო, მეუფეო, დაიხსენი, დაიხსენი!

ლექსის კითხვისას ჩვევად მქონდა, მსმენელს არ ვუყურებდი. დავამთვრე ლექსი და... სოსო გრიშაშვილს ადამიანის ფერი არ ედო სახეზე, დაფეთებული, შემინებული და გაოცებული მიყურებდა. სასწრაფოდ ვუთხარი, რომ თამარ კუცია-ღვალაძის შვილი ვარ. გადაირია სიხარულით, ალბათ იმიტომ, „მიგზავნილი“ არ ვიყავი და იმიტომაც, ის წარსული გავახსენე, ძალიან რომ ეძვირფასებოდა. კიდევ თუ იცი რამეო და წავუკითხე მისი „საქართველოს კომუნისტებს“.

მართალია, დღეს ეს ლექსი ბევრ კომუნისტს გააჯავრებს, მაგრამ მაინც თამამ სიტყვას მოვახსენებ ახალ მთავრებს.

თქვენ ამბობდით, საქართველომ რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს, ის რუსეთის კომუნისტად გარდიქცევა მაინც ბოლოს. ჰა, აღსრულდა, თქვენ მოხვედით, ჩვენც მივიღეთ ცრემლით ცხელით, მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიშტით შემოხვედით! განა ჩვენ აქ გვექონდა ტახტი, ან ზედ დავსვით ვინმე მეფედ, რომ ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეთ და ააშხეფეთ. განა ჩვენი არწივები გაურობდნენ დროშას წითელს, რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ ყველა ბილწს და ყველა სკვითელს. ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას, რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსულ ჩექმას. ზეინაბად გარდვიქცევით, გულს ჩავიკლავთ ალექსანდრე მთაბერის შმაგურს და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ არც ერთ მტკაველს, არც ერთ აგურს. მაგრამ თქვენში თუ ვიპოვით ჩვენზე მხნეს და ჩვენზე ძლიერს, უანგარო მამულიშვილს, სასახელო ივერიელს, თუ დაიცავთ ჩვენი ერის სილამაზეს, ენას, დოვლათს, თუ ჩვენ ცხელ მზეს არ გარდაქმნით ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად, თუ აღადგენთ საქართველოს ისტორიულ მთლიან ხაზად, მაშინ ჩვენს გულს, სულს, სიყვარულს წინ დავიფენთ ფინანდაზად. მაგრამ ვინმემ თუ გაბედა, რომ მოგვსპოს და გადაგვთელოს, ვიტყვი, მოკვდა საქართველო. გაუმარჯოს საქართველოს!

ამ ლექსის გამო მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი დიდხანს უკრავდა ტაშს სოსო გრიშაშვილს. საქართველოს კომუნისტებმა „თამამი სიტყვა“ არ აპატიეს, იგი საკამო ხანი იჯდა საპყრობილეში. გავიხსენე გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ნოე ზომელეთლის ლექსი:

თავმდაბალ სალამს მე მოგიძღვნი დიდი თავაზით, როგორც ხელოვანს, ლექსთ უსტაბაშს, რითმის ვირტუოზს, ვით მოპარპაშეს, ვერ გეტყვი რომ ცაში გავაზით, თავს ევლებოდე ხელოვნების მაღალ იალბუზს. შენ რომ იმ ღამეს ნუგეშად რომ ჩასწვდი ახალშენს, რაღაც ქარაგმით, გადაკვრით რომ წიხლი ჩაჰკარი, ბრბო მოსისინე ყურს უგდებდა აზრს ამ მდაბალს შენს, გამოიწვიე წუთიერი მასში ხარხარი. მაგრამ მითხარი ის ჩექმები, შენ რომ დასძრახე, რად არ სჯობია იმ ოქროს ფეხს ტიტველ ქალისას, შენ რომ საფლავის ძეგლადაც კი ერთხელ დასახე და ხელოვნების ამ წარყვანამ ქვე წავახალისა. საქართველო კი რომ გიყვარდეს ნამდვილის ტრფობით, შენც აქ იქნები ჩვენს რიგებში, ჩვენს ლეგიონში, შენც გაიმსჭვალვი ჩვენის ტანჯვით, ჩვენის თანხმობით, ივლი ღარიბად და არ გაგვცვლი ექვს მილიონში.

ვიცოდი, რომ გრიშაშვილის მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ საღამოზე სალაროში ექვსი მილიონი შემოვიდა. მაშინ დიდი ბონობა იყო და ეს ექვსი მილიონი ფაქტობრივად უმნიშვნელო თანხას შეადგენდა. შევატყვევ ეს ამოვნა, რომ ამაზე ლაპარაკი თვითონ მას არ დასჭირდა.

შენ ჩემი საპასუხო ლექსიც გეცოდინებო. ეგეც ვიცემეთქი (აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ იოსებ გრიშაშვილი ბინძური ლექსით „შეამკო“ სანდრო ეულმა).

პასუხი ნოე ზომლათელს

ზომლათელო, მე მაგონდება სოხუმის სკოლა, ჩვენი ბავშვობა, შერვაშიძე და ჯანაშია, მაშინ თუ გული ოქროს ფეხმა ამჩიოჩქოლა, დღეს, როგორც ვატყობ, საქმე უკვე ბასრ დანაშია. დღეს საქართველო ის როდია, რაც იყო წინეთ, ახალმა ძალამ ძველი ძალა მოსპო, ალაგმა, ჩვენც, მე და სხვებმა მხოლოდ ის ვთქვით,

რაც ღრმად ვინვნიეთ,

არ გვიხმარია, ვით შენ ამბობ, სხვა რამ ქარაგმა. როგორც პოეტი შენთანა ვარ, შენთან ვიქნები, როგორც მეჩქემეს, თავს ვერ გიკრავ მე კმაყოფილად, არ გეკადრება, სულში ხელი რომ ჩამიყავი და ეძებ იმას, რაც რომ ჩემში არა ყოფილა. ო, მართალია, მე არა ვარ გმირი პოეტი და ბრძოლის ველზე ვერ ავლესავ ხმლებს თუ სიათებს, მაგრამ არასდროს არ ვყოფილვარ მიეთ-მოეთი და ჩემს ლექსს მუდამ ქართველობა ახასიათებს. მაშ რას მეძღუროთ, ცილს რად მწამებთ, ან რას მამადლით, მე ქართველობით რომ ვამაყოფ, ნუთუ თქვენ ამას გაზომავთ რალაც შოვინისტურ, ორჭოფულ ადლით და ჩემს გამოსვლას არ უნოდებთ გმირულს და თამამს. დღეს გრიშაშვილებს სანდროები შემოესია, ო, მე არ მინდა მიემატოს ამას ნოეცა, რა ვქნა, არა მწამს რვა საათის მე პოეზია და ამ ხანასა სხვა მგონებშიც უნდა მოეცა. მე კი რასაც ვწერ, ვწერ თამამად, არ დასამალად, ვამბობ, თქვენს ხელში პოეზიას არ აქვს საშველი და სანდროებიც მიმჩნია იმ დასტამალად, რომლითაც, ნოეც, ცხვირს იხოცავს დღეს გრიშაშვილი.

— მარტო მე კი არ ვფიქრობდი ასე... და თავისი ნათქვამის დასტურად ალექსანდრე აბაშელის სტროფიც მოიშველია:

**ახლა ქუხილი არ ისტამბება, ხარი არ ყვირის
მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამობეჭდილმა
გაზეთებიდან.**

საკმაო ხანი ორივენი ვდუმდით. სირუშე გრიშაშვილმა დაარღვია, — ექვსი მილიონი არ მაკმარეს, ჩემს გასამწარებლად მაშინ ისიც თქვეს — „ეგ მამულოვი ქართველი არ არისო“... და მე დავინახე სიღრმე მისი ტკივილისა, რომელიც დრომ ვერ გაუყუჩა, ვერ გაუნელა, ტკივილისა, რომელმაც დაავინყა, რომ მის წინ 14 წლის გოგონა იჯდა. მისმა სიტყვებმა „ჩემს ლექსს მუდამ ქართველობა ახასიათებს“ და „მე ქართველობით რომ ვამაყოფ“... სრულიად ახალი დატვირთვა შეიძინა. ძალიან შეწუხებული და დათრგუნული ვიყავი.

— შენ თუ გიცდია ლექსის დანერაო — შეცვალა საუბრის თემა. ჩემი ლექსი ნავუკითხე. მეზობელი ოთახიდან სასწრაფოდ გამოიტანა თავისი ლექსების კრებული და წაანერა: „ახალგაზრდა პოეტს, ნიჭიერს და ჭკვიანს. იოსებ გრიშაშვილი“. ახალგაზრდა ნამდვილად ვიყავი. „ნიჭიერი და ჭკვიანი პოეტისა“ კი რა მოგახსენოთ. ოვანეს თუმანიანს აქვს ნათქვამი (მგონი არ მეშლება) — „ყოველი ქართველი პოეტი, ქართველი პოეტი კი — ორჯერ პოეტი“. მე, ალბათ, უკეთეს შემთხვევაში, „ყოველი ქართველის“ ვარიანტში გავდიოდი.

მერე მითხრა იმაზე, რაც ახალგაზრდებთან დაკავშირებით ანუხებდა. სამშობლოს სიყვარული უზენაესი გრძნობააო. გერქვას ქართველი დიდი საჩუქარია და ამ საჩუქარს მოფრთხილება უნდაო. ქართველები უდავოდ ნიჭიერები ვართ და ეს არის ჩვენი სიკეთე და უბედურებაც. ქართველს ნებისმიერი რამის გაგება და სწავლა ადვილად მოსდის. ეს ნიჭიერების სიკეთეა. მაგრამ ნიჭიერება მას აზარმაცებს და ავიწყებს იმას, რომ რაიმე ღირებულის მიღწევა დიდი გარჯის გარეშე არ იქნება — აი, ეს კი უბედურებაა. ახალგაზრდამ დრო უქმად არ უნდა დაკარგოს, ქვეყნის სამსახურისთვის სერიოზულად უნდა მოემზადოს. აუცილებელია, ახალგაზრდამ ცხოვრებისაგან იმის მიღება ისწავლოს, რაც ნიჭით და გარჯით ეკუთვნის, რასაც იმსახურებს. დაუმსახურებლად რაიმეს მიღების სურვილი ძალიან გადამდები და არაჯანსაღია, რაც ადამიანების ურთიერთობას აფუჭებს და ძაბავს და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის არის დიდად საზიანო. ადამიანურ ურთიერთობებს გაფრთხილება უნდა. გახსოვს ქართული ანდაზა? დათვმა ადამიანს უთხრა: იარაღით მოყენებული ჭრილობა მომიშუშდა, შენ რომ სიტყვით დამეკოდე — დღემდე მტკივო. მერე მთხოვა მისი გამონათქვამები ჩამეწერა. ის მკარნახობდა, მე ვინერდი. ვცდილობდი ლამაზი კალიგრაფიით თავის მოწონებას, რაც დიდ დროს მოითხოვდა. ალბათ, მოთმინების ძაფი გაუწყდა (ამას მერე მივხვდი) და თვითონ დამინერა: „ნიჭს თუ შრომა არ ახლავს, ადამიანისგან არაფერი გამოვა“ და კიდევ „უშრომელი ნიჭი უქმად დადებული ოქროს ზოდა“.

დამშვიდობება იყო გულთბილი. მთხოვა, კიდევ ვწვეოდი, დამპირდა, რომ ჩემთვის დროს ყოველთვის გამონახავდა. მაგრამ მერე მასთან აღარ მივსულვარ. მინდოდა, ამ შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილება სუფთად და სავსედ შემოეღებინა მესხიერებას, არაფერს ახალს არ დაეჩრდილა.

მოხსენება იოსებ გრიშაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ნავიკითხე (ცხადია, ვიცოდი რისი თქმა არ შეიძლებოდა, ის ჩემთვის დავიტოვე). მაშინ ვერ მივხვდი, გარდა შთაბეჭდილებისა, მისი სახლიდან რა განძი წამოვიღე. მოხსენების შემდეგ იოსებ გრიშაშვილის ავტოგრაფები წინო გორგოშიძეს დავუტოვე. რაც შეეხება ნიგნს... იმ დროს დაბადების დღეზე საჩუქრად ნიგნი მიგვეწონდა ხოლმე და... ჩემმა ძმამ — ნოდარმა (ღვალისკამ) თავის მეგობარს ოთარ ზებულაშვილს (შემდგომში კარგ მოჭიდავეს, ცნობილი ტელედეტორის დონარა კინწურაშვილის მეუღლეს) დაბადების დღეზე მიართვა ის ნიგნი. ნიგნის გარეშე დარჩენილ მიძღვნის წარწერას კი ვერ გავუფრთხილდი.

მერე და მერე უკეთ გავაცნობიერე, როგორი იოსებ გრიშაშვილი დავინახე მაშინ. ეს იყო ჩემი იოსებ გრიშაშვილი, თავისი ქვეყნის მოყვარული და მის მომავალზე დიდად დაფიქრებული!

ხელმარჯვე მსროლელზე ამბობენ ხოლმე: ტყვიას ტყვიაში სვამენო.

ხელმარჯვე სტილისტებზეც გადაუტანიათ ეს გამონათქვამი: სიტყვას სიტყვაში სვამენო.

პოეტური ეკვილიბრისტიკისათვის ეს სულაც მხატვრული ხერხი თუ მეთოდია, რასაც შემოქმედნი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და მკითხველსაც აგულიანებენ ამ თავისებურებაში გარეგნულ ეფექტზე მეტად ღრმად აზრის საპოვნელად.

ამ მანერას უმთავრესად მიმართავენ გროტესკული, პაროდული, ირონიული, იუმორისტული განწყობილების შესაქმნელად, თუმც არც დრამატიზმია უცხო ამგვარი სტილისტიკისათვის. სწორედ ეს მიდრეკილებაა ნიშანდობლივი პოეტისა და არქიტექტორის შოთა ბოსტანაშვილისათვის, ვინც მიზანდასახულად ცდილობს თავის ლირიკულ ტექსტებში მოარიგოს ეს ორი გატაცება და ლექსის გარეგნული აგებულება და სიტყვათა ფეიერვერკული ბრუნვა-ტრიალი თუ ერთმანეთში შეჭრაც ისეთ გამომსახველობად აქციოს, მის პოეტურ ჩანაფიქრს ყველაზე უკეთ რომ წარმოაჩინოს.

მოჩვენებითა შთაბეჭდილება, თითქოს ეს ლექსები მხოლოდ თვალთ წაიკითხებოდეს, ზეპირად წარმოთქმისას კი ეფექტი აკლდებოდეს. ყოველთვის, როდესაც მოგვისმენია ბატონი შოთას დეკლამაცია, დავრწმუნებულვართ, რომ „არქიტექტურული პოეზია“ ტრიბუნასა თუ სალონურ გარემოსაც ჩინებულად ეთვისება.



შოთა ბოსტანაშვილი

ქალიანი ალიონი

სიზმარი ცისაა...

კაი სიზმარი ნახო, წყალს არ მოუყვე —
— არ გაატანო;

მართალია ცის განაყოფია, მაგრამ...
სიზმარი **ოფია** — ხეა,
ისედაც ცისკენ მიიწევის,

მინას მოუყევი იმ წამს —
შეერევა, შე/გენახება;

სიზმრებით უდგას სული მინას.

თუ ქალიანი სიზმარი ნახო,
ქალიდან არ გამოუშვა,

შეეზრდება, შე/გენახება;

იქნებ არქეოლოგმა იპოვოს,
შეისწავლოს და ლექსი დაწეროს.
თუ ნერვეულობ, რვეულს უთხარი ეულს,
მარტოა, გაეხარდება —

მოუთხრე,
მოთხარე მინასავით და შიგ ჩარგე მარტოა სიზმარი...

სიზრქეც თუ ეყო მინის და ცის
ნებაც იქნა

იქნებ კვირტიც გამოისხას,
იქნებ გვრიტიც მოხიბლოს, რო

ცას ამბავი მიუტანოს.

...
დედა ვნახე...

უდაბნოში მატარა...

ის მეღვრებოდა, მე ვჯიუტობდი:

მერე ვეღვრებოდი,
მერე ვიმღვრეოდით,
მიმოვმღეროდით:

...
ვნახე მალქა ბაბო,
ჩემი ლუბა და რაია
და მეზობლის ქალები:
შენმა ბიჭმა აღმართები აიარა რაია!

...
აიარარაია...
— ა, იარა რაია!
— აი, არა რაია..,
აი (არარა)ია
აი ია

...
ია მანანას მივეცი.
ჩემი და ვნახე წუხელ — მანანა.

...
...და ვნახე წუხელ წუხდა მარია:
რამ მოგიყვანა, მზეცოტაობამ?
მაშინ მიწოდა მარიამ **შაბა**
ლაბა უწოდა მარიამ **ჩემ ხეს**

...და ავშრიადლი...
მარიკელებმა **მჩეხეს და მჩეხეს...**
რა გინილადო? — მკითხა მარიამ.

მე მზეს შევხედე — აი **რა** მარია!
და ჩამელვარა — **აირამარია...**

აი რამ ამრია
და ჩაველვარე — **აირამარია...**

აი რამ ავვრია,
მიმოვიღვარეთ — **აირამარიაირამარია...**

...
ახლოს **ქალიან ალიონია** — **ალიანია...**

ლია კუხიანიძე

წერილი იმიერ საქართველოში

ბატონო ოთარ ჩხეიძეს

ბატონო ოთარ, როცა ილიას, მისი მარადიული მტრების ახალმა წარმომადგენლებმა, უდიერად შეუტიეს, თქვენ მათ, როგორც ილიას სულიერ მემკვიდრეს ეკადრებოდა, ისეთი პასუხი გაცემით, ასე რომ მთავრდებოდა: „წარმოუდგენელია ინტელექტუალური ცხოვრება ჩვენში უილიაოდა. ილიას გარეშე. წარმოუდგენელია და შეუძლებელი. ეს ერთი ხატი მაინც შეგვარჩინეთ, თორემღა რაო, - სადღა დავხაროთ თავი, სადღა მოვიოხოთ გული, ვიღას რა შევჩივლოთ, ვიღას ვეახლოთ საალსარებოდა...“ რომ არა ილია, ზემოაღნიშნული თქვენი და თქვენი ნაღვანის სრულყოფილ შეფასებად შეიძლება ჩაითვალოს, იმიტომ, რომ მართლაც წარმოუდგენელია ჩვენში ინტელექტუალური ცხოვრება თქვენს გარეშე, მემატაიანის გარეშე, რომელმაც XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს დღეებამდე პირუთვნელი რეალიზმითა და უმაღლესი მხატვრულობით აღწერა ბედი ქართლისა, კალამი დადო და, არავინ იცის, როდის გამოჩნდება ის, ვინც მას აიღებს და იქიდან გააგრძელებს, სადაც თქვენ გაჩერდით.

ჩვენს სამშობლოში, ბატონო ოთარ, „ახალი ჩინგიზნი“ ისევე შემოიჭრნენ. რაც უნდა ექნათ, ის აღასრულეს. სისხლის წვიმები ადინეს. დაბომბეს, დაანგრეს, დალენეს, დანვეს, მოითარემეს, კოდორის, ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობების ქართველები გამოჩვეს. სამეგრელოსა და იმერეთში ჯარი ჩააყენეს, რუსის დროშა ააფრიალეს. დაგვამციურეს, პატივი აგვყარეს. სულში ჩავვაფურთხეს, აფხაზეთი და ქართლის გული, ე. წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნეს, ყველაფერი ამით კი კიდევ ერთხელ და მერამდენედ ცხადყვეს, რუსეთს თავისი „შავი წყურვილი, შავი, შავი, კუნაპეტი, კუპრი, უარესი კუპრზედა, ანუ ნეტავ თუ სადმე იქნება უარესი ჯოჯოხეთი“ ქცევია მისთვის შეუცნობელ უბედურებად. საქართველოს – მისი მშობლობა. ჩაადაევის ცნობილ სიტყვებში („ჩვენ არ ვეკუთვნით ადამიანური მოდგმის არც ერთ დიდებულ ოჯახს, ჩვენ არ მივეკუთვნებით არც დასავლეთს, არც აღმოსავლეთს, ჩვენ არც ერთისა და არც მეორის ტრადიციები არა გვაქვს. ვდგევართ რა დროის გარეთ, ჩვენ არ შევუძრვივართ საყოველთაო აღზრდას ადამიანურობისას... ჩვენი შემხედვარე, შეიძლება იფიქრო, კაცობრიობის ზოგადი კანონები შეცვლილია ჩვენთან დამოკიდებულებაში. ჩვენ მივეკუთვნებით კაცობრიობის იმ ერთა რიცხვს, რომლებიც თითქოს არ შედიან კაცობრიობის შემადგენლობაში, არამედ არსებობენ იმისათვის, მსოფლიოს მისცენ საჭირო გაკვეთი-

ლი“), რომელსაც ბერდიაევი „რუსული თვითშეცნობის მწარე თვითუარყოფას“ უწოდებდა, დროს ცვლილება ვერ შეუტანია.

„ლიტერატურა მხოლოდ სიმართლეა, აქ მე არაფერ შუაში ვარ. რახან რო ვწერდი ვერ დავწერდი სხვანაირადა“, აღნიშნავდით თქვენ და ეს იყო ის მთავარი პრინციპი, რასაც მთელი ცხოვრება ერთგულებით, რის გამოც ვერავინ და ვერაფერმა დედა ვერ გაგაცვლევინათ დედინაცვალი და ცრუკახაბერების მეხოტბედ ვერ გაქციათ.

მაშინ, როცა უზარმაზარი სახელმწიფო მანქანა დღე-დაღამ მუშაობდა რუსეთისგან დაპყრობილი ქართველების ტვინის შესაბრუნებლად, („დაპყრობას შეერთებდ უხსნიდნენ, ძარცვას მეგობრულ ურთიერთობად... მხოლოდ იმასღა რო ამტკიცებდნენ თუ როგორ მოგვიტანეს არნახული ბედნიერება, როგორი სიხარულით მივცემნეთ ამა მომტანთა ამ არნახული ბედნიერებისა“) და მთავარი შემაბრუნებლის ფუნქციას ხელოვნებასა და ლიტერატურას აკისრებდა, თქვენთვის ეს „ბედნიერება“ ყოველთვის იყო ილიას გზიდან გადაცდენილი ქვეყნის „ლალატისა და დამონების გზა, 200 წლის პყრობილების გზა, მოგვირისტებული ლერმონტოვითა, გორკითა, დეკაბრისტებითა“. „ბედნიერების“ მომტანი - „ტურტლიანი რუსეთი, მონობის რუსეთი, სამწყვრეულო შემზარავი“.

თქვენ, თავგანწირვის ფასად, თქვენი მართალი შემოქმედებით აჩვენებდით ნამდვილ სახეს თავზარდამცემი იმპერიისა (აკი თქვა კიდევ ზვიად გამსახურდიამ, „ჩვენ სად ვიყავით მაშინ, ოთარ ჩხეიძე მარტო რომ ებრძოდა იმპერიასაო“), უკიდევანო სტეპებიდან კავკასიის ნებით გაღებულ კარებში შემოსულს, მზაკვრობით, ძალით, ყველაფერი რომ უნდა მიენგრ-მოენგრა, ქართული სულის გეოგრაფიული ლანდშტაფტის ჩათვლით სიმაღლეები მოესწორებინა და განეგრძო გზა კონსტანტინეპოლისაკენ, თავისი იდეაფიქსის, მესიანური იდეის (დღესაც რომ ვერ შელევია), მესამე რომად გახდომის აღსასრულებლად. განუხორციელებელი იდეისა, რადგან მისი უზარმაზარი ენერგია, თავის უკეთეს, მოაზროვნე შვილების შეხედულებებში გამოვლენილიც კი ატარებს „დიადი რუსული მისიის“ იმ დამანგრეველ ძალას, რომლის გამოც შენგლერმა რუსეთს უწოდა „აპოკალიფსური ბუნტი ანტიკურობის წინააღმდეგ“.

თქვენ კარგად მოგეხსენებოდათ, სულ სხვადასხვა იყო მიზნები ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი მოდერნიზებული იმპერიის — საბჭოთა კავშირისა — და მისგან სახელმწიფოებანართმეული საქართველოსი, ისევე, როგორც განსხვავებული იყო საფიქრალ-საზრუნავი ჰეგელის, ნიცშეს, დარვინის, მარქსის მოძღვრებათაგან ახალი რელიგიის შემქმნელი რუსი ინტელიგენციისა, ბოლშევიკებამდე რომ ამკვიდრებდა ბოლშევიკურ მორალს („მე ვინცე კაცობრიობის შეყვარებას მარატისებურად. მისი მცირე ნაწილიც კი ბედნიერი რომ გავხადო, ცეცხლითა და მახვლით გავანადგურებ დანარჩენებსო“. ბ. ბელინსკი) და სულ სხვა — ქართველებისა.

თქვენი სიმართლე, ბატონო ოთარ, იმას ემსახურებოდა, ამდენ სიყალბესა და ტყუილს „მოყვარე მტრიდან“ მხოლოდ „მოყვარე“ არ დაეთოვებინა და „შურისძიების გრძნობა არ გაგრძელებულიყო“, ორი რუსეთის არსებობის ყბადაღებული თეორიაც ამიტომ მიგაჩნდათ ქართველების

თვალის აბმის კიდევ ერთ საშუალებად, „ორი რუსეთიო აუხირებიათ ჩვენში. ერთი, ერთი, ერთი და განუყოფელი. ერთი, ერთი და გაუმადლარი, ბოროტების მზე ისევე იქიდან ამოდის, შავი მზე ამოდის, ამოდის, არ ჩადის, თუ ჩავა მსოფლიო ამოისუნთქავს იმისაგან. ვინც რო აღარ არის, აღარც რო ერი, აღარც რო ხალხი, აღარც რო სახელმწიფო. ხელისუფლებაა და ბრბო. პოლიციაა და ქურდები“.

დამოუკიდებლობის დამკვიდრება და სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა იყო თქვენი ოცნება-სანუხარი, რომლის ახდენა-დასაამებლად იღვწოდით და მკითხველისათვის იმ ქართველის განცდის დაბრუნებას ცდილობდით, „კაცობა რო სახელმწიფოთი მიაჩნდა და სახელმწიფოთი რო იყო კაცა“. ამის მიღწევა და მოსალოდნელი უფრო უარესის თავიდან აცილება კი მხოლოდ „გაჭეშმარიტებული სიცრუის“ მხილებით შეიძლებოდა, ამიტომ დაინწყეთ სულ თავიდან, ერეკლე მეორის საბედისწერო არჩევანიდან განჩხრეკა-გაანალიზება იმისა, რამაც საბოლოოდ დაანგრია ქართული სახელმწიფოებრიობა, დასცა ქართული სული და შექმნა თქვენი რომანების ციკლი, „ბედისწერა მე-20 საუკუნის საქართველოსი სხვის ხელში“, რუსის ხელში, რომელშიც მარტო მიზეზები კი არ ახსენით იმ უბედურებისა, ქართულ მიწას პატრონი რომ დაუკარგა, ერს — ხელისუფალი, ხალხს — სულიერი წყობა და ხალხობა, არამედ წინასწარმეტყველის ტკივილით დაგვიხატეთ სავალალო შედეგები იმისა, რაც რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ვერაგი პოლიტიკისა და ჩვენი ხელშეწყობით მნიფ-დებოდა, ყვარდაუვალი იქნებოდა და რაც ამ დღეებში ახდა კიდევ, ყველა პრობლემამ სისხლით იფეთქა.


თქვენ, თქვენი დიდი ლიტერატურული წინაპრების მსგავსად, ქვეყნის თავსმონეული ტრაგედია მხოლოდ გარეშე ძალისათვის არასოდეს დაგიბრალეხათ, ამიტომაც დაამატეთ არისტოტელეს ცნობილ გამონათქვამს (საქართველოს რეალობიდან გამომდინარე): „ყოველი სახელმწიფოს დაღუპვის მიზეზი ან მასშივეა, მინაგანი, ან გარეგანი თუ მასზე ძლიერი და ბოროტი სახელმწიფო ესაზღვრება“ — თქვენი სიტყვები, „მით უარესი თუ შინაგანი და გარეგანი მიზეზები ერთად მოიყრის თავსა“.

უტყუარია, ბატონო ოთარ, რუსული ჭირის თქვენი ისტორიულ-მხატვრული შეფასება, ანუ ჩვენება იმისა, თუ რა უქნა შინაგანი და გარეგანი მიზეზების ერთად თავმოყრამ ქართველს, რომლის ნაკლს რუსმა თავისი უკეთური მიზნების მისაღწევად შესაფერი „მორალური კლიმატი“ შეუქმნა გასამრავლებელ-გასაძლიერებლად, ქვეყნის დასაღუპად, ასე რომ იწყებოდა: „დარუბანდის კარი შეაბეს წინაპრებმა და გულდინჯად იყვნენ, ვიდრე პეტრემ არ მოარყია. იმ ჯილაგძალმა. გვარი არ იცოდა და

ჯილაგი აქეთ ეწოდა... ქართველი 32-მდე კიდევ ქართველობდა. 32-მა მოულო ბოლო. ძალი წარიღო შემართებისა. დასცა, დათრგუნა, დააჩიავა. ყველა მოუფრთხილდა ტყავსა თავისასა. გამცემად აქცია ყველა ცალ-ცალკე, ხოლო ერთობლივად — დამაქცევრად საკუთარი ქვეყნისა. კავკასიონიც თან მიაყოლა. მთლად მთაგრეხილი მოშალა, მოფუტკნა. ჩინმედლებისთვის გაიმეტა ხალხი გაჭირვებული. მთებს შეყუჟული. კლდეებს მიკრული. კიდევ რიხი თუ რამ შერჩენოდა შამილს შეაღია. გასწირა ყველაფერი. მონობამ დასცა. დაუშრიტა სულის სიმდიდრე და მკერდგაღელილი დაეფინა დაღურსმულ ჩექმებს. იქამდე დაეცა — უმანკოებაც რო დაუგო ქვეშა. დაუგო და გაასრესინა მის იმპერატორობით უდიდებულესობასა“.

გაყო რუსის დამლუპველმა პოლიტიკამ ორ ნაწილად ისედაც დასუსტებული ერი, იმად, ვინც ხსნას მორჩილებასა და საკუთარი ქვეყნის დამონებაში მიღებული ჩინმედლებით მკერდის დამშვენებაში ხედავდა, და იმად, „ქართული რო სტკიოდა, ძალიან რო სტკიოდა“. პირველი იქ იყვნენ „სადაც რუსი წესრიგს ამყარებდა, ელუპებოდა მამული საკუთარი და სხვას ასწავლიდნენ მორჩილებას რუსთა“, მეორე კი „ძველი დიდება რო აღარ მოსდგამდათ, აღარც ქონება, მხოლოდ სიამაყე შერჩენოდათ, დაუთმობლობა შერჩენოდათ, გულისანი იყვნენ. დაუფიქრებლად შეასკვებოდნენ, ჩიტის კვერცხივით შეასკვებოდნენ, ვინც უნდა გადასდგომოდათ წინა“ — თავის ბედკრულ სამშობლოსთან.

თქვენ ორივე ქართველი დაგვიხატეთ უკეთ განსაცდელად ტრაგიზმისა, კიდევ უფრო რომ გამძაფრდა მაშინ, რუსეთიდან წამოსული, „ქვეწარმავალივით კულდე შემდგარი ბორიყი“, ძლივს მონობიდან თავდახსნილ საქართველოს 1921 წლის თებერვალში თავს რომ დაატყდა და სატანის იდეოლოგიით ტვინშებრუნებულ ქართველებს ალენინა ყველა, ვისაც „კეთილშობილება და განსწავლულობის იერი ამოფენოდა სახეზე“. ვირტუალური „კომუნიზმის ლაჟღაჟა მწვერვალებისაკენ“ დაუნდობლად მიმავლებს ერის საუკეთესო ნაწილი — არისტოკრატია გაანადგურებინა („არისტოკრატია — შერჩეული ნიჭი ერს შორის, შემქმნელი ერის კულტურისა, მისი დიდების, თავსმდეტი აღურაცხელ მოვალეობათა, მის დასაცავად, სახელმძღვანელოდ და მარადის ყოფად“. მიხეილ წერეთელი). 30-იან წლებში კი „საუკუნეთა მიერ დაგროვილი ნაგვისაგან გასათავისუფლებლად“, ასე უნოდებდა მათ რუს სოც-დემოკრატთა სულიერი მამა მარქსი, ძირძველი გვარები და ოჯახები, რომლებითაც ჯერ კიდევ მოფენილი იყო ქვეყანა და რომლებიც თავიანთ ნოდებაში გამოხატული ცხოვრების წესით დულაბივით კრავდნენ განწირულ საქართველოს.



ოთარ ჩხვიცი

„გვარი ყველაფერი“ დაჟინებით აღნიშნავდით, ბატონო ოთარ, და გვარში იმათ გულისხმობდით, რომლებმაც იცოდნენ, „მამული მინაა, მამული მინის დაუფლება გახლავს, ჰქონდათ მამული და იყვნენ კაცნიცა, დაჰკარგეს მამული და გაჰქრნენ კაცნიცა“. რუსის მზაკვრულ ჩანაფიქრს, „უქართველებო საქართველოს“, ძალასთან ერთად იმის ცოდნაც ედო საფუძვლად, მინა რომ უნდა გამოეცალა ქართველი კაცისათვის, იმ კაცისათვის, „სტუმარი რომ ღვთისად მიუჩნევიდა და ამით დაღუპულა კიდევ“.

როცა ქართველებს ჩასჩინებდნენ, ყველაზე უკეთესი ინტერნაციონალისტები ხართ, იამაყეთ, მარტო თბილისში 70 ერი ცხოვრობსო, და ამ განსაკუთრებულ პოლიტიკურ მიღწევას უმღერ-უგალობდნენ (თუმცა ის არავის ახსოვდა „იმ სამოცდაათიდან სამოცდაცხრა არასოდეს რომ არ დაჭრილა და დაბეგვილა. მხოლოდ ერთნი იჭრებოდნენ და იხოცებოდნენ“), თქვენ თქვენს მკითხველს მოვლენის ნამდვილ არსში ახედებდით, აფხიზლებდით, თვალს უხელდით იმაზე, რომლის არდანახვაც ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებდა.

ამიტომ ათქმევინეთ „ბორიაცა“ რუსთაგან მეორედ დაპყრობილი ქვეყნის მდგომარეობითა და სამომავლო პრობლემების განჭვრეტით გულმოკლულ გურანდუხტ არჯევნელს: „ფუჭი იმედი სასონარკვეთაზე უარესია, რილას იმედით. უამრავი თესლი მიმოხეულა ერთ ციციქნა მინანქალზედა. თესლი თესლსა სჯობს და მინასა ჰფიტავს თესლი უამრავი, კეთილ თესლს ველარ შეენევა მნიერი ნიადაგი და ველური თესლი გაიდგამს ფესვსა. გადაშენდება იფქლი იგი და ძირმწარე მოედება იქაობასა. თუ გადაშენდა, ეგ კიდევ არაფერი, გადაჯიშდება იფქლი იგი... ძირმწარედ იქცევა იფქლიცა“.

განახორციელა კიდევ ქართველი იმპერიალისტებისა და აგრესორებისგან „დაჩაგრული“ ეროვნული უმცირესობების „შემბრაღე“ და „ქომავმა“ რუსმა გურანდუხტ არჯევნელს შიში. ერთციციქნა მინაზე მოხეულმა თესლმა აჯობა კეთილ თესლს. ველური ფესვი გაიდგა. გადაშენდა იფქლი, ძირმწარე მოედო იქაობას და რუსის პოლიტიკით აქა-იქ შემორჩენილი თუ ქართველთაგან დაცლილი ძირძველი ქართული მიწები „რუსმა შეავსო უცხოტომელებით და გააერთიანა ენითა თვისითა. საბაზრო რუსულითა“. მიწები, როგორც ვახუშტი აღნიშნავდა საბარათიანოზე, რომელზეც ხარობდა ყველაფერი „თვინიერ ბამბისა და ბრინჯისა“, რუსების გარჯის შემდეგ კი „თვინიერ ბამბისა, ბრინჯისა, ქართველისა და ქართულისა“. აფსუებს, „ვითომ აფხაზთა“ — აფხაზეთი მიუსაკუთრა, ოსებს — „გადაგვარებულ ოსებს, რუსებადვე გადაგვარებულთ“ — შუა ქართლი. „ვითომ ჯავახნი“ და სხვანი რიგში არიან.

რა დრამატიზმით გვიჩვენეთ, ბატონო ოთარ, საქართველოსათვის საბედისწერო „ბერმუდის სამკუთხედი“ (სოხუმი-ცხინვალი-ბათუმი), ბავშვობაში „ივერთა მხარის“ აყვავებაზე მეოცნებე, შემდეგში ქართველთა „მაოხრებელ მკვდრად“ ქცეულმა მსოფლიო მონსტრმა რომ შექმნა, „გული რომ მოიფერა სამშობლოს სრესითა რუსულ სანახელში“... თავის სავალალო მდგომარეობის ვერ შემგნებ ერს გმირად რომ მიაჩნდა, სინამდვილეში კი „ვისაც გაუცია თავისიანები, გაუცია, გაუფლეთია, ურბევია,

უნიოკებია ნახევარი საუკუნის განმავლობაში. რო უნდოდა იმათი ყოფილიყო, უნდოდა და იყო სულითა, გულითა, საქმითა, აზრებითა, სისხლითა, ხორციითა... ახალციხური ვისაც გაუკეთებია, რამდენიმე ახალციხური“, და ვისაც, როგორც სისხლიან კერპს 1956 წლის 9 მარტს უცოდველები შეენივნენ.

ხელისუფლებას „შიშით მოზელილი და შიშად ქცეული“ საზოგადოებისათვის ქართული ტკივილების დასავინწყებლად ისტორიაც გაეყალბებინა და ანტიგმირები გმირებად ექცია, თქვენ ვერ დაუცდიდით იმ დროს, როცა სიმართლე ტყუილის ჩრდილიდან გამოვიდოდა და ვითომ გმირებს ნიღაბი ჩამოეხსნებოდათ, რადგან „დავინყებას ეძლეოდა ყველაფერი, დამოუკიდებლობის წყურვილი ილუპებოდა“. ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევით ცდილობდით გაუკულმართებული ისტორიული მოვლენებისა და ისტორიულ გმირთა თავდაპირველი სახით დაბრუნებას, რადგან, ვინც ნამდვილი ისტორია იცის, მტერიც იცის.

ბატონო ოთარ, თქვენთვის გმირი ის იყო, „ვისშიც ერი ჰპოვებს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს“ (ილია), გმირი, რომლის „ნიადაგი ერი ყოფილა, უეროდ გმირი არ ყოფილა“ და რომელიც ქართულ სულს, ყველაფერი ქართულის საფუძველს, დაჰპოვინებდა, იცავდა, აძლიერებდა: „ნამებულო, ბრწყინვალეო, თავდადებულო, მეტი რაღა უნდა გმირულ სახელსა, აღარც იქნება აღმატება მეტი. მაგრამ მაინც ნამეტა დავით აღმაშენებელმა და ერეკლე მეორემ. ერეკლეზე მეტი ცოდვა ვის ადევს კისერზედა?... მაინც ნამეტა... დავითისა უნდა ითქვას პირველყოვლისადა: აღმაშენებლობა რო დაიმკვიდრა, განათუ ოდენ ეკლესიებით დაიმკვიდრა სახელი ესე, — ეკლესიები რა მოსატანია თუნდაც საოცარი, თუნდაც დიდებული ეკლესიები, სული გამოიხსნა, ქართული სული, გამოიხსნა და გადაარჩინა, გადაარჩინა და აღაშენა... გაანადგურა ხრწნილების ბუდე ეგრეთწოდებული საამირო თბილისისა, ავტონომია არაბული, საღით შეიბღალა ზნეობა ქართული, ენა ქართული, სული ქართული საღით ჩამოინგრა.. აღკვეთა ხრწნილება საშინელი... მაინც სინანულისად უგალობნია, ერეკლეს სინანულისა რა მოგახსენო, ამით გამოხსნილა, ებრძოდა ახალციხეში თურქული ხრწნილების ბუდესა და სახელიც ამით დაიგდო. ცოდვაც ამაში ამოიძალა“.

ამიტომ იყო თქვენთვის გმირი ერის ნიადაგიდან ნამართული, წინაპართა ტრაგიკული ბედის თანაზიარი, მათი სულიერი მემკვიდრე, რუსისგან ქართული ზნეობის, ენის, სულის შებღალვისათვის შექმნილ ახალ „ხრწნილების“ ბუდეებს რომ ებრძოდა „შეთხზულ ავტონომიებში“. ნამუხთლევს, ნალალატევს, დევნილს, სამეგრელოს ტყეებში ტურა-მგლებიდან მომწყვდეულსა და სასიკვდილოდ განწირულს სულის შემძვრელად რომ ათქმევინეთ: „სამშობლოო — ისე, თითქოს რო ავერ, რო თვალწინ კუბოში უსვენიაო. პოლიტიკა რა ღირსეული რამ არის ღირსეულთა ხელში და რა სიბილნე ბილნთა ხელში. თვითონვე თამაშობს დათვი, ანუ ათამაშებს აქ აფსუებსა და იქ ოსებსა, გააგდებინეთ ეს სათამაშო ხელიდან და დაენარცხება. ვერ ახერხებთ, ამას ცოდნა უნდა. მე ვიცი. მე არ დამაცადეთ“.

თქვენ ხსნას მხოლოდ ერთიან კავშირში — კავკასიის კავშირში ხედავდით. რუსისგან თავდახსნილ კავკასიის კავშირში, რომელშიც რუსი ერთ მისგან გაბრიყვებულ, გაბოროტებულ ძმას მეორისთვის ყელის გამოსაჭრელ დანას ხელში ვერ შეაჩივებდა. ნუხდით, რომ ვერ იქნა და ვერა, ერთ მოქალაქეობრიობად ვერ იქცა კარგახანია შემოკედლებული ხალხი. მიხეილ ჯავახიშვილის შემდეგ თქვენსავით დაურიდებლად არავის შეუფასებია საქართველოსთვის დამლუბველი ის პოლიტიკა, ჯაყოსადმი რუსის დამოკიდებულებით ბუზი სპილოდ რომ აქცია, უვიცი და უჯიშო ჯაყო კი დამანგრეველ ძალად: „სიავეა ჯაყო, მხოლოდ სახე რო არ არის, ტიპიც რო არის. ერთი არ არის და პიროვნებაც არ არის. ქაჯეთია, მთელი ქაჯეთი“. ქვეყნისთვის ქაჯების შემომსვენს არ მორიდებისხართ და იმათ მოერიდებოდით, საქართველოს მცირე ერების ჰარმონიული თანაცხოვრების სამოთხედ რომ წარმოაჩინდნენ? „სიმართლეა მსხნელი ჩვენი ხალხისა, სხვა იარაღი არ გააჩნიაო“ და ის იყო სიმართლე, იმათ რომ ამხელდით, ვისაც სურდა და სურს ქართული ჯილაგი განწყვიტოს, თორემ „საცოდავი ოსები და აფსუები, რო არ აუგიათ არაფერი, არ შეუქმნიათ არაფერი, ნადირობისა და გაძლომის მეტი რო არც არაფერი მონდომებიათ, აღრჩობთ ჟინი უმადურობისა და სწყურიათ სისხლი კეთილისმყოფელთა“, როგორ შეიძლება უბედურების თავიდათავი იყვნენ.

თქვენი ნასვლის შემდეგ არაფერი მომხდარა, ბატონო ოთარ, ისეთი, რისი მოხდენის შიშით თქვენ არ გქონიათ. ცხადად ხედავდით, უჭკუო პოლიტიკას, საკუთარი ხალხისადმი დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობასა და მუდამ საომრად გამზადებული რუსის პროვოკაციაზე წამოგებას სამაჩაბლოში რაც მოჰყვებოდა: „რა მოჰყვება? — ნგრევა შენი სოფლებისა, დაჭრა-დახოცვა შენი ხალხისა, ჯარისკაცებისა, მოსახლეობისა. შენისა. შენისა და იმათ რო დახოცავ, ისიც რო შენია, და იქით რო დაანგრევ, ისიც რო შენია. რუსსა რა ენალვლება?! რა ენალვლება ტერორისტსა. გააქცევ ნავა. ნანგრევებში შენ აღმოჩნდები. მკვდრები შენი დასამარხია. რა ენალვლება რუსსა. მტერსა. მოსისხარ მტერსა“.

ქვეყანა შაგრენის ტყავით კვლავ დაპატარავდა, იმიტომ, რომ „ქვეყნის დამოუკიდებლობა გატანილა ბაზარზედა. სახელმწიფოსა ჩუქნიან სხვებსა და ხელქვეითობა მიუჩნევიათ ხელისუფლებათა“. გამჩუქებლებს არც თავიანთი „მოღვაწეობის“ მთავარი პრინციპისთვის, „ხალხი იმისია უჭირდეს და მოითმინოსო“, უღალატნიათ, მაგრამ, ბატონო ოთარ, ყველა უბედურებაზე დიდი უბედურება ის დაგვმართნია, რასაც თქვენ უწოდებთ, „განუსჯელობა, განუსჯელობა ტრაგედიისა“. ერის ხალხობადაკარგული ნაწილი ისევ ანტიგმირით მოტყუებულა და ნაცებულის მოგებულად ჩამთვლელი, თვალაბმული, ხელისუფლებისგან დადგმული „ლაზერმოუს“ მონაწილეა. ომში დამარცხებული, თვალში სიმწრის ცრემლგამშრალი, ყელში ბოღმისა და უძალდობის ბურთგაჩრდილი ქართველის ხმა კი „გამარჯვებული“ ხელისუფლებისა და მისი მომხრეების სიმღერა-ყიჟინში აღარ ისმის.

„ქართულ მიწიდან საქართველოს ერეკებიან, ვაი კაცთა აყრილთა, დევნილთა, მიუსაფართა, ვაი“, იერემიას გოდებასავით მოაცილებდა თქვენი ხმა აფხაზეთიდან

„თოვლეთში“ დევნილებს. ვაი, რომ ეს ხმა ახლა აღარ ისმის და ვინლა აღწერს თქვენსავით, ბატონო ოთარ, შთამომავლობისათვის „უღირსებო შვილებისაგან ღირსება-აყრილი სამშობლოს“ ბედისწერას.

ვინლა არ მოგვასვენებს იმის დაჟინებული თქმით: „შენ თუ მინას გაცლიან ფეხქვეშა, არ უნდა გამოაცლევინო მინა ფეხქვეშა. თუ მინც გაცლიან, არ უნდა გამოაცლევინო, უნდა მოიდგა ფეხი მყარადა მინაზე შენზე. მაგრადა. მჭიდროდა. მოუცილებლადა. უნდა შეინარცხო და არ შეინარცხო თუ ვინმე მინას შეგეცილებდა. უნდა შეინარცხო“.

ვინ ეტყვის იმათ, „ორი ბატი რო არ მიეზარებათ არც არავისა სათითაოდა“ თქვენსავით უშიშრად და დინჯად: „იტრაბახე რამდენიც გენებოს დიდგორითა და დავითითა. დავითებოთა. ის დავითები სულ სხვანი გახლდნენ... არც გადაეტანათ მშენებლობანი კომუნიზმისა. არც არავის დაჰპირებოდნენ რეფორმებსა სახიფათოსა. გლობალიზაციის რეფორმებსა. თავი თუისი თუითონ ეყუდნოდან, არც დადიოდნენ სხვათა ჭკუაზედა ძალნიც ერჩოდან საომრადა. სხვანი იყვნენ და სხვანი გახლდნენ. შენ იტრაბახე რამდენიც გენებოს“.

თქვენსავით ვინლა შეაგონებს დარღვეულ ქართველობას, „სახელმწიფო — ენაა, არის ენა და არის ხალხი: იმლება ენა და იმღვრევა ხალხი“.

ამდენი ძიძის ხელში მყოფთ ვინლა გაგვაფრთხილებს, მწარე რეალობის დანახებით: „განა შენთვის რა შეიცვალა?... ამათაც არ ვუღირვართ არაფრადა. გზად და ხიდად თუ გამოვადგებით. მოძველებულ გზად და ხიდადა. შეგვაკეთებენ სახელდახელოდა. თავანთი მასალითა. თავანთი ხელობითა. გადაგვივლიან და გადმოგვივლიან. გადაგვივლიან და გადმოგვივლიან. გაგვეჯიკავენ. გაგვასწორებენ. არარად გვაქცევენ. არარადა. დიდი დიდი ერთი რამ ხელობა მაინც ჩაგვაბარონ: გზები შეუწყეთოთ. რო არ დაბრკოლდნენ. რო იქროლონ და იქროლონ“.

ვინლა შეგვასხენებს თავზარდამცემ საშიშროებას: „სხვა რომ არაფერია სახელმწიფოს დაკარგვის მეერე. უკუნიეთის მეტი აღარაფერია“.

დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე საბოლოო გულის გატეხამდე ერთი ნაბიჯია, მაგრამ გახსენება იმისა, რომ დიდი მწერლის არსებობა, ღმერთის მწერლის მშობელი ერისადმი გამოხატული სიყვარულის ნიშანია, უიმედობას არ გვანებებს: „დაეჭვი, მაგრამ გული არ გაიჩეხო... სასონარკვეთილებას ნუ მიეცემი. განა სხვა რა არის ისტორიის საქართველოსი — თუ არა ბრძოლია გლობალიზაციის წინააღმდეგ?... ღმერთი მაინც არ გაგვწირავს, რუსეთი თავის თავს თვითონვე ამოიჭამს. გამოიხრჩობა თავისსავე გესლშია, შხამშია თავისსავეში. საქართველოს სიძულვილითა, კავკასიის სიძულვილითა რო დაჰგროვებია. ...ყველაფერი რო წარმავალია, წარვალს ესეცა. იმდავრებს იდუმალი ღმერთი შენი. იდუმალი და უხილავი... სინედლე შენი კვლავ გადაგარჩენს. ოლონდ გჯეროდეს... ოლონდ გჯეროდეს“.

...ბატონო ოთარ, რატომ შეგანუხეთ? იმიტომ რომ, ნუგემისთვის თქვენიან მოსულს, როგორც ხატის წინაშე, თავი დამეხარა, გული მომეოხებინა, შემეჩვილა. აღსარება მეთქვა.

...ვიცი, გამიგებთ.

ეკა ბუჯიაშვილი

ლექსები... როგორც ნავსაყუდელი

□

შეხვედრა მზია ხეთაგურთან

დიდი ხანი არ არის, რაც გამოქვეყნდა ამ მწერლის სქელტანიანი კრებული, რომელიც მრავალმხრივად წარმოგვიდგენს მისი ნიჭის თავისებურებებს. წიგნში ერთიანდება დრამატული პოემები, მოთხრობები, პუბლიცისტური და სალიტერატურო წერილები, საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები... მაგრამ ეს გამოცემა ვერ წარმოაჩენდა ავტორის კიდევ ერთ ნიჭს — არტისტიზმს. სწორედ ამიტომ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში შეხვედრა გაიმართა ქალბატონ მზია ხეთაგურთან, ვინც თავად საუბრობდა საკუთარ შემოქმედებაზე, მრწამსზე, ტკივილსა თუ სიხარულზე... დროდადრო თავის ლექსებსაც უკითხავდა შეკრებილებს და რუსი პოეტი ქალის შესანიშნავი პაროდირებითაც გაამხიარულა დარბაზი.

— „სიცოცხლე როგორც დანაშაული“ — ასეთი მოულოდნელი სათაურით გამოაქვეყნა მზია ხეთაგურმა თავისი კრებული და მასში რამდენიმე შინაარსი შეიძლება ამოიკითხო. ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო არის პასუხისმგებლობა იმ რეალობის წინაშე, რომელშიც ცხოვრობს. სიცოცხლე დანაშაულია — ყოველი ადამიანისათვის მეტნაკლებად — ასე უნდა გქონდეს გააზრებული და შეცნობილი შენი ყოფა ამ წუთისოფელში, რათა შეძლო ის არასრულყოფილება, რომელსაც ადამიანის ცხოვრება ჰქვია, როგორმე სრულყოფილებას მიუახლოვო.

წიგნს დართული აქვს რამდენიმე ლიტერატორის შეფასება — გერმანელის, პოლონელის, რუსის... და არცერთი ქართველის. ესეც ძალიან ნიშანდობლივია. მართალია მის შემოქმედებაზე გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებები, მაგრამ არა ისეთი მნიშვნელოვანი, ღრმა და პროფესიული წერილები, საიდანაც რედაქტორი შეძლებდა საგულისხმო ციტატების ამოკრებას. იქნებ დღევანდელი სადამო გახდეს ბიძგი იმისა, რომ ეს მწერალი შესაბამისად იყოს დაფასებული. როგორი მრავალფეროვანიც უნდა იყოს მისი შემოქმედება, ის მაინც პოეტიკა, თავისი ტკივილითაც და სიხარულითაც, და მოვალენი ვართ ეს დაბეჯითებით ითქვასო, — თქვა შეხვედრაზე **როსტომ ჩხეიძემ**, ქალბატონმა მზიამ კი:

— საერთოდ, პოეტს სულაც არ სჭირდება მიზეზი იმისათვის, რომ ტკივილიანი იყოს, რადგან პოეტად დაბადება უკვე ნიშნავს იმას, რომ მას თან დაჰყვა საბაბი ტრაგიზმისა, რომელსაც პოეტად ყოფნა ჰქვია.

მე ვერ დავიჩემებ, რომ პოეტად დავიბადე, მაგრამ იმას კი დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ჩემთვის ყოველთვის

გაუგებარი იყო სიყალბე, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება ვიბრძოდი და ამის გამო არაერთი ტკივილი მიმიღია. ჩემს დაბადებას მგონი ეს ტკივილი დაჰყვა თანო, — თქვა და შეკრებილ საზოგადოებას ერთი მსახიობის თეატრის შესანიშნავი ნიმუში უჩვენა.

დალილა ბედიანიძე:

— მზია ხეთაგური შესანიშნავი პოეტიკა, მრავალმხრივი ნიჭიერი ადამიანი, და მე მას ვუსურვებ მხოლოდ იმხელა ტკივილს, რამხელაც ლექსის დაწერას სჭირდება (უამტკივილოდ ვერ დაწერს, თორემ არც ამას ვუსურვებდი). ახლა კი მინდა ვთხოვო ის წლები გაიხსენოს, მოსკოვში რომ სწავლობდა.

მზია ხეთაგური:

— დიდი უსიამოვნება მქონდა ოჯახში და გავიქეცი თბილისიდან. დავრეკე მოსკოვში ჩემს ახლობელთან — ანაიდა ბესტავაშვილთან, ვისაც ძალზე საინტერესო თარგმანებით იცნობს საზოგადოებრიობა, ავვისტოს მოვლენების დროს კი ხმა აღიმალლა, დაგმო რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა, არაჩვეულებრივი წერილები გამოაქვეყნა და ამ ყველაფრის გამო ისეთ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ დღეს მას იქ დაცვა სჭირდება. ერთი სიტყვით, წლების წინათ, როცა დავურეკე და შევჩივლე: ცუდად ვარ-მეთქი, მითხრა: რატომ არ შეიძლება ჩამოხვიდე მოსკოვში, ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი კურსები გაიარო და მანდაურობასაც ცოტა ხნით გამოერიდო.

წავედი...

ასპირანტურა დავამთავრე, დავიცავი ხარისხი, როგორც თეატრმცოდნემ, მაყურებლის ფსიქოლოგიაზე. ეს იყო ძალზე საინტერესო წლები, მრავლისმომცემი ურთიერთობები... მახსოვს ჩემი ხელმძღვანელი ვიშნევსკაია — როგორც პიროვნება. მან ერთხელ ასეთი რამ მითხრა:

— იცით თუ არა როგორ გააქვთ დღეს ადამიანებს საკუთარი თავი? თუ სადმე არ შეგიშვებენ, მართო კი არ მიხვიდეთ, ნაცნობ-მეგობრები გაიყოფეთ, მიესალმეთ და ამყადა თქვით: ესენი ჩემთან არიან!.. და გაიარეთ. ვერც კი გაგებდავენ გკითხონ: კი, მაგრამ თქვენ თვითონ ვინ ხართო...

რა ვიცოდი მაშინ, რომ გავიდოდა წლები და ეს წესი ჩვენს ყოფაშიც ასე წარმატებულად დამკვიდრდებოდა.

იცით, მე სხვანაირ ოჯახში ვარ გაზრდილი, ამიტომ არასოდეს მიზრუნია კარიერაზე, სახელზე, დიდებაზე... მაგრამ ახლა ძალიანაც ვნანობ, რადგან თურმე ამაზეც უნდა იფიქრო, არა იმიტომ, რომ შენ გჭირდება, არა, უბრალოდ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ ხარ, რა შეგიძლია... და თუ კარიერასაც შეიქმნის, ის მაინც ხომ გეცოდინება, რომ პატიოსანი ადამიანი ხარ და უნიჭოს გზას არ მისცემ?

გურამ ბედოშვილი:

— იქნებ გვითხრათ, როგორ იქმნება მზია ხეთაგურის თითოეული ლექსი?

მზია ხეთაგური:

— ისევე, როგორც ნებისმიერი პოეტისა... უბრალოდ განწყობა სხვადასხვა. ლექსის წერა ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება, მთავარია არავინ მაჯანჯლარებდეს და

არ მაიძულებდეს სხვა საქმის კეთებას. მეტროშიც დამინერია და ტრამვაიშიც... მაგიდასთანაც კი ლექსი თუ არ აცახცახე, არაფერი გამოვა. საერთოდ, არცთუ კომფორტულ გარემოში მიყვარს წერა. ალბათ იმიტომ, რომ არც არასოდეს მქონია კომფორტი...

თემურ ჩალაბაშვილი:

— კომფორტი რომ გქონდეთ, ლექსს რაღა დაგანერინებდათ, ქალბატონო მზია.

მზია ხეთაგური:

— მართალი ბრძანდებით...

თემურ ჩალაბაშვილი:

— აბა, ზუსტად ვინ იცის, რატომ და როგორ ინერება ლექსი. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ მზია ხეთაგური რაღაცნაირი, სხვანაირი პოეტიკა — თავისთავადი... შედარებას არ მივმართავ, საერთოდაც მწყინს ხოლმე, როცა პოეტებს ერთმანეთს ადარებენ. პოეზია სხვა სამყაროა, სხვა განზომილება... განა ვინმეს შეუძლია დაზუსტებით თქვას, რომელი უფრო ლამაზია: ზამბახი, ია, ყაყაჩო, კესანე თუ სხვა რამ... მზია ხეთაგურის პოეზიასაც თავისი ფერი, სურნელი და სილამაზე აქვს...

ქეთევან შენგელია:

— ქალბატონო მზია, გულჩვილი და მტირალა თუ ხართ?

მზია ხეთაგური:

— გულწრფელად რომ გითხრათ, მიტირია, გულამომჯარსაც კი... და სისულელეზეც, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად დამმართნია. არა, ვერ ვიტყვოდი, რომ მტირალა ვარ.

ლიზა ლაზარაშვილი:

— მე ჯერ რვა წლის ვარ და ძალიან მაინტერესებს პატარა რომ იყავით, ვინ გინდოდათ გამოსულიყავით?

მზია ხეთაგური:

— ბავშვობაში, ძალიან პატარა რომ ვიყავი, სულაც არ ვიცოდი რას ნიშნავდა პოეტი, უბრალოდ ლექსები მიყვარდა და თუ ოდესმე ამ ბედს გავიზიარებდი, ნამდვილად არ მიფიქრია. იცი ბავშვობისას რა მიყვარდა? ვინმეს რომ ვემსახურებოდი. მოსამსახურე მინდოდა ვყოფილიყავი, ან ოფიციალტი, რომ ყველასთვის ის მიმეტანა, რასაც ისურვებდა. ცოტათი მსახიობობაც მინდოდა.. მგონი ორივე ავისრულე — ლექსით ხომ საკუთარი სულის ნაწილი მიგაქვს ადამიანებამდე. რაც შეეხება მსახიობობას... როცა ჩემს ლექსებს ვკითხულობ, ისე შევდივარ ხოლმე როლში, რომ...

ლევან ქურციკაშვილი:

„— ქალბატონო მზია, სიცრუეს ვერ ვიტანო, — თქვით და მთელი ცხოვრება ამ ჭიდილში კი ხართ... როგორ ეგუებით სიცრუესთან მარტო დარჩენას?“

მზია ხეთაგური:

— კი არ ვეგუები, ვემორჩილები.

იცით... გვიან აღმოვაჩინე, რომ ზოგს შეუძლია იკეკლუცოს თავისი გულახდილობით. საერთოდ გულახდილობა და გულწრფელობა ჩემთვის სხვადასხვა რამაა. გულწრფელი შესაძლოა ყველასთან იყო ადამიანი, მაგრამ ყველასთან გულახდილობა სწორი არ მგონია, მეტიც — ეს უკვე სიყალბის ელფერს იძენს და როცა ასეთ ყალბ გულახდილობას ვაწყდები, შევეხლები ხოლმე. შედეგად მივიღე ის, რომ უარი ვთქვი უამრავ რამეზე, რაც შეიძლებოდა მქონოდა პრაგმატული თვალსაზრისით და არ მაქვს, მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რომ თავისუფალი ვარ და არავის წინაშე არ ვარ ვალდებული, რამე შეკვეთით გავაკეთო...

იცით, ეს შეგუება არ არის, მორჩილება — ისეთი, როგორიც შეიძლება ბედისწერასთან გვეკონდეს და ამ მორჩილების შედეგსაც ვიძიო...

მაკა ჯობაძე:

— მზია ხეთაგურს ადრეული წლებიდან ვიცნობ. მაშინ ხშირად ვხვდებოდით ლიტერატურულ საღამოებზე, პოეტურ შეკრებებზე. თბილისის სხვაგვარი იყო. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ: „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“. ამ „სხვა“-ში არასოდეს მიგულისხმია თაობათა ცვლა. ამ „სხვა“-ში მენტალობა იგულისხმებოდა, სხვადასხვა სულიერი კონსტიტუცია. ასე იყო მაშინაც და ასეა დღესაც.

ამასწინათ ქუჩაში შემხვდა მზია, ძველებურად სხივიანი, ხალისიანი და გავიფიქრე, რომ მისი ბუნებისა და ტემპერამენტის ადამიანს ენერჯის მუდმივ წყაროს ისევე მიყვარული აძლევდა. ამ მხრივ იგი ნამდვილად არ შეცვლილა. არასოდეს დამავიწყდება ქვიშხეთური დღესასწაულები მწერალთა დასასვენებელ სახლში, ასე უშურველად რომ ჩუქნიდა მზია პატარებს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

ეს წიგნი „სიცოცხლე როგორც დანაშაული“ ძალიან ჭკვიანურადაა შედგენილი. ვიცი, რომ ორი-სამი ამდენი კრებულს გარეთ დარჩა, მაგრამ ის, რაც შევიდა, სრულყოფილად წარმოაჩენს მზიას მთლიანობაში — როგორც პოეტს, ესეისტს, პუბლიცისტს, საბავშვო ზღაპრების ავტორს და, ბოლოსდაბოლოს, როგორც მოქალაქეს, რომელიც ჩვენი ცხოვრების უმძაფრეს პერიოდებში ყოველთვის გამოხატავდა თავის პოზიციას.

ამასწინათ გაზეთში დაიბეჭდა ერთი მოგონება: 5-7 წლის მზია წყნეთში მიჰყავთ უფროსებს მანქანით. უცებ მგზავრები აჩოჩქოლდნენ: გალაკტიონი, ნახეთ, გალაკტიონი!.. გაიხედა ბავშვმა და დაინახა ეზოში ვიღაც წვერიანი კაცი ქვიშას რომ ურევს ნიჩბით. უცებ გადმოხტა მანქანიდან და ეზოში შესული ორივე ფეხით ჩაუხტა პოეტს ქვიშაში.

— შენ ვინ ხარ? — დაიხრება გალაკტიონი.



მზია ხეთაგური

უფროსები ბოდიშს უხდიან პატარას საქციელის გამო, ბავშვი კი გაჯიუტებულია, არ მიჰყვება მათ, აქ უნდა ვიდგე ტლაპოში გალაკტიონთან ერთად — ყვირის, მერე ბაფთებს ისხნის და სველ ქვიშაში ყრის.

პოეტი კი...

— ამ ბავშვმა ახლა ლექსი დაწერაო, — ამბობს.

დამეთანხმებით მართლაც უცნაური და იშვიათი კურთხევაა თუ ნათლობა პოეტად ყოფნის... ბედნიერი და საამაყო მოსაგონარია.

მზიას წიგნში ბევრი საინტერესო რამ არის შეტანილი, მათ შორის „ფიქრების“ ციკლი. განსაკუთრებით პასკალისა და მონტენის მერე ყოველთვის მაქვს განცდა, რომ რაგინდ არაორდინალური ყოფითაც არ უნდა იცხოვროს შემოქმედმა, „ფიქრების“ გამოტანა მკითხველის წინაშე მაინც სარისკოა. რადგან ძალიან ძნელია გამოცდილება აქციო სიბრძნედ და ფორმულების სახით შესთავაზო ადამიანებს. წიგნში შეტანილ „ფიქრებში“ შემხვდა რამდენიმე „ფორმულა“, რომელიც ყველას დააფიქრებს. ერთ-ერთი მათგანი მინდა გავასრულო ჩემი გამოსვლა:

„არის დრო, როდესაც შეუმჩნეველი ხარ, არავის ახსოვხარ... ეს შეუმჩნეველობის ხანა ფუფუნებაა, რომელიც უნდა გამოიყენო, როგორც წვრილმანებისაგან თავის დაღწევის საშუალება. ასეთ ფუფუნებას ნამდვილი ფუფუნება მოსდევს — შეუმჩნეველობის წლებში შრომის შედეგად მოსული აღიარება“.

მე ვფიქრობ, რომ ეს წიგნი სწორედ ასეთი აღიარებაა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ მღვრიე, დრამატიზმით აღსავსე პერიოდში საგსე დარბაზიდან პოეტს ამა თუ იმ ლექსის წაკითხვას სთხოვენ, უკვე შემოქმედებითი გამარჯვებაა. მინდა თქვენთან ერთად მივულოცო მზიას დღევანდელი დღე და შემდგომი წარმატებები ვუსურვო“.

ეს ლექსი მამას ეძღვნება.

მშობლები გაყრილები იყვნენ, თუმცა მამასთან ურთიერთობა მქონდა. ჰოდა, ასეთი მოუსვენარი რომ ვიყავი — ვცეკვავდი, ვმღეროდი, ლექსებს ვკითხულობდი — მომინდა მამას ვენახე. რომელიღაც დიდი საღამო უნდა გამართულიყო ცხინვალის თეატრში. ოცი ნომრიდან ჩვიდმეტში მე ვარ და მინდა მამამაც გაიგოს, როგორი კარგი შვილი ვყავარ. მოსაწვევი მივეცი დიდი ამბით. მოვალო, — შემპირდა. ვდგავარ კულისებში და საგსე დარბაზში ვიჭვრიტები. გადაჭედილია იქაურობა, ერთადერთი სკამია თავისუფალი. ზედ აწყვია ჩემი წიგნები, ჩანთა, სხვა რაღაც ნივთები — იქ მამაჩემი უნდა დაჯდეს, გავწევ ფარდას — უკვე მერამდენედ — არ მოსულა.

ისე დამთავრდა ის საღამო, მამა არ მოვიდა...

არა, მერე კი ამიხსნა, რატომაც ვერ მოვიდა, მაგრამ... იმ ღამეს ეს ტკივილიანი ლექსი — „უზურგო სკამი“ — დაიწერა.

თერთმეტი წლის ვიყავი მაშინ.

„მზია ხეთაგურის ბოლო ორი წიგნის რედაქტორი მე ვიყავი და ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა“, — იტყვის შეხ-

ვედრაზე მარინა თექთუმანიძე და სხვადასხვა სახალისო თუ სევდიანი ეპიზოდის გახსენებით მზია ხეთაგურის პორტრეტს რომ გამოკვეთს, ამასაც დასძენს:

— ნიჭიერებასთან ერთად ის ძალზე კარგი პიროვნებაა და ბევრ ჩვენგანზე აქვს დიდი ამაგი. ჩემი ლექსების პირველი მკითხველი ხშირად მზიაა, რადგან ის პირდაპირი ადამიანია და ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური შემფასებელიც. ამისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მასო.

— არა მხოლოდ პიროვნულად, პოეზიაშიც ასეთიაო, — დაუდასტურებს ბატონი გურამ ბედოშვილი, — მის ლექსებში არაფერია ყალბი და ნატამალიც არ არის პოეტური კვლევებისა, გადამეტებული ხატოვანებისა. მზია ის პიროვნებაა, რომელსაც ელოდებიან, რადგან მასთან შეხვედრა ენერგიით გმუხტავს და სურვილს გიჩენს იმავე გულწრფელობით და სიკეთით აღივსო. პირადად მე ძალიან ვწუხვარ, რომ ეს პოეტი გვიან გავიცანი, რადგან მგონია, რომ ბევრი რამ დავკარგე. არაფერი ხდება შემთხვევით ბუნებაში, არც ის, ევტუშენკოს და ვოზნესენსკის მზია ხეთაგურის პოეზიის საღამოს აფიშა ასე რომ შეუდგენიათ — „Поэ(м)зия Гру(м)зии“. სახელიც კი კარგად გამოხატავს იმ მზეს, იმ სინათლეს და სითბოს, რომელიც განმსაზღვრელია მისი პოეზიისა. მე კი აქ იმისთვის გამოვედი, რომ ჩემი წიგნი მეჩუქებინაო, — იტყვის ბატონი გურამი და ქალბატონ მზიას „ანანურული მოთხრობების“ კრებულს გადასცემს.

ბადრი ქუთათელაძე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამართულ საღამოებს გაიხსენებს და აღნიშნავს:

— მზია ხეთაგური ის პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია ღირსეულად წარმოაჩინოს როგორც საკუთარი შემოქმედება, ასევე, საერთოდ, ქართული პოეზია, კულტურა და მთელი ჩვენი ქვეყანა. პირადად მე ამაყი ვიყავი, როცა იქ, უცხოეთში სადმე ვიკრიბებოდი და მზია ჩვენს მწერლობას წარადგენდა-ხოლმე.

არაერთ ღირსებას შორის დედაქალაქის მერია მზია ხეთაგურის ღვანლში ერთს გამოარჩევს — თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის სამმართველოს წარმომადგენლები **ნანა გიორგაძე** და **შოთა მალაკელიძე** მზია ხეთაგურს გადასცემენ მედალსა და საპატიო სიგელს ბავშვთა აღზრდისა და განვითარების სფეროში განსაკუთრებული ღვაწლისათვის.

ქალბატონი მზიას უმცროსი მეგობარი და თანამოკალმე **ირმა შიოლაშვილი**, ვინც წლებია გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს და ქართველი აუდიტორიის წინაშე წარდგომის გამო უჩვეულო მღელვარებით შეპყრობილი, წარმატებებს უსურვებს პოეტს და იტყვის, რომ მზია ხეთაგური ის პიროვნებაა, რომელსაც თავისი ბუნებითაც და შემოქმედებითაც შეუძლია ისეთი გარემო შექმნას, ძალიან ახლობელი რომ გახდება შენთვის.

ნანა ნითელაშვილი კი ამ შეხვედრით წამოშლილი მოგონებებით რომ გამოხატავს თავის სიყვარულს და გამორჩეულ დამოკიდებულებას მზია ხეთაგურის მიმართ, დასძენს:

— ჩვენ ადამიანებს რატომღაც გვრცხვენია ერთმანეთს ვუთხრათ როგორ გვიყვარს ერთმანეთი. ამის გამოხატვა მერე ვიცით-ხოლმე... მერე... არადა, ვინ იცის, ახლა იქნებ ყველაზე მეტად არის საჭირო.

ამიტომ მგონია, რომ დღევანდელ ყოფაში ასეთი საღამოების გამართვა ამითაც არის მნიშვნელოვანიო.

ინგა მილორავა

სიცოცხლის მელოდია

მწერლისა და მკითხველის შეხვედრა და გასაუბრება ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და იდუმალეზობით მოცული მოვლენაა, რაც კი ხდება ამქვეყნად, იმიტომ, რომ ეს შეხვედრა ხდება არამატერიალურ, წარმოსახვით სივრცეში, რომელიც ერთი ადამიანის სულში შეიქმნა და მხატვრულ ქსოვილში განსხვულდა, მეორე ადამიანი კი სწორედ ამ ქსოვილში „გამოჭრილი“ სტრიქონების კარით შედის ამ სამყაროში და იწყებს მის ათვისებას თავისი საკუთარი მრწამსის, გამოცდილების, გემოვნების თვალსაზრისით. შედეგად იქმნება ძლიერი ემოციური ველი, თანაზიარობის განცდა, ფიქრის სურვილი... ან არ იქმნება, თუ წიგნმა ვერაფერი უთხრა თავის მკითხველს, ვერ შეარხია ღრმად მიმალული ფაქიზი სიმები, მაშინ ნებისმიერი, თუნდაც ზედმინევენით ოსტატურად შესრულებული შემოქმედებითი სამუშაო, თუნდაც სწორუპოვარი მხატვრული ტექსტი, უსიცოცხლო დარჩება, მცდელობა – ფუჭი.

გელა დუმბაძის წიგნი „მე – მორბენალი“ სწორედ ემოციური ზემოქმედებითა და სათქმელის სიცხადითაა გამორჩეული. შესაძლოა, მწერალი არა ფლობს რაღაც განსაკუთრებულ მხატვრულ ხერხებს, მისი სახეობრივი სისტემა არ არის რთული და გამოაგნებელი, ვირტუოზულად შესრულებული, მაგრამ პირველივე სტრიქონიდან გულს და გონებას იპყრობს შინაგანი სინათლე, სიკეთე, სინრფელე და, რაც მთავარია, ინვესს სურვილს, ჩაუფიქრდე ამ სამყაროს, მისი გმირების ქმედების მოტივებს, საკუთარი ხედვის პრიზმაში გაატარო ის ემოციური ტალღები, რომლებიც მწერალმა ასე უშურველად და უდანაკარგოდ „გაშალა“ თავის წარმოსახვაში შექმნილი ქვეყნის უკიდევანო სივრცეში.

ჩნდება განცდა, რომ ეს წიგნი რაღაცით ვიოლინოს ჰგავს, რომელსაც ყველანაირი ბგერის გამოცემა შეუძლია, მაგრამ დუმს მანამ, სანამ შეეხებოდეს მკითხველის ხელი, და როცა ეს მოხდება, მაშინ ყველა თავისთვის მნიშვნელოვან და ახლობელ მელოდიას გაიგონებს, თავის ფიქრებს ააჟღერებს (შესაძლოა, მწერლის სურვილის წინააღმდეგაც კი).

უპირველესი, რაც ყურადღებას იპყრობს ამ წიგნში, არის ადამიანის სილაღე და შინაგანი „გაუბზარობა“. ის დაწერილია თანამედროვე ადამიანის მიერ, რომელსაც მოუწია არსებობა ურთულეს და უსასტიკეს ეპოქაში (თუმცა, კაცმა რომ თქვას, რომელი ეპოქა ყოფილა მარტივი და ბედნიერი) და, მიუხედავად ამისა, სრულად შეინარჩუნა სულის სიმრთელე, სინათლის, სიკეთის, ადამი-

ნის ღრმა და დაუმარცხებელი რწმენა. ამასთან ნათლად იგრძნობა, რომ ეს მსოფლმხედველობრივი ხერხემალი, რომლის გარშემოც ამოზრდილია ცოცხალი მხატვრული ქსოვილი, მხოლოდ გულიდან მოდის. ერთი ნუთითაც არ ჩნდება ეჭვი, რომ ის დაიბადა ცივ გონებაში, იმ მოტივით, რომ ასე უკეთესია, ასეა საჭირო და ამგვარი იდეური საყრდენის დამკვიდრება უნდა გახდეს გარკვეული ამოცანა. უფრო მეტიც, რატომღაც მგონია, რომ მწერალს საგანგებოდ არც უფიქრია ამაზე, უბრალოდ, ასე ხედავს სამყაროს, ასე გრძნობს – რწმენით, იმედით, სიკეთით სავსედ და თავის შეგრძნებებს შეუფერადებლად გადმოსცემს. სწორედ ეს გულწრფელობაა გელა დუმბაძის წიგნის – სულიერი პორტრეტის – უმთავრესი ღირსება და მთლიანად გადასწონის ტექსტის პატარ-პატარა ხარვეზებს.

შეხვედით და თავს უფლება მივეციტ შევეხოთ წიგნს, ცოცხალ სხეულს, ნატიფ ინსტრუმენტს და ისიც აჟღერდა: არც ერთი წვეთი ნიჰილიზმის, სკეფსისის, მუქი და სულისშემზუთველი არც ერთი ფერი... საიდან ეს ძალა ამ სამყაროში? რას ეყრდნობა იგი? პირველივე ნოველაში „მე – მორბენალი“ ზუსტად იკვეთება მწერლის კონცეფცია – ადამიანი მარათონელია, სიცოცხლე

ურთულესი მარათონული დისტანცია, მაგრამ ადამიანი ცხოვრობს, ე.ი. გარბის სიცოცხლის გზაზე, დაუღალავად, შეუპოვრად და ჯილდოდ იღებს მეორე სუნთქვას: „– ამასაც გავუძლებ! – მალე მეორე სუნთქვაც გაიხსნება!.. თუმცა ვინ თქვა, რომ მხოლოდ მეორე სუნთქვა არსებობს?! ალბათ მესამე და მეოთხე სუნთქვაცაა, – ან მეტიც.

ყოველ ღვთისმიერ დღეს, შენთვის რაიმე ახალი თუ აღმოაჩინე და ისწავლე, – დამატებითი სუნთქვაც და ხალისიც გემატება“.

„მოდრობა და მხოლოდ მოძრაობა!“ ის, ვინც გარბის, არასდროს გადაიქცევა ჭაობად, მხოლოდ წინსწრაფვაში არსებობის გამართლება. ადამიანი, რომელიც ამ მყარ ფესვზე დგას, არასდროს შედრკება, არასდროს შემინდება თუ ჩაიკეცება და აუცილებლად იხილავს მზის ამოსვლას:

„ისევე გავრბივარ! შეუჩრებლივ და უკან მოუხედავად! მალე მივალწვე მთის წვერს და მთელს ქალაქში ვერავინ მომასწრებს მზის პირველი სხივების დანახვას!“

არადა, გზა ხშირად გაუსაძლისია. მოთხრობაში „ყვითელი ტროლეიბუსი“ ადამიანი მიუყვება ყარა-იაზის უდაბურ გზას, რომელიც მინიერი ჯოჯოხეთის სახედ წარმოსდგება, „სადაც ყოველი ქვის ქვეშ მორიელის ბუდეა, ყოველ სოროში „გიურზა“, ან ხვლიკი „ჯოჯო“ ბინადრობს“. ის მიდის, დატანჯული, წყურვილისაგან შეწუხებული, კოლოებისგან სისხლდამრეტილი და ისიც არ იცის – „სად და რისთვის“ მიდის.

როგორ უნდა გაუძლოს ადამიანმა ამ გზას, როგორ გადარჩეს? და მაშინ მოხდა სასწაული: ამ უდაბურ ადგილას გაჩნდა ყვითელი ტროლეიბუსი. რეალური და წარმოსახვითი, ცხადი და ზმანება ერთმანეთში აირია, ბუნებრივად შეერწყა და ადამიანმა შეძლო სიცოცხლე, სასოწარკვეთილებისგან თავის დაღწევა, საკუთარი თავის დაბრუნება.



„უფრო ავუჩქარე ნაბიჯს: ლასლასიდან სიარულში, სიარულიდან სირბილში, სირბილიდან ფრენაში, ფრენიდან სიციქეში... და მოვასწარი, მტრის ჯინაზე მაინც მოვასწარი გაქანებულ ტროლეიბუსში ახტომა!“

ორმოში ჩაგდებული, საბურავებდაშვებული, ტყვიებისგან დაცხრილული, გაუბედურებული ტროლეიბუსი გმირისთვის მიჰქრის, ის გრძნობს მის მოძრაობას, იმიტომ, რომ ტროლეიბუსმა მას დაუბრუნა სიცოცხლე, მის დაუძლურებულ სხეულში ათრთოლებულ სულში ხელახლა გამოიწვია ყველაზე საყვარელი, ახლობელი სახეები და მიანიჭა ძალა – ეცოცხლა...

„...ტროლეიბუსში, რომელიც ელვასავით მიჰქროდა და, რომლის ყოველი სარკმლიდან ცხადად, ხელთუქმნელი შედეგით მოჩანდა: ჩემი სიყვარული, ღამის გაჩირღდნებული ქალაქი, ჩემი ქუჩა, სახლი, მშობელი, მეგობარი, შეყვარებული...“

სულ ეს არის: სიყვარული და იმის შეგრძნება, რომ ადამიანი მარტო არ არის ამ სამყაროში და მის გზაზე უმძიმეს ნუთებში აუცილებლად გამოჩნდება ყვითელი ტროლეიბუსი და მისი მუდმივი ბინადარი, სევდიანი იდუმალი ბიჭუნა – სიცოცხლისთვის, გადარჩენისთვის, სიყვარულის უძლეველობისთვის.

სიყვარული და სიკეთე ამ წიგნის ქვეყნის მთავარი საყრდენელი, ასევე ურყევი რწმენა, რომ სიცოცხლის გზაზე დადებული სიკეთე მარადიულია:

„ადამიანი იმისთვის არ იზადება, მერე რომ მოკვდეს, არის მისი გზა დაბადებამდეც და გარდაცვალების შემდეგაც. ჭურჭელი რომ ტყდება, მისი თვისება იცვლება. აღარ არის გარსი. ის ატმოსფერო კი, რაც შიგნით იყო, მუდმივად რჩება“ („ირაკლის სახლი“).

მწერალმა ასე ამოხსნა თავისთვის ადამიანური არსებობის საიდუმლო და შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებში შეასხა ხორცი: სიკვდილი მოდის, ის გარდაუვალია, მაგრამ რჩება ის სიტბო, სიკეთე, სიყვარული, რომელსაც თავის გარშემო მზის სხივებით ჰფენდა ბებია („სკამი“) და ამას ველარაფერი მოერევა. აღარ არის მეგობრის მამა, ოთარ ბიძია, ო („ო“), მაგრამ აღარასოდეს გაქრება ის შეგრძნება, რომელიც გაჩნდა იმ დღეს, როცა მან თავისი შვილი და მისი თანაკლასელები უძოს მთაზე აიყვანა, ნატერის ხესთან. ეს არის მარადისობა და ადამიანის გულის სინრფელის ურყევი რწმენა, რომელიც დროსაც დასძლევს, სივრცესაც და ყველა სურვილს აასრულებს.

– შეგისრულებთ... რა თქმა უნდა, შეგისრულებთ, – თუ იმ ხესთან, ისევ ის პატარა და გულით ალალი ბიჭუნები შეძლებთ დაბრუნებას! – მშვიდად მპასუხობს და იქ, შორს, ღრუბლებს მიღმა, ელიმება ოთარ ბიძიას“.

როგორღა დაეფინება უიმედობის და ტკივილის პატარა ჩრდილიც კი სიცოცხლის ნათელ გზას, როცა ის მთლიანად სიყვარულით და სიკეთითაა სავსე? მწერლის წარმოსახვითი ქვეყნის გზები კი მხოლოდ ამ შეგრძნებებითაა მოფენილი. აქ სიკეთის კეთება ადამიანის უმთავრესი მიზანია და თავგანწირვაც ასევე ბუნებრივად, მშვიდად და სიხარულით ხდება. მოთხრობაში „ბეგლარ“ მოხუცი ერთადერთ თვალს აძლევს მათხოვარს და მიდის მარადისობაში, თავგანწირვა სიყვარულსა და სიმშვიდესთან შეერთების საწინდარი ხდება. თუ ადამიანები იპოვი-

ან გზას მშვენიერი, სავსე, კეთილშობილი არსებობისაკენ, მაშინ უსასტიკესი იარაღიც კი უძლური ხდება („ჩვენ, კოკურადან“). რა თქმა უნდა, ამავე დროს ადამიანი პატარა ბელურასავით დაუცველია ამ სამყაროში, ამას ვერ გაექცევა და მწერალმაც კარგად იცის, მაგრამ მას სჯერა, რომ სიკეთეს შეუძლია გადალახოს ყველა დაბრკოლება, გააერთიანოს ადამიანები ერთმანეთისთვის („ბელურა“). მას სჯერა, ვფიქრობ, მთელი გულით სურს, დაიჯეროს, რომ სიკეთე ყოველთვის დაჯილდოვდება, ის უძლეველია და მისი ნაპერწკლები შეიძლება ისეთი არსების გულშიც კი აინთოს, როგორცაა მეხი ზევა („გრძნეული მეხი ზევა და მფრინავი ჭაბუკი“).

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია და გელა დუმბაძის მხატვრული სამყაროს გასაღებადაც გამოდგება: მისი მხატვრული ქსოვილი ორპლანია. ერთი მხრივ, მწერალი მოგვითხრობს სრულიად რეალურ, მეტიც, პირდაპირ ცხოვრებიდან აღებულ ამბებს, მეორე მხრივ კი, ეს არის ოცნების, ზღაპრის, ფერადი სიზმრების სივრცე, სადაც მეხი ისე გრძნობს, როგორც ადამიანი, პანია ოქროს თევზები ფა და ბი მთელი სიღრმით შეიგრძნობენ სიყვარულის მსხვერვის ტრაგედიას („ოქროს თევზი“), სადაც ადამიანების ერთფეროვან ყოფაში იჭრება იდუმალი, ამოუცნობი არსება, უხილავი შილა („შილა“) და რეალურ ყოფას ზღაპრისა და ახდენილი ოცნებების ფერადი სურნელით ავსებს.

ამ სამყაროში ადრე თუ გვიან აუცილებლად დაიბადებიან ინდიგო ბავშვები („თაობა ინდიგო“), რომლებიც სიცოცხლის ახალ გზას გაკვალავენ. ამ მოთხრობამ „თაობა ინდიგო“ არტურ კლარკის რომანი „ბავშვობის დასასრული“ გამახსენა. კლარკის ფანტასტიკურ ნაწარმოებშიც ახალი თაობა, ბავშვები, წარმოსდგებიან ცივილიზაციის ახალ საფეხურად, ისინი ნელ-ნელა შორდებიან ადამიანურ სხეულს, ხორციელ გარსს, გარდაიქმნებიან თვისობრივად ახალ ერთიან არსებად – სუფთა აზროვნებად და უერთდებიან სამყაროს აბსოლუტურ გონს, დედამიწა კი ილუპება. გელა დუმბაძის „თაობა ინდიგოში“ კი ახალი თაობა ბედნიერი მომავლისკენ გადადგმულ ნაბიჯად აღიქმება. ისევ ეს ძლიერი, ყოვლისმომცველი იმედი, მომავლის რწმენა!

უნდა ვაღიარო, რომ ამ წიგნის კითხვისას, მისი არაჩვეულებრივი, სიყვარულით, სიკეთით, სინათლით სავსე მელიოდის შეგრძნებისას სულ მქონდა შიში, რომ არ გამეგონა თუნდაც ერთი გადამტკბარი, ყალბი ნოტა, არ დარღვეულიყო მთლიან, უხინჯო, გულწრფელ სულთან შეხვედრის განუმეორებელი ხიბლი, მაგრამ წიგნის ბოლო აკორდმა „გმადლობ, უფალო!“ საბოლოოდ ნათელი მოჰფინა ამ სულის სიძლიერის მიზეზს: ადამიანი უფლის წინაშე დგას, გახსნილი, ნრფელი და უსაზღვროდ მაღლიერი:

„გმადლობ, რომ მომეცა ცხოვრება თავისი მრავალი ფერითა და განცდით, – ნუთი სოფლად და თუნდაც ერთ სიზმრად! და ნუთი ყოველი გამოცდად, – მარადისობისკენ მიმავალ გზაზე.“

გმადლობთ, სიხარულთან ერთად, უნარი რომ მომეცა თანაგრძნობისა და სევდის, უნარი, სამშობლოს არსი გულით რომ მეგრძნო და მეტარებინა, მისი ცხოვრებით რომ მეცხოვრა“.

„გმადლობთ, რომ მაგრძნობინე ცხოვრების დიდი იდუმალება, — ქათქათა თოვლზე მოფუსფუსე ნითელნის-კარტა შაშვების ხილვისას, მტირალა ტირიფის დაბურულ ჩრდილში თეთრი გედის გამოჩენისას, ოქროს დეზებანი, ნითელი მამლის ყვილის წინ გარინდებისას. ჩუმ ტბაზე, ცისკრის პირველ სხივებთან ერთად, დანამულ ქალაში ჩაფენილი, ვარდისფერი ნილის აღმოჩენისას“.

„გმადლობ, უფალო, იმდენი რომ მომეცი, — სხვისთვისაც რომ მენილადა, — ვყოფილიყავი შვილიც და მამაც, მოსწავლეც და მასწავლებელიც. მიმელო, რომ გამეცა კიდევ... და იმ შეგრძნებისათვის, რომ ყოველივე, კარგიც და ცუდიც, ჩვენდა სასარგებლოდ, დასაფიქრებლად ხდება და რომ კანონზომიერია ყველაფერი... და კიდევ მადლობა იმ წყალობისათვის, რასაც დიდი საოცრება — ცხოვრება ჰქვია“.

გონა კუჭუხიძე

„სულ ძილი, ძილი“

დავით კიკნაძის მოთხრობა — „არყოფნის იქით“ („ჩვენი მწერლობა“, 21-22, 2009) ჩვენი ქვეყნისათვის სრულიად ჩვეულებრივ მოვლენას, — მსოფლიოსათვის უკვე ცნობილ, ძალზე სამარცხვინოდ, კურორთულად გაგრძელებულ ქართულ სილატაკეს ეხება, — მოთხრობაში აღწერილია ღარიბი და გასაცოდავებული საქართველოს ერთ-ერთი ღარიბი ოჯახი, რომლის პატრონსაც, ექიმს, საკუთარი პროფესიისათვის ვერ მოუხერხებია ღალატი, ვერც „განგატერად“, ვერც სხვა რაიმედ ქცეულა (შვილი „განგატერს“ უწოდებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც, მამამისისაგან განსხვავებით, ქართულ „კაპიტალიზმს“ მოერგნენ); არც, უბრალოდ უმართლებს, — რიგით ექიმად, თერაპევტად, დარჩენილა და რადგან ჩვენში არც ექიმები და ინჟინრები, არც მეცნიერები და სხვა სპეციალისტები არ ფასობენ, ამის გამო დალუპვისაკენ მიექანება.

მოთხრობა არცთუ დაძაბულად იწყება, — ვხედავთ ერთ ოჯახს, რომლის მთავარ გმირს სამსახურში უცხადებენ, მალე თქვენი სამუშაო გაუქმდებაო. იმასაც ვხედავთ, რომ ოჯახში ცოლ-შვილი პატივს არ სცემს ღარიბ მამასა და ქმარს და ეს კი დრამატული სიტუაციისა და რაღაც ცუდის მოლოდინის განწყობილებას ბადებს. ამგვარ წინათგრძობას ისიც აძლიერებს, რომ მოთხრობაში უცნაური რამ ხდება — მასში საგნები ლაპარაკობენ. არა, ეს არ არის ლიტერატურაში ანდერსენისეული „ანიმიზმის“ გამოვლენა, არც ვაჟა-ფშაველას იმ ასტრალურ და ზღაპრულ სამყაროში ვართ მოხვედრილი, სადაც მცენარეთა და ფრინველთა ხასიათებს გრძნობ და სადაც ზღაპრული სამყაროს მკვიდრების ხმებიც გესმის. მაინც რა მხატვრული გამართლება აქვს დავით კიკნაძის მოთხრობაში საგნების ალაპარაკებას? მექანიკურად, — ყოველგვარი შინაგანი შთაგონების გარეშე ალაპარაკა საგნები ავტორმა? როგორც ჩანს, საგნების ლაპარაკი მთავარი გმირის სულში იმის (კარგი იქნებოდა, რომ მოთხრობაში უკეთ გამოკვეთილიყო, ეს თავად ავტორისეული თხრობაა თუ მთავარი გმირის ფიქრები ისახება ავტორის სიტყვებში... ავტორისეული თხრობის შემთხვევაში მხატვრული მანერისში, ირონია ან გროტესკი, ანდა რაიმე სხვა მხატვრული განწყობილება უნდა დაეტყოს ტექსტს...). მაინც რას ლაპარაკობენ საგნები? სიცივე მოდის და სკამს ცეცხლში დანვის ემინია, იმ დროს შენატრის, როცა ნიფელი იყო და ტყეში ცხოვრობდა; სიგარეტს გაზე-

თი ეკითხება — ძნელია ცეცხლში დანვაო? სიგარეტი პასუხობს: „ხედავთ, ვკვდები, თავი დამანებეთ რაღა“... მე ეს მაინც უფრო მთავარი გმირის, — გივის სულში აღქმული სამყარო, მისი მოლოდინი მგონია, — გივის სულშია ატეხილი ჯერ მცირე განგაში და ამიტომ არის მოსალოდნელი, რომ მალე რაღაც დრამატული და ცუდი მოხდება; შიში და პანიკა ჩასახლება გივის სულში. ჩანს, ეს მის აღქმაში ხდება, რომ სიცივის გამო ცეცხლში დანვის ემინია სკამს და სიკვდილს ეგებება სიგარეტი... ჯანმრთელი სული ვერ აქვს გივის და ეს ძალიან მალე ხდება აშკარა, — გივი ვერსად ვერ შოულობს ოჯახის სარჩენ ფულს, სიგიჟის ზღვარს უახლოვდება მაშინ, როცა სიღარიბისაგან გაბოროტებული ოჯახი აიძულებს, მონადირე ძაღლი გააგდოს, როცა ძაღლი მეორე დღეს ალერსით ეგებება და გივის ვაკის პარკში მიჰყავს იგი, როცა ძალიან მოუნდება, დააპუროს მშვიერი ძაღლი და ეს ინტელიგენტი ექიმი ვაკის პარკში უეცრად მტრედებს თოფის სროლას უწყებს (თოფი გასაყიდად ჰქონდა ნაღებული და ვერ გაყიდა).

დაპატიმრებულ გივის მეზობელი — ვინმე რეზო ეხმარება, მერე ირკვევა, რომ რეზო გივის ცოლის საყვარელია, გივი წაუსწრებს მათ და ელდისაგან ისტერიულად დამუნჯებული და უმოძრაო სულიერი ავადმყოფი ხდება. ცოლ-შვილი კი დიდად არ ნაღვლობს მომხდარს, თითქოს პირქით... შვილი მამის მიერ ქაღალდზე დაწერილ შეკითხვაზე, — მამა ურჩევნია თუ მანქანა, პასუხობს — მანქანა... ერთ დროს დაკომპლექსებულ შოფრის შვილ რეზოს სწორედაც კარგი მანქანა აქვს...

შავი ფერებით შემზარავი ნახატი დაუხატავთო თითქოს; შემზარავად არის დახატული ამ ოჯახის წარსულიც, — გივი საბჭოთა დროში რომელიღაც ტრესტის მმართველის შვილი იყო, ექიმის, იმდროისათვის პრესტიჟული პროფესია ჰქონდა და, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად უშნო გახლდათ, ამიტომ გაყვა ლამაზი მზია ცოლად. შოფრის შვილ რეზოსთან მეგობრობას არ კადრულობდა საბჭოთა სამყაროს დანინაურებული შვილი გივი. დაინგრა ძველი წყობა და ახლა სხვა უკეთურება აღზევდა, — დროებათაგან დანინაურებული, „განგატერად“ ქცეული რეზო სამაგიეროს უხდის ფუფუნებაში გაზრდილ ბიჭს, ინტელექტუალს.

გივი ცოტა, სულ ოდნავ, თეიმურაზ ხევისთავს ნააგავს (არ ვამბობ, რომ ჰგავს, — ნააგავს), რეზო — ჯაყოს (რომელსაც, ჩემი აზრით, „ჯულას“ მიმგვანებით დაარქვა ეს, მანამდე არარსებული, სახელი „ჯულას“ პიროვნებით გაღიზიანებულმა მიხეილ ჯავახიშვილმა...), მზია მარგოს მიმგვანებულია; მარგო სჯობს, რადგან მზია მართლა უსულო მანქანად არის ქცეული. მანქანას დაამსგავსა ამ წყობამ გივის ცოლ-შვილი, უსუსურობის განსახიერებად აქცია თა-

ვად გვივი, მაგრამ ძველ წყობაშიც არ ჰქონდათ დიდად ადამიანური სახე, რადგან მაშინაც სისტემის შვილები იყვნენ და სისტემას მაშინაც შთანთქმული ჰქონდა ადამიანურობა მათში. ერთი სისტემიდან მეორეში გადაბრძანდნენ და პიროვნულობა კი კარგად ვერცერთ შემთხვევაში ვერ წარმოჩნდა. საბჭოთა წყობილების მიერ დანიშნული სოციალური ტიპაჟი — რომელიღაც ტრესტის მმართველის ექიმი შვილი, გვივი, და სოციალურად დაჩაგრული ტიპაჟი — შოფრის შვილი, რეზო, ისევე ტიპაჟებად დარჩნენ. წყობილება თავის ნებაზე ათამაშებს მათ და ადამიანები კი ვერა და ვერ დავინახეთ. ერთ წყობილებაშიც ეძინა ასეთ ადამიანებში პიროვნულობას და ახლა უფრო გულიანად სძინავს (თუმც, ადამიანური ურთიერთობანი, სულიერი სიმაღლე და სითბო ადრე რომ განუზომლად მეტი, კულტურაც შეუდარებლად დიდი იყო, ეს საკამათოდაც არ ღირს, — საშოვარზე გასვლის იძულებამ, არა ყველაში, მაგრამ ძალიან ბევრში, დააპატარავა და გაყინა სული).

ადამიანური წყობილების შესაქმნელად დიდი ადამიანების სიმრავლეა საჭირო. მანქანად ქცევის მიმე ხანას უნდა გაუძლოს ადამიანმა, პიროვნება არ უნდა შთაინთქას, არ უნდა ჩაეძინოს ადამიანში პიროვნებას და მაშინ გამოცდა მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება და ნელ-ნელა იქნებ უკეთესი გახდეს ცხოვრება. გაღვიძებული ადამიანი სხვასაც მიეხმარება გაღვიძებაში და საზოგადოება გაძლიერდება, ძლიერი საზოგადოება დაიბადება ბოლოს და ბოლოს. საკუთარ თავს დაემსგავსება, ცოტა მაინც გაადამიანურდება და გათბება ქვეყანა. სინდისი თუ სულ არ მოკვდომია, გააღვიძებს ადამიანს ეს სინდისი. პიროვნებები მოიმატებენ ირგვლივ, გამოღვიძებას დაიწყებს პიროვნულობა. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ადამიანურობა სულ არ გვექონდეს მიმქრალი და ერთმანეთში ისეთ ურთიერთობებს არ ვამყარებდეთ (სოციალურ წყობას რომ უძახიან), რომელიც ლამის მთლიანად შთანთქავს და კლავს, ყინავს პიროვნებას, ცდილობს ბოლო მოუღოს ადამიანს.

და კიდევ ერთი: კარგია, როცა ამ ყოფის ნიჭიერად ამსახველი მოთხრობები იწერება, ოღონდ ცოტა იმისიც შეშინია, ასეთი მოთხრობების წერა ჩვეულ პროფესიად არ გვექცეს, იმგვარ პროფესიად, რომელიც ცხოვრებას ვერ შეცვლის (ყოველ შემთხვევაში — სწრაფად) და ჩვენ კი იმ მკითხველებად არ გადავიქცეთ, რომლებსაც კითხვა კი გვესიამოვნება, მაგრამ ცხოვრების შეცვლის სურვილი აღარ გვექნება. ეს იმ მოვლენის ნაწილი გახდება, რომელზედაც კათოლიკოს-პატრიარქმა გვითხრა ცოტა ხნის წინათ დაახლოებით ასე: დედაჩემი გვეუბნებოდა, — სიღარიბემ შეჩვევა იცის, სიღარიბეს არ შეეჩვიოთო...

შემზარავი სურათის დახატვა უნდოდა ავტორს და შეძლო კიდევ. მაღლობა ეკუთვნის მას ჩინებულად და, ვიტყვოდი, ვაჟკაცურად დახატული მიმე სურათისთვის.

პირწმინდად ლიტერატურულ მხარეზე გადავიტან სიტყვას: ალბათ, დავით კიკნაძის მსგავსი ნიჭიერი მწერალი ყოველთვის უნდა ეცადოს, რომ ნაძებნი სიტყვები ნაკლებად დაწეროს ტექსტში, შინაგანი ემოციური სამყაროდან ამოთქმული სიტყვები უნდა გადმოვიტანოთ ქალაქზე, ემოციებიც უნდა მოქმედებდეს ამ დროს და გონებაც მთელი ძალით იყოს ამოქმედებული და მაშინ სიტყვები ყოველთვის ლაღად წამოვლენ. ნაძებნი სიტყვებში ასეთებს ვგულისხმობ: „ბოლოჯერ ასეირნებდა და აჭმევდა თავის უტყვევ ოთხფეხ მეგობარს“... გასაგებია, რომ უტყვევი და ოთხფეხი მეგობარი ძალი და, თუ ასეთ სიტყვებს დავენართ, მაშინ ამ ჩვეულებრივ მეტყველებას მხატვრული მანერის მისი ფუნქცია უნდა შევასრულებინოთ, თორემ მწერლისეული ტექსტი ჩვეულებრივი ნაწერისაგან აღარ იქნება განსხვავებული...

აქვე დავძენ: ზოგჯერ ნიჭიერი კაცი თუ მარტო აქე და არაფერი კოლეგიალური არ ურჩივ, შესაძლოა, შეეჭვდეს კიდევ, რომ მართლა მოგწონს მისი ნაწერი.

დავით კიკნაძის მოთხრობა კარგად ასახავს ჩვენს, ერთი მხრივ, დაჩინებულ და, მეორე მხრივ, გამხეცებულ, სულიერებისაგან დაშრეტილ, გაყინულ ყოფას.

ჩვენი ფოსტა

ბატონო როსტომ, მინდა გამოვეხმაურო ბატონ გიორგი გოგოლაშვილის წერილს (№25) და მოკრძალებული ხმა შეუერთო მის ძალზედ საშურ ინიციატივას: „იქნებ ეთავა თქვენს ჟურნალს (ჩვენს ჟურნალს), ჩადგომოდა სათავეში დედაენაზე ფიქრსა და ზრუნვას...“ ჩემი აზრით, „სასწორმეტყველო“ რუბრიკა, რომელსაც ბატონი გიორგი გვთავაზობს, მართლაც შესანიშნავი ტრადიციის აღდგენა იქნება.

მახსენდება გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (დღეს რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია) სამეცნიერო საბჭოსთან შეხვედრისას ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშემ, მისტერ ჰაჩინსონმა მოკლედ ისაუბრა საქართველოში განათლებისა და მეცნიერების დარგში მათ მიერ მხარდაჭერილი და დაფინანსებული პროექტების შესახებ.

ეს ერთ-ერთი რიგითი შეხვედრა იყო და ალბათ არც დამამახსოვრებოდა, რომ არა აუდიტორიიდან წამოსული შეკითხვა სტუმრის მისამართით, რომელიც ერთგვარ საყვედურსაც შეიცავდა: ქართული ენის განვითარებას რატომ არ აფინანსებთო?

შთაბეჭდილება შემექმნა, კითხვამ სტუმარი იმდენად გააღიზიანა, რომ დიპლომატიური ეტიკეტი დროებით დაივიწყა და თქვა: მე ვზრუნავ ჩემი სახელმწიფო ენის განვითარებასა და გავრცელებაზე, ქართული ენის განვითარებისათვის თქვენ და თქვენმა სახელმწიფომ იზრუნეთო. მერე, როგორც ჩანს, გაიაზრა, პასუხი ოდნავ მკვახე რომ გამოუვიდა და განაგრძო: მართალია დღეს ინგლისური ენა მთელს მსოფლიოშია გაბატონებული, მაგრამ ჩვენ, ამერიკელები, უკვე ვამუშავებთ სცენარის ისეთ ვარიანტს, რომ ერთ დღეს შეიძლება ჩინური ენის სწავლაც მოგვინოსო.

1984 წელს ვინმე სტივენ მანჰარდს კალიფორნიაში ჩამოუყალიბებია ინგლისური ენისა და ლიტერატურის დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია, არც მეტი, არც ნაკლები: „დაიცვან ინგლისური ენა და ლიტერატურა ტუტუცი მწერლებისა და მედიის ახალი ამბების ნამყვანთა შეურაცხყოფისა და ცუდი მოპყრობისაგან“.

სამწუხაროდ, არც ჩვენ განვიცდით ნაკლებობას მსგავსი „ტუტუცი მწერლებისა და ახალი ამბების ნამყვანებისა“, რომლებიც ყელმოღერებულები შეურაცხყოფენ ქართულ ენას.

ვასტანგ ახალღოჯელი
ქუთაისი


მაია ჯალიაშვილი

ქრისტიანობის ცხოვრებით გულგახილვით

□

ლალი დათაშვილის ახალი ნიგნეა — „ფარისცვალება“

ლალი დათაშვილი გამორჩეული მკვლევარი და კრიტიკოსია, მისი წერილები კლასიკურ თუ თანამედროვე მწერლობაზე მეტყველებენ მის ალღოსა და ნიჭზე, მოიხელთოს მწერლის უმთავრესი ჩანაფიქრი და შთამბეჭდავად გამოთქვას ნაგრძნობ-განცდილი. მისი სტილისთვის დამახასიათებელია სადა და დახვეწილი მსჯელობა, აზრის ნათლად გამოხატვა. ამის დადასტურებაა მისი ახალი ნიგნი, მრავალმნიშვნელოვანი სათაურით „ფარისცვალება“ (2009), რომელსაც ავტორი ნიგნის მცირე წინასიტყვაობაში ასე განმარტავს: „ლიტერატურულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი შინაგან თუ გარეგან, ანუ პიროვნებისა და სამყაროს გადასხვაფერება-ფარისცვალებას ასახავს. ამ ნიგნის ძირითადი საკვლევი თემაც ეს არის“.



ნიგნში არის ცდა, პასუხი გაეცეს მტკივნეულ კითხვებს, რომლებიც ავტორის მიერვე ასეა ჩამოყალიბებული: „რატომ დაიკარგა ისტორიის ერთიან პროცესად განცდა?“ „რატომ გვეყავს გზაბნეული, ქედმაღალი, პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებული, წმ. ილიას მართლის თქმისა არ იყოს, „ხედვად და სმენად უღონო“ თაობები?“

ავტორი, რომელიც არაერთხელ დააფიქრებს მკითხველს ამ საჭირობოროტო თემებზე, ამჯერად ამგვარ გამოსავალს გვთავაზობს (წერილში „თვალის გულისა — „სანთელი გუამისა“): „იქნებ გვეცადა ძველის აღდგენა, ნაბიჯი გადაგვედგა ერის განწყვეტილი ძარღვის გასამთლიანებლად, მაშინ გული ამუშავდება, საკუთარ „კარზე“ მაცხოვრის კაკუნს შეისმენს, ამას „მარტო თვალის გული“ თუ დაინახავს და ყური გულისა თუ მოისმენს“, რადგან ხორციელი ხედვა, ხორციელი სმენა საამისოდ „უღონოა“, წმ. ილიას სწავლებით, „ძენი სასუფევლისანიც“ მხოლოდ ამ გზით გავხდებით, ადამაფარს (სანუთროს კაცს) დავამარცხებთ და თითოეულ ჩვენგანში მთვლემარე, ფრთებშეკვეცილი ადამ-კადმონი (ზეცის კაცი) მხრებში გაიშლება, აფართა ერი კი ისრაელად გარდაიქმნება, სულიერი ნათელი მოეფინება“.

აღდგენის ამ გზაზე ლიტერატურა უნდა იყოს ჩვენი მეგზური, ის უნდა შეგვეცნოს, ამისთვის კი საჭიროა ყური მივუგდოთ გამორჩეულ შემოქმედთა სწავლებას, მათ მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში არის დაშიფრული ჩვენი სულის ხსნის გზები.

სწორედ ამ გზებზე მსჯელობს ლალი დათაშვილი ნიგნში, რომელიც პირობითად სამ ნაწილადაა გაყოფი-

ლი. პირველს „ქრისტიანობის გამოძახილი ჰქვია“ და მასში თავმოყრილია წერილები, რომლებშიც წარმორჩენილია ძველი ქართული ლიტერატურის ცალკეული ნაწარმოების ანალიზი, აგრეთვე, თანამედროვე ლიტერატურის მხატვრული ტექსტები გაანალიზებულია ქრისტიანული ღვთისმეტყველების კონტექსტში.

საინტერესო დაკვირვებებია წერილში „გიორგი ათონელი — ღმრთის მკვირცხე“. მკვირცხე, სულხან-საბას განმარტებით, ნიშნავს „სათნოს, სასურველს“. ავტორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში „ცხოვრება იოანესა და ექვთიმესი“ მკვირცხეს ნაცვლად წერია „მკვირცხლ“. ავტორი „მკვირცხლს“ წმინდანისთვის შეუფერებლად ეპითეტად მიიჩნევს და იწყებს საინტერესო ჩხრეკა-ძიებას. სხვადასხვა ძველი ხელნაწერის გულდასმით შესწავლის გზითა და მახვილგონივრულ დაკვირვებათა შედეგად კი დაასკვნის, რომ „მკვირცხლ“ მოგვიანებით უნდა გაჩენილიყო გადამწერთა შეცდომით ან რომელიმე მთარგმნელის გადაწყვეტილებით.

ორიგინალურია ხალხური ლექსის — „თავფარავნელი ჭაბუკი“ — ანალიზი. ავტორი მასში, „ქებათაქების“ მსგავსად, ადამიანის ღვთისკენ სწრაფვას და ამ გზაზე არსებულ ხიფათებს მოიაზრებს, ასე რომ, ლექსი ქრისტიანული სიმბოლიკითაა გაჯერებული. თავფარავნელი ჭაბუკი საღვთო სიყვარულის გულანთებული მაძიებელია, სანთელი საუფლო ნათელია, ქალი საღვთო სიყვარულს განასახიერებს, ასპანელი ბოროტი ბებერი კი ეშმას სიმბოლოა. ზღვა ხატია წუთისოფლისა, რომლის მძიმე ტალღებსაც მიაპობს გულადი ჭაბუკი. ლექსის მთავარ სათქმელს კი ლალი დათაშვილი ასე გამოკვეთს: „ტალღა ტალღაზე ნაცემი“ მეყსეულად შთანთქვას და ანადგურებს ყველას, ვისაც სიფხიზლე მოუღუნდება, ან ცხოვრებისეული საყრდენი უღალატებს, თუნდ კაცობრიობის საუკეთესო შვილთაგანი იყოს. მოღუნებული და სიფხიზლედაკარგული ქალი სულიერად იღუპება. ვაჟი, ადამივით ევას მინდობილი, კელაპტრად გარდაქმნილ ნათელს კარგავს, გზაბნეულთათვის კი სასუფევლის გზა მიუწვდომელია“.

კვლევის სიღრმითა და სიახლით ყურადღებას იქცევს დაკვირვებანი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე („რუსთველის სათხოვარი“). ავტორის აზრით, პოემის დასაწყისში ღვთის

მიმართ აღვლენილი ლოცვა „მამაო ჩვენო“ პრინციპებს ეყრდნობა. აქაც გამოიყოფა სამი ნაწილი: უფლისადმი მიმართვა, თხოვნა-ვედრება და ღვთის დიდება. მისივე აზრით, „რუსთველის სათხოვარი სამ უმთავრეს ქრისტიანულ სათნოებას უკავშირდება: პირველი თხოვნა რწმენის გაძლიერება-განმტკიცებად გვესახება, მეორე სიყვარულის უნარია, მესამე — უფალთან, სასუფეველში დამკვიდრების იმედი — ყოველგვარი სასოების გვირგვინი“.

განსაკუთრებული სიყვარულსა და მონივნებას ავტორი დავით გურამიშვილის მიმართ ავლენს. აქვე შეგახსენებთ, რომ ლალი დათაშვილს მრავალმხრივ საგულისხმო წიგნები აქვს მის შესახებ: „დავითიანის“ სწავლებისთვის“ და „ლოცვად თქმული“, რომლებშიც საღვთისმეტყველო საკითხებია განხილული. აქ წარმოდგენილ წერილში კი იშვიათი ექსპრესიულობით წარმოაჩენს პოეტის სულიერ პორტრეტს („ნუ დამკარგავ, მომნახე“), საუბრობს მისი შემოქმედების უმთავრეს მოტივებზე და დაასკვნის: „საქართველო გამლილი ხელებით შეხვდა მონატრებულ ძეს, გულში ჩაიხუტა და მიუალერსა — დავითი ორივე საქართველოს დაუბრუნდა: მიწიერს, სადაც მკითხველი, მემკვიდრე, შენდობის შემთვლელი იპოვა და ზეციურს, სადაც მართალთა დასს შეერთებული ნეტარებს“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების კვლევას რამდენიმე წერილი ეძღვნება, თითოეულში გაანალიზებული პოეტის ერთი ლექსი, მისი მხატვრული სტრუქტურა. ეს ლექსებია: „შემოღამება მთაწმინდაზედ“ („გათენდება დილა მზიანი“), „ხმა იდუმალი“ („ხვედრის ძიება“), „ფიქრნი მტკვრის პირას“ („შვილი სოფლისა), „ჩემი ლოცვა“ („მომიხილე ძე შეცდომილი“). „ცეცხლი სული“ („ნაპოლონი“). ავტორი, უპირველესად, წარმოაჩენს რომელი ქრისტიანული სიმბოლოები ქმნიან ბარათაშვილის პოეზიის არსს, როგორ იხსნება თუ იშფრება ესა თუ ის კულტურული თუ რელიგიური კოდი, რა სიღრმეებს იტევენ, ერთი შეხედვით, სადა სტრიქონები. ლალი დათაშვილი თავისი ღრმაზროვანი დაკვირვებებით მკითხველს ბარათაშვილის სულიერ სამყაროს ახალი რაკურსით დაანახებს და მხატვრულ სახეთა საგულისხმო, ორიგინალური ინტერპრეტაციებს სთავაზობს. ავტორი ხშირად იმონებს ბიბლიასა და წმინდა მამათა ნააზრევს და ნათელყოფს, თუ რა გამოძახილი ჰქოვა ქრისტიანულმა აღმსარებლობამ ბარათაშვილის პოეზიაში.

ვკითხულობთ ჩვენთვის ძალიან ახლობელ ლექსთა სტრიქონებს და გვაოცებს, რომ აქამდე შეუმჩნეველი გვრჩებოდა ესა თუ ის მხატვრული სახე, მისი სიღრმე და მრავალმნიშვნელოვნება. ამგვარი განცდა გაუჩნდება მკითხველს, როცა ნაიკითხავს წერილებს აკაკი წერეთლის ლექსებზე: „ხატის ნინ“ (წერილში „მსხვერპლი დიადი“), „მოდი, დამწვი, სიყვარულო..“ (წერილში „რაც არ ინვის, არ ანათებს“), „სულის ჩამდგმელო მხარეო“ („განთიადი“), „სიმართლის მსახურება“ („ჩონგური“); ვაჟა-ფშაველას ლექსებზე: „ის გრძობისაგან მთვრალეები“ („არავგს“), „ამაზე ტურფა და კარგი მე ხვდა აღარა მგონია“ („ლამე მთაში“), აგრეთვე „წარსული ცოცხლობს“ (გიორგი ლეონიძის „წინონმინდის ღამეზე“).

წიგნში აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ საღვთისმეტყველო ანალიზიცაა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ამ პოემის განხილვა მანამდე არავის უცდია. ავტორის აზრით, ბათუ ჰაგიოგრაფიის პერსონაჟებს, „ზეცის კაც-

ებსა“ და „ქვეყნის ანგელოზებს“ ემსგავსება, რომელნიც „თავიანთი ღვანლით მათზე მინდობილ ადამიანებს სასუფეველის გზას უკაფავენ, მარადიულად აქვთ გამონვდილი ხელი, რომ ცოდვის ქაობში ჩაძირული თანამოძმენი განსაცდელისგან დაიხსნან“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ანალიზს რამდენიმე წერილი ეძღვნება, მათ შორის, „ფერისცვალეა“ („გოგოთურ და აფშინა“), „პიროვნების მეტამორფოზა“ და „მადლი რქად ადგა ღვთისაო“ („ალუდა ქეთელაური“), „პიროფლიანები და სახენათელიანები“ და „ტურფა სიტურფით ქსოილი“ („ბახტრიონი“). ყოველი წერილი გამოიჩენს ორიგინალური დაკვირვებებით, მკითხველი კარგად ნაცნობ დეტალებსა და ნიუანსებს სხვაგვარად გაიაზრებს და „აღმოაჩენს“, რომ აქამდე ბევრი რამ ზედაპირულად ესმოდა, ეს კი ხელს უწყობს, რომ მხატვრულმა ტექსტმა ახალი სიცოცხლე შეიძინოს და მკითხველსაც უბიძგოს განსხვავებული, საინტერესო და საგულისხმო ინტერპრეტაციისკენ.

ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ გაანალიზებულია წერილში „გასანამებლად სიცოცხლისა“. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ეპიგრაფს უთმობს და მახვილგონივრული მსჯელობის შემდეგ დაასკვნის: „მწერალი ეპიგრაფის მეორე ნაწილით ამბობს, რომ უფალმა ადამიანი ცოდვების მისატყვევლად და მათთვის ბედნიერი სიცოცხლის საჩუქებლად (დასამონებლად) დაღვარა საკუთარი სისხლი. გარდა ამისა, ეპიგრაფის პირველ ნაწილს — რუსთველის სტროფს მწერალი რუსთველისვე სიტყვებს შეუსაბამებს, ამით შეკრავს ეპიგრაფს და სათქმელსაც გამოკვეთს: უფალი მთელი კაცობრიობის სულიერი კეთილდღეობისთვის ეცვა ჯვარს, თუმცა, ზოგი „მორჭმული თამაშობს“, ზოგი კი, ელისა და ტარიელის მსგავსად, მჭირალი დაეძებს ბედნიერებას“.

საინტერესოდ არის გააზრებული გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ წერილში „ძე შეცდომილის იგავი“. ავტორის აზრით, „სამოსელი დომენიკოს სულიერ მდგომარეობას, მის ღირსებას, მამასთან მყოფობის უფლებას უკავშირდება. „სამოსელი პირველი“ სპეტაკი და ციურია, მეორე — ქვედაცილი, გაყიდული, დომენიკოს გაუხეშებას, წუთისოფლით შესვრილ, ცოდველით დამძიმებულ, უწმინდურ ყოფას გულისხმობს, ხოლო სამოსლის მესამედ ბოძება — მაცხოვრის კვლავ მოპოვებას და მასთან დაკარგული ერთობის აღდგენას“.

თუ როგორ აისახა ღვთისმშობლის სახე ქართულ ლიტერატურაში (ძველსა, ახალსა და უახლესში) ამის კვლევასაც საგანგებო წერილი ეძღვნება.

ავტორს ყურადღების მიღმა არც თანამედროვე სალიტერატურო პროცესი რჩება. წიგნის ბოლო რკალში, „გამოხმაურების“ სახელწოდებით, თავმოყრილია წერილები: „სეზამ, გაილე“ (გურამ ოდიშარიას „სოხუმში დაბრუნება“), „ქრისტეგაცოცხლებული გულებით“ და „ნათელი ბუნება შინა“ (როსტომ ჩხეიძის წიგნებზე „ხანი უნდობარი“ და „ეკლიანი და პატარა გზა“), „ტკივილით სავსე გაკვეთილი“ (გია მურღულიას პიესაზე „ღია გაკვეთილი“), „აღლექსანდრე ისევ ცოცხლობს“ (რადიოპიესების კრებულის მიმოხილვა).

ასე რომ, მკითხველისთვის ეს წიგნი ლიტერატურის ვრცელსა და იდუმალ სამყაროში შესანიშნავი მეგზური იქნება.

გიორგი ლომიძე

„სიზმარში მაინც ჰხვდებით ერთმანეთს“

მარტვილის მონასტერი. შემოდგომის მიწურულის პალიტრა. წითელი, ყვითელი და წარინჯისფერი ნაცრისფერში ინყებს გადასვლას.

მონესეთა დაბრუნებამ გაცოცხლა ოცსაუკუნოვანი ისტორია. თვალდათვალ მოჩანს, ცხადად იგრძნობა ღვთაებრივი მადლი, რომელიც აქაურობას ეფინება მას შემდეგ, რაც ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის ღვაწლის შედეგად მოიჭრა დიდი მუხა, დიდი ჭყონი და მის ადგილას დაფუძნდა ეკლესია. გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის აჩრდილებს დაინახავს „მოდარაჯე კაცის თვალი“. ისტორიული ბედუკუღმართობის წინათგრძნობა იკითხება XIV საუკუნის ფრესკათა მუქმინდისფერ ტონალობებში.



სიტყვას წარმოთქვამს მეუფე პეტრე

მე აქ ყოველთვის მახსენდება წმინდა მამები, მათი ხელები – ვით სანთლის შუქი სულის შებერვით რომ ირხვეიან, მათი ლოცვები – არაფერსა და არაფერს შორის გაჩენილი მყარი სითეთრე... მე მახსენდება მათი წმინდა ლიტურგიები, მათი ჰიმნით მალალი შუბლები, მზის სიფრფავა შუქზე, ცაცხვის ტკბილ სიგრილეში, მე აქ ყოველთვის მახსენდება წმინდა მამები, თუმცა ისინი არასოდეს აქ არ მინახავს...

ეს თამაზ ბაძალუას ლექსია – „მარტვილის მონასტერთან“. როცა ამ სტრიქონებს წერდა, მარტვილის წმინდა მთაზე ბერები არ იყვნენ, სავანის ნაცვლად იქ საავადმყოფო და რესტორანი იყო, მაგრამ პოეტი ხედავდა მათ მალალ შუბლებს, ახსენდებოდა მომავალი, და, ვინ იცის, იქნებ ისმენდა წმინდა ლიტურგიას, რომელიც გაიმართებოდა შორეულ მომავალში, ესე იგი, დღეს...

2009 წლის 15 ნოემბერს თამაზ ბაძალუას სულის სავედრებელი პანაშვიდი აღასრულეს მამა გოჩა ცაავამ და მამა სერაფიმ დანელიამ. წმინდა ლიტურგიაში მონაწილეობდა ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მეუფე პეტრე ცაავა.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც გივი ელიავას სახელს ატარებს, გაიმართა წარდგინება თამაზის ახალი პოეტური კრებულია „სიზმარში მაინც ვხვდებით ერთმანეთს“.

წიგნში შესულია პოეტის ორმოცდაათი ლექსი და ორმოცდაათი თარგმანი იტალიური პოეზიიდან. რატომ მაინცდამაინც ორმოცდაათი? უბრალოდ, წელს ორმოცდაათის გახდებოდა.

ბედისწერის მორჩილი მოყმე, ოთხმოციანი წლების ლიტერატურული თაობის სევდიანი ემბლემა, თანამედროვე ქართული პოეტური აზრის წინასწარმეტყველი. ის სამი ათეული წლის წინათ ქმნიდა პოეტურ ფილოსოფიას, რომელიც დღეს ფრიად პოპულარულია ახალგაზრდა შემოქმედთა შორის. რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება, რომ თამაზ ბაძალუა საყურადღებო მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. ეს რომ ლიტონი სიტყვა არ არის, ამას ამტკიცებს მისი შემოქმედება, მისი სიტყვა – აი, საერთო შინაარსი იმ სიტყვებისა, რომლებიც წარმოთქვას:

მარტვილის რაიონის გამგებელმა მამუკა დანელიამ, თამაზის ბიძაშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა მალხაზ ბაძალუამ, მარტვილის საზოგადოების წარმომადგენლებმა: მარია თოფურია, მურთაზ ხელაია, ზურაბ დანელიამ, გოგილო ბასილაიამ, ანა ჩიქვანაიამ, გიორგი ელიავამ; თამაზის მეგობრებმა: როსტომ ჩხეიძემ, უჩა შერაზადიშვილმა, გიორგი ალიბეგაშვილმა, ივანე ამირხანაშვილმა; გამომცემლებმა: ელგუჯა თავბერიძემ, ლევან თითმერიამ.

მეუფე პეტრემ კი ბრძანა: „ამ ადამიანს ღვთის ხელი სდევდა თან. ის, როგორც სიტყვის მსახური, მარადიულობას ეხმარებოდა, მომავალს ხედავდა ისე, როგორც აწმყოს... დღევანდელმა დღემ გამაცნო და დამაახლოვა ამ ადამიანთან. განვიცდი სულიერ სისავსეს და ეს არის ნიშანი ღვთაებრივი მადლისა. ღვთის წინაშე ქმნიდა იგი თავის შემოქმედებას და ახლაც, დარწმუნებული ვარ, ღვთის წინაშეა“.

პოეტის დამ, დოდო ბაძალუა-წულაიამ და დისშვილმა ნიკა წულაიამ მადლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას თამაზის ხსოვნის დაფასებისათვის. მადლობა დაიმსახურეს იმ ადამიანებმაც, რომლებსაც მართალია, არც სიტყვა წარმოუთქვამთ და არც ლექსი წაუკითხავთ, მაგრამ თავიანთი ხმებით შთაბეჭდავი ფონი შეუქმნეს პოეტის გახსენების დღეს. ესენი იყვნენ მგალობლები: მაია სურმავა, მაია ჯიჯელავა, მანანა ჯანაშია, ლია ნადარეიშვილი და ლელა კაკულია.

მონასტერი, მუზეუმი და... სოფელი ნახუნაო – დღის მესამე, აუცილებელი შტრიხი. სოფლის სასაფლაოზე გრანიტის ქვიდან იყურება სამი დიდი ტკივილი: თამაზი, ნატო, თუთა – მამა, დედა, შვილი.

აქ ჰაერიც სევდით არის გაუღწეილი. ზემოთ კი გორაკია, საიდანაც უცხო ფრინველივით მოჩანს მარტვილის მონასტერი.

ლევან ბრეგაძე

უზის ნიბნაკიდან

ცეკას მდივანის გულახდილობა

თაბახის ერთ ფურცელზე ჩაუნერია მამაჩემს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნების ტყიბულში სტუმრობის ეს ორი ეპიზოდი (სათაური ჩემი დარქმეულია):

1.

„ხრუშჩოვის ხელმძღვანელობის დროს ჩვენს ქვეყანაში უნდა შემოღებულიყო 8-ნობლიანი სავალდებულო სწავლების სკოლები, ხოლო განსაკუთრებული ნიჭის ბავშვებისათვის კი შექმნილიყო 10- ან 11-კლასიანი სასწავლებლები. საქ. კპ ცეკას მდივანმა დევი სტურუამ ამ საკითხის ირგვლივ ტყიბულში განაცხადა შემდეგი: ჩვენ ამის წინააღმდეგი ვიყავით, რადგანაც ჩვენში პროტექციონიზმის მაღალი დონის გამო ნიჭიერ ბავშვთა სკოლებში უფრო ადვილად უნიჭო ბავშვები მოხვდებოდნენ“.

2.

„საქ. კპ ცეკას მდივანმა როდიონოვმა ქ. ტყიბულში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს მოიყვანა ასეთი მაგალითი: თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა რაიონიდან ჩამოსული ავადმყოფი მოქალაქე. გარდაცვალების მიზეზი იყო შემდეგი: ავადმყოფი საჭიროებდა ოპერაციას, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევდა. ერთხელ მომვლელმა დამ ავადმყოფს უთხრა, თუ ის ფულს არ მისცემდა ექიმს, ოპერაციას არავინ გაუკეთებდა. პაციენტი იძულებული გახდა მიეწერა წერილი სოფელში მეუღლისთვის, რათა გაეყიდათ ძროხა და გამოეგზავნათ მისთვის 300 მანეთი. წერილის მისვლასა და ფულის გამოგზავნაში კარგა ხანმა განვლო და ავადმყოფი გარდაიცვალა. ახლა, — თქვა როდიონოვმა, — შეუძლებელია დადგენა, ვინ არის დამნაშავე“.

(ჩანაწერები დაუთარილებელია).

* * *

არცოდნაც არის და არცოდნაც. არცოდნები სიღრმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძალიან ღრმა არცოდნა ზოგჯერ ცოდნას ემსგავსება.

მოსკოვში, მწერალთა კავშირის ყრილობაზე, სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა მწერლები არიან ჩასულნი. იმ სასტუმროს ბუფეტის მომსახურე ქალი, რომელშიც მწერლები ცხოვრობენ, ჭორიკნობს: ჩამოსულთაგან მარტო N-მა იცის ნამდვილი რუსული (ერთ-ერთ კავკასიელ მწერალს ასახელებს). ყველა გაიძახის: „ადნო კოფე! ადნო კოფე!“, მარტო ის ამბობს სწორად: „ადინ კოფე!“

(„კოფე“ რუსულში, მიუხედავად იმისა, რომ ე-ზე მთავრდება, მამრობითი სქესის სიტყვაა).

მაგრამ, როცა N-მა მეორე დღეს არაფანი ასე მოითხოვა — „ადინ სმეტანა“-ო, — ბუფეტის ქალი მიხვდა, რომ თურმე იჩქარა სტუმრის რუსულის შეფასებისას. (ბადრი ჭოხონელიძის ნაამბობი).

* * *

ერთი ქართველი მწერალი რუს კოლეგას სამშობლოში ეპატიუება: „პრაშუ ვ გრუზიი!“

ყურში ჩასჩურჩულეს: „იუ, იუ!“ და შეცდომა ასე „გამოასწორა“: „პრაშუიუ ვ გრუზიი!“

(ჯემალ ქირიას ნაამბობი).

ოპტიმიზაცია

ერთ გამოცანას ვიხსენებდი და ამგვარად აღვიდგინე მეხსიერებაში:

**გაიხადა ნაბდისძველა,
გამოვარდა ტანშიშველა (თხილი).**

მერე ჩავიხედე „ხალხური სიბრძნის“ V ტომში (იქაა გამოცანები) და ასე ყოფილა:

**ტყეში ხარი შემვივარდა:
— გამო, გამო, გიშერაო! —
ნაბდისძველა იქ დაადლო,
გამოვარდა შიშველაო!**

ანუ უნებლიეთ ხალხური გამოცანის ოპტიმიზაცია მომიხდენია: ოთხი სიტყვა თერთმეტის ნაცვლად!

(ოპტიმიზაცია დღეს ჩვენში შტატების შემცირების შემცველი ეფემიზმია; თავის მხრივ, შტატების შემცირება ადრე თანამშრომელთა ნაწილის სამსახურიდან დათხოვნის აღმნიშვნელი ეფემიზმი იყო. ეფემიზმი ასეა განმარტებული „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“: „სიტყვა ან გამოთქმა, რომლითაც შეცვლილია სხვა, რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა ან გამოთქმა“).

* * *

ხატოვან გამოთქმებს თავ-თავიანთი ისტორია აქვთ, მეტ-ნაკლებად შესწავლილ-გამოკვლეული. ამ მხრივ სანიმუშოა ნ. ს. აშუკინის და მ. გ. აშუკინას „ფრთიანი სიტყვები“, რომლის მეორე, შევსებული გამოცემა 1960 წელს გამოვიდა მოსკოვში.

ამ ნიგნში ლათინური ფრთიანი გამოთქმის „Ex ungue leonem pingere“ („ლომი ბრჭყალებით იცნობა“) თაობაზე ვკითხულობთ:

„პულტარქეს ცნობით („ორაკულთა შესახებ“, 3), ამ გამოთქმის ავტორია ალკეოსი (VII ს. ჩვ. ერამდე); ლუკიანე („Hermetimus“, 54) მის ავტორად ასახელებს დიდ ბერძენ მოქანდაკეს ფიდიასს (დაიბადა დაახლ. 500 წ. ჩვ. ერამდე). პირველი რუსი ავტორი, რომელთანაც გვხვდება ეს გამოთქმა („От ногтий познается лев“), არის დიმიტრი

როსტოვსკი, XVII საუკუნის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი“.

ამის შემდეგ მოყვანილია ნაწყვეტი ა. ს. პუშკინის ლექსიდან, რომელსაც პირდაპირ ასე ჰქვია — „Ex ungue leonem“.

(ამ ლექსიკონის ინტერნეტვერსიაში კიდევ ერთი მაგალითი დაუმატებიათ ა. ი. გერცენის მიერ ნ. პ. ოგარი-ვისაძემი მიწერილი ბარათიდან).

ჩვენთან რა ვითარებაა ამ მხრივ?

ბასილი ეზოსმოდღერის (XII-XIII სს.) თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ ვკითხულობთ:

„გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარი საქმეთაგან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 2, 1959, გვ. 123).

უფრო ადრე ამ გამოთქმას მოდიფიცირებული სახით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იყენებს (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955, გვ. 346).

მე რომ ახალგაზრდა ვიყო ან ახლა სხვა საქმეები არ მქონდეს, აუცილებლად ვთარგმნიდი (გამოკრებილად) ნ. ს. აშუკინისა და მ. გ. აშუკინას ამ ჩინებულ ლექსიკონს და ქართული მასალით შევავსებდი მას.

იუმორის ნიჭი და იუმორის გრძნობა

იუმორის ნიჭი და იუმორის გრძნობა სხვადასხვა რამე ყოფილა. ანუ შეიძლება მავანი იუმორის დიდი ნიჭით იყოს დაჯილდოებული განგებისგან, მაგრამ იუმორის გრძნობა არ ჰქონდეს, და პირიქით: შეიძლება კაცს იუმორის ნიჭი არ ჰქონდეს, მაგრამ იუმორის გრძნობა კი არ აკლდეს.

კარგა ხნის წინათ წავიკითხე სადღაც ეს ამბავი:

ამერიკაში, ერთ ოჯახში, ინტელექტუალები შეკრები-ლიყვნენ და ასეთი თამაშით ერთობოდნენ: ერთმანეთის სხვადასხვა უნარს — ინტელექტს, ერუდიციას, გულისხ-მიერებას, იუმორის გრძნობას და ა. შ. — ხუთბალიანი სისტემით აფასებდნენ. მოთამაშეთა შორის ერთი ცნობილი კომიკოსი მსახიობიც იმყოფებოდა. თამაშის მონაწილეებმა მისგან ფარულად მოილაპარაკეს გახუმრებოდნენ მას: მოდიო, მისი იუმორის გრძნობა დაბალი ნიშნით შევაფა-სოთო. როცა კომიკოსი გამოკითხვის შედეგებს გაეცნო და ნახა, რომ „იუმორის გრძნობაში“ მისთვის ყველას „ოთხიანი“ დაენერა, ენყინა. და მიხვდნენ: ნიჭიერ იუმორისტს თურმე იუმორის გრძნობა ლალატობდა, ანუ იუმორის ნიჭი და იუმორის გრძნობა სხვადასხვა რამე ყოფილა.

ერთხელ ჩემდაუნებურად ამის მსგავსი ტესტი ნოდარ დუმბაძეს ჩავუტარე.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობისას ბატონი ნოდარი ხშირად სტუმრობდა გამომცემლობა „მერანს“ და ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქციაშიც შემოივლიდა ხოლმე, რომელსაც იმ დროს გურამ გვერდნითელი რედაქტორობ-და, მე კი მისი მოადგილე ვიყავი.

ერთხელ ბატონ გურამს რედაქციაში სტუმარი ჰყავდა — საგზაო მილიციის ოფიცერი, რომელიც რომანებსაც წერდა. მას ბატონი გურამის აზრი აინტერესებდა თავის ახალდამ-თავრებულ თხზულებაზე. როგორც კი ავტორმა და „კრი-ტიკის“ რედაქტორმა საუბარი დაიწყეს, ბატონი ნოდარი შემოვიდა „მერანის“ რამდენიმე თანამშრომლის თანხლე-ბით. შემოვიდა და სიცილი და მხიარულებაც შემოიყოლა.

ჰყევბოდა ერთი მეორეზე სასაცილო ამბებს და ჩვენ, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, მუცელი ხელით გვეჭირა. მარტო რედაქტორის სტუმარი იჯდა სერიოზული სახით და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ვიზიტის დას-რულებას ელოდა, რათა შეწყვეტილი საუბარი განეგრძო გურამ გვერდნითელთან თავისი რომანის თაობაზე.

კარგა ნახევარი საათი გავიდა სიცილ-ხარხარში.

უცებ ბატონმა ნოდარმა ავტონისპექტორისკენ გაიხე-და და ჩაილაპარაკა: „აი, ჩვენ ვიცინით, ეს ბატონი კი მოწყენილი შემოგვყურებს“.

ამის თქმა იყო და ერთი ანეკდოტი გამახსენდა, რომელიც ორი დღის წინ მიაბმო გოგი ჯორჯანელმა (მისთვის ნოდარ ნათაძეს მოუყოლია).

ვთქვა თუ არა-მეთქი, გავიფიქრე. სარისკო ჩანდა, მაგრამ გავბედე:

დირექტორი სამსახურში ანეკდოტს ჰყვება. ყველა იცინის ერთის გარდა. შენ რატომ არ იცინიო, ჰკითხეს. მე ამ დანესებულებაში არ ვმუშაობო, უპასუხა.

ისეთი გულიანი ხარხარი, ბატონ ნოდარს რომ აუტყდა ამის გაგონებაზე, იშვიათად მომისმენია!

სიცილით რომ გული იჯერა, თქვა: ახლა მივხვდი „ნიანგის“ რედაქტორობისას ასე ადვილად რატომ ვუგებ-დი ყველა ჩემს თანამშრომელს ჭადრაკსო!

ასე რომ, იუმორის გრძნობის ტესტი ნოდარ დუმბაძემ ბრწყინვალედ ჩააბარა.

ჩემი მოხაზები

ერთი სტატია გამოვაქვეყნე გაზეთ „არილში“ თორმეტი წლის წინათ სათაურით „სადღეგრძელო და მისი კომპენსატორული ბუნება“, რომლის გამო ატეხილი აუიოტაუი (საერთაშორისო მასშტაბით!) დღემდე არ ჩამცხრალა. იქ ვწერდი, თამადიან-სადღეგრძელოებიანი ქართული სუფრა (ანუ ქართული სუფრა იმ სახით, რა სახითაც ჩვენ დღეს მას ვიცნობთ) მე-19 საუკუნემდე არ არსებობდა-მეთქი (როგორც წყაროებიდან ჩანს, ის ჯერ თბილისში გაჩნდა მე-19 საუკუნის დამდეგს და მერე თანდათან გავრცელდა პროვინციებშიც). ამან ჩვენებური პატრიოტების დიდი აღშფოთება გამოიწვია — რას ამბობს, თამადიან-სადღეგრძელოებიანი ქართული სუფრა უხსოვარი დროიდან არსებობსო! არადა, მოწმე-ბი მყავს. იმ მოწმეებს ვერაფერს უბედავენ და მე კი მომდგნენ — ნიჰილისტი ხარ, ეროვნულ ტრადიციებს ნიჰილისტის თვალთ უმზერო!

რათა დაგარანმუნოთ, რომ მე ბრალი არაფერში მიმიძლ-ვის, კიდევ ერთხელ უნდა მოვიხმო ჩემი ერთ-ერთი მთავარი მოწმე — კიდევ ერთხელ უნდა ჩამოვართვა ჩვენება.

— ბატონო აკაკი, ხომ ვერ გაიხსენებდით, როგორი იყო ქართული სუფრა თქვენი ბავშვობისდროინდელ იმერეთში?

მონმე აკაკი როსტომის-ძე წერეთელი:

„სუფრაზე ღვინოს არავის არ აძალბდნენ, მხოლოდ მერიქიფეებს ეჭირათ ხელში ღვინით სავსე დოქები და, დაიცლებოდა თუ არა ვისიმე ჭიქა, მაშინვე აავსებდნენ. სადღეგრძელოები არ იცოდნენ. პირველ ჭიქას რომ

აიღებდნენ, მაშინ კი პირველად გამოისახავდნენ და იტყოდნენ: „ღიღიება ღმერთსა! მოწყალესა ერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ბატონსა და ყმებსა, აქა მბრძანებელსა! შენდობა, მამაო!“ — ეტყოდნენ მღვდელსაც და გადაპკრავდნენ ღვინოს. მერე კი იმდენსა სვამდნენ, რამდენიც უნდოდათ. სამიზეზო სადღეგრძელოები კი ფიქრადაც არ მოსდიოდათ“ (თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. 7, 1958, გვ. 23).

ასეთ ჩვენებას იძლევა სადავო საკითხზე აკაკი წერეთელი დოკუმენტურ თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი“.

რა ვქნა ახლა, როგორ ვიმართლო თავი? ნიჰილისტმა აკაკი წერეთელმა მომატყუა-მეთქი?

თამაძის ინსტიტუტი ფშავში მე-19 საუკუნის ბოლომდეც არ დასტურდება. ამასაც ჰაერზე როდი ვიძახი, მონმე მყავს!

— ბატონო ლუკა, როგორი იყო საქორწილო სმა-ჭამის წესი თქვენი დროის ფშავში?

მონმე ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილი (იგივე ვაჟა-ფშაველა):

„არავითარი წესი ამ სმა-ჭამის დროს არ სუფევდა, ვისაც რა სადღეგრძელო ჰსურდა, იმასა ჰსვამდა, რაც ესამოვნებოდა, იმას ამბობდა, მღეროდა. (...) სმაში და ჭამაში ყველას თავისუფლება ეძლევა, ვისაც რამდენი უნდა, იმდენსა ჰსვამს და სჭამს“ (თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. IV, 1961, გვ. 135).

ასეთ ჩვენებას იძლევა სადავო საკითხზე ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ თხზულებაში „ფშაველი და მისი ნუთისოფელი“.

ძალიან ჰგვანებია, ხომ, ვაჟასდროინდელი ფშაური საქორწილო სუფრა დღევანდელს?

მოკლედ, ვისაც ამ საკითხზე კამათი უნდა, ამათ ედავოს, მე რა შუაში ვარ?!

ისე, თუკი აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა ნიჰილისტები არიან... მეც ვიყო!

ქართული მკვლევარი და ამერიკული მწერლობა

როგორც წესი, საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორები ანდა სოლიდურ სამეცნიერო გამოცემათა რედაქტორები მეცნიერ-მკვლევარებს წინასწარ აფრთხილებენ: აკადემიური საორგანიზაციო კომიტეტი ანდა სარედაქციო კოლეგია იტოვებს უფლებას მხოლოდ ის ნაშრომები გამოაქვეყნოს, რომლებიც ამართლებენ დაბეჭდვის ხარჯებს; ანუ, სხვაგვარად, ღირან იმ ფასად, რაც მათი დაბეჭდვა დაჯდება.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ამავე უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორის, ვახტანგ ამაღლობელის თვითეული ესეი თუ ნარკვევი ამერიკული ლიტერატურისა და ქართულ-ამერიკულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ არათუ მის დასაბეჭდად გაღებულ ხარჯებს ამართლებს, არამედ თვითვე წარმოადგენს მნიშვნელოვან შენაძენს ქართული (და არამარტო ქართული) ამერიკისმცოდნეობისათვის; მით უფრო საშური საქმე იყო ამ ესეების შეკრება და წიგნად გამოცემა, რაც განხორციელდა კიდეც: გამოქვეყნდა ვახტანგ ამაღლობელის ფრიად საინტერესო და საყურადღებო წიგნი „ნარკვევები ამერიკულ ლიტერატურაზე“ (ქუთაისი: „მბმ პოლიგრაფი“, 2009). წიგნის რედაქტორია პროფესორი პაატა ჩხეიძე, ხოლო რეცენზენტები პროფესორები მანანა გელაშვილი და ირაკლი ცხვედიანი.

წიგნში თავმოყრილია ქართულ-ამერიკულ ლიტერატურულ ურთიერთობათა თუ თვით ამერიკული ლიტერატურის პრობლემური საკითხების შესახებ ბ-ნ ვახტანგის მიერ

სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სამეცნიერო ხასიათის სტატიები; მათ შორისაა უაღრესად საინტერესო ნარკვევი „სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობათა კონტექსტში“, რომელიც ცოტა ხნის წინათ სან ხოზეს უნივერსიტეტის (აშშ) სტაინბეკის შესწავლის ცენტრის (დირექტორი: პროფ. პოლ დაგლასი) გამოცემაში — „სტაინბეკ რივიუში“ დაიბეჭდა (Steinbeck's Visit to Georgia in the Context of USSR-USA Relations. Steinbeck Review Vol. 6, No 1 (Spring, 2009)). ნარკვევში ცნობილი ამერიკელი მწერლის სტუმრობა საქართველოში სრულიად ახალი თვალთახედვით - ორი დიდი იმპერიის პოლიტიკურ ურთიერთობათა კონტექსტში - არის გაშუქებული.


თემატური თვალსაზრისით წიგნი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილს ეწოდება „ამერიკელი მწერლები და საბჭოთა საქართველო“, ხოლო მეორეს — „სუინბერნი და მე-20 საუკუნის I ნახევრის ამერიკელი მწერლები“.

თუ რაოდენ აქტუალურია ქართულ-ამერიკული ლიტერატურული და ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების კვლევა (მართალია, ბ-ნ ვახტანგი ლიტერატორია, მაგრამ ვინც მის წიგნს წაიკითხავს, დამეთანხმება, რომ მასში შეტანილ ნარკვევთა ერთი ნაწილი სულაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ლიტერატურული ურთიერთობათა შესწავლით) დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით და თავისთავადაც, ყველას კარგად მოეხსენება და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ; ასევე უაღრესად აქტუალურ პრობლემათიკას იკვლევს ესეების მეორე ნაწილი: ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სუინბერნის რეცეფცია XX საუკუნის I ნახევრის ამერი-

კულ ლიტერატურაში ჯერაც არ არის სრულყოფილად შესწავლილი ლიტერატურულ კრიტიკაში; ვახტანგ ამალალობელი ამჟამად მუშაობს მონოგრაფიაზე „სუინბერნი და XX საუკუნის I ნახევრის ამერიკელი მწერლები“, რომელშიც, ცხადია, ეს ესეებიც შევა.

რასაკვირველია, ამ მცირე გამომხაურების ფარგლებში შეუძლებელია კრებულში შესული ყველა ნარკვევის გაანალიზება; მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ნარკვევებზე „ქართული თემა ჯონ დოს პასოსის ტრილოგიაში „აშშ“, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზეც გამოქვეყნდა სათაურით: „ქართული ფრაგმენტები ჯონ დოს პასოსის ტრილოგიაში „აშშ“. ჩემი ეს არჩევანი შემთხვევითი სულაც არ არის: თვით თემა უაღრესად საინტერესოა ქართული ლიტერატურული საზოგადოებისათვის, არა მარტო ამ სფეროს სპეციალისტებისათვის, არამედ საზოგადოების ფართო წრეებისთვისაც, ვინაიდან, რამდენადაც ვიცი, ეს თემა ჯერჯერობით საერთოდ არაა შესწავლილი და უცნობია ქართველი მკითხველისათვის; ცხადია, ვგულისხმობ ქართულ თემას დოს პასოსის ტრილოგიაში „აშშ“, თორემ დოს პასოსის საქართველოში მოგზაურობის პერიპეტეიბა და მის პოლიტიკურ-პუბლიცისტურ ნერილებს, სადაც მწერლის ქართული შთაბეჭდილებებია გადმოცემული ჩვენი საზოგადოება უკვე კარგად იცნობს ბ-ნ ვახტანგის იმ პუბლიკაციებით, რომლებიც „ჩვენი მწერლობაში“ დაიბეჭდა.

წერილის ავტორის მიზანია გაარკვიოს, აისახა თუ არა ტრილოგიაში „აშშ“ დოს პასოსის საქართველოში მოგზაურო-



ბის შთაბეჭდილებანი, და თუ აისახა — როგორ, რა ფორმით. ეს თემა ტრილოგიაში ირიბად აირეკლება და არა უშუალოდ, პირდაპირ, რაც საქმეს ძალიან ართულებს: მკვლევარის მახვილი ალლო სჭირდება დოს პასოსის უაღრესად რთულ ტექსტში, „ბიოგრაფიებსა“ თუ „კონოქრონიკებში“, ქართულ შთაბეჭდილებათა კვალის ამოცნობას; მახვილი ალლო და კიდევ დოს პასოსის პუბლიცისტური და მხატვრული მემკვიდრეობის სიღრმისეული ცოდნა. ვახტანგ ამალალობელს არც ერთი აკლია და არც მეორე. ამ წერილში ნათლად ჩანს, რომ ავტორი „გაშინაურებულია“ დოს პასოსის მხატვრული თუ დოკუმენტური პროზის სამყაროში.

აქვე არ შემოიძლია ხაზი არ გავუსვა ამ წერილში (და მთლიანად ნიგნშიც) თავჩენილ ვახტანგ ამალალობელის, როგორც მკვლევარის, ერთ თვისებას, რომელიც ნიგნის რედაქტორსაც შეუნიშნავს და აღუნიშნავს კიდევ წინათქმამში: წერილი დანერილია მკვლევარისათვის აუცილებელი სიფრთხილითა და ზომიერების გრძნობით. ავტორი ცდილობს (და ახერხებს კიდევც) არსად გადააჭარბოს, არ გააზვიადოს ქართული თემატიკის როლი და მნიშვნელობა დოს პასოსის ამ მრავალპლანიანი რომანის მხატვრულ სტრუქტურაში. მკვლევარს გამოაქვს ის სწორი დასკვნა, რომ საქართველოს მართალია მოკრძალებული, მაგრამ მაინც საკუთარი ადგილი უჭირავს ამ ტრილოგიაში.

მე ვულოცავ ამ ნიგნის გამოცემას არა მარტო მის ავტორს, ვახტანგ ამალალობელს, არამედ მთელ ქართულ ლი-

ლიტერატურული ცხოვრება

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა პრეზენტაცია ოთარ ჭილაძის ნიგნებისა („ინტელექტი“), რომელთა გამოცემაც საგანგებოდ დაამთხვიეს მწერლის გარდაცვალების მეორმოცე დღეს. პირველ კრებულში პოეტ-პროზაიკოსის შემოქმედებებიდან შერჩეული 100 საუკეთესო ლექსი შევიდა, ხოლო მეორე პუბლიცისტურ ნაშრომებს დაეთმო.

წინ მარადისობაა — ასეთი სახელი შეურჩიეს კრებულს. მასში ძირითადად მწერლის ბოლოდროინდელი საგაზეთო ინტერვიუები და მის არქივში მოძიებული ჩანაწერები დაიბეჭდა, — ჩანაწერები საზოგადოებისთვის (ცნობილი პიროვნებებისა და მოვლენების შესახებ. ნიგნის მესამე ნაწილი კი ეთმობა მწერლის ავტობიოგრაფიას, რომელიც ავტორს მესამე პირში აქვს დანერილი.

ნიგნების შემდგენელი და რედაქტორი ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელიაა, რომელსაც თვით ოთარ ჭილაძემ დაულოცა გზა მწერლობისკენ.

სალამო გახსნა გამოცემლობა „ინტელექტის“ დირექტორმა კახბეგ კუდავამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის. მრავალი პრეზენტაცია ჩაგვიტარებია, მაგრამ ეს სალამო ყველაზე მძიმეა ჩემთვის, რადგან ოთარი დღეს ჩვენს გვერდით აღარაა. მკითხველის დაინტერესებამ ავტორის მიმართ გადაგვანწყვეტინა, გავეშარათა მისი მოვრობების სალამო და მას მარტო პრეზენტაციის იერი არ ჰქონოდა.

პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა მადლობა გადაუხადა გამომცემლობას ასეთი ნიგნების გამოცემისათვის და აღნიშნა: დღევანდელი დღე განსაკუთრებულია. აქ თავი მოიყარა იმ ხალხმა, ვინც ოთარის ფასი იცოდა. ის სიყვარულით სავსე პიროვნება გახლდათ, რომელმაც თავისი ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს მწერლობაში. თუ შენ ნუთისოფელ-

ში ვერ ხარ პიროვნება, მარადისობაშიც ვერაფერი იქნები, ოთარმა კი მოიპოვა მარადიული პოეტის სახელი. დიდ მადლობა რომ თქვენ აქ ხართ და მადლობა უფალს რომ ოთარი ისევ ჰყავს საქართველოს, თავისი შემოქმედებით.

პოეტმა ტარიელ ჭანტურია ისაუბრა მწერლის შემოქმედებით ღვანლზე და ნაიკითხა ლექსი, რომელიც 40 წლის წინათ მიუძღვნა მეგობარ მწერალს.

სიტყვით გამოვიდა ოთარ ჭილაძის შემოქმედების მკვლევარი, კრიტიკოსი მანანა კვაჭანტირაძე: ოთარ ჭილაძე იყო ყოფიერების სახლის დიდი მასპინძელი, ის ამ სახლში შინაურად გრძნობდა თავს, აქ იგი ერთნაირი სიდიადით ქმნიდა, როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ნაწარმოებებს.

თუ იარსებებს ქართული მწერლობა და საქართველო, იცოცხლებს ოთარის შემოქმედება და მისი ნაწარმოებებიც, — აღნიშნა მასხიობმა გურამ სალარაძემ.

მხოლოდ მწერლობას შეუძლია გააერთიანოს დარბაზებიც და მთელი ქვეყანაც, — აღნიშნა მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ და გამოთქვა იმედი, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად შეიქმნება ბიოგრაფიული რომანი ოთარ ჭილაძეზე და მოსალოდნელია, რომ ეს საქმე ზვიად კვარაცხელიამ აღასრულოს.

მწერალმა და მეცნიერმა ზაზა აბზიანიძემ რამდენიმე საგულისხმო შტრიხით მოხაზა სახელოვანი მწერლის პორტრეტი, ხოლო ზვიად კვარაცხელიამ განაცხადა: დღეს, ამ დარბაზში ყოფნისას ამეკვიცა ასეთი აზრი, რომ ოთარ ჭილაძე ახლაც ჩვენს გვერდითაა და იგი ყოველ ჩვენგანში განაგრძობს სიცოცხლეს.

ქეთევან დავლაძე

ჯილბერტ კით ჩესტერტონი

ჯონ ბულნუას უცნაური დანაშაული

ბატონი კოლაჰუნ კიდი ძალზედ ახალგაზრდა ჯენტლმენი იყო, მაგრამ მოხუცს კი მიუგავდა სახე. შავ-მოლურჯო თმასა და შავ პეპელა-ჰალსტუხში ჩაფლული, მეტისმეტი სერიოზულობით გამომშრალი სახე. იგი ამერიკის ვეება ყოველდღიური გაზეთის „უესტერნ სანის“ ემისარი გახლდათ ინგლისში. გაზეთისა, ხუმრობით „ამომავალ დაისად“ რომ მოიხსენიებდნენ. ეს ქარაგმა ბატონი კიდის მკვებარა ჟურნალისტური განცხადების მერე გაჩნდა, რომლის მიხედვითაც, „ამერიკის მოქალაქეებს რომ მეტად მოენდომებინათ, მზე დასავლეთიდანაც კი ამოვიდოდა.“ თუმცა, ვინც კაი ხანია ამერიკულ ჟურნალისტიკას დასცინის, ტრადიციულობა აკლიაო, ავიწყდებათ ერთი პარადოქსი, რომელიც ნაწილობრივ გამოისყიდის ამ ნაკლულობას. შტატების ჟურნალისტიკა საესეა პანტომიმური ვულგარულობით, რომელიც ყველაფერია, გარდა ინგლისურისა, მაგრამ იმავდროულად ამაღლებულად ასახავს სერიოზულ მენტალურ პრობლემებს, რაშიც ინგლისური ჟურნალისტიკა ჯერაც უმანკო, ან უბრალოდ უძლურია. სანი საესე იყო უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არასერიოზულად განხილული თემებით. უილიამ ჯეიმზს გაზეთში, „მოსანყენ უილის“ უნდებენ და მისი პორტრეტის დახატვაში ერთმანეთს პრაგმატიკები და მოკრივეები ეცილებიან.

ამგვარად, როდესაც ძალზე მორიდებულმა ოქსფორდელმა, სახელად ჯონ ბულნუამ, „ყოველკვარტალურ ბუნებრივ ფილოსოფიაში“, ჟურნალში, რომელსაც არავინ კითხულობდა, წერილების ციკლი გამოაქვეყნა და დარვინის ევოლუციის სუსტი მხარეები გააკრიტიკა, არცერთ ინგლისურ გაზეთს ყურიც არ შეუბერტყავს; სამაგიეროდ, ბულნუას თეორია (რომლის მიხედვითაც, უძრავ სამყაროს ხანდახან კონველსური ცვლილებანი სტუმრობენ) ოქსფორდის საზოგადოებამ მიიღო, უჩუმრად მოინონა და იქამდეც კი მივიდა, რომ „კატასტროფიზმად“ მონათლა. ამერიკულმა გაზეთებმა კი ეს მოვლენა დიდ გამოწვევად მიიჩნიეს და სანიმ თავისი გვერდების მნიშვნელოვანი ნაწილი ბატონი ბულნუას დაუთმო. ზემოთაღნიშნული პარადოქსიდან გამომდინარე, ამერიკული გაზეთები აჭრელდა ენთუზიანებით საესე, გონებამახვილური სტატიებით, რომელთა სათაურები იყო: „დარვინი პირში ჩალაგამოვლებული რჩება; კრიტიკოსი ბულნუა გვეუბნება უბედურებას დავასწრებო“- ან „მიეჩვიეთ კატასტროფას, ამბობს მოაზროვნე ბულნუა.“ ბატონ კოლაჰუნ კიდს, რასაკვირველია, უბრძანეს, რომ თავის სამგლოვიარო გამომეტყველებასა და პეპელა ჰალსტუხთან ერთად ოქსფორდის გარეუბანში მდებარე ერთ პატარა სახლს სტუმრებოდა, სადაც მოაზროვნე ბულნუა, რომელსაც აინუნ-

შიც არ მოსდიოდა ასეთ სათაურთა არსებობა, ბედნიერად ცხოვრობდა.

ჩვენი ახალალიარებული ფილოსოფოსი გაოცებული დათანხმდა კორესპონდენტის მიღებას და დროც დაუთქვა – საღამოს 9 საათი.

ზაფხულის უკანასკნელი დაისი კუმნორის ტყიან გორაკებს ჩაჰკონებოდა; რომანტიკოსი იანკი იჭვინულად, თუმცა ცნობისმოყვარედ ათვალეერებდა არემარეს. პროვინციული სასტუმროს „ჩემპიონ არმზის“ ღიად დარჩენილი ძველი, ფეოდალური კარის ზღურბლს გადააბიჯა და იქაურობა დაზვერა.

ბართან ზარი დარეკა და მოთმინებით უცდიდა პასუხს. ოთახში კიდევ ერთი, ბარზე დაყრდნობილი, ერთობ სასაცილო ტანსაცმელში გამოწყობილი, ჟღალთმიანი კაცი იჯდა; უცნობი მეტად უხეირო ვისკის სვამდა, თუმცა ძვირფას სიგარას ეწეოდა. ვისკი, რა თქმა უნდა „ჩემპიონ არმზში“ ურჩიეს; სიგარა კი, სავარაუდოდ, ლონდონიდან ნამოელი. მიუხედავად ჩაცმულობაში დიდი სხვაობისა, ინგლისელის ფანქარმა, გადაშლილმა რვეულმა და ალბათ მისი ლურჯი თვალების ცქვიტმა გამომეტყველებამ მიახვედრა კიდი, რომ საქმე თავის მოძმე ჟურნალისტთან ჰქონდა.

— უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით სად მდებარეობს გრეი კოტეჯი, სადაც, თუ არ ვცდები, ბატონი ბულნუა ცხოვრობს, — ჰკითხა კიდმა თავისი ერისათვის დამახასიათებელი თავაზიანობით.

— აქედან რამდენიმე იარდის მოშორებით, — უპასუხა ჟღალთმიანმა კაცმა და პირიდან სიგარა გამოიღო; — მეც იქით მივდივარ ცოტა ხანში, მაგრამ მე პენდრაგონ პარკში ვაპირებ სერიის საყურებლად.

— რა არის პენდრაგონ პარკი?

— სერ კლოდ ჩემპიონის მამულია — განა ამის სანახავად არ ჩამოხვედით? — იკითხა პრესის მუშაკმა. — ჟურნალისტი ხართ, არა?

— მე ბატონ ბულნუასთან შესახვედრად ჩამოვედი, თქვა კიდმა.

— მე ქალბატონ ბულნუასთან შესახვედრად ჩამოვედი, მაგრამ შინ არ დამხვდება, — გამოაჯავრა მეორემ და უსიამოვნოდ ჩაიცინა.

— თქვენც კატასტროფიზმით ხართ დაინტერესებულნი? — ჰკითხა დაბნეულმა იანკიმ.

— ის კატასტროფიზმი მაინტერესებს, რომლებიც სულ მალე მოხდება, — პირქუშად უპასუხა თანამოსაუბრემ. — ბინძური პროფესია მაქვს და თავს არ ვიტყუებ, ვითომდა არაო.

ეს თქვა და იატაკზე გადაანერწყვა. მისი საქციელის მიუხედავად, კაცი მიხვდებოდა, რომ კარგად იყო აღზრდილი.

ამერიკელი ჟურნალისტი ყურადღებით დააკვირდა მას. ფერმკრთალ, დაბნეულ სახეს ემჩნეოდა, რომ უზღვა-



ვი, გამოუთქმელი გრძნობებით იყო სავსე. ჭკვიანი, მგრძნობიარე გამომეტყველება ჰქონდა. უხეირო ტან-საცმელი უღაზათოდ ეცვა, თუმცა გრძელ და თლილ თითებზე ლამაზი ბეჭედი ეკეთა. სახელად, როგორც საუბრისას გაირკვა, ჯეიმზ დალროი ერქვა. მამამისი გაკოტრებული ირლანდიელი მემამულე ყოფილა. დალროი გაზეთ „სმარტ სოსაიეთის“ ერთგვარი ჯაშუშ-კორესპოდენტი გახლდათ და თავისი სამუშაო გულწრფელად სძულდა.

„სმარტ სოსაიეთი,“ სამწუხაროდ, „უესტერნ სანისგან“ განსხვავებით, არ დაინტერესებულა ბულნუასეული თეორიებით დარვინის შესახებ. დალროი, როგორც ჩანს, იმ სკანდალის სუნს ჩამოეყვანა, რომელიც სავსებით შესაძლებელია სასამართლოში დამთავრებულიყო განქორწინებით, მაგრამ ჯერჯერობით გრეი კოტეჯსა და პენდრაგონ პარკს შორის მერყეობდა.

სერ კლოდ ჩემპიონი და ბატონი ბულნუა ისევე იყვნენ ცნობილი „უესტერნ სანის“ მკითხველისათვის, როგორც პაპი და დერბი ვინერი; მაგრამ მათი ახლო ნაცნობობის ამბავმა კიდი გააოცა. მას სმენია (და დაუნერია კიდეც ისე დაუდევრად, თითქოს იცნობსო) სერ კლოდ ჩემპიონზე, ინგლისის მონიანე ათეულში შემავალ ერთ-ერთ ყველაზე მდიდარსა და საზრიან კაცზე; დიდ სპორტსმენზე, რომელიც იახტების შეჯიბრში მონაწილეობდა მსოფლიოს გარშემო; შესანიშნავ მოგზაურზე, ჰიმალაის შესახებ დანერვილი წიგნის ავტორზე; კონსერვატორ დემოკრატ პოლიტიკოსზე, ხმათა უმრავლესობით რომ გაიმარჯვა არჩევნებში, მხატვარსა, მუსიკოსსა, ლიტერატურათმცოდნესა და, რაც მთავარია, მსახიობზე. სერ კლოდი უფრო გასაოცარი პიროვნება გახლდათ, ვიდრე ამერიკელთა თვალში ჩანდა. მის ყოვლისმშთანთქმელ კულტურასა და დაუდგრომელ საჯაროობაში იყო რაღაც რენესანსული პრინციპის ნიშატი. ის არამარტო არაჩვეულებრივი, არამედ მგზნებარე მოყვარული გახლდათ. მასში არ ყოფილა იმ ანტიკური არასერიოზულობის ნასახიცი კი, რასაც ჩვენ „დილეტანტის“ სახელით მოვისხენიებთ. ეს უმნიშვნელო პროფილი, მუქი შავი, იტალიური თვალები, რომელსაც ხშირად ალბექტადვენ როგორც „სმარტ სოსაიეთში“, ისე „უესტერნ სანში“, საზოგადოებაში ამბიციით, გზნებითა და უკუჩვენებელი სენით შეჭმული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ კიდმა ბევრი რამ იცოდა სერ კლოდის შესახებ – შეიძლება იმაზე მეტიც, ვიდრე საჭირო იყო – მას ყველაზე უცნაურ სიზმარშიც კი არ დაესიზმრებოდა რაიმე კავშირი ასეთ თავმომწონე არისტოკრატსა და ახალგაშობულ კატასტროფიზმის აღმომჩენს შორის. ვერც კი ივარაუდებდა, რომ სერ კლოდ ჩემპიონი და ჯონ ბულნუა ახლო მეგობრები იყვნენ, რაც, თუ დალროის დაუფერებთ, სრული ჭეშმარიტება გახლდათ. ისინი სკოლისა და კოლეჯის წლებში ერთად ნადირობდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა ძალზე არათანაბარი იყო (ჩემპიონი მდიდარი მემამულე და თითქმის მილიონერი გახლდათ, ბულნუა კი უბრალო მეცნიერი და, თანაც, ბოლო ხანს თუ არ ჩავთვლით, ყველასათვის უცნობი) მაინც ინარჩუნებდნენ ახლო ურთიერთობას. მეტიც, ბულნუას კოტეჯი პენდრაგონ პარკის კართან მდებარეობდა.

ორიოდე წლის წინათ მათი მეგობრობის სიმყარე უფრო საეჭვო გახდა და საჭიროაოდაც იქცა. ბულნუა უმშვე-

ნიერეს და არცთუ ნარუმატებელ მსახიობზე დაქორწინდა და უხმაუროდ და შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. ოჯახთან სიახლოვემ ჩემპიონს, როგორც მანათობელ ვარსკვლავს, შეაძლებინა ისე ემოქმედა, რომ მტკივნეული აღშფოთება გამოეწვია. სერ კლოდმა საჯაროობის ხელოვნება სრულყოფილებამდე მიიყვანა და, როგორც ჩანს, დიდ სიამოვნებასაც იღებდა განზრახ შექმნილი ინტრიგისგან, რომელიც მას დიდებას არ ჰპირდებოდა. ეტლები და ავტომანქანები განუწყვეტილად აკითხავდა ქალბატონ ბულნუას; პენდრაგონის ფარეშები კი განუწყვეტილად მიართმევდნენ თაიგულებს; ხოლო მეჯლისები და მსაკარადები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, სადაც ბარონი ისე დაატარებდა ქალბატონ ბულნუას, როგორც ტურნირის სილამაზისა და სიყვარულის დედოფალს. სწორედ ის დღეს, რომელიც ბატონი კიდისთვის კატასტროფიზმის წარდგინება უნდა ყოფილიყო, ბატონი კლოდ ჩემპიონისთვის ღია ცის ქვეშ გამართული შურისძიება იყო რომეო და ჯულიეტას სახით, სადაც რომეოს როლს თვითონვე ასრულებდა, ჯულიეტას დასახელება კი ზედმეტი.

— არა მგონია ამ ყველაფერმა უსკანდალოდ ჩაიაროს, თქვა ნითურმა ახალგაზრდამ წამოდგომისას. ბულნუა ან თავმოქონილია ან ავადმყოფი, და თუ ასეა, გამოდის, რომ უბრალოდ ბუჩოა. თუმცა არა მგონია ასე იყოს.

— ის დიდი ინტელექტუალური ძალის მქონეა, — თქვა კოლპუნე კიდმა თავისი უაღრესად ღრმა ხმით.

— დიას, — უბასუხა დალროიმ, — მაგრამ ამ დიდი ინტელექტუალური ძალის მქონე კაციც ვერ იქნება ასეთი სულელი. არ მიდიხართ? მეც მოგყვებით რამდენიმე წუთში.

კოლპუნე კიდმა რძიანი და გაზიანი წყლის სმა დაამთავრა და გრეი კოტეჯის გზას გაუყვა. ცინიკოსი ინფორმატორი კი უკან მოიბრუნა თავის სიგარასა და ვისკისთან ერთად. დღის სინათლე გაფერმკრთალდა, ცა იყო მუქი — მომწვანო მორუხო, ფიქალივით, აქა-იქ ვარსკვლავებით მოფენილი. მარცხენა მხარეს შედარებით გამეჩხვრებულიყვნენ ვარსკვლავები, რაც მთვარის გამოჩენას მოასწავებდა.

უხეში, ეკალბარდიანი მესერიტ გარშემორტყემული, ფიჭვებსა და პარკის ღობეში ჩაფლული გრეი კოტეჯი ისე ახლოს იყო პარკთან, რომ კიდე იგი შევიცარის სადგომი ეგონა. თუმცა გვარი რომ ამოიკითხა ხის ვინრო კარზე, საათს დახედა და მიხვდა, რომ „მოაზროვნესთან“ შეხვედრის დრო დამდგარიყო. ეზოში შეაბიჯა და კარზე დააკაკუნა. მოკრძალებული, ერთი შეხედვით შევიცარის სადგომის მაგვარი კარმიდამო, საკმაოდ მდიდრული და მოზრდილი აღმოჩნდა. ეზოში ძაღლის ბუდრუგანა და სკაიდგა, როგორც ინგლისური პროვინციის სიმბოლო. აყვავებულ მსხლის ხეებს იქით მთვარე ამოდიოდა. ბუდრუგანიდან გამოსული ძაღლი ზედმეტად თავმომწონედ გამოიყურებოდა საიმისოდ, რომ დაეყვება. მოკრძალებული მოხუცი კარისკაცი, რომელმაც კარი გააღო, სიტყვაძუნნი, თუმცა ღირსეული ჩანდა.

— ბატონმა ბულნუამ მოხოვა თქვენთვის ბოდმი მომეხადა, — თქვა მან, — მოულოდნელად მოუხდა შინიდან გასვლა.

— კი მაგრამ, მე ხომ შეხვედრა მქონდა დანიშნული, თქვა ჟურნალისტმა და ხმას აუწია. — ხომ არ იცით სად წავიდა?

— პენდრაგონ პარკში, ბატონო, — თქვა მსახურმა პირ-
ქუშად და კარის დახურვა დააპირა.

კიდი ოდნავ შეინძრა.

— ქალბატონთან — დანარჩენებთან ერთად წავიდა?
— ბუნდოვნად იკითხა სტუმარმა.

— არა, ბატონო, მარტო წავიდა. — თქვა მსახურმა მოკ-
ლედ და კარი დახურა. უხეშად, მაგრამ ისეთი განცდით,
თითქოს დავალება ვერ შეასრულაო.

ამერიკელი, ეს უტიფრობისა და მგრძობიარობის უც-
ნაური ნაზავი, გაბრაზდა. სურვილი კლავდა, რომ ყველა
გამოეცოცხლებინა და საქმისთვის აუცილებელი ჩვევები
ესწავლებინა; ბებერი, ჭაღარა ძაღლი, კუშტი კარისკაცი
თავისი წინარეისტორიული პერანგით, უსიცოცხლო
მთვარე და ყველაზე მეტად გონებაგაფანტული, ბებერი
ფილოსოფოსი, რომელსაც დახვედრაც კი არ შეეძლო.

— თუ ასე გააგრძელებს, თავისი მეუღლის წრფელი
ერთგულების დაკარგვას დაიმსახურებს, — თქვა ბატონმა
კოლჰაუნ კიდმა. — ალბათ აყალმაყალის მოსაწყობად წა-
ვიდა. ასეთ შემთხვევაში „ვესტერნ სანის“ წარმომადგე-
ნილი მოვალეა იქ იყოს.

კუთხეში ღია სადარაჯო ჯიხურთან შეუხვია და
გრძელ, შავ ფიჭვნარში ჩაფლულულ გზას დაადგა, რო-
მელსაც პენდრაგონ პარკის ბაღებისკენ მიჰყავდა. შავი
ხეები ისე ჩამდგარიყვნენ მწყობრში, როგორც ქლიავს
დაანყობენ ხოლმე სინზე; ცაზე რამდენიმე ვარსკვლავი
კიაფობდა. კიდს თავში ბუნებრივი ასოციაციის ნაცვლად
ლიტერატურული შედარება მოსდიოდა და უცებ სიტყვა
„ყვავისტყემა“ გაურბინა გონებაში. ნახევრად ფიჭვების
სიშავის გამო, ნახევრად კი იმიტომ, რომ გარშემო საოცარ-
რი, თითქმის სკოტის დიდ ტრაგედიაში ასახული ატმოს-
ფერო სუფევდა; ჰაერში მეთვრამეტე საუკუნეში გარდაც-
ვლილის სუნი ტრიალებდა; სუნი ნესტიანი ბაღებისა და
დამსხვრეული ურნებისა, შეცდომისა, რომელიც აღარ გა-
მოსწორდება; და რაღაცის, რაც გაუსაძლისად სამწუხარ-
ოა, რადგან უცნაურად არარეალურია. ამ მონესრიგე-
ბულ, შავ, ტრაგიკული ხელოვნებით სავსე ბილიკზე მიმა-
ვალი არაერთხელ შეჩერდა, რადგან წინ მიმავალის ფეხის
ხმა შემოესმა. თუმცა წინ მხოლოდ შავ კედელივით აღ-
მართული წყვილი ფიჭვი ჩანდა, რომელთაც ვარსკვლავთ-
თა ნათელი სვეტსავით დასდგომოდა თავზე. თავიდან
იფიქრა, მეჩვენებო, ან საკუთარი ფეხის ექო დამცინისო.
მაგრამ რაც შორს მიდიოდა, მით უფრო აშკარა ხდებოდა
და რწმუნდებოდა, რომ ეს მართლაც სხვისი ფეხის ხმა
იყო. ეჭვი მოჩვენებაზე მიიტანა. პიეროსავით თეთრსახი-
ან შავად მბზინავ მოჩვენებაზე. მუქი ლურჯი სამკუთხე-
დი ცის წვერო ნელ-ნელა ნათდებოდა, მაგრამ იგი ვერ
მიხვდა, რომ დიდი სახლისა და ბაღის ლამპიონებს უახ-
ლოვდებოდა. ეგონა, გარემო უფრო იძაბებოდა; მწუხარე-
ბაში მეტი ძალადობა და საიდუმლო ჩაბუდებულიყო — მე-
ტი — იგი იმ სიტყვისაგან თავს იკავებდა, და მაინც თქვა
უეცარი სიცილით — კატასტროფიზმი. ბებერი ფიჭვი და
ბილიკი მოიტოვა უკან და იდგა გაშეშებული რაღაც ზე-
ბუნებრივი ძალით. ამაო იქნება იმის თქმა, რომ თავი სიზ-
მარში ეგონა; მაგრამ იმაში კი ნამდვილად დარწმუნებუ-
ლი იყო, რომ წიგნში აღმოჩნდა. ჩვენ, ადამიანები, მიჩვე-
ულნი ვართ უადგილობას, უაზრო ხმაურს. ეს ის მელო-

დიაა, რაც დაძინებას შეგვაძლებინებს. თუ რამე ნორმა-
ლური მოხდება, მაშინვე გვეღვიძება, თითქოს იდეალური
აკორდის ხმა გაგვეგონოს. ახლაც რაღაც ისეთი მოხდა,
რაც მივიწყებულ ნაამბობში თუ მოხდებოდა.

შავი ფიჭვის ტყიდან მთვარის შუქზე ალაპლაპებული
მახვილი მოფრინავდა. ისეთი გრაციოზული და ბრჭყვია-
ლა რაპირა, როგორითაც ალბათ ბევრ უსამართლო დუ-
ელში გასულან საბრძოლველად ამ უძველეს პარკში. ნემ-
სივით ეღვარე მახვილი კიდისგან მოშორებით დაეცა ბი-
ლიკზე. კიდმა კურდღელივით მიიბრინა და დაიხარა, რომ
ახლოდან შეეხედა. ყველაფერი ცხადი იყო, დიდი ნითელი
წვეთები ბასრ პირზე ეჭვს არ ინვევდა.

ჯიქურ გაიხედა იქით, საიდანაც თვალისმოძრელი
იარაღი გადმოვარდა. დაინახა, რომ ნაძვებისა და ფიჭვე-
ბის შავ კედელს მარჯვენა კუთხეში ვიწრო ბილიკი კვეთ-
და, რომელსაც გრძელ, განათებული ტბითა და შადრევ-
ნით დამშვენებულ სახლთან მიჰყავდა. მაგრამ შენობი-
სათვის ზედაც არ შეუხედავს, უფრო მნიშვნელოვანზე გა-
დაეტანა მზერა. ზემოთ, მწვანე, ტერასებიანი ბაღის
კუთხეში ძველი, ლანდშაფტური მეზალებობისათვის ნიშან-
დობლივი, პატარა, თვალწარმტაცი მოულოდნელობა
დახვდა; ბალახის პატარა ბორცვი თუ გუმბათი, თხუნე-
ლას ვეებერთელა სოროს რომ მოგაგონებდათ, სამი ვარ-
დის გამოსახულებიანი გალავნით შემოვლობათ, და ყვე-
ლაზე მაღალ წერტილში მზის საათი მოეწყობო. კიდმა და-
ინახა, რომ ცისკენ მიმართულ საათის მარჯვენაზე, ზვი-
გენის ზურგის ფარფლს რომ წაგავდა, მთვარის შუქი
ამაყად დასდგომოდა თავზე. თუმცა საათს ვილაციის
ჩრდილი ეფინებოდა, ადამიანის ჩრდილი.

მიუხედავად იმისა, რომ კიდმა მხოლოდ ნამით მოჰკრა
თვალი თვალისმოძრელ, საოცარ, თავით ფეხამდე კრიმ-
სონის კოსტუმში გამოწყობილ კაცს, მაშინვე მიხვდა, ვის-
თან ჰქონდა საქმე. თეთრი, ღვთაებრივი, ბაირონიკური
სახე, სუფთად გაპარსული და არაბუნებრივად ნორჩი, რო-
მაული ცხვირი, შავი ბრდღვივალა დალალები — მას ბატონი
ჩემპიონის ათასობით სურათი ენახა. სისხლიანი სხეული
მზის საათის პირდაპირ, ციცაბო ნაპირზე გამოგორდა და
ამერიკელის ფეხებთან დაეცა. მარჯვენა ხელს ძლივს ამოძ-
რავებდა. მყვირალა, არაბუნებრივმა ოქროს ორნამენტებმა
ხელზე, კიდს მაშინვე „რომეო და ჯულიეტა“ გაახსენა; აშ-
კარა იყო, შემოტმამასული კრიმსონის კოსტიუმი სპექტაკ-
ლის ნაწილს წარმოადგენდა. ხოლო გრძელი ნითელი ლაქა,
რომელიც სხეულმა ჩამოგორებისას დატოვა — არ ყოფილა
სპექტაკლის ნაწილი. სისხლი სხეულს სდიოდა.

ბატონმა კოლჰაუნ კიდმა რამდენჯერმე დაიყვირა.
კვლავ მოესმა იდუმალი ფეხის ხმა და უცებ მის გვერდით
ადამიანი გაჩნდა. იცნო, თუმცა მაინც შეშინდა. უნესო
ახალგაზრდა, რომელიც საკუთარ თავს დაღროით მოიხ-
სენიებდა, პირქუშად იდგა; თუ ბუღნუას დანიშნული შეხ-
ვედრის ჩაშლა შეეძლო, დაღროის განსაკუთრებული
უნარი ჰქონდა იქ გაჩენილიყო სადაც არავინ ელოდა.
მთვარის შუქზე ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. დაღროის
მნიშვნელოვანი თმას ფერი დაეკარგა, ფერმკრთალი სახე კი გამ-
წვანებოდა.

სწორედ ამის გამო უყვირა კიდმა ასე სასტიკად და
უმიზეზოდ:

— შენ გააკეთე ეს?! შე სატანავ!

ჯეიმზ დალროიმ უსიამოდ გაიღიმა, მაგრამ ვიდრე რამეს იტყოდა,

ძირს გართხმულმა სხეულმა კვლავ გაანძრია ხელი. იქით უთითებდა, სადაც ხმალი დაეცა. ამოიკვნესა, დაბოლოს ხმის ამოღება შეძლო.

— ბულნუა... ბულნუა-მეთქი... ეს ბულნუამ ჩაიდინა... შურდა... ჩემი შურდა, შურდა, შურდა...

კიდევ დაიხარა, რომ მეტი გაეგო, მაგრამ მხოლოდ ეს სიტყვები ისმოდა:

— ბულნუა... ჩემი ხმლით...

გადააგდო...

ხელი კვლავ ხმლისკენ უთითებდა და შემდეგ უსიცოცხლოდ დაეცა.

კიდში ცხარე იუმორმა გაიღვიძა, რაც მისი მოდემის ადამიანებისთვის სერიოზულობის მაჩვენებელია.

— ვერ ხედავ? — თქვა მან მკაცრად და მბრძანებლური ტონით, — ექიმი მოიყვანე, კაცი კვდება.

— და მგონი მღვდელიც გვჭირდება, — თქვა დალროიმ გაურკვეველად. ეს ჩემპიონები პაპისტები არიან.

ამერიკელი დაიხარა და პულსი გაუსინჯა მინაზე გართხმულს. თავი წამოუწია და უკანასკნელად სცადა გამოეცოცხლებინა, მაგრამ ვიდრე მეორე ყურნალისტი ექიმსა და მღვდელთან ერთად დაბრუნდებოდა, მან უკვე იცოდა, რომ ძლიერ დაავადებულად.

— თქვენც დაგავიანდათ? — ჰკითხა ექიმმა; სოლიდური გამომეტყველების კაცი გახლდათ, საყოველთაოდ მიღებული წვერ-ულვაშით, მაგრამ ცოცხალი თვალებით, რომლებიც კიდს იჭვნეულად მისჩერებოდნენ.

— ერთი მხრივ, დამავიანდა, — გაუბედავად თქვა სანის წარმომადგენელმა, — რომ გადამერჩინა, მაგრამ მივუსწარი იმას, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია. გარდაცვლილმა თავისი მკვლეელი დაასახელა.

— და ვინ არის მკვლეელი? — იკითხა ექიმმა და წარბები შეკრა.

— ბულნუა, — თქვა კოლჰაუნ კიდმა და სუსტად დაუსტვინა.

ექიმი პირქუშად, შუბლშეკრული მიაშტერდა, მაგრამ მან ნათქვამი არ უარყო. შემდეგ მღვდელმა, დაბალმა კაცმა, რომელიც უკან იდგა, მშვიდად თქვა:

— როგორც ვიცი, ბატონი ბულნუა დღეს არ აპირებდა პენდრაგონ პარკში მოსვლას.

— და კიდევ, — თქვა იანკიმ მკაცრად, — მგონი, შემოდ-

ლია ერთი-ორი ფაქტი ვაცნობო ამ ბებერ ქვეყანას. დიას ბატონო, ბატონი ბულნუა დღეს მთელი საღამო შინ უნდა ყოფილიყო, რადგან ჩემთან ჰქონდა შეხვედრა დანიშნული. მაგრამ ჯონ ბულნუამ გადაიფიქრა; იგი მოულოდნელად გამოვიდა შინიდან სრულიად მარტო და ამ პარკისაკენ გამოეშურა დაახლოებით ერთი საათის წინათ. მისმა კარისკაცმა მითხრა. მგონი, როგორც პოლიციელები იტყვიან გასაღებს მივაგენით — შეატყობინეთ მათ?

— დიას, — თქვა ექიმმა, — მაგრამ სხვისთვის ჯერ არ გვიცნობებია.

— ქალბატონმა ბულნუამ თუ იცის? — იკითხა ჯეიმზ დალროიმ; კიდს კი კვლავ ჰკლავდა მისთვის სილის განწმენის სურვილი.

— მე არ მითქვამს. — თქვა ექიმმა ჩახლეჩილი ხმით; — აი, პოლიციაც.

პატარა მღვდელი მთავარ ბილიკზე გადავიდა და დაბრუნდა ხმლით ხელში, რომელიც, რაც უნდა ბანალურად უღერდეს, მისი ტანის ფონზე არაბუნებრივად დიდი და ხელოვნური ჩანდა.

— სანამ პოლიცია მოვიდოდეს, — თქვა მორიდებით, — ვინმეს ფანარი ხომ არა გაქვთ?

იანკი ყურნალისტმა ელექტრო ფანარი ამოიღო ჯიბიდან და მღვდელმა ის ხანჯლის პირის შუა ნაწილს მიანათა და დიდი ყურადღებით დაათვალიერა. შემდეგ, ტარზე დაუხედავად, გრძელი იარაღი ექიმს გადასცა.

— ვშიშობ ვერაფერში

გამოვადგებით; — თქვა მან და ამოიხარა, — დაგემშვიდობებით, ბატონებო. — ეს თქვა და ქუჩას გაუყვა შინისკენ. ხელები ზურგზე დაეწყო და ჩაფიქრებული თავი ძირს დაეხარა.

ხალხი სადარაჯო ჯიხურისაკენ მოისწრაფოდა, სადაც გამოძიებელი და ორი პოლიციელი შვეიცარს ესაუბრებოდნენ. პატარა მღვდელი კი ნელ-ნელა მიდიოდა მონასტრისაკენ, რომელიც ფიჭვების ჩრდილში ბუნდოვნად მოჩანდა. უცებ მკვდარივით შეჩერდა. სიჩუმეში იგრძნო, რომ ვიღაც ჩუმად მოუახლოვდა. ამ მშვენიერი, არისტოკრატიული მოჩვენების დანახვა კოლჰაუნ კიდსაც გაახარებდა. ახალგაზრდა ქალი გახლდათ. შუაზე გაყოფილი, ოქროსფერი თმა ორ მბზინავ თოქს მოგავიწყდათ. მათ შორის სახე ისე ფერმკრთალი მოუჩანდა, როგორც ძველი ბერძნული ქანდაკება — სპილოს ძვლითა და ოქროთი გამოკვეთილი, თვალები უკაშკაშებდა, ხმა კი დაბალი ჰქონდა, თუმცა თავდაჯერებული.

— მამა ბრაუნ? — იკითხა მან.



მხატვარი ნინო ზალიშვილი

— ქალბატონო ბულნუა? — დინჯად გამოეპასუხა მღვდელი. შემდეგ შეხედა და უთხრა: როგორც ვხედავ ბატონი კლოდის ამბავი შეგიტყვიათ.

— როგორ მიხვდით? — აუჩქარებლად იკითხა ქალმა.

მღვდელმა არ უპასუხა და შემდეგი კითხვა დაუსვა:

— თქვენი ქმარი ხომ არ გინახავთ?

— ჩემი ქმარი შინაა. — თქვა ქალბატონმა. — ამ ამბავთან არაფერი ესაქმება.

მღვდელმა კვლავ არ უპასუხა და ქალი ცნობისმოყვარე გამომეტყველებით მიუახლოვდა.

— მეტსაც გეტყვით, — უთხრა საკმაოდ შეშინებული ღმილით. — არ მჯერა, რომ ეს მან ჩაიდინა და, ვიცი, არც თქვენ გჯერათ.

მამა ბრაუნმა დინჯად შეხედა და კიდევ უფრო დინჯად დაუქნია თავი.

— მამა ბრაუნ, — თქვა ქალბატონმა, — ყველაფერს გეტყვით, რაც ვიცი, მაგრამ ჯერ ერთ რამეს გთხოვთ. მითხარით, რატომ არ გამოიტანეთ სხვებივით აჩქარებული დასკვნები საწყალი ჯონის საზიანოდ? რაც უნდა მითხრათ, ვიცი, რა ჭორები და ფაქტებიცაა მის წინააღმდეგ.

მამა ბრაუნი გულწრფელად დაბნეული ჩანდა. თავზე ხელი გადაისვა და თქვა:

— ორი წვრილმანის გამო. ერთი ძალიან ტრივიალურია, მეორე კი — ბუნდოვანი. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ვერ მტკიცდება, რომ ჯონ ბულნუა მკვლელია.

ვარსკვლავებს ახედა და დაბნეულად გააგრძელა.

— ბუნდოვანით დავინწყით. ბუნდოვანებას დიდ ყურადღებას ვანიჭებ. ის ფაქტები მარწმუნებს, რომლებიც აშკარა არ არის. ვფიქრობ, ზნეობრივი შეუსაბამობა ყველაზე დიდი შეუსაბამობაა. თქვენს ქმარს არც ისე კარგად ვიცნობ, მაგრამ მისი დანაშაული, როგორც სხვები ამბობენ, ძალიან ჰგავს ზნეობრივ შეუსაბამობას. არ გეგონოთ იმას ვამბობდე, რომ ბულნუა არ შეიძლება ბოროტმოქმედი იყოს. ყველას შეუძლია იყოს ბოროტი — ისეთი ბოროტი, როგორც თვითონ ნებაგს. შეგვიძლია ჩვენი სურვილები ამა თუ იმ მიმართულებით წარვმართოთ, მაგრამ სამოქმედო ინსტინქტურ გემოვნებასა და ხერხებს ვერ შევიცვლით. ბულნუამ შეიძლება ჩაიდინოს მკვლელობა, მაგრამ არა ეს მკვლელობა. იგი არ ამოიღებდა რომელიც ხმალს რომანტიკული ქარქაშიდან და არ მოკლავდა მტერს მზის საათთან, თითქოს სამსხვერპლო ყოფილიყოს; არ დატოვებდა სხეულს ვარდებში და ხმალს ფიჭვნარიდან არ გადმოაგდებდა. თუ ბულნუა მოკლავდა ვინმეს, ამას ჩუმად და სასტიკად გააკეთებდა, ისევე, როგორც სხვა საეჭვო საქმეებს — ათი ჭიქა პორტვინის დაღვევას ან გარყვნილი ბერძენი პოეტის ნაკითხვას. არა, რომანტიკული სცენა არ ჰგავს ბულნუას. ეს უფრო ჩემპიონს მაგონებს.

— ოჰ! — ამოიოხრა ქალბატონმა და მღვდელს ბრილიანტივით მზინავი თვალები შეანათა.

— რაც შეეხება ტრივიალურ ფაქტს, — თქვა მამა ბრაუნმა. — ხმალზე თითის ანაბეჭდის დანახვა მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგაა შესაძლებელი, თუ ის ისეთ პრიალა ზედაპირზეა დატოვებული, როგორც შუშა ან მეტალი. ამ შემთხვევაში ზედაპირი პრიალა იყო. ანაბეჭდები კი მახვილის პირის შუა ნაწილში შემორჩენილა. წარ-

მოდგენა არ მაქვს, ვისი თითის ანაბეჭდები იყო, მაგრამ ვინ დაიჭერდა ხმალს პირის შუა ნაწილში? გრძელი ხმალია, სიგრძე მტერს დარტყმის უპირატესობას ანიჭებს. თითქმის ყველა მტერს. ყველას, გარდა ერთისა.

— გარდა ერთისა! — გაიმეორა ქალბატონმა ბულნუამ.

— არსებობს ერთი მტერი, — თქვა მამა ბრაუნმა, — რომლის მოკვლაც ხანჯლით უფრო ადვილია, ვიდრე ხმლით.

— ვიცი, — თქვა ქალმა. — საკუთარი თავი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ხომ არ ვცდებით? — იკითხა მამა ბრაუნმა მოულოდნელად, მაგრამ ჩუმად. — ბატონმა კლოდმა ხომ თავი მოიკლა?

— დიახ, — თქვა ქალმა მარმარილოსავით სახით. — დავინახე ეს რომ გააკეთა.

— თქვენი სიყვარულისთვის მოკვდა? ჰკითხა მამა ბრაუნმა.

ქალის სახეზე საოცარმა გამომეტყველებამ გაიელვა, სინანულის, სირცხვილის, სინდისის ქენჯნის კი არა, არამედ იმან, რასაც მოსაუბრე არ ელოდა. ქალის ხმა უცებ ძლიერი და ყოვლისმომცველი გახდა.

— მე მგონი, ძალადაც არ მაგდებდა — თქვა მან, — მას ჩემი ქმარი სძულდა.

— რატომ? — იკითხა მამა ბრაუნმა და მრგვალი სახე ვარსკვლავებიდან ქალბატონზე გადაიტანა.

— ჩემი ქმარი სძულდა, რადგან... ისეთი უცნაურია, არც კი ვიცი, როგორ ვთქვა... იმიტომ, რომ...

— რატომ? — გაუმეორე მამა ბრაუნმა.

— იმიტომ, რომ ჩემს ქმარს არ სძულდა იგი.

მამა ბრაუნმა თავი დაუქნია და თითქოს ისევ უსმენდა; ის სხვა გამომძიებლისგან, რეალურისგანაც და გამოგონილისგანაც, ერთი პატარა დეტალით განსხვავდებოდა — თავს არასოდეს იკატუნებდა, თითქოს ვერ ხვდებოდა, როდესაც ყველაფერი ძალიან კარგად ესმოდა.

ქალბატონმა ბულნუამ კვლავ თავშეკავებულად განაგრძო თხრობა.

— ჩემი ქმარი, — თქვა მან, — დიდებული პიროვნებაა. ბატონი კლოდ ჩემპიონი კი — არა. ის უბრალოდ სახელოვანი და წარმატებული იყო. ჩემი ქმარი არასოდეს ყოფილა ასეთი და, არ მოგატყუებთ, თუ ვიტყვი, რომ სურვილიც არ ჰქონია. არ ფიქრობს, რომ თავისი აზროვნების გამო უფრო პოპულარული გახდება, ვიდრე სიგარის მონევისათვის. ამ მხრივ შეიძლება სულელურადაც იქცევა. ვერაფრით გაიზარდა. ისევე მოსწონდა ჩემპიონი, როგორც სკოლაში; ისევე იყო აღფრთოვანებული მისით, როგორც სადილის დროს მაგიდასთან გაკეთებული ფოკუსით. მაგრამ არც უფიქრია, რომ ჩემპიონისა შემურებოდა. ჩემპიონს კი უნდოდა, რომ შემურებოდა, სწორედ ამან გააგიჟა და თავიც მოიკლა.

— დიახ, — თქვა მამა ბრაუნმა, — მგონი ვხვდებით.

— ნუთუ ვერ ხედავთ, როგორაა ყველაფერი მონყობილი?! — დაიყვირა ქალბატონმა ბულნუამ. — ჩემპიონმა ჯონი იმ პატარა სახლში დაასახლა თავისთან ახლოს, რათა თავი ჩემპიონზე დამოკიდებულად და დამარცხებულად ეგრძნო. თუმცა ეს ვერ მოახერხა. ასეთ რამეებზე იმაზე მეტს არ ფიქრობდა, ვიდრე გონებაგაფანტული ლომი. მაშინ, როდესაც ჯონი თავის ღარიბულ სადილს მიირთმევ-

და, ჩემპიონი შემოიჭრებოდა თვალისმოჭრელი საჩუქრებით, ხმამაღალი განცხადებით ან თავისი მორიგი ექსპედიციის ამბებით, თითქოს ჰარუნ აღ რაშიდი ყოფილიყოს. ჯონი კი ამ ყველაფერს უემოციოდ აღიქვამდა. ისე, როგორც ერთი ზარმაცი მოსწავლე ბიჭი თანხმდება ან ენინააღმდეგება მეორეს. ხუთი წლის განმავლობაში ჯონს არანაირი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია ამნაირების მიმართ, ჩემპიონი კი მონომანიაკად გადაიქცა.

— და ჰამანმა უთხრა მათ, — თქვა მამა ბრაუნმა, — მეფის მიერ ჩემს მიმართ გამოჩენილი პატივისცემა აღარაფრად მეჩვენება, როდესაც ებრაელ მორდების ვხედავ ჭიშკართან მჯდომს.

— ვითარება მამის გამწვავდა, — თქვა ქალბატონმა ბულნუამ, — როდესაც ჯონი დავარწმუნე, რომ თავისი რამდენიმე სტატია ჟურნალისთვის გაეგზავნა. მისმა ნაშრომებმა ყურადღება მიიქცია, განსაკუთრებით ამერიკაში, და ერთ-ერთ გაზეთს მისგან ინტერვიუს აღებაც უნდოდა. ბულნუას ეს უმნიშვნელო წარმატება ბოლო წვეთი აღმოჩნდა ჩემპიონისთვის (რომელიც ყოველდღე იძლეოდა ინტერვიუებს). სწორედ მაშინ დაიწყო ის გადარეული არშიყობა და თავდასხმა ჩემს სიყვარულსა და ღირსებაზე, რამაც აქაურობას სალაპარაკო გაუჩინა. ალბათ მკითხავთ, რატომ ვაძლევდი ამის უფლებას. გიპასუხებთ, უარი რომ მეთქვა, ჩემი ქმრისთვის მომინებდა ყველაფრის ახსნა. არსებობს რალაც, რის გაკეთებასაც სული ვერ შეძლებს, ისევე, როგორც ტანი ვერ გაფრინდება. ჩემს ქმარს ვერავინ დაარწმუნებდა, და ვერც ახლა დაარწმუნებს რომ უთხრას: „ჩემპიონი ცოლის წართმევას გიპირებსო“. ვულგარული ხუმრობა ეგონება. მიუხედავად იმისა, რომ ხუმრობა არ არის, მის ცნობიერებამდე მანაც ვერ მიაღწევდა. დღეს საღამოს ჯონი სპექტაკლზე მოსვლას აპირებდა, მაგრამ ვიდრე დავიწყებდით, გადაიფიქრა. თქვა, კარგი წიგნი და სიგარა მაქვსო. ბატონი კლოდისთვის ამის თქმა სასიკვდილო დარტყმა აღმოჩნდა. მონომანიაკი სასონარკვეთაში ჩავარდა. ხმალი ჩაიცა გულში და არაადაამიანურად დაიკრიალა, თითქოს ბულნუას მოეკლას. ახლა კი წევს პარკში თავისივე ეჭვიანობით მკვდარი, რათა ეჭვი აღძრას. ჯონი კი ზის სასადილო ოთახში და წიგნს კითხულობს.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მღვდელმა დაარღვია.

— თქვენს მონაყოლში ქალბატონო ბულნუა მხოლოდ ერთი სუსტი წერტილია. თქვენი ქმარი არ ზის სასადილო ოთახში წიგნით ხელში. ამერიკელმა ჟურნალისტმა მითხრა, რომ დღეს თქვენს სახლში იყო და კარისკაცს უთქვამს, ბატონი ბულნუა პენდრაგონ პარკში წასულა.

ქალს თვალეები გაუფართოვდა და მრისხანედ შეხედა მღვდელს; მისი მზერა უფრო გამაგებელი იყო, ვიდრე დაბნეული და შეშინებული.

— კი მაგრამ, რას გულისხმობთ? — დაიყვირა მან. — ყველა მსახური წასული იყო წარმოდგენაზე. კარისკაცი კი საერთოდ არ გვყავს, მაღლობა ღმერთს!

— რაო, რაო? — წამოიყვირა მღვდელმა თითქოს გამოცოცხლებულმა. — ახლა რომ თქვენთან წავიდე, გავაგონებ თქვენს მეუღლეს?

— მსახურები უკვე დაბრუნდებოდნენ — თქვა ქალბატონმა.

— გასაგებია! — თქვა მამა ბრაუნმა ენერგიულად და პარკის კარიბჭისკენ გაეშურა. უეცრად შემობრუნდა და თქვა, — გირჩევთ ის იანკი იპოვოთ, თორემ „ჯონ ბულნუას დანაშაული“ მალე მთელს რესპუბლიკას მოედებაო.

— ნუთუ არ გესმით, რომ არ აინტერესებს. არა მგონია, ამერიკას საერთოდ ქვეყანად მიიჩნევენ.

მამა ბრაუნი მიუახლოვდა სახლს, მძინარა ძალი თავის ბუნავში წამოწოლილიყო. კარი ლაზათიანად ჩაცმულმა მოსამსახურემ გაულო და სასადილო ოთახისკენ გაუძღვა, სადაც ბულნუა ნათურის შუქზე წიგნს კითხულობდა სწორედ ისე, როგორც მისმა მეუღლემ აღწერა. პორტვინიანი სურა და ღვინის ჭიქა იდაყვთან ედგა. მღვდელმა შენიშნა, რომ სიგარას გრძელი, უწყვეტი ბოლი ასდიოდა. „დაახლოებით ნახევარი საათია აქ არის“ გაიფიქრა მამა ბრაუნმა. „უფრო მეტიც, იქ ზის, სადაც გაიღლის ალაგების დროს უნდა მჯდარიყო“.

— ნუ წამოდგებით ბატონო ბულნუა. — უთხრა მამა ბრაუნმა სასიამოვნო, პროზაული ხმით. — დიდხანს არ მოგაცდენთ. ვშიშობ, მეცნიერული კვლევა შეგანწყვეტინეთ.

— არა, — თქვა ბულნუამ. — „სისხლიან ცერს“ ვკითხულობდი.

სახეზე არანაირი ემოცია არ დასტყობია, რამაც სტუმარი დააქვია. ბულნუას ცოლი კი ამას სიდიადეს უწოდებდა. მან დადო ყვითელი, სათავგდასავლო წიგნი ისე, რომ არც კი ჩათვალა საჭიროდ, მის უცნაურობაზე გაეხუმრა. ჯონ ბულნუა დიდი, აუჩქარებელი კაცი იყო. არცთუ პატარა თავი ნახევრად გამელოტებოდა და ნახევრად გაჭალარავებოდა. სახე ტლანქნაკვებებიანი ჰქონდა. ძველებური გაცვეთილი სადღესასწაულო პერანგი ეცვა სამკუთხედად შესხნილი. ასე აპირებდა იმ საღამოს თავისი ცოლის წარმოდგენაზე წასვლას.

— დიდხანს არ მოგწყვეტთ „სისხლიან ცერს“ ან სხვა რაიმე კატასტროფულ საქმეს, — თქვა მამა ბრაუნმა ღიმილით. — მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს თქვენი დღევანდელი დანაშაულის გამო.

ბულნუამ აუღელვებლად შეხედა, თუმცა სახეზე სინთლედ დაეცყო და ერთი შეხედვით დარცხვენისავე ჰგავდა.

— ვიცი, უცნაური დანაშაული იყო, — განაგრძო მამა ბრაუნმა ხმადაბლა. უფრო უცნაური ვიდრე მკვლელობა იქნებოდა. ხანდახან პატარა ცოდვის აღიარება უფრო რთულია, ვიდრე დიდის — სწორედ ამიტომაც აუცილებელი მისი აღიარება. თქვენ მიერ ჩადენილ დანაშაულს ყოველი მასპინძელი სჩადის კვირაში ექვსჯერ, მაგრამ თქვენთვის ამის გამოთქმა თითქმის შეუძლებელია.

— ისე სულელურად ვგრძნობ თავს, — თქვა ფილოსოფოსმა აუჩქარებლად.

— ვიცი, — დაეთანხმა მღვდელი, — მაგრამ არჩევანი უნდა გააკეთოთ სულელურად გრძნობასა და სულელურად ყოფნას შორის.

— არ ვიცი, რა დამემართა, — განაგრძო ბულნუამ, — მაგრამ ამ სავარძელში წიგნით ხელში ჯდომისას ისე ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როგორც სკოლის მოსწავლე არდადეგების წინ. ვერ გადმოგცემთ, რა გრძნობა იყო, დაცულობა თუ მარადისობა. სიგარაც აქვე იდო, ასანთიც... ცერსაც კიდევ ოთხი მოქმედება დარჩენოდა... უბრალოდ სიმშვიდე კი არა, ყველაფერი იყო. შემდეგ ზარმა დარეკა,

ამ დროს გავიფიქრე, სკამიდან ადგომა არ შემეძლია-მეთქი. გადაუჭარბებლად გეტყვით, ფიზიკურად, სულიერად არ შემეძლო, მაგრამ ავდექი ისე, თითქოს დედამინა ავნიე, რადგან ვიცოდი მსახურები გასულეები იყვნენ. კარი გავაღე და დავინახე სალაპარაკოდ განწყობილი ტანმორჩილი კაცი გადაშლილი ბლოკნოტით ხელში. გამახსენდა იანკი რეპორტიორის შესახებ სულ რომ დამვიწყებოდა. თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი და გეტყვით, რომ მოკვლა...

- გასაგებია, — თქვა მამა ბრაუნმა. — მე ვნახე იგი.
- მკვლელობა არ ჩამიდგინია, — განაგრძო კატასტროფისტმა წყნარად, — მხოლოდ ცრუ ჩვენება მივეცი. ვთქვი, პენდრაგონ პარკში ვიყავი წასული-მეთქი და კარი მივე-

ხურე. ესაა ჩემი დანაშაული, მამა ბრაუნ, და არ ვიცი, რა სასჯელს მომიხჯით.

— თქვენს დასჯას არ ვაპირებ, — თქვა სასულიერო პირმა და თავისი მძიმე ქუდი და ქოლგა აიღო მეტად გამხიარულებულმა; — პირიქით, აქ იმისთვის მოვედი, რომ სასჯელი ამეცილებინა თქვენთვის, რაც თქვენს პატარა დანაშაულს მოჰყვებოდა.

— და ასეთი რა სასჯელი ამაცილებთ? — იკითხა ბულნუამ ღიმილით.

— ჩამოხრჩობა, — მიუგო მამა ბრაუნმა.

ინგლისურიდან თარგმნა
ლალი ჩხეიკია

გამოხმაურება

იოსებ ჭუმბურიძე

მოსალოდნელი
მოულოდნელობა

ყოველთვის ველავ, როცა უკვე სახელიანი პროზაიკოსის, მთარგმნელის ან კრიტიკოსის გვიან გამოქვეყნებულ ლექსებს ვკითხულობ. სამწუხაროდ, ბევრმა ნიჭიერმა და გემოვნებიანმა შემოქმედმა ბოლომდე ვერ გაუძლო ცდუნებას და დიდხანს ნამალავი ლექსები ხანდაზმულობისას გამოაჩინა.

ზურაბ ლავრელაშვილს — კარგი მოთხრობებისა და კიდევ უფრო კარგი რომანის („მღვიმარება“) ავტორს — თუმცა, სიჭარმაგისთვის არ დაუცდია, მის პოეტურ დებიუტს მოულოდნელობის ეფექტი მაინც აშკარად ახლავს.

ჩვეულებრივ ასე ხდება ხოლმე: ნიჭიერი, ერუდირებული და გემოვნებიანი მწერლები (პროზაიკოსები, მთარგმნელები, კრიტიკოსები) საკმაოდ კარგად გართმულ საინტერესო აზრებს გვთავაზობენ, გარეგნულად ყველაფერი რიგზეა და, ამის მიუხედავად, „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“.

საბედნიეროდ, ამჯერად, ამას ვერ ვიტყვით.

ზურაბ ლავრელაშვილის „ომოფონები“ ძირითადად გაურითმავია, მაგრამ აშკარად ლექსებია, ორიგინალური ფორმითა და აზროვნების სიღრმით გამორჩეული პოეტური ქმნილებები.

სწორად შენიშნავს ნინათქმის ანონიმი ავტორი (სტილით ვიცანი — უთუოდ როსტომ ჩხეიძეა) — ასეთი პოეტური ნაწარმოებების შექმნას, მთავონებასთან ერთად, სჭირდება „კარგად გამოუმუშავებული სალექსო ტექნიკა, ღრმა ერუდიცია და იმ ზუსტი განწყობილებებისა და დეტალების მიგნება, ურომლისოდაც გაბედული ჩანაფიქრი შესაფერისად ვერ განხორციელდებოდა“.

მთავარი კი, ალბათ, ისაა, რომ ეს ყოველივე, როგორც ნაგულისხმევი ღირსებები, უკანა პლანზე გადადის და ჩვენ წინაშე რჩება მათი ჰარმონიული შერწყმის ნაყოფი, რომელსაც ერთადერთი „მშობელი“ ჰყავს — ზურაბ ლავრელაშვილი.

„ომოფონებიც“ მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუნოდოთ, რადგან უკვე სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის დიდ მოაზროვნეთა „სინონიმურ“ ნააზრევს კი არ ვეცნობით, არამედ ერთი ავტორის (თანამედროვე მწერლის) სულში გამოტარებულ და ახალ ფასეულობად გადაქცეულ სიბრძნეს ვეზიარებით.

ამ პოეტურ ქმნილებებში ჩვენ უკვე გვესაუბრება არა პლა-

ტონი, არა ეტრუსკი ქურუმი, არა მოსეს ერთ-ერთი მოლაშქრე, არა ვაჟა-ფშაველა ან გალაკტიონი (რა კარგია, რომ დიდი ქართველებიც აქვე არიან!), არამედ ზურაბ ლავრელაშვილი.

მეტიც, ის მეზაჟეც ზურაბ ლავრელაშვილია, თეთრ ხარზე ამხედრებულ ლაო-ძის რომ მიმართავს („ოდეს იგი ქვეყნიდან ილტვოდა“):

**იქნებ ინებო, ფანჩატურში ჩამოხდე, ბრძენო!
ვერსად გაგიშვებ, საზღაური მინდა ისეთი,
რომ ჩვენთან დარჩე თუნდაც
ცხრა მთას გადაკარგული.**

ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო „ომოფონი“ გადმოვწერე, ასეთი კი აქ მრავლადაა.

ყველა რომ გადმოვწერო, მათი ხელახალი პუბლიკაცია გამოვა.

ცდუნებას მაინც ვერ ვუმკლავდები და რამდენიმე სტრიქონს კიდევ გაგახსენებთ — ყველაზე სადღეისოს და აქტუალურს (დიახ, აქტუალურს!):

**ლამპარი ჩაქრა,
როს ვეძებდი მე ადამიანს
და სანაცვლოდ ვიხილე მხეცი.**

.....
ილუზიის მსხვერპლნი ვართ ყველა.

ანდა:

**უნდა ვუფრთხოდეთ პოეტები მეფეთ წყალობას,
საშიში არის, როს გვალაღებს ამაოება.**

ცდუნება ვახსენე: მსგავს სიტუაციაში არაერთხელ გამჩენია სინანულიანი კითხვა: რატომ ვერ სძლია ნიჭიერმა შემოქმედმა ცდუნებას?

ამ შემთხვევაში კი გულწრფელად მიხარია, რომ ვერ სძლია და გავიმხილა, გამოგვიჩინა.

ამ „თეთრ ომოფონებში“ ზურაბ ლავრელაშვილმა ერთი რითმიანიც გაურია — „ვაჟა-ფშაველას ეპიგონის მინაწერი „გველისმჭამელის“ არშიაზე“.

შესაძლოა, ეს თვითონ ვაჟამ „მოითხოვა“.

შესაძლოა, ეს იმის ნიშანიც იყოს, რომ ზურაბ ლავრელაშვილი ახალ სიურპრიზებსაც გვიზაბდებს.

ვინ იცის...

* * *

გია გიორგის კინობით-მოფერებითი ფორმა – ასე გადმოგვცემია და ასეც ვიმეორებთ. გიაც, გოგიც, გოგიაც, გიგიც, გაგაც, გუგაც, გეგიც, გიგაც, გოგაც... ყველაზე პოპულარული მაინც გია აღმოჩნდებოდა, რომელიც გადააჭარბებდა გოგისაც და გოგიასაც, თითქოს უკვე საიმედოდ დამკვიდრებულთ.



გია გიორგის შემოკლებად მოჩანს. მაინც როდის ჩაისახა? როდიდან დაიწყო მისი არსებობა? ვინ გაარკვევს ან რანაირად შეიძლება გაიარკვევს ამა თუ იმ კინობით-მოფერებითი სახელის წარმოშობა? ვინ შეიძლება მიაგნოს პირველ მთქმელს?

ანკი რა ისეთი საინტერესოა ეს წარმოშობა – ითქვა და ითქვა, მორჩა და გათავდა. მობეზრდა, ეტყობა, ხალხს სულ „გოგის“ და „გოგისა“ ძახილი და ახალი ვარიაცია გამოძებნა. ამისთანა ვარიაცია აგერ კიდევ რამდენი აღმოჩნდა.

და მაინც...

გაკითხ-გამოკითხავ და... თურმე „გია“ სულაც არ გამიზნულიყო კინობით-მოფერებით სახელად, აბრევიატურა გახლდათ, დიახ, აბრევიატურა, კიტა აბაშიძის ვაჟის მიერ შექმნილი ხელმოსანერად.

გამოჩენილ კრიტიკოსსა და ლიტერატურის მკვლევარს ნათლობის სახელი ივანე ერქვა და მისი ვაჟი – გიორგი ივანეს ძე აბაშიძე – ხელმოწერისას თავისი და მამის სახელებისა და გვარის პირველ ასოებს გამოიყენებდა.

ასე შეიქმნა გია.

მას და მხოლოდ მას გულისხმობდა ეს აბრევიატურა და არა ყველა გიორგის, ცხადია. და ასეც გაგრძელდებოდა და არც არავის მოაფიქრებოდა „საავტორო უფლების“ წართმევა და ამ სახელის მისაკუთრება.

მაგრამ დგება 1924 წლის სისხლიანი აგვისტო-სექტემბერი.

დგება ერთ-ერთი განუკითხავი ჟამი საქართველოს ტრაგიკულ ისტორიაში.

ამ ტრაგიზმის მსხვერპლი აღმოჩნდებოდა გიორგი აბაშიძეც.

დაიხვრიტებოდა, როგორ თუ შენ სამშობლოს დამოუკიდებლობა გეოცნებებო.

იმედი, რომლითაც შეჰყურებდნენ ყოველმხრივ შემკულ ჭაბუკს, ასე უღვთოდ ჩაიშრიტებოდა.

მხოლოდღა „გია“ გაახსენებდათ მის სახებას, „გია“ დარჩებოდა მის მოგონებად თუ შეფარულ მონუმენტად, ოღონდ დროთა კვალობაზე თითქოს მაინც უნდა გამქრალიყო – აბა, როდემდე განვდებოდა აბრევიატურა პიროვნების მონატრებას?

განვდებოდა, აუცილებლად განვდებოდა, თუკი მისი ხელმოწერა ფურცლიდან ხალხში გადმოინაცვლებდა და გიორგის კინობით-მოფერებით იერს შეიძენდა.

ვინ იცის, როდემდე გასტანდა ეს ზეგავლენა, მაგრამ ორი-სამი ათწლეულიც საქმე იქნებოდა.

თურმე რა ორი-სამი ათწლეული. ალბათ აღარც არასდროს ამოიშლება ქართული ონომასტიკონიდან.

* * *

შოთა რევიშვილი ლექციას კითხულობს საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსიდან.

ამჯერადაც ენაწლიანი მისი თხრობა, მოხდენილი, სახალისო ეპიზოდებითაც შეზავებული, რათა სტუდენტებს იმ სამყაროს სიყვარული გაეღვიძოთ თუ განუმტკიცდეთ, რომელიც რკინის ფარდის მიღმა გადამალულა და ხამუშ-ხამუშ და ასეთ პიროვნებათა წყალობით თუ ჩნდება ხოლმე თავისი ნამდვილი იერით, თორემ საბჭოურ ყაიდაზე გადაკეთებულ-გადმოკეთებულ ლამის აღარც განირჩევს სოციალისტური რეალიზმის მეტოდით შეთხზულ ნაწარმოებთა ზღვისაგან, ლიტერატურას ნალექვით რომ დამუქრებია.

მოუთვინიერებიათ და ეგაა უცხოური მწერლობაც.

შოთა რევიშვილის ხელში კი ეს გადაგლესილი, ერთ თარგზე გადაკრეჭილი სამყარო მოუთვი-

ნიერებელ სახეს იბრუნებს და დიდებული სახელები მეგზურებებით ევლინებიან ახალგაზრდებს.

სიტყვას ეს ფრაზაც მოსდევს:

– სამი ტყუპი დაიბადა.

უეცრად რომელიღაც სტუდენტის წამოძახილი:

– შეიძლება, რომ სამ ბავშვზეც ტყუპი ითქვას?

ლექტორი არ გადაატარებს ამ შეკითხვას:

– შეიძლება, რატომაც არა, მარტო ორ ბავშვს კი არა, სამსაც ტყუპი ჰქვია, ოთხსაც, ხუთსაც.

გურამ გოგიაშვილი, ვისი სახელიც მომავალში ფრანსუა რაბლეს „გარვანტუა და პანტაგრუელის“ თავგადასავლის ჩინებულ თარგმანს უნდა დაუკავშირდეს, უპირველესად, სიტყვებისა და გამოთქმების ჩხრეკა-ძიება კი სიყმანვილიდანვე სჩვევია, თავს ვერ შეიკავებს და გამოაცხადებს:



– სჯობს ტყუპი ორ ბავშვს ერქვას, სამს კი ტყაპა-ტყუპი.

აუდიტორია ერთბაშად შეშფოთდება და გაილურსება. „გააგდებს, შეჭველად გააგდებს“ – ყველას ეს ფიქრი დაუვლის გონებაში და მოიბუზებიან ყვირილის მოლოდინში: ახლავე დატოვე აუდიტორიაო!

ლექტორი მდუმარედ გაივლ-გამოივლის. გურამ გოგიაშვილი ლამის მერხში ჩაძვრეს. ნამი საუკუნედ ინელება.

* * *

დასჩემდებოდა ზოგიერთ მწერალს მეურნის სახელით თავმომწონეობა, თითქოს ამ ორი ხელობის შეთავსება ვაჟა-ფშაველად გაქცევდეს ანდა რობერტ ბერნსად.

არა, ზოგს მართლაც ეხერხებოდა და არც თავს გამოიღებდა, მინის დამუშავებასა და ბალ-ვენახის გაშენებაში ჰპოვებდა დღიურ სარჩოსაც და სულიერ შვებასაც; ზოგს სატრაბახოდ უფრო სჭირდებოდა, თუმც სიმარჯვეს ნამდვილად იჩენდნენ მეურნის საქმის გაძლიერებას; ზოგიც ისევე შეითხზავდა მეურნის მითს, როგორც საერთოდაც სჩვეოდა ათასგვარი მითის გამოგონება ლიტერატურის სარბიელზე თავის დასამკვიდრებლად.

გია ხოფერიას ცხოვრებისეული ყოფა უბიძგებდა აქეთ და სულიერ შვებისთვისაც გამოადგებოდა ფარცხანაყანევის მინაში კირკიტი, მარჯველაც გაუძღვებოდა, ოღონდ დასაქადნს ვერაფერს ხედავდა ხელობის მონაცვლეობაში. ეგაა, ყოფის მარწუხებისაგან თავდასახსნელ სანდო საყრდენად ეგულებოდა.

მოახერხებდა ბანკიდან კრედიტის გამოტანასაც და სათბურებს გამართავდა.

გადაყვებოდა თან მათ მონყობას, ჯანს გაიგდებინებდა, მაგრამ უღირდა, როგორ არ უღირდა შემოსავლის დაუშრეტელი წყაროს გაჩენა, ყოველდღე აღარ უნდა ყოფილიყო ლუკმა-პურის ძიებაში, და მთლად ბროლის კომპებს თუ არ აღმართავდა მისი წარმოსახვა, ერთი მომცრო ბროლის კომპი მაინც როგორ არ ჩაესახებოდა ფანტაზიაში.

ეს თავიდან და... მერე და მერე, წარმატების კვალად წარმოსახვაც გაუცხოველდებოდა.

ამინდი ხან ისე შემობრუნდებოდა, ხან ასე, და აღარ მისჩერებოდა გია ხოფერიაც მის თამაშს სულისკანკანით: ისე რატომ უნდა მოხდეს, რომ გამიმეტოო.

გრიგალი გადაუვლიდა ქუთაისსაც, მის შემოგარენსაც და ფარცხანაყანევიც მის დაუნდობელ ბრუნვა-ტრი-ალში მოჰყვებოდა.

– მე რომ კომედოგრაფი ვიყო, – მშვიდად ამბობს შოთა რევიშვილი და სახეზე ღიმილი გადაეფინება.

„რაო, კომედოგრაფიო? კომედოგრაფი რა შუაშია?“ – რალაც ამგვარი ფიქრიც გადაივლის.

– მე რომ კომედოგრაფი ვიყო, – იმეორებს, – თქვენს ამ რეპლიკას აუცილებლად შევიტანდი პიესაში. მაშ სამი ბავშვი „ტყაპა-ტყუპი“, არა? შესანიშნავია, ყოჩაღ!..

აუდიტორია გულშეებით გადაიბადრება. ალაგ-ალაგ სიცილიც მოისმის. ლექცია გრძელდება.

დილაადრიან დაადგებოდა თავზე ელგუჯა თავბერიძეს ქუთაისში, თანაკურსელს, მეგობარს, მასთან ერთად ერთგულად შებმულს ლიტერატურის ჭაპანშიც; და ამ ოჯახშიც ყოველთვის მიესვლებოდა სამასპინძლოდ დღე-ღამე გამზადებული ცოლ-ქმრის იმედად.

მასპინძელს არც ამჯერად გაუკვირდებოდა სისხამზე მისი გამოჩენა.

გია მომღიმარი შეაბიჯებს და მისალმების ნაცვლად ამას იტყვის: ისეთი გახარებული ვარ, რომ არ აღვნიშნო, არ შეიძლებაო.

– რა მოხდა ამისთანა? – ელგუჯა რალაც უჩვეულოს მოლოდინშია. და კიდევ:

– ჩემი ბიზნესი ფოთში გადავიტანე!..

– რას ამბობ, – აღფრთოვანებას ვერ ფარავს მასპინძელი, – ასე უცებ? ჯერ არც კი დაგინცია საქმე და უკვე ფოთშიც გახვედი? როგორ, რანაირად მოხდა ეს ამბავი?

– ამინდს ვენაცვალე, – იხტიბარს არ იტყვის სტუმარი, – მისი წყალობაა. გრიგალი რომ ჩადგა და სათბურების სანახავად მივედი, მისი არსებობის კვალიც ვეღარ ვიპოვე. ეს რკინები მაინც რამ გააქრო ასე პირწმინდად. ორი-სა-

მი კილომეტრის მანძილზე ვეძებე, მაგრამ ნახსივც ვერსად აღმოვაჩინე, და მივხვდი, რომ ძალიან შორსაა გადატანილი ჩემი სათბურები, უსათუოდ ფოთში იქნება, და გულზე მომეშვა – ბიზნესის გაფართოებაც ესაა, ყოველ შემთხვევაში ჩემი ბიზნესის... ის შენი არაყი გამოიტანე, ღვინო არ კმარა, არყით, არყით უნდა დავილოცოთ.


მასპინძელი გამტკნარებულია.

– კი მაგრამ, კრედიტს რა გაისტუმრებს?!.

– ფოთში გადატანილი ბიზნესი თვითონ მიხედავს საკუთარ თავს...

რითი არ არის გია ხოფერია დავით კლდიაშვილის ნოველების პერსონაჟი?

ანდა საკუთარი ნოველებისაც – აქაც ხომ ხშირად მონაცვლეობს ცრემლი და ღიმილი, სასონარკვეთა და გულგაუტყეხლობა...



მხატვარი კარლო ფაჩულია

ქარი გიმღერის ნანასა

საუკუნეთა მანძილზე არ-
აერთი სტუმარი სწვევია სა-
ქართველოს – ზოგი ხანგრძ-
ლივად დარჩენილა ჩვენს მინა-წყალზე, გულმოდგინედ შე-
უსწავლია მასპინძელთა ზნე-ჩვეულებანი და სულისკვეთე-
ბა, ზოგსაც მხოლოდ გზად გაუვლია და ზედაპირულ დაკ-
ვირვებათა აღნუსხვით დაკმაყოფილებულა. მაგრამ ყოვე-
ლი მათგანის ჩანანერები, პოპულარული ავტორი იქნება თუ
ნაკლებად ცნობილი, ძვირფას წყაროს წარმოადგენს ჩვენი
წარსულის შესაცნობად, ავსებს და ამ-
დიდრებს არსებულ ინფორმაციას.
უცხოელთა თვალთ დანახული საქარ-
თველო თავისებურად საინტერესო და
მიმზიდველი სამყაროა, სადაც ორიგინ-
ალურად შუქდება ჩვენი სამშობლოს
ავ-კარგი, ბედი თუ უბედობა, თავმო-
სანონი თუ დასაწუნარი. ზოგჯერ იმ-
დენად მოულოდნელი რაკურსით წარ-
მოჩნდება ხოლმე თითქოსდა ნაცნობი
სურათი, რომ ეგვებ მოგეჩვენოს –
უცხო ქვეყნის აღწერილობას კითხუ-
ლობო.

„საქართველო ნაყოფიერი ქვეყა-
ნაა. ცხოვრება აქ კარგად და იაფად შე-
იძლება. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში
არ არის ისეთი გემრიელი პური, რო-
გორც აქ. ხილი საუცხოოა და მრავალ-
ნაირი. ევროპის არც ერთ ადგილას არ
მოდის უფრო გემრიელი მსხალი და
ვაშლი. აზიაში არსად მოიძებნება აქა-
ურზე უკეთესი ბრონეული. საქონელი
აქ დიდი რაოდენობითაა და ძალიან
კარგი ჯიშისა, იქნება ეს მსხვილფეხა
თუ წვრილფეხა. ნადირი შესანიშნავი და მრავალნაირია.
ბევრია ფრინველიც... მოსახლეობის უმრავლესობა მხო-
ლოდ და მხოლოდ ღორის ხორციით იკვებება. მთელი სოფ-
ლები ღორებითაა სავსე. უნდა ითქვას, რომ ამ ხორცზე უკე-
თესს ვერაფერს იგემებ... მტკვარი იმდენი თევზითა და
მტკნარი წყლით ამარაგებს ქვეყანას, რომ დარწმუნებით
შეიძლება ითქვას – მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, წლის
არც ერთ დროს არ შეიძლება აქაურზე უკეთესად ჭამოს და
სვას ადამიანმა“.

როგორ მოგწონთ ეს ვრცელი ამონაწერი გამოჩენილი
ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის (1643-1713) თხზულები-
დან? (კომერციულ საქმეებზე ირანს მიმავალი შარდენი სა-
ქართველოში იმყოფებოდა 1672 წლის სექტემბრიდან მომ-
დევნო წლის მარტამდე).

რომელი ქართველის გულს არ გაახარებს ზემოთ და-
მონმებული ტექსტი, რომელ ქართველს არ დაეუფლება სი-
ამაყე იმის გამო, რომ მრავლისმნახველი ფრანგი მოგზაური
გვარწმუნებს, ისეთი გემრიელი საჭმელი, როგორც საქარ-
თველოშია, დედამიწის ზურგზე არსად მოიპოვებაო და არ
არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს
სვამდნენ, როგორც საქართველოშიო.

წარმოგიდგენიათ? ჯერ ნახევარ საუკუნეზე მეტი არ გა-
სულა, რაც საქართველოში „სისხლის წვიმები“ მოდიოდა და
გადამთიელებს არაერთხელ გაუპარტახებიათ და გაუჩანა-
გებიათ ჩვენი სამშობლო, ეს ევროპელი სტუმარი კი ქათინა-

ურებს არ იშურებს საქართვე-
ლოს ეკონომიკური კეთილ-
დღეობის დასამტკიცებლად.

მაგრამ ჯერ სადა ხართ! ახლა იმას ვათხოვთ ყური,
რას ამბობს შარდენი ამ სამოთხის მსგავსი ქვეყნის მკვიდრ-
თა შესახებ:

„ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ით-
ქვას, მთელ მსოფლიოში, საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყა-
ნაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქ-
ნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ
და მხოლოდ ანგელოზისებურ სახეებს.
ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სი-
ნატიფით დაუჯილდოებია, როგორსაც
ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლე-
ბელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შე-
გიყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო
მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც
კი შეუძლებელია; არიან მაღალნი, კოხ-
ტა და მოქელთი ტანისა და საოცრად
ნელწვრილი“.

ვის არ აუჩქროლდება გული ამ
სტრიქონების წაკითხვისას, ვის არ შე-
იპყრობს გულწრფელი აღტაცება და
ურვეულო სიამე, ვინაიდან საკუთარი
თავის ქებას ათასჯერ აღემატება ფხი-
ზელი უცხოელის თვალთ დანახული
სინამდვილე, ნაამბობი და ნაქები – ევ-
როპელი მკითხველის გასაგონად.

შარდენის კალმით გამოთქმული
ხოტბა (აბა სხვა რა დავარქვათ ზემოთ-
ქმულს?!) მით უფრო დამაჯერებელი
და დასაფასებელია, რომ ფრანგი მოგ-
ზაური არ მიეკუთვნება საქართველოს

სიყვარულით დაბრმავებულ და ტკბილმოუბარ ავტორთა
საძმოს, იგი ვარდისფერი სათვალთ როდი შეჰყურებს იმ
ქვეყანას, სადაც მთელი ექვსი თვე დაჰყო, და სადაც, თამა-
მად შეიძლება ითქვას, თითქმის არაფერი დარჩენია შეუმჩ-
ნეველი.

სანიმუშოდ უნდა დავიმომოთ ტექსტი, რომელიც ეხება
იმ მტკივნეულ პრობლემას, სხვადასხვა დროსა და სხვადას-
ხვა მასშტაბით, ყოველ ქვეყანას რომ აწუხებდა და დალოც-
ვილი საქართველო რატომ იქნებოდა გამონაკლისი ამხელა
დედამიწაზე?!

აი, რას წერდა შარდენი: „დიდებულები თავიანთი ყმების
მიმართ ტირანულზე უმკაცრეს ძალმომრეობას იჩენენ...
თავიანთ ყმა-გლეხებს მთელი თევების განმავლობაში სა-
კუთარი სურვილისამებრ ამუშავებენ ისე, რომ არ აძლევენ
საფასურს და არც საზრდოს, უფლება აქვთ თავიანთი ვასა-
ლების ქონებაზე, თავისუფლებასა და სიცოცხლეზე; ართ-
მევენ შვილებს და ყიდიან, ან მონებად აქცევენ“.


დიახ, შარდენი თვალს არ ხუჭავს სიავეზე... თქვენ წარ-
მოიდგინეთ, საბჭოთა საქართველოში ცენზურამ ლამის ან-
ტისაბჭოთა ნაწარმოებად მიიჩნია ფრანგი ავტორის ტექს-
ტი და ქართულ თარგმანში ალაგ-ალაგ გარკვეული კუპიურ-
ებიც კი განახორციელა. ამ ოპერაციაში, რა თქმა უნდა,
არავითარი წვლილი არ მიუძღვის ან განსვენებულ მზია
მგალობლიშვილს, რომელმაც საუცხოოდ თარგმნა ფრან-
გულიდან ჟან შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ.



ჟან შარდენი

რობერტ კაპას დაბრუნება

1947 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირს სტუმრად ეწვია ორი სახელოვანი ამერიკელი – მწერალი ჯონ სტაინბეკი და ფოტორეპორტიორი რობერტ კაპა. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი სტაინბეკმა გადმოგვცა თავის წიგნში „რუსული დღიური“, სადაც ორი თავი ეძღვნება საქართველოს, ხოლო კაპამ შექმნა ფოტოსურათების ციკლი და მსოფლიოს შეუფერადებლად უჩვენა ეტიუდები საბჭოთა ხალხის ცხოვრებიდან. ჩვენში, ცხადია, არც სტაინბეკის ზემოსხენებულ წიგნს იცნობდნენ და არც კაპას „ქართულ ფოტონოველებს“.



„ის იყო კარგი მეგობარი, ის იყო დიდი და ძალზე გულადი ფოტოგრაფი. უბედურება ყველასთვის, და განსაკუთრებით – თავად კაპასთვის, რომ სიკვდილი უდროოდ დაენია მას. ის იმდენად ცოცხალი კაცი იყო, რომ მართლაც ძნელი იქნება დაიჯერო მისი სიკვდილი“.

რობერტ კაპაზე არაერთი სტატია თუ წიგნი დაინერა და, ალბათ, მომავალშიც არ შეწყდება მუდმივი ძიების პროცესი იმ საიდუმლოს შესაცნობად, რასაც კაპას ფენომენი ჰქვია. ამ ფენომენის ასახსნელად საქართველოში გადაღებულ ფოტოებსაც ფასდაუდებელი ღირებულება აქვს. სწორედ ამით იყო, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი კაპას „ქართული კოლექციის“ გამოცხადება ფართო საზოგადოების სამსჯავროზე.

მას უწოდებენ მეორე მსოფლიო ომის ყველაზე დიდ ფოტომემატიანეს.

ჟურნალისტი ელისონ ადატო წერდა: „კაპა, მართალია, სამხედრო ფოტოგრაფი იყო, მაგრამ, იმავდროულად, უყვარდა მშვენიერი ქალების, ცნობილი ადამიანებისა და მიმზიდველ წვეულებათა გადაღება“.

რობერტ კაპამ თავისი ფოტოებით საკუთარი ცხოვრების შეუდარებელი, ცოცხალი ისტორიაც შექმნა. ფოტოზე აღბეჭდილი ყოველი დეტალი, თითოეული შტრიხი კომპოზიციური მთლიანობის იმდენად აუცილებელი და გარდუვალი კომპონენტია, რომ გუფლდება გრძნობა, თითქოსდა საცაა გაცოცხლებიან ავტორიც და პერსონაჟებიც. კაპას შემოქმედება პოეზიაზე მეტად რიტმულ პროზას მოგვაგონებს, სადაც ცხოვრებისეული სიბრძნე იმდენად სადად, ემოციურად და სხარტად არის მოწოდებული, რომ უნებლიეთ ყოველი ეპიზოდის მონანილე ხდება.

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში რობერტ კაპას ფოტოების ექსპოზიციას (2003 წლის სექტემბერში) მრავალრიცხოვანი მნახველი ჰყავდა. ამერიკელი ფოტოხელოვანის ნახელაზე ზოგმა საკუთარი სკოლა იცნო, ზოგსაც მწერალთა კავშირის სასახლეში ამერიკელ სტუმრებთან შეხვედრაზე თავმოყრილ ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის ახლებელი ადამიანის მისთვის მანამდე უცნობ ფოტოსურათზე ნახვის სევდანარევი სიხარული განაცდევინა. მშვენიერებასთან შეხვედრის გარდა გამოფენამ გარდასულ დღეთა მრავალი მოგონება წამოშალა და კერძო ფაქტებთან ერთად მნახველებს მთელი ეპოქა გაახსენა.

რობერტ კაპას მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოსურათები, მოპოვებული ცნობილი ბიზნესმენის მამუკა ხაზარაძის დაფინანსებით, ამჟამად მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე „თიბისი“ ბანკის შენობის (ყოფილი უნივერსალი) კედლებს ამშვენებენ.

გამოხდა ხანი. 2003 წლის 25 აგვისტოს თბილისში, იმხანად ათონელის ქუჩაზე მდებარე აშშ საელჩოს შენობაში მოეწყო ჩვენება ამერიკელი რეჟისორის ენ მეიკფისის საათნახევრიანი დოკუმენტური ფილმისა „კაპა ომსა და სიყვარულში“. ამ ფაქტში უთუოდ იყო რალაც სიმბოლური და ამაღლებელი, ვინაიდან 1947 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოსულმა სტაინბეკმა და კაპამ პირველად სწორედ ამ შენობაში შეადგეს ფენი – ოდესღაც ორბელიანთა კუთვნილ ისტორიულ ნაგებობაში განთავსებული იყო საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება („გოკის“), რომელსაც მასპინძლობა უნდა გაენია ამერიკელი სტუმრებისათვის.

და აი, 56 წლის შემდეგ, იმავე აგვისტოს თვეში და თითქმის იმავე დღეს, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ფოტოხელოვანი რობერტ კაპა, თავისი უჩვეულო ბიოგრაფიითა და შემოქმედებით, ხელახლა გამოჩნდა იმავე შენობაში – ამჯერად ეკრანზე.

ეს გარემოება განსაკუთრებულ ემოციურ მუხტს ანიჭებდა ფილმის ჩვენებას. კინოდოკუმენტალისტის ენ მეიკფისის მაღალი პროფესიული ოსტატობით შექმნილი სურათი აცოცხლებდა კაპას თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრების ყველაზე საინტერესო ეპიზოდებს. ეს იყო კინოენაზე მოთხრობილი გზა ლეგენდად ქცეული კაცისა – მიმავალი ტრაგიკული აღსასრულისაკენ. ფილმმა მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. ერთი ხანდაზმული ამერიკელი მამაკაცის თვალეში ჩამდგარი ცრემლიც სწორედ ამას მეტყველებდა. აკანკალებული ხმით თქვა: „კაპას კარგად ვიცნობდი, ერთხანს ერთადაც ვმუშაობდით. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო“.

როგორც ამბობენ, ლეგენდებისათვის უბადლო მასალას შეიცავს კაპას ცხოვრება, რომელიც მოულოდნელად დასრულდა 1954 წელს ტრაგიკული მინდორზე ინდოჩინეთში, როდესაც მან ფენი დააბიჯა ნალმს და ცაში აფრინდა. ორმოცი წლისა იყო.

მისი დალუპვიდან ცოტა ხნის შემდეგ ერნესტ ჰემინგუეი წერდა:

ქრონიკა

აბანოთუბანში იოსებ გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმში პოეტის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. გამომცემლობა „ინტელექტის“ გახმაურებული სერიით გამოსცა მისი პოეტური კრებული „100 ლექსი“.

შეადგინა პოეტის თამამავალმა და მისი ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორმა ნოდარ გრიგორაშვილმა. ლექსები ქრონოლოგიურად დაალაგა და მისი შემოქმედება 1907 წლიდან 1956 წლამდე წარმოადგინა.

წინასიტყვაობა ეკუთვნის პაატა ნაცვლიშვილს.

პრეზენტაცია გახსნა გამომცემლობა „ინტელექტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მარიკა ბაკურაძემ, და სიტყვა გადასცა ნოდარ გრიგორაშვილს, რომელ-

მაც ისაუბრა წიგნის შექმნის თაობაზე, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა გზა გაიარა მუზეუმმა დაარსებიდან დღემდე. გულისტკივილით აღნიშნა, რომ დღეს მუზეუმს აღარანაირი ყურადღება არ ექცევა და აქ დაცული ექსპონატები და უნიკალური წიგნები, მუზეუმის ბიბლიოთეკაშია თავმოყრილი, ნადგურდება.

მუზეუმის სავალალო მდგომარეობაზე ისაუბრა პაატა ნაცვლიშვილმაც და მადლობა გადაუხადა „ინტელექტს“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის. სიტყვით გამოვიდნენ: კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე, ჟურნალისტი დალი ჩიკვილაძე, ბიბლიოგრაფი ლევან თაქთაქიშვილი. პრეზენტაციაზე მუზეუმში დაცული ისტორიული არღნით პატარა კინტოებმა იოსებ გრიშაშვილის დროინდელი თბილისი გააცოცხლეს.